

ნინო ხარატიშვილი

უუუა

„მხოლოდ მიწაზე მყარად მდგომთ და მრავლის მნახველთ ძაღუძთ საკუთარი თავის შეცნობა“.

ჰელმუტ კრაუზერი „მელოდიები“.

„Жужа“

Я ничего не хочу, Жужа

Я словно высохшая лужа

И в моём сердце совсем пусто

И холодно

И заводские дымят трубы

И ты целуешь меня в губы

И обещали дожди Юга

Но где они?

Сегодня пьяный опять вечер

Но так, мне кажется, чуть легче

И даже звёзды горят ярче

Романтика

Мы растворяем друг друга, Жужа

Как кислота или что хуже

И нам нести эту боль вместе

Стекланную

И по реке всё плывут баржи

Они намного меня старше

Но всё равно приплывёт каждый

Куда-нибудь

Куда-нибудь...

Куда-нибудь...

გემფირა, „უუუა“, ალბომიდან „Vendetta“

1. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

მე ემბრიონი ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი. სიცოცხლეში ჭინთვით შემომავდეს და ჩემი ცოდნა წამართვეს. სექსის შედეგად მოვევლინე ამ ქვეყანას. ცოდნა გამომგლიჯეს. შურისძიება მწყურია.

მე ბევრი ვიყავი. მთვარის რვავე ციკლს ვიცნობდი.

ჰადესში ყველა მიცვალებული ჩამიკრავს გულში. თითოეული მათგანის სახე მქონია.

მოვდივარ და მოვდივარ და ვიზრდები. და ესაა ჩემი თვითმკვლელობა. თითოეული ნაბიჯი ტანჯვაა, რადგან არსად არს სიმშვიდე, სინყნარე, არსად ვარ მე.

ემბრონი ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი, შემდეგ კი შთანთქმეს, სისხლმდინარე საშოდან ყვირილის თანხლებით გამოძევებული სიცოცხლემ გადაამყლაპა. და რაც ვიცოდი, ისიც დავკარგე.

გზას დავადექი და ყველა ხე ააღდა გზად, ყველა სახლი ჩამოიქცა და ყველას თვალთ დაუბნელდა.

მე არაფერი მალეღვებდა. მომთაბარეთა ქვეყანა აკვნად დაირწა ჩემ ფეხქვეშ.

მერე მტვრად ვიქექე და ნამუსი ამხადეს, მღელღემე გამაუპატოურეს, და ყველაფერი სანუკვარი ჩემშივე ჩავმარხე.

სამყაროს ყველა წყალში შევცურე, ყველა ეკლესიის წვეტიან სახურავსა და საკურთხეველს ღრიალით გადავუფრინე. არავის ესმოდა ჩემი და მუნჯად ვიქექე, ერთ დამუნჯებულ მტერის ნაწილაკად.

სამყარო ჩამოიქცა და მეც ქვეშ მომიყოლა. მინდა კვლავ ჩემს საწყისს დავებრუნდე, სისხლში მზარდ და ყველაფრის მცოდნე ემბრიონად ვიქექე.

* * *

ის Rue de la Grande-Chaumiere-ზე მიაბიჯებდა. მოკლე, არა, გრძელი, მინისფერი და მოუფლელი თმა ჰქონდა, მამაკაცის პალტო ეცვა და სახე მიტკალივით ჰქონდა გაფითრებული. ჰო, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო იგი. დაკვნეტილი ტუჩები ჰქონდა და პატარა წამახვილებული კბილები. ძალიან გამხდარი იყო და ფეხის ყოველ გადადგმაზე აუტანლად სტკიოდა დამსკდარი ძუძუსთავები. მხარზე ტილოს ჩანთა ეკიდა. ჯიუტად მიაბიჯებდა ფართოდ გახელილი და აცრემლეული თვალებით. მოვარდისფრო და დაკვნეტილი ფრჩხილები ჰქონდა და ნანვეტებული და განითლებული ცხვირი. შეციებული და გამოუძინებელი ჩანდა. ნამღვილად ღამენათევი იყო.

ერთ-ერთ მალაზიასთან ვიტრინამ მოსტაცა თვალი და შეჩერდა. ვიტრინაში გამოდგმულ საქორწილო კაბაში გამოწყობილ მანეკენს თვალებში ისეთი ზიზღით ჩახედა, თითქოს მისი დახრჩობა უნდოდა. მერე მანეკენებს შორის საკუთარ ანარეკლს მოჰკრა თვალი და ვიტრინის მინას გამეტებით მიარტყა სახე. მინა მყარი აღმოჩნდა. სამაგიეროდ ცხვირიდან იფეთქა სისხლმა. ვიტრინის უკან მდგარმა ასაკოვანმა ქალმა შიშისგან შეჰკვივლა და ის სირბილით გაეცალა იქაურობას. სახელო ცხვირთან მიიტანა, სისხლში დაასველა და ნიკაპზე ჩამოითხაპნა და მოეშვა.

* * *

ჩვიდმეტი წლის იყო და საკუთარი სხეული ახალი აღმოჩენილი ჰქონდა. დროდადრო ეროსი სტუმრობდა და ჭადრაკს ეთამაშებოდა, ჩუმად, ხმის ამოუღებლად. ქერათმიანი იყო და ციცქნა, თბილი და რბილი. მას უყვარდა იგი.

უცებ სიცილი აუტყდა. მისი თვალები, ნისლისფერი და დაბინდული თვალებიც იცინოდნენ. ჰო, თვალები... ღია ნაცრისფერი და უსიცოცხლო თვალები ჰქონდა. ლამაზი და იმავდროულად უშნო. ჰო, რაღაც ამგვარი.

უცებ ნაბიჯი შეანელა. სირბილისგან გული ჰქონდა ამოვარდნილი და ცოტა ხნით შეისვენა. ჩანთაში თამბაქოს ძებნა დაიწყო, იპოვა, თუთუნი გაახვია და ახლა ასანთს დაუნყო ძებნა. ვერ იპოვა და გამვლელ გოგონას მიუბრუნდა, ასანთი ხომ არ გაქვსო.

გოგონამ, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა შეხედა, წამიერად დაფიქრდა, თითქოს ყოყმანობსო და ბოლოს უთხრა:

— ერთი წუთით.

მერე თავის მოხდენილ, პატარა და მწვანე ჩანთაში ჩაყო ხელი და იქიდან ასანთის კოლოფი ამოაძვრინა. კოლოფზე პროვანსის რომელიღაც სასტუმროს სარეკლამო ფოტო იყო გამოსახული.

— დასასვენებლად იყავით, არა?

— რა თქვით?

— ასანთის კოლოფი.

თვალს მოგტაცებდა, ისეთი ლამაზი იყო. ის კი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო. თავის საყვარელთან ერთად ისვენებდა ეს გოგო თუ ჯერ ისევ მშობლებთან ერთად ატარებდა შვებულებას? თან, როგორც ჩანს, არც ფულის პრობლემა არ უნდა ჰქონოდა.

— ეს? ჰო, ეს დიდი ხნის წინ იყო...

უცებ მიხვდა, რომ თამამის გაგრძელების სურვილმა აიტაცა. ერთ მშვენიერ დღეს ეს გოგონა ალბათ ლამაზი ქალბატონი დადგება, მის კალთაში კუსკუსა ძალიან ინებივრებს და აუცილებლად ექნება ავტომანქანის ფარები ელექტრონული კარით.

— არასდროს ვყოფილვარ პროვანსში. ლამაზია იქაურობა?

— კი, ძალიან ლამაზია.

გოგონა ცოტა დაბნეული იყო, მაგრამ უკარება ნამდვილად არ ჩანდა, სახეზე მსუბუქი ცნობისმოყვარეობა ეწერა, ანუ რაღაც ნამდვილად გამოვიდოდა ამ თამამიდან. ასეთებთან პირდაპირ შეტევაზე გადასვლა ჯობდა, უკეთ ჭრიდა.

— აქვე, ახლოს, ერთი საფუნთუშეა, კარგი ადგილია. არ გინდა დამპატიყო? მხოლოდ ერთ ჭიქა ყავასა და ნამცხვარზე. სამაგიეროდ მე ერთ ლამაზ ისტორიას მოგიყვები.

გოგონას შიში გაუკრთა თვალებში. როგორც ჩანს, მისი სისხლიანი სახე ახლავდა შეამჩნია და შეეშინდა.

— უნდა წავიდე... ჩემი ძმა...

— კარგი, რა! რომელი ძმა, რომელიც არა გყავს?! მე ლამაზ ისტორიას მოგიყვები, შენ კი კაფეში დამპატიყებ. სულ ეს არის, ვერ მიხვდი?! მშიერი ვარ, მეტი არაფერი.

— არ ვიცი... მაინც რა გინდა?

— ახლა არ გითხარი? მშიერი ვარ-მეთქი, მეტი არაფერი.

— ფულს მოგცემ და...

— არა, ფული არ მინდა. ყავა და ნამცხვარი მიყიდე.

— მე...

— წამოდი რა ჩემთან ერთად!

გოგონა მორჩილად გაჰყვა. ის წინ მიუძღოდა და თან სახეზე შემხმარი სისხლის მოცილებას ცდილობდა.

— ვიტრინას დავეჭახე. ვერ შევამჩნიე და მინაში გავიარე, — შეეცადა აეხსნა გოგონასთვის და საკუთარ სარკაზმზე თავადვე გაეცინა.

გოგონა დაბნეულად იღიმებოდა. საფუნთუშეში შევიდნენ და ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუსხდნენ. ოფიციატმა იცნო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მან უცნაური მზერა შეაგება. ოფიციატმა თანმხლებ გოგონას გადახედა და დადუმდა.

ვიდრე გოგონა დაბნეული ჩასჩერებოდა მენიუს და ვერ გადაწყვიტა რა აერჩია, მან ერთი ჭიქა ყავა და ერთი ნაჭერი ნიგვზიანი ტორტი შეუკვეთა.

— შემიძლია გირჩიო ცხელი შოკოლადი და კრუსანის ატმის ჯემით. ისეთი გემრიელია, თითებს ჩააყოლებს.

გოგონამ ოფიციატის მოხმოდ და ცხელი შოკოლადი და კრუსანის შეუკვეთა. ერთხანს ჩუმად იჯდა და ცდილობდა, მისთვის მზერა აერიდებინა. მერე მწვანე ჩანთიდან პორტსივარი ამოიღო და სტაფილოსფრად შეღებილ ტუჩებში მოგრძო სიგარეტი გაირჭო.

მან ასანთის ღერი კოლოფის კიდეს გაჰკრა. ცერა თითზე წამიერად ცეცხლის ალი იგრძნო, დამწვრის სუნი ესიამოვნა. ანთებული ასანთი გოგონას ტუჩებთან მიუტანა და სიგარეტს მოუკიდა.

— მე სარე მქვია, შენ?

— ფანი.

— დიდი მადლობა გამასპინძლებისათვის, ფანი.

— არაფერს...

— ახლა ერთ ისტორიას გიამბობ.

და ნიობეს შესახებ უამბო. მისი შვიდი შვილის შესახებ, მისი დიდებისა და სიმდიდრის შესახებ, მისი ამპარტავნობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ღმერთებს მსხვერპლს არ სწირავდა და ამით ლეტო განარისხა, რომელმაც მის ოჯახს უბედურება მოუვლინა და აპოლონისა და არტემიდეს მეშვეობით ვაჟები დაუხოცა. გატაცებით უყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ შეინარჩუნა ღირსება ნიობემ, შემდეგ როგორ დაუხოცა ლეტომ ქმარი და ქალიშვილები და ამ ყველაფერს საკუთარი თვალთა აყურებინა, როგორ ვახევედა უბედურებისაგან ნიობე და როგორ ითხოვა შეწყალება და ბოლოს, როგორ იქცა ქვად, აცრემლებულ ქვად. ფანი პირდაღებული უსმენდა. რა თქმა უნდა უსმენდა.

— ეს ამბავი არ იცოდი, არა?!

— არა, არ ვიცოდი.

— და აი ასე, დგას მას შემდეგ ქვად ქცეული დედოფალი იქ, მთის წვერზე, და არავის ძალუძს მისი გაცოცხლება.

— რა ტრაგიკული ამბავია...

— ჰო, ტრაგიკულია.

— ჩემი წასვლის დროა.

— მეც გამოვალ. უკვე შევჭამე.

— ასე რატომ იქცევი?

— როგორ ვიქცევი, რას გულისხმობ?

— როგორ და... ეს ყველაფერი, ეს ისტორია და კიდევ... როგორ გითხრა...

ფანი პირდაპირ სახეში შესცქეროდა. ეს თვალები, ასეთი გაუკაცრიელებული და იმავდროულად მგზნებარე, მოსვენებას უკარგავდა და იზიდავდა მას. ისიც შესანიშნავად გრძნობდა ამას. კაფედან ერთად გამოვიდნენ.

— საყვარელთან ერთად იყავი პროვანსში?

— რა თქვი?!

— აი, დასასვენებლად რომ იყავი.

— ჰმ, ის ჩემი საქმროა, დანიშნულები ვართ.

ფანის ლამაზი, ცისფერი თვალები და ხორცსავსე ტუჩები ჰქონდა. ლექსებს რომ უძღვნიან, ისეთი ქალი იყო. საქმრომ, როგორც ჩანს, გული ატკინა. ფანის სახის გამომეტყველებაში იგრძნობოდა ეს. „დანიშნულები ვართო“ რომ ახსენა, თვალებში სხივი ჩაუქრა.

— ცხვირის ქვეშ სისხლი გაქვს შემხმარი...

— მომწმინდე რა!

ფანი მასზე ოდნავ მაღალი იყო და დაიხარა, თეთრი, მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო პალტოს ჯიბიდან და შეეცადა სისხლი მოეშორებინა მისთვის. სისხლი ისე მიხმობოდა სახის კანს, თითქოს დიდი ხანია, ზედ აცხიაო.

— ცხვირსახოცი ნერწყვით უნდა დაასველო — უთხრა მან მშვიდად და სახე მიუშვირა ფანის.

ფანის სახე შეეცვალა, თითქოს დაფრთხა, მაგრამ მან სახე ისე ახლოს მიუტანა ტუჩებთან, რომ ფანიმ ენა ინსტინქტურად გამოყო და სისხლი აულოკა. მერე უცებ შებრუნდა და საკუთარი საქციელით შეძრწუნებული საჩქაროდ გაეცალა იქაურობას.

ის Rue de la Grande-Chaumiere-ს უკან ჩაუყვა და მანეკენიანი ვიტრინის წინ შეჩერდა. შემდეგ მთელი ძალით შეასკდა მას. მინა არ დამსხვრეულა. ახლა ჩანთა სთხლიშა გამეტებით — გამჭვირვალე მასა კლდესავით მყარად იდგა.

— მეზიზღები, უსულო არსებავ! — უყვიროდა მთელი ხმით და მერე.. მერე მანეკენმა სული დალია, მთელი ქუჩა გაუკაცრიელდა და ირგვლივ უდაბნოს საიდუმლოებით მოცული წარმართული მელიოდიები აჟღერდა. მალე, ძალიან მალე შეძლებდა უკან დაბრუნებას.

და ოცნებისეული სიზმარი იქცა ცხადად, ტერფიდან თავამდე ამოჰყვა სხეულს და საფეთქლები დაუკოცნა. ოდესმე ეს ყველაფერი აუცილებლად დასრულდებოდა, ეჭვიც არ ეპარებოდა.

თავი უკვთ იგრძნო, კიდევ ერთი ქალი აზიარა ჭეშმარიტებას.

ის კვლავ Rue de la Grande-Chaumiere-ზე მიაბიჯებდა...

* * *

შინ დაბრუნება მინდოდა, მაგრამ მინა იძრა, ძლიერად იძრა და გული აერია.

ღმერთთან საუბარი მოვინდომე, სწორედ იმ ღმერთთან, ამ ქვეყნად ჩემს მოვლინებას რომ ესწრებოდა. ის ვი არ მოვიდა. ჰოდა, მეც გადავწყვიტე — ამიერიდან ყველაფერი სულერთია-მეთქი: შლეგად ვიქცევი და ვაებას დავთვისავ, რათა ჩემს აქილეუსს ვეახლო ჰადესში. მე მას ყველა ქალს გამოვტაცებ, შემდეგ მის უსულო მკლავებში ჩავიძინებ და თავად ვიქცევი ცინულად. 13090090300 წლის შემდეგ ისევ დავდნები და ბედნიერებას მოვა.

ასე გადავწყვიტე და უდაბნო გადავიარე, ცარიელ თავის ქალას რომ ჰგავდა. მორიგელებთან ერთად დაეხოხავდი, რომლებსაც ვეფერებოდი და მერე ღამდამობით, ღამეულ სიმარტოვეში ჩაკარგული, ვნავადი და ვნთქავდი. მათი შხამი ძალას მმატებდა და მეც სიარულს ვაგრძელებდი. გზად აქილეუსს წერილებს ვწერდი, ვწერდი ქვიშაზე. გზას ვიკაფავდი ბნელეთისკენ, ჩვენთვის, ორივესთვის.

და შევიყვარე, რათა შემეცნო, რაოდენ უაზრო იყო სიყვარული.

ასე ველაპარაკებოდი ჩემს ხვლიკებსა და გველეხს:

— მე ვერ ვიქნები თქვენი ევა. ის მოკვდა, რადგან მამაკაცის ნეკნის დატოვება არ ინდომა საკუთარ სხეულში. იგი განგვერიდა და ასკეტად იქცა, და 999 წელი დუმილის სამფლობელოში გაატარა. მისმა ქმარმა კი ხეებს ნაშუსი აშხადა და მისი თესლისგან უამრავი ვაჟი იშვა. ბოლოს გაგიჟდა და მისმა ვაჟებმა ერთმანეთთან შუღლი რომ წამოიწყეს, თავი მოიკლა. ადამს ხომ თავისი ევა ენატრებოდა. აი, ასეთი სევდიანია ეს ისტორია.

და ჩემი გველეხი თავს დანანებით აკანტურებდნენ და ჩემთან ერთად მოთქვამდნენ.

— ევას რაღა დაემართა? — მკითხა ბოლოს წითელმა ხვლიკმა, ბებერი კანითა და ბოზური ცხოვრებით დამძიმებულმა.

— რა გითხრათ! განმარტოებით ცხოვრობდა, ღამღამობით კი ტიროდა, რადგან სულ მარტო იყო. მერე დაბრუნდა და ქმარი მკვდარი დახვდა. და კიდევ ვაჟები, რომლებიც მუცლით არ უტარებია და რომლებმაც ის ცოლად მოიყვანეს, ყველამ ერთად. ევა კი ტიროდა და ღმერთს ეკითხებოდა: რატომ მსაყვედურობ ცოდვილი ხარო, როდესაც ერთადერთი შემქმენ და იყოდი, რომ ჩემი ვაჟები ძალას იხმარდნენ ჩემზე?! ჰოდა, იტირა, იტირა და ბოლოს საკუთარი თმით ჩამოიხრჩო თავი.

ხვლიკი, რომელსაც ჩემდამი სიყვარული მორეოდა, შუბლზე მომეფერა და ჩემად აქვითინდა.

მოგვიანებით კი მიაბზო, რომ მთელი თავისი (ცხოვრება სიძვასა და ცოდვაში გაატარა, რომ მუდამ ერთი ქალაქელი კუ უყვარდა, რომელსაც ადამიანები საგანგებოდ შეჭვარებისათვის იყენებდნენ; რომ ამ ყველაფრით დაქანცულ კუს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რომ მასაც ყველაფერზე უარი უთქვამს და წამოსულა. ჰოდა, ცხოვრობს მას მერე ასე, ამ სიმშვიდში.

მე ხვლიკს გულში ვიკრავდი, ხეების რძით ვიკლავდი წყურვილს და ვლამაზდებოდი.

ქვიზა ყოველ ღამე ჩემთან იწვა, მე ხომ ამასობაში ასე დავმშვენდი.

ჩემი ხვლიკი აღარ მინახავს, წყალთან მიმიყვანა და ხელი დამიქნია. ღამის გული ამიჩუყდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა და ერთი ოცნების ძილიდან მეორე ოცნების ძილში გადავეშვი.

რომ გამეღვიძა, მარტო ვიყავი. მერე ოფელია მოვიდა ჩემთან, მკერდი დამიკოცნა და მითხრა:

— მონასტერში წადი, წადი მონასტერში!

მე კი ვუთხარი, რომ მხოლოდ არსაით მინდოდა წასვლა, მაგრამ ჯერ ყველაფერი უნდა გავიარო-მეთქი გზად. პასუხად მომიგო, არსაით არ არსებობსო და მე ის გავავადე.

შემდეგ წყალს გადაუფერინე, ქარის მოსაქრთამად სულ გავშიშვლდი, გავიყიდე. ბოლოს მანაც მოანერა ხელი შეთანხმებას და თან წამიყვანა. უუამბე, ოდესღაც ემბრონი ვიყავი-მეთქი. მან კი თავისი დაბინდული თვალებით შემომხედა და მითხრა: რა დასანანია, რომ ახლა ადამიანი ხარო.

წყნარი და ბნელი იყო ჩემი ახალი მომთაბარეთი მომთაბარეთა ქვეყანა, ადგილი, სადაც ქარმა ჩამომსვა. მოშორებით ერთი სასახლე იდგა და მეც იქით

გავემართე. მშობდა. ჭამა და ბანაობა მინდოდა. მაგრამ სასახლე ცარიელი და ბნელი აღმოჩნდა, იქ მხოლოდ ობობები და ბერიკაცები ცხოვრობდნენ. შიგნით კი შემოშვეს, მაგრამ ხმაც არ გაუღიათ. რაღაც წვნიანი მომცეს. ვჭამდი და არც მე ვიღებდი ხმას. ჩემი ხელიკი მენატრებოდა, რომელსაც დანაიდას ვეძახდი. კაცებმა თქვეს, აქ იმიტომ ვართ, რომ შევცოდეთო. მე მათ ბებერ კანს ვეფერებოდი, თან ზიზღით ვიცხებოდი და თანაც მეცოდებოდნენ. ვუთხარი, იქნებ შემოძლია შევინდოთ და თავისუფლება გიბოძოთ-მეთქი. დამცინეს და მომაფურთხეს. და ღვთის მგმობელი მიწოდეს. მონანიება ერთადერთი მიზეზია, რის გამოც ჯერაც ცოცხლები ვართო. და ასე ღამით, შუა გზაზე დამაგდეს, გზაზე, რომელსაც არსაით მივყავდი. ავღრიალდი, ავღრიალდი და ისე ვღრიალებდი, რომ მთელი სასახლე ცეცხლის ალში გაეხვია, მე კი ბედნიერი ვიყავი. წამიერად მე მართლა ვიყავი ბედნიერი.

გზა გაუავრძელე და ქალაქებამდე მივალწიე. მივედი ძაღლებთან, რომლებიც მშივრები დაწანწალებდნენ და ფეხებს მილოკავდნენ, რადგან სასიყვარულო სიტყვებს ვეჩურჩულებოდი. მე ადამიანებთან მოვედი...

ოფელია კვლავაც დამცინავად ჩამჩურჩულებდა „ცდები...“

2. ძმა (1967)

დედა: საყვარელო, ჩაის დალევ?

ძმა: არა, დედა, გმადლობ.

დედა: პატრის, აუცილებლად უნდა გასინჯო ეს ნამცხვარი. საგანგებოდ შენთვის გამოაცხო მადლენმა.

ძმა. კარგი, მოვეიანებით გავსინჯავ. გმადლობ, მადლენ. რა გულისხმიერი ხარ...

მადლენ: შენ მალე წახვალ აქედან. ჩვენ კი ძალიან მოგვენატრები. გახსოვდეს პატრის, რომ საოცრად ვამაყობთ შენით. და შენ მშვენიერად იცი ეს!

დედა: ჰო, არც კი მჯერა. ყოველკვირეულმა გაზეთმა დაბეჭდა მისი მოთხრობა. ადგილობრივი გაზეთის ყურნალისტიც კი მოვიდა. პატრისის შესახებ მეკითხებოდა. ვერ წარმოიდგენ, როგორ ველეაუდი.

მადლენ: ღმერთმა ნიჭით დაგაჯილდოვა, პატრის. და უნდა იამაყო ამით. დარწმუნებული ვარ, დიდი მომავალი გელოდება პარიზში.

ძმა: მე ჩემთვის რაღაცას ვწერ, თქვენ კი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებთ.

დედა: კარგი რა, პატრის, ეს უბრალო ნაწერები კი არა, არაჩვეულებრივი ნოველებია, თანაც როგორი დახვეწილი. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ნამდვილი შედეგებია. მე მგონი, ზედმეტად თავმდაბალი ხარ.

მადლენ (თემა აღარ სიამოვნებს) რის შესწავლას აპირებ უნივერსიტეტში?

ძმა: ლიტერატურათმცოდნეობისა და ფრანგულის.

მადლენ: შესანიშნავია! ჩემ უნანს ლიონში უნდა წასვლა, იქ ერთ-ერთ ბანკში სამსახურს სთავაზობენ. თქვენთვის არ მომიყოლია?

დედა: რას ამბობ, მართლა? რა კარგია.

მადლენ: ჰო, ძალიან გახარებულია. ფილიალის ხელმძღვანელობაზე ოცნებობს და კარგი დასაწყისია. ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს იქნებ აქ ფილიალის ხელმძღვანელადაც მოგვევლინოს.

დედა: რა თქმა უნდა, საყვარელო.

დები სახლში ბრუნდებიან. დერეფნიდან მათი ხითხითის ხმა ისმის. პატრისს ზემოთ ასვლა და აივანზე სიგარეტის მოწევა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ჯერ სად არის, ეს მხოლოდ დასაწყისია; წინ ტანჯვის უკიდველანო ზღვა ელოდება.

ანე-მარია და სიმონე ოთახში შემოდებიან. სიმონეს სულელური კაბა პატრისს თვალში ეჩხირება. რა უბედურებაა! საერთოდ არ უხდება. თანაც, ამ სიცივეში რა დროს ამნაირი კაბის ჩაცმა იყო?!

ისე, პატრისს მიაჩნია, რომ მონე არც ისეთი აუტანელია, როგორც ანე, მიუხედავად იმისა, რომ ანე უკეთ გამოიყურება და, როგორც დედა ამბობს, თავს არავის დააჩაგვრინებს. რაც შეეხება სიგარეტს, ახლა პატრისს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს მოწევაზე.

მადლენ: აი, გოგოებიც მოვიდნენ, აბა, დამენახვით. როგორ დამშვენებულხართ. რამდენი წლის ხარ, სიმონე?

სიმონე: ცხრამეტის, დეიდა მადლენ.

პატრისი დასანახავად ვერ იტანს მადლენს, ტრაკვასიებულ კამეჩს ეძახის. დიდი სიამოვნებით დაახრჩობდა, დაკეპავდა და დაასამარებდა; არა, ღრმად ჩაფლავდა მიწაში, რომ აღარასდროს ენახა იგი, რომ აღარასდროს გაეგო მისი ხმა და საერთოდ, არასდროს, აღარასდროს...

ძმა: საშინლად გამოიყურები, მონე.

სიმონე: თავი დამანებე რა!

დედა: პატრის, ნუთუ აუცილებელია, რომ ყოველთვის ასე უხეშად ელაპარაკო შენს დებს?!

მადლენ: საყვარელო, ეს ასაკის ბრალია. ჩემი უანიც ასე ექცეოდა უმცროსებს, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, ახლა როგორი მოსიყვარულეა.

დედა: რა ვიცი, რა ვიცი! იმედი მაქვს. გოგოებო, აბა, სწრაფად, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, ხელები დაიბანეთ და მოდიეთ. უგემრიელესი ნამცხვარი გვაქვს, დეიდა მადლენმა მოგვითანა.

ანე ტახტზე მჯდომ პატრისთან მიდის და მის გვერდზე ცდილობს ჩაჭეჭყვას. გამხდარია, ქერათმიანი, თავის დაზე უფრო დიდი მკერდი აქვს და როცა შინიდან გადის, ტუჩებზე წითელ ჰომადას ისვამს ჩუმად. პატრისმა კარვად იცის, რომ ანეს ეზიზღება. ვერ იტანს ნოემბრის იმ ნაშუადღევს საიღუმლოს გამო. პატრისმა ეს იცის, მაგრამ სულაც არ აღარდებს. რასაკვირველია, ანეს საიღუმლოს გაცემას პატრისი არ აპირებს, მაგრამ დროდადრო შანტაჟს უწყობს და ძალიანაც ხალისობს ამით.

მადლენ: ჰო, რომ არ დამავინწყდეს, შენი მოთხრობა წავიკითხე და მინდა გითხრა, რომ შენი ასაკისთვის ზედმეტად ბრძნულიც კი მეჩვენა. სხვათა შორის, უანმაკ ნაიკითხა და მასაც ძალიან მოეწონა.

ძმა (ფიქრობს): მოკეტე, რა, შე კამეჩო. ოჰ, როგორ ვერ გიტან. სადაცაა გული ამერევა...

მადლენ (მის ფიქრებს ვერ აღიქვამს): აი, ის ადგილი, რაინდი რომ დაიჭრება, ძალიან ამაღელვებელია. როგორ იგონებ ასეთ რამეს? წარმოუდგენელია!

დედა: ჰო, ჩვენც ეგ არ გვიკვირს?! შუა საუკუნეების ისტორია ლამის საბავშვო ბაღის ასაკიდან იზიდავდა. ვახსოვს, პატრის, თემა რომ უნდა დაგეწერთ სკოლაში? როლანდზე... ისეთი გატაცებული იყავი იმ თემით.

ძმა: ჰმ!

სიმონე მისაღებ ოთახში ბრუნდება. ხელები მართლაც დაუბანია. ერთ თევზს თავისთვის იღებს და ერთიც დისთვის მოაქვს. დედა რომ აღარ იქნება, სიმონე შეცვლის, ყველაზე სიმონე იზრუნებს. გადანყვეტილი ამბავია. წყალი არ გაუვა.

სიმონე რა გემრიელია? შენ გამოაცხვე, დეიდა მადლენ?

მადლენ: ჰო, სულ თავად არ ვაცხობ?

სიმონე: მართლაც საუცხოოა. აუცილებლად უნდა მომცე რეცეპტი.

მადლენ (მადლენი ჰიენასავით იცინის): რასაკვირველია, სიამოვნებით, საყვარელო მონი.

როგორ ვერ იტანს პატრისი ამ სახელს — მონი, მონი! გვეკონება ზაზუნას ეძახიან...

ძმა: ქალბატონები ნებას თუ დამრთავენ, ზემოთ ავაღ.

დედა (დედა, პატრისის აზრით, სიტუაციისათვის შეუფერებლად იცინის): უკვე მიდიხარ? არ შეგიძლია, ცოტა ხანს კიდევ დარჩე ჩვენთან, საყვარელო? რაც წერა დაიწყე, თითქმის ვეღარ გხედავთ.

მადლენ: რას იზამ, ასეთია ხელოვანის ოჯახის ხვედრი...

დედა: ჰა-ჰა-ჰა!

პაუზა. სიჩუმე სუფევს. ანე ჭამას იწყებს და დროდადრო საჩვენებელ თითს ილოკავს, რაზედაც პატრისი სამინლად ღიზიანდება. ანე მუდამ ასე გულისამრევად იქცევა. მონეს კიდევ შეიძლება დაელაპარაკო რამეზე. ანე კი — პაუზა, პაუზა, პაუზა...

პატრისი განუწყვეტლივ მასზე ფიქრობს. რა კარგია, რომ ამის შესახებ არავინ იცის. ამიტომაც გაეცალა ქალებს და ზევით ამოვიდა, მაგრამ მისაღები ოთახიდან გამოსული ხმები მაინც აღწევს მეორე სართულამდე და მარტო დარჩენის საშუალებას არ აძლევს.

ახლა მონეც ჭამს იმ საზიზღარ ნამცხვარს. მადლენი ხმარებაში გაცვეთილ ჟირაფს ჰგავს — დალლილ, დაბნეულ, კისერწაგრძელებულ ჟირაფს. მისაღებში ნამდვილად ისევ მასზე და მის „არაჩვეულებრივ მომავალზე“ საუბრით იქცევენ თავს.

პატრისის პარიზში წასვლა კი უხარია, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, რითი უნდა დაიწყოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქაურობას ყველაფერი სჭობია. აივანზე დგას და სიგარეტს ნერვიულად ექაჩება. შარვლის ჯიბეში ჟიტანის დაჭმუჭნილი კოლოფი უდევს. მალე ჩამობნელდება. ვეღარ ითმენს, ერთი სული აქვს, როდის ააკაკუნებს საბეჭდ მანქანას. პატრისი ღამლამობით წერს იმას, რისი წერაც მართლა უნდა. ის, რაც, მისი აზრით, ღირებულია. სწორედ ღამლამობით იქმნება ნამდვილი ტექსტი — დიდი, იღუმალებით მოკული, მგზნებარე და დამთრგუნველი ტექსტი. დღისით რასაც წერს, სხვებისთვის არის განკუთვნილი, რომ შეეშვან, ზედმეტი კითხვები არ დაუსვან, პროვინციულ ჟურნალებში გამოაქვეყნონ და დაკმაყოფილდნენ.

ღამით კი თავისთვის წერს და ასეთ დროს საკუთარი თავი უყვარს.

ეს გულისამრევი ქალაქი, მუდმივად ასე ჩამკვდარი და უსულო. და ეს იდიოტური ტბა. და ეს ხალხი, ეს დეგენერატების ბრბო, ქალაქელობით რომ მოაქვს თავი. და კვირაობით სავალდებულო სიარული ტაძარში, ყოველკვირეული წირვები, სადაც მდიდრები წინა რიგებში დასხდომის პრივილეგიით სარგებლობენ. პატრისი და მისი ოჯახი შუაში სხედან — ისინი საშუალო ფენას ეკუთვნიან. თუმცა მას უკანა რიგში ჯდომა ურჩევნია, ვერასოდეს ვერ იტანდა ამ დაწყვეტილ საშუალოს!

ოთახში კედლის საათი ნიკნიკებს, კომოდზე მისი და მთელი ოჯახის ჩარჩოში ჩასმული ფოტოები დევს, და კიდევ ერთი, მამამისის სურათი, სულ მარცხნივ.

შვიდი წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. მასზე თითქმის არ ფიქრობს. არც იმის ილუზია აქვს, რომ მამამისი განსაკუთრებული ადამიანი იყო. ნამდვილად არ იყო. დედას მიაჩნია, რომ მამის გარდაცვალებამ ბავშვს სულიერი ტრავმა მიაყენა და პატრისმა ამიტომ დაიწყო წერა.

პატრისი ფოტოს ქვეშ კომოდზე დაფენილ მოქარგულ გადასაფარებელს უყურებს, თვალი უშტერდება. რა საზიზღრობაა ასეთი ცხოვრებისკენ სწრაფვის თუნდაც სურვილი!

ღრმა ნაფაზს არტყამს და ცა იასამნისფრად იღებება. გრძნობს, როგორ ევსება ფილტვები ჰაერით. გრძნობს, რომ ზაფხული მალე მოვა, რომ ძალიან მალე შეუძლია ნავიდეს. ისეთი წინათგრძნობა აქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.. მართალია, ჯერ არ იცის საიდან და როგორ დაიწყოს, მაგრამ არა უშავს, მთავარია დაიწყოს.

სიგარეტის კვამლი ზემოთ მიიწევს. სასიამოვნოდ თბილა. საოცარი სიმშვიდეა. შორიდან რაღაც ხმები ისმის, მაგრამ ხელს არ უშლის, ერთგვარ ჰარმონიულ ფონსაც კი ქმნის, თითქოს იმ ადამიანების ხმა არ იყოს, რომელთაც ასე კარგად იცნობს და... უნდა რომ იცნობდეს. ზოგჯერ ჰგონია, რომ ყველაფერი კარგადაა. ბოლო წლებთან შედარებით უკანასკნელი ექვსი თვე ურიგო არ იყო, შეიძლება ითქვას, კმაყოფილიც კი დარჩა. და მან მშვენივრად იცის, რომ ეს იმ ღამეების დამსახურებაა, როდესაც წერს.

ახლა ყველაფერი მასზე, მისი ოცნების ობიექტზეა დამოკიდებული! ის იქ იქნება, იმ ქალაქში, ქალაქში, რომელთანაც პატრისს თითქმის არაფერი აკავშირებს, გარდა ერთი ექსკურსიისა დედასთან და ანესთან ერთად (მონე ავად გახდა. საწყალი მონე. სულელი მონე). თუმცა ეს დიდი ხნის წინ იყო. პარიზი დიდად არც აინტერესებს. უბრალოდ, შეუძლია იქ წყნარად იკითხოს, წეროს და ლექციებს დაესწროს. სულ ეს არის.

ნაბიჯების ხმაა. პატრისი ანეს ქერა თმას ხედავს და მერე მისი სულელური ღიმილიც იკვეთება.

ანე: ერთ ღერს მომცემ?

ძმა: დედა თუ მოვიდა, იცოდე სიგარეტს არ გამოგართმევ. ჰოდა, გამოგიჭერს. მე ფეხებზე მკილია.

ანე: თუ შემოვიდა, ნამწვს გადავადებ.

ძმა მხრებს იჩეჩს და ერთ ღერს აწვდის. ანე ასანთის კოლოფს იღებს პერანგის ჯიბიდან. პერანგის ქვეშ არაფერი აცვია. პატრისმა იცის, რომ ანეს ლიფი არასოდეს აცვია. პრინციპულად არაა. და ამის გამო დედა სულ ეჩხუბება.

ძმა: ის ტრაკვასიებული კამეჩი წავიდა ბოლოს და ბოლოს?

ანე: არა! გამაგიჟებს ეგ ქალი!

ძმა: დღეს მონე ძალიან სულელურად გამოიყურებოდა. საერთოდ არ უხდება ეს კაბა. რატომ იცვამს?! ძალიან ცივა. ეგ კაბა არ უნდა ჩაეცვა.

ანე: შენ ვინ გეკითხება? ყველაფერში ცხვირს რატომ ყოფ, რატომ? მე ხომ არაფერს გეკითხები?!

ძმა: და შენ? შენ რატომ ხარ მუდამ ასეთი ამაზრუნენი?

ანე: იცი, რას გეტყვი, ძამიკო — შენი ვერაფერი გავიგე. არ ვაზვიადებ, მართლა. მეგობრებიც კი არა გყავს, ეს ნორმალურია?

ძმა: მოკეტე, რა!

ანე: არ მოვკეტავ! ან ის, რომ არასდროს არავინ მოგწონებია, არ გყვარებია.

ძმა: ანე, მოკეტე-მეთქი! ამ თემაზე ნუ მელაპარაკები! ნერვებს ნუ მიშლი!

ორივე ჩუმდება. ენევიან და ხმას არ იღებენ. სიჩუმე ამ სახლში ყველას და ყველაფერს შთანთქმავს. ერთხელაც იქნება, ეს სიჩუმე ყველას გამოხრავს, ჩონჩხებად აქცევს და ასე დაასრულებენ სიცოცხლეს — სიჩუმისგან შეჭმულები.

პატრისის არაფრის გავგონება აღარ უნდა, საბჭედ მანქანაზე ამოკაკუნებული ასობით მოპოვებული და ცხოვრებისგან ძლივს გამოგლუჯილი თავისუფლებით დატკობა, მასში ჩანთქმა და ჩაკარგვა სურს.

ანე: პატრის, წამიყვანე რა პარიზში. ხომ იცი, როგორ მეზიზღება აქაურობა. გეხვეწები, წამოგყვები რა! რამდენიმე კვირაც რომ დავრჩე აქ, ჭკუიდან შევიშლები, გეფუიცები. წამიყვანე, რა, ხელს არ შეგიშლი, გპირდები!

პატრისი ბრაზობს. სულ ასეთ სისულელეს რატომ უნდა ამბობდეს ანე? მერე ნოემბრის ის ნაშუადღევია ახსენდება, როდესაც შინ დაბრუნებულს ანეს ოთახის კარი ოდნავ შეღებული დახვდა. დღემდე თვალწინ უდგას და არ ასვენებს ის სურათი: სანოლის წინ იატაკზე ჩაცუცქეტილი ანე, სანოლზე კი სკოლის ჰოკეის გუნდის მოთამაშე, ერთი კუნთებდაბერილი და ტეინგამორეცხილი ტიპი, რომელიც თვალდახუჭული იჯდა და კენესოდა.

გაახსენდა, მონუსხულივით რომ მიმტერებოდა ამ სცენას, როგორ აკვირდებოდა თავის დას, და მერე როგორ გაიქცა. თავქუდმოგლუჯილი გარბოდა, გარბოდა და ბოლოს სიმწრისგან და შეურაცხყოფისგან როგორ ატირდა...

ანემ მაშინ წამდვილად გაიგო მისი ფეხის ხმა.

ახლა რატომ გაახსენდა ეს ყველაფერი? რა კარგია, აქედან მალე რომ წავა.

ანემ იცის, რომ პატრისი ამაზე ხშირად ფიქრობს. პატრისი იმ თოფებზეც ფიქრობს, მამამისის ოთახში რომ კიდია და დედა მუდამ რომ აპრიალებს. ამ ოთახში ყველაფერი ისევეა, როგორც მამას სიკვდილამდე იყო. იქამდე, ვიდრე სადამზღვევო კომპანიიდან ერთი ქერათმიანი ქალი, კლოდინი, დარეკავდა და ოჯახს შეატყობინებდა, რომ ის გარდაიცვალა. ჰო, მამა სწორედ მის სანოლში მოკვდა. მამის დანატოვარ თოფებს კი დედა ისე უვლის, თითქოს ამით მისი გაცოცხლება შეიძლებოდა.

ანეს დიდი თვალები აქვს, წელიანი და როგორც პატრისის ეჩვენება, ხანდახან ლამაზიც კი. ცა სულ ჩაიქუფრა. მადლენმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა წასვლა — მანქანაში ჩაჯდა, თუმცა, აქედან არ ჩანს. ანე კედელს ეყუდება, სიგარეტები სიბნელეში ბუუტავს. უკვე მერამდენე სიგარეტს ენევიან ასე ჩუმად, უსიტყვოდ.

უკვებ მონეს ხარხარი მოესმათ. დედა წამდვილად წაწყენია, რომ პატრისი და ანე მადლენს არ დაემშვიდობნენ. ანე საკუთარ ფიქრებშია ჩაძირული. პატრისი ვერ იტანს, როცა ანე ასე სულელურად ლაქლაქებს, ასე სულელურად იცინის, ასე სულელურად ტირის, ასე სულელურად ჭამს და თან პირს აწკლავუნებს, თითებს ილოკავს და უხარია. ანე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სხვა ადამიანებში სიბრაულის გრძნობას არასოდეს იწვევენ.

ცა მშვიდდება და დუმდება. სახლის შესასვლელში ნათურა კვლავაც ანთია. დედა სადარბაზოს კარს კეტავს. საკეტში გასაღები ორჯერ ტრიალდება. პატრისი იმ ხმას იხსენებს, ღამლამობით მანქანაზე ბეჭდვისას რომ ჩაესმის. ყველაფერი კარგად იქნება.

ანე: წამიყვანე, გვევდრები...

ძმა: მორჩი რა. ჯერ სკოლა დაამთავრე და მერე თავადაც შეძლებ აქედან წასვლას.

ანე: არ შეიძლება, სკოლაში იქ ვიარო?

ძმა: არა, აქ უნდა იარო. თანაც დედა არასოდეს გამოგმიშვებს, ხომ იცი?

ანე: შენთან ერთად გამომიშვებს, გთხოვ! მოვკვდები, მართლა! ცოტაც და...

ძმა: არა, არ მოკვდები. მეგობრები ხომ გყავს, არა?

ანე: მაპატიე, წელან... არ მინდოდა, ხომ იცი?

ძმა: სულერთია, მაინც არ გამოვა.

ანე: მაგრამ...

ძმა: წადი რა, გთხოვ. უნდა ვწერო.

ანე დაბნეული უყურებს ძმას. პატრისი კმაყოფილია, ანე კი ნაწყენი და ცოტა შეშინებულიც კი. პატრისი მის სილუეტს ხედავს, ესმის, როგორ უკაკუნებს ლაქის ფეხსაცმლის წვერით იატაკს — კაკ-კუკ. მერე ტრიალდება, სიგარეტს კედელზე აქრობს, ცოტა ხანს ადგილზე ყოვნდება და კბილებში გამოცრის:

ანე: ვერ გიტანთ! ვერც ერთს ვერ გიტანთ!

ანე მიდის. პატრისი რჩება. აცივდა. ისე უცებ აცივდა, რომ სახლში მოუნდა შესვლა. სიბნელე რაღაცას ეჩურჩულებს. პატრისი ცდილობს ყური დაუგდოს, გაიგოს, მაგრამ ვერ ახერხებს, ვერც ადრე ახერხებდა. რატომ თქვა ანემ ისევ ასეთი სისულელე და გუნება რატომ გაუფუჭა? დედა დაბლიდან ეძახის. პატრისს ტირილი უნდა. ხომ ყველაფერი კარგად იქნება? ცა მხოლოდ მხრებს იჩეჩს.

3. აპილაპი (2004)

გაზაფხულია და, რასაკვირველია, ყველა ბედნიერია, ძალიან ბედნიერი. ის, როგორც ყოველთვის, ზის და ფიქრებს თავს ვერ უყრის. სხეულში სიცარიელე ისე იზრდება, ლამისაა გასკდეს. გარსმოხვეული ნისლი ცხოვრების ხალისს უკარგავს. თავს აიძულებს, რომ უახლოეს მომავალში მოსაგვარებელ მნიშვნელოვან საქმეებზე იფიქროს, იმ საქმეებზე, რომლებიც შემდგომ რატომღაც სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდება ხოლმე, უმნიშვნელო და სულელური. და ასე იმიტომ ემართება, რომ ქალია და სწორედ ეს სძულს საკუთარ თავში ყველაზე მეტად. ერთი შეხედვით თითქოს ბანალური ამბავია, სულელური და უინტერესო, და ვერავის რომ ვერ გააკვირვებ, ისეთი, ოღონდ არა მისთვის.

როგორ შურს იმ ადამიანების, გაბადრული სახეებით რომ დადიან, შეზარხოშებულები ველოსიპედს ლალად რომ დააქროლებენ, ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრებს რომ გეგმავენ და შილიფად აცვიათ, რადგან არასდროს ანუხებთ სიცივე. შურს იმათი, ვინც საღამოობით სახლში არ ზის და დროს სხვაგან, სახლის გარეთ, ატარებს, ვისაც ძალიან ჰყავს, ყვავილებს უვლის, ყოველთვის ყველაფერი იცის, სახე მუდამ უღიმის და ყველაზე მოღური ვარცხნილობა აქვს. და... მოკლედ, მთელი ეს მარაზმი.

დილაობით აკადემიაში მიდის, ოფისში ძველი ლიფტით ადის, ზის, მასალას ამუშავებს, კომპიუტერზე აკაკუნებს. მერე სამზარეულოში გადის, ერთ ღერ სიგარეტს ეწევა, ისევ ოფისში ბრუნდება და საკუთარ თავს ეკითხება, ასე ადრე ნეტა რატომ

მოვედიო. საათნახევრიანი დროის მოკვლის წარმატებული მცდელობის შემდეგ კი სტუდენტებთან შედის ლექციაზე და ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

ნინა ზაფხულს ე.წ. „შვებულება ბუნებაში“ დაგეგმა და კანადაშიც კი წავიდა დასასვენებლად. თავს ნამდვილი ფუფუნების უფლება მისცა — ფემინებლური სასტუმრო თავისი სპა-სალონითა და ლუქსუს-ელემენტებით. პირველი კლასითაც კი იფრინა, მაგრამ რა?! არც არაფერი შეცვლილა მის ცხოვრებაში. იქნებ ჭკობაშეპარული ქალების კრიზისი აქვს? არა, სისულელეა ეს ყველაფერი, არწმუნებს საკუთარ თავს და შესვენებაზე ესპრესოს დასალევად გარბის, გონს რომ მოვიდეს, რადგან ღამე ისევ ცუდად ეძინა.

მართობას ხომ არ უჩივიაო, ჰკითხა ამას წინათ დამ, რომელიც ველოსიპედით დადის, ჰყავს ორი შვილი, ბელგიის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს, ოჯახურ მეურნეობას ეწევა, სოულს უსმენს და მუდამ გაცხარებული საუბრობს პოლიტიკაზე.

ღის შეკითხვაზე ჯერ ჩემდებ, ფიქრობს, მერე კი პასუხობს: „არა, უფრო უკუნებობას“ (თუ რაღაც ამდაგვარს, აღარ ახსოვს).

მერე ერთხანს ხმას არ იღებს, ელოდება, როდის დაკიდებს მისი და ყურმილს, მაგრამ იგი ასე არ იქცევა და არც არასდროს მოიქცევა ასე, რადგან ზრდილობიანია და კეთილშობილი, მეტისმეტად კეთილშობილი. პირიქით, ბელგიაში ჩასვლას სთავაზობს, ორი კვირით სოფელში დარჩი, ბავშვები, და პონები, და ჭრიჭინები, კიდევ მაგიდის ჩოგბურთი, შეგიძლია წვეულებაც მოაწყო და სასიამოვნო ადამიანები დაპატიჟო.

მერე საუბრის თემას ცვლის — მე მაინც მგონია, რომ ყველაფერი განქორწინების ბრალია. ასე რომ არ გაჭოტებულიყავი და განქორწინება არ მოგეთხოვა, ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა...

ღმერთო, რა სისულელეს ბოდავს!

— აღრე სხვანაირი იყავი, ლაურა, მართლაც სხვანაირი. — ამბობს ბოლოს და ამატებს: — ჩვენ ძალიან გვენატრები.

ამ ჩვენში იგულისხმება: თვითონ, ბავშვები, ძაღლი და მისი ქმარი, ბელგიელი სიძე, რომელიც ლაურას ვერ იტანს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი კეთილ იდეადვე რჩება და საუბარი ამით მთავრდება.

ნინა ოთხშაბათს ჯერემიმ დაურეკა, „თანამესარეცლემ“. ორი წლის განმავლობაში, ვიდრე საწოლში ერთად ნეტარებდნენ, ლაურა მას ასე მოიხსენიებდა. ისე, კარგა ხნის ამბავია იმდროინდელი, თავადაც კეთილშობილი რომ იყო და კარგი მანერები ჰქონდა.

ჯერემიმ ტელეფონით მოიკითხა და ლაპარაკი გაუბა. სერიოზულად ეკითხებოდა, ახლა დოქტორის წოდება მეორედ რომ მიიღე და ასეთი „Great“ სამეცნიერო ნაშრომი რომ გამოაქვეყნე, რომლის შესახებაც ყველა აღფრთოვანებით ლაპარაკობს, თავს „Great“ არა გრძნობ?

ლაურა არც კი უსმენდა, ძალიან უკვირდა, მასთან ერთად ორი წელი როგორ ვცხოვრობდი და სრულიად განსაკუთრებული ადამიანი რატომ მეგონაო. მართალია, მაშინ თავად ჯერ კიდევ ახალგაზრდა და კეთილშობილი იყო, მაგრამ მაინც... ვერ გაიგო, ასე რატომ ფიქრობდა. ჩვენი ჯერემი — ინგლისელი საყვარელი, ყველა ქალის ოცნების მამაკაცი! სასაცილოა, მაგრამ მაშინ ეამყებოდა კიდევ, ჯერემიმ

სწორედ მასზე რომ შეაჩერა არჩევანი და არა სხვა ქალზე. რა სამარცხვინოა! ღმერთო, ეს ყველაფერი რა ძალიან სამარცხვინოა!

ჯერემი ყოველთვის „ლორას“ ეძახდა და ლაურასაც მოსწონდა ეს სახელი, ყოველგვარი სექსუალური დატვირთვის გარეშე. უბრალოდ ლამაზად უღერდა და ბუნებრივად, როგორც მაშინ ფიქრობდა. თუმცა, ახლა ეს ისევე სასაცილოდ ეჩვენებოდა, როგორც მოპოვებული აკადემიური ტიტულები, როგორც საკუთარი არსებობა. შეიძლებოდა კი საკუთარ კლიშეს გაქცეოდა?

სალამობით ძირითადად წიგნებს ან ჩანაწერებს კითხულობდა. ტელეფონით არკვევდა აუცილებელ საკი თხებს, ლაკონიურად და თავაზიანად საუბრობდა. ზოგჯერ რესტორანში მიდიოდა სავახშმოდ, ზოგჯერ ბარში — დასალევად. ხანდახან წვეულებებზე და საინტერესო საღამოებზეც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ არ მიდიოდა. ყვავილებს რწყავდა, ოღონდ გვიან. მერე ღამდებოდა, უძილობით იტანჯებოდა და შფოთავდა, ზიზღითა და სიჩუმით განაამებულო.

ბოლოს მოებზრდა. დაიღალა იმით, რომ ყოველთვის ყველაფერი უნდა შეემონებინა, ყველა დეტალი უნდა დაემუსტებინა დაიღალა და თავი დაანება ამ ყველაფერს. ერთადერთი, რაც შემორჩა, ეს იყო სურვილი თავის შესანიშნავ და მყუდრო ბინაში დამჯდარიყო და არანაირი ვალდებულება არ ჰქონოდა. მოკლედ, ცხოვრება სტრესის გარეშე. ახლა როგორ ცხოვრობს? ამის შესახებ ჯერემიმაც ჰკითხა. რა უნდა ეპასუხა თუ არა ეს — ჰო, ყველაფერი კარგადაა, უფრო სწორად, ისეა, როგორც უნდა იყოს.

მასთან ერთად ყოფნა მოსწონდა, ძალიანაც მოსწონდა. 31 წლის ასაკში იქორწინა, მანამდე ერთმანეთს სამი წელი ხვდებოდნენ.

„სიყვარულის მორევში მთელი არსებით გადავევი და ჩავყვინთე, უფრო სწორად, ჩამითრია. ჩემი ცხოვრება კინალამ საპნის ოპერას დაემსგავსა, ყველა საჭირო კომპონენტით: ვეჭვიანობდი და მძულდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან მამბრამბდა. და მაინც, ეს შეგრძნებები ისეთი ინტენსიური იყო და იმდენად დაუჯერებელი, რომ მის გამო ტანჯვაც კი შემიყვარდა და ნამდვილ“ დედაკაცს დავემსგავსე, ჰო, ნამდვილ დედაკაცს. მისი შვილიც კი გამომყავდა საბავშვო ბაღიდან. სხვათა შორის, ჩვენი რომანტიკული გაცნობა სწორედ იმ ადგილს უკავშირდება. იმ დღეს ჩემი დისშვილი უნდა გამოემყვანა ბაღიდან, იმ ჩემი გულისხმიერი და კეთილშობილი დის გოგონა (მაშინ ლაურას და და მისი ქმარი ჯერ კიდევ არ ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას და ამსტერდამში ცხოვრობდნენ).

ის თავისი ბიჭის წასაყვანად მოვიდა. შესანიშნავად გამოიყურებოდა. სწორედ იმ პერიოდში სამეცნიერო მოგზაურობას ვგეგმავდი და დრო თავზესაყურელად მქონდა. მერე დღეს ისევ მივედი ჩემი დისშვილის გამოსაყვანად, არ ვიცი, რატომ. მას ჩემი შვილი ეგონა და ამ ფაქტმა წამახალისა, ჩემს ცხოვრებაში პირველად მომეწონა დედობის იდეა და მასთან ახლო ურთიერთობაზე დაფიქრდი. აი, ასე დაიწყო ჩვენი საოცრად რომანტიკული ისტორია.

მანამდე უბრალოდ მომწონდა ვინმესთან ერთხელ ღამის გატარება. უცხო ბინაში მისვლა, იქ ღამის გათევა, მერე ყავის დალევა, ამ ყველაფრის რამდენჯერმე გამეორება, და მერე დაშორება — ისიც კმაყოფილი და — მეც. ყველაფერი დღესავით ნათელი რომაა, ჰო, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ იცი.. მერე გამომელაპარაკა. იმ დღეს უმანქანოდ იყო და თავის ბიჭთან ერთად, რომელიც,

სხვათა შორის, სულაც არ იყო საყვარელი, სახლში წავიყვანე. მადლობა გადამიხადა და მკითხა, ერთად ხომ არ გვესადილაო. ჰო, სწორედ ასე მკითხა. მე კი მეგონა, რომ დაქორწინებული იყო. ისიც ალბათ ფიქრობდა, რადგან შვილი ჰყავს (ანუ ჩემი დისშვილი), ქმარიც ეყოლებათ, მაგრამ მე ვუპასუხე:

— კი, რატომაც არა?

ასე დაიწყო ყველა დროის ყველაზე რომანტიკული ისტორია... ის ცოლს გაცილებული იყო, მე — თავისუფალი და რესტორნის მერე ჩემს სახლში წავედი (ასე პირველად მოვიქცე. ჩემი ბინა ხომ ჩემი ციხისმაგვრეა). ჩემი ბინა „გემოვნებით“ მონყობილად მიიჩნია, მოეწონა. ღვინო დავლიეთ და ქლიავის ჩირი მივირთვიეთ, რომელიც აქვე კუთხეში, აზიურ მაღაზიაში ვიყიდე. ამ ჩირს ყოველთვის ვყიდულობ, ძალიან მიყვარს. და მერე... მერე სრული სიგიჟე დავგემართა. მეცხრე ცაზე დავფრინავდი. ისეთი მომხიბვლელი იყო, ყველაფერი მაგიაყვებდა მისი — გატეხილი ცხვირი, სავსე ტუჩები; და ის, რომ ბინაში ფეხშიშველა დადიოდა, და ყელზე როგორ მკოცნიდა და...

საკმაოდ დიდხანს შევრჩით ერთმანეთს, თითქმის ორი წელი. პერიოდულად, თვეში ერთხელ, ან კვირაში ორჯერ ვხვდებოდით ხოლმე; ისე, როგორც მოგვიხერხდებოდა.

ხანდახან მე ვკითხულობდი, ის კი მიყურებდა ან რაღაცას მეკითხებოდა ჩემი სფეროდან, მე კი ვლაპარაკობდი და ვლაპარაკობდი. და ის მეუბნებოდა, ექიმი ვარო, მე კი ვფიქრობდი, რომ მატყუებდა, მაგრამ მართლა ექიმი აღმოჩნდა.

ჰო, მიყვარდა, ძალიან მიყვარდა. ასობით ბავშვის გაჩენა მინდოდა მისგან, მზად ვიყავი მისი და მისი შვილებისათვის გასიებული ძროხას დავმსგავსებოდი. მკერდზე რომ თმა ჰქონდა, ისიც მიყვარდა და ვერ ვიტანდი, ორგანოს დროს ხმას რომ არ იღებდა; მიყვარდა ის რაღაც იდუმალი მის მზერაში... და იცი, რა... ერთხელაც ეს ყველაფერი გაფერმკრთალდა.

ერთ დღეს წავიდა და აღარ დაბრუნდა. მე ვტიროდი, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, შევეგუე. მერე ბელგიაში წავედი, იქ სასიამოვნოდ დრო გავატარე სასიამოვნოდ ადამიანებთან და ჩემს სასიამოვნოდ დასთან ერთად. ის დავიწყე და მერე უცებ ისევ შევხვდი, კინოთეატრში. გაჩერდა, შემომხედა და დამიძახა: ლაურა! ლაურა!

მე ტუალეტში გავვარდი და ავტირდი, ზუსტად შვი დი თვე არ მენახა. რომ გამოვედი, ჩავხუტე, მან ხელი გადამხვია, პირველად წავედი მასთან სახლში და მთელი ღამე ვისიყვარულეთ... ეს იყო „Great“, მართლაც „Great“.

მეორე დილას მკითხა, რას იტყვი, ხომ არ დავქორწინდეთო? მე კი უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და აღელვებისაგან ძლივს ამოვილულულე: რა გულისამაჩუყებელია, მაცივარზე დასაკრავ მაგნიტიან ფიგურებს რომ ავროვებ-მეთქი. მერე ფეხს ძლივს ვადგამდი, ქუჩაში რომ გამოვედი და აკადემიისკენ რომ გავეშურე. მაგრამ იმავე საღამოს მივქანდი მასთან და დავთანხმდი სიხარულით, ეიფორიაში მყოფი. დავთანხმდი, ვიცოდი, შეიძლებოდა მის გვერდით მართლაც ყველაფერი კარგად ყოფილიყო.

ალბათ ეს ყველაფერი უნდა მოეყოლა იმ თავისი საყვარლისთვის, დისთვის, ან კიდევ ვიღაცისთვის, მაგრამ ამით რა შეიცვლებოდა? მხოლოდ ხანდახან ფიქრობდა ცხელი ზაფხულის იმ სამინელო დღეზე, როდესაც მისი სხეულიდან მკვდარი ბავშვი ამოიყვანეს. და მერე კარგა ხანს ვერ ივიწყებდა, ძილშიაც არ ასვენებდა.

სხვა მხრივ თითქოს ყველაფერი კარგად იყო. კი, კი, ნამდვილად. სხვა ყველაფერს ლაურა ნამდვილად გაუმკლავდებოდა. შეიძლებოდა საწყალ აფრიკელ ბავშვებზე გადაეტანა ყურადღება, მსოფლიო ტკივილსა და სიღარიბეზე ეფიქრა ან პროსტიტუციაზე ტაილანდში, მართლაც ეფიქრა, ირონიის გარეშე; შეიძლებოდა ყველაფერი ფარდობითობის თეორიის ფონზე განეხილა. მაგრამ ის, ივლისის ერთი ცხელი საღამოს სურათი კლინიკაში, ისეთი საშინელი იყო, ისეთი დამთრგუნველი და გულისმომკვლელი, რომ არანაირი ფარდობითობა არ არსებობდა.

საკუთარი სისხლის სუნიც კი ახსოვდა, ის შემზარავი სუნი. და მაინც, როგორ უნდოდა ბავშვის ხელში დაჭერა, მისი ნაკვთების დამახსოვრება. სახელიც კი დაარქვა — დავითი. ჰო, ალბათ ყველაფერზე შეიძლებოდა ლაპარაკი. უნდა ელაპარაკა.

ოჯახი. ქმარი და ცოლი. და მკვდრად შობილი შვილი. და ზოგადად, მათი ცხოვრება... ჰო, რა ვიცი... ვერც საყვარელსა და ვერც დას, მის კეთილ და სასიამოვნო დას, ვერავის ვერ აუხსნიდა, რას გრძნობდა, რადგან საკუთარ თავსაც კი ვერ უხსნიდა, რას განიცდიდა.

ოთხი თვის წინ დოქტორის წოდება მიიღო, მეორედ. ცხოვრებაში პირველად შეიღება თმა მუქად, ახალი მანქანა იყიდა და ზედ წარწერა დააკრა — „APIDAPI“. რაღაც მისაკრავი რეკლამა იყო, ვარდისფერი ასოებით — სრულიად უგემოვნო და გადაპრანჭული, მაგრამ ისეთი სასაცილო, განსაკუთრებით სიტყვის უღერადობით, რომ ადგა და მანქანას მიანება.

ალბათ ახლა ყველა აპიდაპის დაუძახებს, პირველ რიგში — სტუდენტები და განსაკუთრებით ბიჭები. ღამდამობით თავიანთ საწოლებში, საერთო საცხოვრებლებში, მასზე ფიქრს რომ დაინწყებენ, ნამდვილად აღარ ექნებათ ეროტიკულ-გარყვნილი ფანტაზიები, ეს სახელი ხომ ასე სულელურად უღერს, თუ, რა თქმა უნდა, გერონტოფილით არ იქნებიან დაავადებული...

არა, ნამდვილად სასაცილო იყო ეს ყველაფერი!

ასე დადიოდა აქეთ-იქით თავისი აპიდაპით (ახლა მანქანასაც ასე ერქვა) და ერთხელ აკადემიურ საბუთებზეც კი ასე მოაწერა ხელი — Apidapi ხოლო როდესაც სამეფო აკადემიის ჯილდო მიიღო (საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი — გმადლობთ, გმადლობთ, ქალბატონო ვან დენ ენდე), თავში გაუეღვა, ისე, უბრალოდ, სამადლობელო სიტყვაში აპიდაპიც ხომ არ ვახსენო, მადლობა ხომ არ გადავუხადო (მერე ყველას რომ ტვინი ეჭყლიტა; ნეტა ვის გულისხმობს), მაგრამ გადაიფიქრა.

აპიდაპი მალე მის მეორე მე-დ გადაიქცა, საუკეთესო მეგობრად, ორგანულ ნაწილად, საყვარელ დათუნად, წინ გვერდზე მყოფ მოთმინებით აღსავსე ლეკვად. რეგულარულად აპრიალებდა წარწერას მანქანაზე და საკუთარ თავს თავადვე დასცინოდა.

ლაურას თავისი პროფესია უყვარდა, კარგი ლექტორი იყო, კარგი ხელოვნებათმცოდნე, ენების სწავლის ნიჭი ჰქონდა... კი, ჰქონდა, იყო, არსებობდა ოდესღაც ეს ყველაფერი.

ოჰ, ჯერემი, ჩემო საყვარელო, ვერაფერს გეტყვი. მე და შენ ხომ ერთმანეთისათვის აღარაფერი გვაქვს სათქმელი და ვცხოვრობთ ასე — მე სულ ვიკვლევ და ვიკვლევ, შენ კიდევ ცხოვრებას ხმარობ და ისიც გხმარობს (საწყენად არ მითქვამს, ეს ხომ ყველას ხვედრია). ძალიან გთხოვ, თავი დამანებე რა.

ესღა გაიფიქრა ლაურამ იმ დამღლელი სატელეფონო საუბრის შემდეგ და თავს ნება მისცა, ერთი ჭიქა გრაჰა დაეღია. ასე იყო ეს ამბავი. ჰო, ასე იყო, ზუსტად ასე.

4. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

მე დავდუმდე, ღუმილის ლოდად ვიქცევი. არადა, მხოლოდ ერთი მტკრის გროვა ვარ, მაგრამ ლოდზე უფრო მძიმე...

ამალამ ისევ მენვევა პატარა ეროსი, მე მას ჭადრაკს ვეთამაშები. და მერე დრო გაიყინება, და ჩვენ ვარშემო სიცარიელე გამეფდება. ოთახი დაიცილება სივრცისგან, დაყრუვდება და დადუმდება. ჩვენი საშველი არ არისო ჩამჩურჩულებს ღამღამობით ოფელა. არავინ მოვა, ვერავინ გვიშველისო...

მარტობა საფეთქლებზე მიკაკუნებს. თავს ვაჭერებ, რომ მშვიდად ვარ. რასაკვირველია, ვტყუი.

კითხვები აღარ მაქვს, მხოლოდ ჩემს ხვლიკებზე ვფიქრობ. ვფიქრობ ჩემს გარდაცვლილ მეგობრებზე, რომლებიც არარაობაში ისე გადავიდნენ, რომ ჭეშმარიტებასთან ზიარება ვერ მოასწრეს. მე მშურს მათი, მე ხომ მხოლოდ იმიტომ გადავრჩი, რომ აღამიანი ვარ. ჰო, ადა მიანი ვარ ახლა მე და მეც აღამიანივით ვსწავლობ არარაობად ყოფნას.

ძვლების გროვა ვარ, ძვლებისგან აწყობილი ორეული. ერთი პატარა, მოხეტიალე სიძულვილი ვარ. მივდივარ, მაგრამ არ ვიცი, სად მივდივარ. ჩემი გზა წრიულია, არასდროს მთავრდება, თითქოს წრეში ვარ ჩაკეტილი. სიარულისას სისხლისგან ვიცლები, მაგრამ ვერავინ ამჩნევს შავ მიწაზე წითელ ლაქებს.

წასვლა მინდა. უკან, უდაბნოში მინდა დაბრუნება. აქ როგორ აღმოვჩნდი?! მე ხომ ოდესღაც ემბრიონი ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი. ახლა? ახლა ღუმილის ლოდი ვარ.

„მე“ ვარ „შენ“, რადგან ორივეს ჩემში ვატარებ (ამიტომ არ გიცნობ შენ!). ჩემში ათასობით სახეა, და მე არასოდეს ვალიარებ ფაქტებს.

„შენ მარტოსული ხარ“. ხომ შეეძლო, საკუთარ თავს მაინც გამოსტყდომოდა, რომ მართლაც ასე იყო. არა, ამის უფლება არა აქვს, ჯერ არა. ჯერ უნდა ემსახუროს თავის დამანგრეველ, სიცოცხლის წამლეკავ ღმერთებს და უნდა სწამდეს, აუცილებლად უნდა სწამდეს — მთავარი ეს არის.

Rue Bonaparte-ზე ერთი პატარა ოთახი იქირავა, სულ ზემოთ, მანსარდაში. ნაკლები ფულის გადახდა უნევს. სახლის კომენდანტი ერთი გადაყრუებული მოხუცია, არაფრის მაქნისი. კონსიერჟი ქალი კი ლოთია და არყის სმისგან ნახევრად დაბრმავებული.

მან ჯერ არ იცის, რით დაიწყოს. სიკვდილთან დუელი სწყურია. იქნებ სწორედ ეს არის დასაწყისი.

სახლიდან გამოიქცა. იმ პატარა დასახლებიდან, პარიზიდან არცთუ ისე შორს, მაგრამ საკმარისად შორს რომ იყო. დედა და ორი და მიატოვა. რაც ებადა, ყველაფერი უკან მოიტოვა. დიდი ვერაფერი ქონება იყო, მაგრამ საკმარისზე საკმარისი. მამა არ მიუტოვებია. არ ჰყავდა და იმიტომ. ამბობდნენ, ომში დაიკარგაო.

აჩრდილებთან ლაპარაკს ყოველთვის უკეთ ახერხებდა. აღამიანებთან ურთიერთობა უჭირდა, სწყინდებოდა. წმინდა რიტას ქალთა გიმნაზიაში მუდმივად

პრობლემები ჰქონდა. მასზე ამბობდნენ, ძნელად აღსაზრდელიაო- მეცხრე კლასის მერე სწავლას თავი დაანება. ქალმა, რომელმაც გააჩინა და რომლისთვისაც დედა არასოდეს დაუძახია, მისი ინტერნატში გაშვება დააპირა, მაგრამ ღამით სახლიდან გამოიქცა. წერილიც კი არ დაუტოვებია.

მეგობლად ერთი ხელმოცარული მხატვარი ცხოვრობდა, რომელიც ბავშვებს ხატვას ასწავლიდა. ის მხატვარი მოსწონდა. მართალია, კოჭლი იყო, მაგრამ მას ესეც მოსწონდა. მხატვარი ეუბნებოდა, ნამდვილი ხელოვანის სული გაქვსო. ბოლოს ის კაციც რეგვენი აღმოჩნდა, აშკარად შეცდა.

სახლიდან ფული მოიპარა და ისე წავიდა. ქალმა, რომელმაც გააჩინა, ალბათ ძებნა დაუწყაო, მაგრამ იმას საბრუნავი ისედაც არ აკლდა, თანაც მაშინ უამრავი ადამიანი დაეძებდა ქმარს, ცოლს ან შვილს, ასე რომ, მაინცდამაინც არავის გაუკვირდებოდა.

ტანზე იხდის. ოთახში ცივა. ვათბობის ფული არა აქვს. რა საშინელი რამეა ფული. უბრალოდ ღამის გასათენებელი ადგილი სჭირდებოდა, თავისი საკანი. ამ საკნის მოსაპოვებლად კუთხეში რომ ბარია, იქ დადიოდა... ხანდახან ლუდის დასალევად და იქ გაყნობილ ვიღაც კაცებს უწევებოდა ხოლმე ლოგინში. ერთი მათგანი ბარძაყში სამართებლით დაჭრა. ის ტიპი ისე საშინლად ყარდა და ისეთი რამეების გაკეთება მოსთხოვა, რომ მეტის ღირსიც იყო. კაცმა ლანძღვა-გინებით აიკლო და ისიც გაიქცა. მას მერე იმ ბარში აღარ შესულა.

ტანზე იხდის. კედელზე, მარცხნივ, პატარა სარკე კიდია. ოთახში სხვა არაფერია. სიყარიელე აქ მნიშვნელოვანია. და გრძელი თმა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს გრძელი თმა. პატარა მკერდი, ოდნავ დიდი მუხლისთავეები, გაფთვრებული სახე და გაყინული სხეული. დედოფალი არქტიკიდან. ოთახის შუაგულში მდგარ აბაზანაში წვება და თან სევდიან სასიყვარულო მელოდიას ღიღინებს (ეს ის უვარგისი აბაზანაა, ბოსტნეულის მაღაზიაში მომუშავე კაცთან ერთად ძლივს რომ ამოათრია ზევით, და მერე გასამრჯელოდ იმ კაცს თავისი ძუძუები აჩვენა). ნელთბილი წყალი. გაყინული ფეხები. ძირში დაჭრილი ფრჩხილები. საშინლად გაფთვრებულია. მკვრივი და ს ბრტყელი მუცელი აქვს. ლამაზი არ არის, მაგრამ მასში ქარიშხალი მძვინვარებს, რომელიც მთელ მის სილამაზეს მისივე ძლიერი ნების მეშვეობით ამსხვრევს. სილამაზე ხომ წარმავალია.

წყალში წვება, თავს უკან სწევს. ფეხებს განზე შლის და აბაზანის კიდევებზე აწყობს. უეცრად წყლიდან ღუმფარები ამოდიან. წყალი ქვიშად იქცევა, გულში იხუტებს. მას და მარხავს. ის იძირება, იცინის და წყალში ირწყევა... მისი ბოქვენის თმა წყლის კრისტალში მუქ ლაქად მოჩანს. ბაბილონში ბრუნდება. ბედნიერების შეგრძნება ეუფლება და იცინის. ვიღაც ჭერზე აბრაზუნებს. ჩაძაღლით რა ყველა!

თმიდან გველები ეზრდება, ურჩხულები ხელში აყვანილს დაატარებენ.

მაღე დაღამდება. ის აბაზანაში წევს და შიმშილს ებრძვის. მისი გრძელი და უფორმო მკლავებიდან ჯარი გამოდის, ჯარი, რომელიც მას იყავს.

5. ქალი (2004)

ლინი სადაცაა დაბრუნდება სახლში. საჭმელი უნდა მოუმზადოს. რა ადგება ახლა ამ ტახტიდან. საშინლად ეძნელება ნაბიჯის გადადგმა და რამის კეთება. რაც

მთავარია, ვისკის ბოთლი უნდა გადამალოს სასწრაფოდ. მერე კი რამდენიმე ჰოთ-დოგი, მაცივარში რომ აქვს შენახული, ლუმელში შეაგდოს და გააცხელოს.

აიჩემს, ფრანჩესკას პრობლემები აქვსო. არა აქვს პრობლემები. აღარა აქვს! მისი პრობლემები გაქრა, ყველა აორთქლდა.

თავის დროზე ლამაზი ქალი იყო. მაღალი და ზედმეტად გამხდარი, მაგრამ კაცები გიჟდებოდნენ თურმე. ეს ადრე.

ტელევიზორი ტვინს უბურღავს. ვიღაც სქელი კაცი რაღაც სისულელეს ბოდავს ჯავშნოსანი ცხოველების რასის შესახებ, რომელსაც გადაშენება ემუქრება. ვის რაში აინტერესებს?! ახლა მისწრება იქნებოდა აბაზანის მიღება, სისხლის აბაზანაში წოლა... აი, ეს სჭირდება ახლა და არა ეს გასიებული თავკომბალა ტელევიზორის ეკრანზე. ვის სჭირდება ვიღაც კომბინეზონიანი ტიპი, ვის? ჰო, ვის? ან ამ ჰოთ-დოგებს რა ესაქმება მასთან? აჰ, ჰო, ლინი. ლინი სადაცაა სახლში დაბრუნდება.

მინდორში გასვლა მინდა. ყმუილი მინდა, მარტოხელა ტრამალის მგელივით... ნუთუ შესაძლებელია ამხელა სიცარიელის ატანა?

კარგი რა, ფრანჩესკა, მორჩი! ალბათ ასე ეტყოდა თავისი ხუთი წლის ვაჟი, რომელსაც წლები აღარ მოემატება, ხუთი წლის დარჩება. ჰოთ-დოგები ხელს უქნევენ. სწორედ ისე, ბავშვობაში ბებია-ბაბუას დამშვიდობებისას რომ უქნევდა. რა საყვარლები იყვნენ მოხუცები. თუმცა, ბებია არ უყვარდა. ბაბუას კი არა უშავდა რა.

ვისკის ბოთლის დამალვა ხომ არ დავინწყებია? არა, უკვე გადამალა სარეცხი მანქანის უკან. ლინი იქ არასოდეს შეიხედავს. ლინი, ლინი.. ორ კვირაში დაბადების დღე აქვს. რა საშინელებაა, ლინი იზრდება, წლები ემატება, მისი ვაჟი კი სამუდამოდ ხუთი წლის დარჩება. Darling, that's life — ამშვიდებენ ჰოთ-დოგები.

ეს კედლები, ეს სამზარეულო და ასე ნაცნობი ლაქები იტაკზე აფხიზლებს და რეალობაში აბრუნებს. საცაა მოსალამოვდება, აგრილდება, მანქანები ღმუილს მორჩებიან და ცოტა მუსიკის მოსმენას ან Millly's-ში წასვლას შეძლებს, ან იქნებ ლინი ღია ცის ქვეშ კინოთეატრში წასვლაზე დაიყოლიოს.

— დე?

— მოხვედი, ლინ?!

— ჰო, მოვედი.

— ძალიან კარგი, ჰოთ-დოგი გინდა? ცოტა სალათიც გვაქვს. ხომ გშია?

— არც ისე, დე.

ხმა უკვე ზემოდან ისმის. ლინი, როგორც ჩანს, პირდაპირ ზემოთ ავიდა. ლუმელში ჰოთ-დოგები იზრანება. სიამოვნებით ნახავდა, შეღებილი იყო თუ არა ლინი, სკოლიდან რომ დაბრუნდა. საჭმელად რომ ჩამოვა დაბლა, მაინც მიხვდება, პირი ახალი დაბანილი აქვს თუ არა. ოჰ, ლინი, ლინი.

სევდით აღსავსე სასიყვარულო სიმღერები, ჩამავალი მზის სხივები და მის ფონზე გაშიშვლებული სხეულები. მანქანის დაცარიელებულ სადგომებზე ძირს დაყრილი მაისურები; ვარდისფერი და ცისფერი, ზედ ამერიკული დროებით ან წარწერით: LOVE ან Peace და ყველა უაზროდ ქცეული სიტყვა. სწორედ ასეთი გემო აქვს სამყაროს, როდესაც კარუსელიდან იმ დროს ჩამოხტები, ცხენი ჯერ კიდევ მთელი სისწრაფით რომ მიექანება...

— მე ცივ ჩაის ვსვამ, შენც გინდა?

ლინი უკვე ქვემოთაა. რა თქმა უნდა, შეღებილი იყო, აშკარად ბლომად ესვა სახეზე — პირი ახალი დაბანილი აქვს. ჩემო საყვარელო ლინ, ხომ არ გგონია მოვტყუედიო, ეტყოდა სიამოვნებით, მაგრამ არაფერს ეუბნება. ლინს გრძელი პერანგი და ტილოს ნაჭრის ძველი შარვალი აცვია. რალაცით დედას ჰგავს, მაგრამ არც ისე, რომ მაინცდამაინც თვალში მოგხვდეს. ასე ჭობია მისთვის.

მაგიდასთან ისევ და ისევ ლინის მოჩვენებითი უშუალობა.

— კარგად ხარ, დე?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— მოიცა, რამე ხომ არ...

— არა, არაფერი დამილევია. გინდა კინოში წავიდეთ ამ საღამოს?

— არა, უფრო სწორად ვერა, დე. მეგობრებს უკვე შევუთანხმდი, საცეკვაოდ მივდივართ. ხომ არ მიბრაზდები?

— არა, არა უშავს, — გინდა ცივი ჩაი?

— არა, გმადლობ.

— ტელევიზორს უყურებ?

— არა, არ ვუყურებ.

— მაშინ გამოვრთავ, ნერვებს მიშლის.

— კარგი. სკოლაში რა ხდებოდა?

— არაფერი განსაკუთრებული.

— ჰმ.

— სულ სახლში ნუ ზიხარ. გაიარე, სადმე გაისეირნე.

ჯენის დაურეკე ან კიდეც.. რამე მოიფიქრე, უკეთ გახდები.

— ლინ!

— ჰო, დე!

— მე... მე...

— რა, დე?

მეტი აღარ შემიძლია. მინდა დავიმსხვრე, ათასობით უმცირეს ნაწილაკად დავიშალო, რომ მხოლოდ სულილა დავრჩე, ტანჯული სული. მინდა ვიფრინო, ჰაერში ვიფარტატო... მტკივა, ლინ, ძალიან მტკივა. შენ არც კი. იცი, როგორ დამშვენდი. და კიდეც კარგი, რომ ყველაფერი დაივიწყე. მე კი ვერ ვივიწყებ, ლინ, საყვარელო, ვერ შევძელი, ვერაფრით ვერ დავივიწყე. ხანდახან მინდა, რომ სუნთქვა შევწყვიტო, და ვიცი, რომ ამით არაფერიც არ შეიცვლება, თითქოს არც ვარსებობდი, თითქოს არც არასდროს მიარსებია. ცუდად ვარ, ლინ, ძალიან ცუდად!

— რა?

— რალაც თქვი.

— არა, არაფერი. დამავინწყდა.

— კარგად ხარ, დე?

— ჰო, ლინ.

— ყოველ ნუთს ჩემს სახელს ნუ იმეორებ!

— როდის ვიმეორებ?

— იმეორებ, ყოველი წინადადების შემდეგ ამბობ — ლინ.

— კი მაგრამ, ლინ...

— აი, ხომ ხედავ.

— კარგი, აღარ გავიმეორებ.

— სახეზე ფერი არ გადავს, დედა. წადი, ცოტა გაისეირნე. ვინმეს დაურეკე, შეხვდი და სადმე წადით. მართლა კარგი იქნებოდა.

— ჰო, ალბათ გავალ. უნდა გავიდე, მართლაც.

ლინი დგება, სახეზე ღიმილი უკრთის. სიმაღლეშია წასული და ოდნავ მოხრილი დადის. კლასში თითქმის ყველას გაასწრო. მაღალია და ოდნავ მოუქნელიც თავის ახლად გაღვიძებულ სხეულში. საშინლად ფართხუნა ტანსაცმელს ატარებს, სხეულს მაღავს. სამაგიეროდ კახპასავით იღებება, თითქოს მისი სახე მისსავე სხეულს არ ეკუთვნოდეს, იმ სხეულს, რომელსაც მაღავს.

ორ კვირაში ლინის დაბადების დღეა. კულულები კალმისტრით აქვს აწეული. ოჰ, ლინი, ლინი!

ლინი ოდნავ ეხება მის მხრებს, მეგობრულად, თავშეკავებული, როგორც ყოველთვის, და მერე ისევ ზევით არბის. მაგიდაზე ცარიელი ჭიქაა, მოყავისფრო სითხის ნარჩენით. მერე სუნს გრძნობს და ხმაც ესმის. ღუმელში შედებული ჰოთ-დოგები იწვება. ღუმელთან მირბის და რთავს, მაგრამ უკვე გვიანია.

ჰოთ-დოგები ღუმელში იხრუკება. მაგიდაზე ცარიელი ჭიქა დგას. ტელევიზორი ღუმს.

ლინი ზემოთ, ის ქვემოთ, გარედან კი ნელ-ნელა ბინდი იპარება ოთახში.

6. ოლგა (1986)

აღარც კი ახსოვდა, ვინ და რატომ შეარქვა ოლგა. იმ დღემდე, ვიდრე მისი ცხოვრება კატასტროფულად შეიცვლებოდა, თითქოსდა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა მის ცხოვრებაში.

ლექციების შემდეგ თავისი ძალი გაასეირნა, ოქროსფერი სპანიელი, ლილია. 23 წლის სასიამოვნო გოგო იყო, რუსი წინაპრები ჰყავდა, თუმცა არც ერთი სიტყვა არ იყო რუსულად და არც ოლგა არ ერქვა. ერთი მეტად ჩვეულებრივი დასავლეთევროპული სახელი ჰქონდა, თუმცა ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

იმ დღეს აღრე ადგა, ღამე ცუდად ეძინა. უნივერსიტეტში, როგორც ყოველთვის, ველოსიპედით წავიდა. ნამდვილი მეგობრები უნივერსიტეტში თითქმის არ ჰყავდა, ერთი მეგობრის გარდა. ჩვეულებრივი ნაცნობ-მეგობრები კი სხვა ლექციებს ესწრებოდნენ, და იმ დღეს ვერც ერთი ვერ ნახა. სახლში გუნებაზამხდარი დაბრუნდა. ჯერ ლილია გაიყვანა სასეირნოდ, შემდეგ თავის საყვარელ კაფეში ისადილა და ამის უფლება თავს იმიტომ მისცა, რომ იმ დღეს სასიამოვნო სხვა არაფერი მომხდარა. სადილის შემდეგ კი უბრალოდ ქალაქში გაისეირნა. აი, ასე წააწყდა იმ წიგნს.

სასიამოვნო ნაშუადღევო იყო. საქმე არაფერი ჰქონდა და ერთ ახლად გახსნილ ბუკინისტურ მაღაზიაში შევიდა.

მაღაზიის ერთ კუთხეში ორი ხანშიშესული ქალბატონი რალაცაზე დარბაისლურად საუბრობდა, თაროების წინ კი ერთი მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი იდგა და ცხვირი წიგნში ჰქონდა ჩარგული. ოლგა ინსტინქტურად მისკენ წავიდა და შორიახლოს გაჩერდა, თითქოს რალაცას ეძებოს.

მაგრამ მოულოდნელად მამაკაცმა წიგნი ხელიდან გააგდო და მალაზიიდან შემოილივით გავარდა.

სალაროსთან არავინ იჭდა და მისი ასეთი მოულოდნელი წასვლაც ვერავინ შენიშნა, ვერავინ, ოლგას გარდა მამაკაცის ასეთმა საქციელმა ოლგა რატომღაც ააღელვა. უნდოდა, გაჰყოლოდა, მაგრამ ძალა არ ეყო, ვერ გაბედა. მამაკაცის მიერ დაგდებული წიგნი ხელში აიღო და გადაფურცლა.

„იქნებ ვილასას უნდა შეხვედროდა, აგვიანდებოდა და თავქედმოგლეჯილი ამიტომ გაიქცა?!“ — ფიქრობდა თავისთვის — მაგრამ არა! ოლგას თავგადასავალი სწყუროდა, უფრო მეტი, უიღბლო სიყვარულის ისტორია. იქნებ ის კაცი უიმედოდ იყო შეყვარებული, წიგნს ფურცლაგდა და შემთხვევით თავისი შეყვარებულის ინიციალებს გადააწყდა. ჰოდა, გული აუჩუყდა და მასთან გაიქცა, რომ გული გადაეშალა მისთვის, თავისი ვნებისა და სიყვარულის - შესახებ მოეყოლა.

ოლგამ წიგნი ხელში აიღო და გადაფურცლა. ხანშიშესულ ქალბატონებს არაფერი შეუმჩნევიათ. ოლგა ფრთხილად ფურცლაგდა თხელ და ფერდაკარგულ წიგნს, პირველი გვერდები ყურადღებით გადაათვალიერა, მაგრამ ინიციალებს ვერსად ნაანყდა. ვერც გამხმარი ვარდის ფურცლები იპოვა, ვერც ხელით გაკეთებული ჩანაწერები. ის იყო წიგნის უკან დადებთა დააპირა, რომ ყდას დახედა და ნაიკითხა: სარე, „გამყინვარების ხანა, წიგნი I“.

არაფერი სმენოდა სარეზე. წიგნი ძველი იყო და ამასთან რაღაც უცნაური, თავისებური სუნი დაჰკრავდა. ოლგა ფიქრებით კვლავ იმ ახალგაზრდა კაცს დაუბრუნდა, მალაზიიდან შემოილივით რომ გავარდა, და კვლავ სასიყვარულო ისტორიის შეკონინებას შეუდგა. მისი უცნაური საქციელი წიგნს ხომ არ უკავშირდებოდა?! რასაკვირველია! საკუთარი მიხვედრილობით აღფრთოვანებულს ეს აზრი მოეწონა.

წიგნი სულ რამდენიმე ფრანკი ღირდა, დიდი არაფერი, და მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ აკეთებდა ამას, წიგნის ყიდვა გადაწყვიტა. რამდენიმე დანომრილი თავი, წვრილი შრიფტი, მოკლე წინადადებები, ზოგი გვერდი მხოლოდ სანახევროდ იყო სიტყვებით შევსებული. ნეტავ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? რა ტექსტი იყო, პოსტმოდერნისტული? ოლგას ასეთი ტექსტები არ უყვარდა! მაგრამ გადაწყვეტილება არ შეუცვლია. წიგნი იყიდა და თავის მიერ გამოგონილი სასიყვარულო ისტორიის გაგრძელება გადაწყვიტა.

როგორც იქნა, სალაროში მოწყენილობისგან დაღლილი გოგო გამოჩნდა, წითლად შეღებული თმითა და პირში საღეჭი რეზინით. ოლგამ ფული გადაიხადა და მალაზიიდან გამოვიდა. პატარა პარკში ჩადებული წიგნი ხელში სასიამოვნოდ შრამუნებდა. უინტერესო ღღემ უცებ სრულიად განსხვავებული, ახალი შინაარსი შეიძინა.

ოლგა სახლში დაბრუნდა, ლიდიას აჭამა და ძველ ტახტზე წამოწვა (ტახტი რუსი ბებიას დანატოვარი გახლდათ, რომელსაც მართლაც ოლგა ერქვა). ჩაის სვამდა და ჭერს უაზროდ მიშტერებოდა. არავინ ურეკავდა, არც არავინ აკაკუნებდა კარზე. უეცრად გაახსენდა და პარკს მისწვდა, შრამუნმა თითქოს დააწყნარა, და წიგნი ამოიღო...

შუალამე გადასული იყო, კითხვა რომ დაასრულა. მის ფეხებთან მყუდროდ მოკალათებულ ლიდიას მშვიდად ეძინა ოლგა მთლიანად ოფლში ცურავდა, ერთ

პოზაში წოლისაგან ზურგი სტკიოდა, ფეხებიც დაჰბუჟებოდა თითქმის ოთხი საათი ინვა გაუნძრევლად. მსგავსი რამ ადრე არასდროს დამართვია.

ფრთხილად წამოდგა. შიშისაგან კანკალებდა, მაგრამ ვერ ხედებოდა რატომ. ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. გაუკაცრიელებული მოეჩვენა — ქუჩაში არავინ დადიოდა, მალაზიებიც დაეკეტათ. პარიზული ღამისათვის უჩვეულო სინყნარე სუფევდა. ფანჯრის რაფაზე ჩამოკვდა. მერე ფანჯარა გამოაღო და ჰაერი ღრმად შეისუნთქა, ეგონა, იხრჩობოდა. ოლგას ეშინოდა, წარმოუდგენლად ეშინოდა. პირველად შეეპყრო ცხოვრების შიშს.

ბოლო ოთხი საათის განმავლობაში რამდენიმე წლით დაბერდა ოლგა, თუმცა ამას ჯერ თავად ვერც კი აცნობიერებდა. ქვითინი აუტყდა. ტელეფონს მივარდა. ვილაქას უნდა დალაპარაკებოდა. ერთადერთი, ვინც მეგობრად მიაჩნდა, თუმცა ამას არასდროს აღიარებდა, ნადინი იყო, მისი პუტკუნა, ჭოროფლიანი თანაკურსელი, ფილოსოფიას რომ სწავლობდა და ქალთა დემონსტრაციებში მონაწილეობდა. გულის სიღრმეში ოლგა აღფრთოვანებული იყო მისით, ნადინის შინაგანი თავისუფლება მოსწონდა, მისი თავდაჯერებულობა და კიდევ ის, რომ სხვისი აზრი ნაკლებად აინტერესებდა ნადინს. თუმცა, იმათ შორის, ვისთანაც ოლგა სიამოვნებით იმეგობრებდა, ნადინი ზედმეტად თავდაჯერებულ და ნაკლებად საინტერესო მეგობრობის კანდიდატად მიიჩნეოდა.

— ნადინ, უნდა დაველაპარაკო...

— რა მოხდა? მოიყა... იცი, რომელი საათია? უკვე მეძინა.

— უნდა მოვიდე შენთან, ველოსიპედით წამოვალ, არ შემიძლია...

— კარგი, კარგი, მოდი. სახლში ვარ და გელოდები. ოღონდ ფრთხილად იარე.

წინა სემესტრში ოლგამ ფეხი მოიტეხა. ველოსიპედით მიდიოდა ნადინთან, გზაში რაღაცას შეეჯახა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. პარიზში ველოსიპედით სიარულისას ფეხის მოტეხა ალბათ ყველაზე სამარცხვინო რამ იყო, რაც შეიძლება დამართოდა ადამიანს.

ოლგამ ლიდიას აკოცა, თავის მწვანე საგამაფეხლო პალტოს ხელი დაავლო და კიბეზე ჩაირბინა. უეცრად მოეჩვენა, რომ სახლიდან იმ ახალგაზრდა კაცივით გავარდა, მალაზიაში რომ ნახა.

საოცარი სისწრაფით მიქროდა, ოფლი ასხამდა. ფეხები ასტკივდა, ზურგიც. შუქნიშნებს ყურადღებას არ აქცევდა, მიქროდა და თავანწყვეტილი ატრიალებდა პედლებს. თითქოს ღამის სიბნელეს გაურობოდა. Avenue de Brueteuil-ზე რომ გავიდა, დაღლილობისაგან უკვე ვეღარ სუნთქავდა და მთლად ოფლში იყო განურული.

ზემოთ ძველი ლიფტით ავიდა და გიჟივით ატეხა ზარის რეკვა. სახლის სადარბაზოში, კედლებზე ობობებივით დაბობლავდნენ გადარეული ჩრდილები.

— რა ხდება, რა გჭირს? რა დაგემართა?

ნადინს წითელი ხალათი ეცვა.

— მაპატიე!

უცებ ოლგა მიხვდა, რომ ცუდი მეგობარი იყო, რომ მთელი ამ თვეების განმავლობაში გამბედაობა არ ეყო ნადინი დაეცვა, რომ კამპუსში მონყოილ ყველა წვეულებაზე ნადინს თვალს არიდებდა, რომ მის ზურგს უკან მის დემონსტრაციებს დასცინოდა კიდევ. რატომ, რის გამო? იმ რამდენიმე გესლიანი გოგოს გამო,

რომლებიც ცხვირაბზუებული დადიოდნენ ან იმ ტუტუცი გოგოების გამო, მხოლოდ კაცებსა და მოდაზე რომ შეეძლოთ ლაპარაკი?

ოლგა ისევ ატირდა.

ნადინმა გულში ჩაიკრა და ოთახში შეიყვანა. ორივენი სანოლზე ჩამოსხდნენ, ნადინის პანანინა ოთახში. ნადინმა ნამცხვარი და შალის პლედი გამოიტანა.

ოლგას ვინმესთვის უნდა მოეყოლა, ვინმესთვის უნდა გადაეშალა გული. და ისიც ჰყვებოდა. ჰყვებოდა იმ ჩვეულებრივ, მოსაწყენ ღღებზე, წიგნის მალაზიაზე, ახალგაზრდა კაცზე, წიგნზე, კითხვაზე და იმაზე, თუ რა საშიში წიგნი იყო; იმაზეც, კითხვისას რა წარმოუდგა თვალწინ და შიშმა როგორ შეიპყრო. უამბო ისიც, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ უცხად აღმოაჩინა, რომ მშობარა ყოფილა, რომ არაფერი აინტერესებდა, რომ გვერდით არაფერს ჰყავდა, რომ ვერაფერს იტანდა, რომ მისი მშობლები ერთადერთ ქალიშვილს ამდენ ფულს ახარჯავდნენ, ოლგამ კი ისიც არ იყო, საერთოდ რატომ ჩამოვიდა პარიზში, რატომ სწავლობდა აქ და საერთოდ რატომ ცხოვრობდა იმ ცხოვრებით, რითიც ცხოვრობდა. ოლგა ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ნადინი მის გვერდით იჯდა, ღრმად სუნთქავდა, ნამცხვარს ახრამუნებდა და დროდადრო თანჯარაში იყურებოდა. წყნარი ღამე იყო. ნადინს ყველაფერი მოსწონდა, რასაც ოლგა ამბობდა, ნადინს ოლგა მოსწონდა. ამაცობდა კიდევ მისით, რადგან მისმა მეგობარმა, როგორც იქნა, საკუთარი თავი იპოვა, უცნაურად, მოულოდნელად, მაგრამ მაინც.

ნადინი უბრალო ოჯახიდან იყო, შვიდი წელი პარიზში ცხოვრობდა და საკუთარ თავს თვითონ ინახავდა. ამაცობდა იმით, რომ დამოუკიდებლად შეეძლო ცხოვრება, და რომ უფლება ჰქონდა ზემოდან ეყურებინა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არარაობად მიაჩნდა. ნადინი მებრძოლი ბუნების იყო და ეს ბრძოლა მოსწონდა, თუმცა, ხანდახან მარტობას უჩიოდა და ასეთ დროს თავი უშნო და მსუქან ქალად მიაჩნდა. ხანდახან მთელი თავისი პოლიტიკური აქტივობა უამრობად ეჩვენებოდა (ასეთ ნუთებში ოცნებობდა, რომ დაკული ყოფილიყო), მერე ოლგაზე ფიქრს იწყებდა, მის ლამაზ სხეულზე, მის ქარაფშუტობაზე, მის მუქ, გრძელ თმაზე და უნდოდა, რომ ოლგასნაირი ყოფილიყო.

— ვინ არის ეს სარე?

— ვილაქ ქალია. იქ მარტო ის წერია, რომ ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა, რომ მისი ჩანაწერები მხოლოდ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და რომ 17 წლის ასაკში თავი მოიკლა. მეტი არაფერი. ყველაფერი უნდა გავიგო მის შესახებ. ვერ წარმოიდგენ, რა აბსურდულია, ნადინ, რა სიკაფეა ის, რაზეც წერს. საოცრად დიდია და დამანგრეველი, სიძულვილითა და მონატრებით არის სავსე. ასეთი რამ არასდროს წამიკითხავს.

— მათხოვებ წიგნს? მეც წავიკითხავ.

— ჰო, ჰო, აუცილებლად უნდა წაიკითხო. ჩემ გამო უნდა წაიკითხო.

— დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება. მე შენთან ვარ. კარგია, რომ მოხვედი.

— იცი, მემინია.

— რისი?

— არ ვიცი.

მალე ერთ სანოლში ჩაეძინათ ჩახუტებულებს. რა სასიამოვნო იყო ასე ერთად ყოფნა. მეორე დღეს ახლად გაღვიძებული ნადინი მიძინარე მეგობარს დასცქეროდა და ფიქრობდა, რომ რაღაც შეიცვალა მის ცხოვრებაში და ეს ცვლილება მოსწონდა. ნადინმა უცებ იგრძნო, რომ ვიღაცას ის მართლაც სჭირდებოდა.

7. მე (2005)

მე ვწერ. ვარ მდებდრობითი სქესის, ვარ ახალგაზრდა და საინტერესო წარმომავლობის, ეგზოტიკური ქვეყნიდან. არა, არც ცნობილი ვარ, არც მოთხოვნადი, თუმცა ზემოთ აღნიშნული დახასიათების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წესით, სრულიად საპირისპიროდ უნდა იყოს საქმე. არადა უცხო ქვეყანაში მიწვევს ცხოვრება, უახლოეს მომავალში ალბათ მიმატოვებენ თუ უკვე არ მიმატოვებს და ამ ყველაფერს ზედ ისიც ემატება, რომ ერთგვარი... ემოციური კრიზისის მდგომარეობაში ვიმყოფები. ლამის ნებაყოფლობით ვამართლებ ყველა არსებულ კლიშეს.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთი ისტორია წავაკითხე, რომელმაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო ისე ამაღელვდა და დაამიპყრო, რომ დავფეხმძიმდი და ამ ამბავს მუცლით დავატარებ.

წარმოდგენა არ მაქვს, იმ ამბავს რატომ უნდა დავფორსულეებინე. ისე, ამჟამად მაინც არაფერი მაქვს საქმე და ჯობს კარგად ჩავუღრმავდე მომხდარ მოვლენებს. რას ვკვლისხმობ და ეს ისტორია უნდა გამოვიკვლიო, მეტი არაფერი. არა, დოკუმენტურ აღწერას არ ვაპირებ, არც ფაქტების გამოწვლილვით ანალიზს, არამედ იმის გარკვევას, თუ რატომ დაიპყრო ამ ისტორიამ ჩემი სული და სხეული.

მოკლედ, მთელი ეს ისტორია ერთი უბედური გოგონას შესახებაა, ძალიან უბედური გოგონას შესახებ, რომელიც ისეთი უბედური იყო, რომ სხვა, თავის მსგავს უბედურ ადამიანებს თავისი უბედურებით კიდევ უფრო აუბედურებდა. რადგან ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობა მშვენივრად ესადაგება ახალგაზრდა, უბედური გოგონას იმიჯს, ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ისტორიაცაა. როგორც უკვე ვითხარით, ამ ისტორიას იმ უბედური გოგონს როლი დავესესხე და მშვენივრად გავითავისე. დიდხანს ვფიქრობდი, რატომ იყო ის გოგონა ასეთი უბედური და როგორ მოახერხა თავისი უბედურება ამდენი ადამიანისთვის მოეხვია თავს. ამ ისტორიაში თანამედროვეობის გრანდიოზული გასაჭირი კი არა, ერთი პატარა, მარტოსული პიროვნების ციქნა-ტკივილი მაინტერესებდა, თუნდაც ამ გოგონას მაგალითზე. და რადგან ისე დავიბენი, რომ გზა და კვალი ვეღარ გავიგნე ამ ისტორიიდან, გადავწყვიტე, დავმჯდარიყავი და დამეწერა.

გაზაფხულის რუხი საღამოა. ეს ქალაქი საოცრად მთრგუნავს თავისი აბსოლუტურად ავადმყოფური სილამაზით. ისეთი თვალწარმტაცია, თითქოს ადამიანის ხელი არ შეხებია, თითქოს მუდამ არსებობდა — ამ ნავსადგურით, ამ წვიმითა და ამ მოაგურისფრო შენობებით. სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს აქაური ღამეები — მშვიდი და გრძელი.

მე მგონი, ისეთი რამის ჩადენას ვაპირებ, რაც შემდგომში ცხოვრებას გამიმარტივებს. კლავიატურაზე ყოველი დაკაკუნება მხოლოდ უკეთესობისკენ გადადგმულ ნაბიჯად მეჩვენება. ძარღვებში მარტოობა მეპარება, და ეს ყოველთვის საღამოს რვა საათისათვის ხდება ხოლმე. ასეთ დროს რაღაცას ვგეგმავ. ჰო, 1000

რაღაცას ვგეგმავ, მაგრამ მათგან 999 შეუსრულებელი რჩება. მე კი ვზივარ და თავში სიცარიელე მეზრდება. აღარც ალკოჰოლი მიზიდავს და აღარც ხელოვნება. კარგი იქნებოდა, ცხოვრების ახალი აზრი მეპოვა, ძველი საღდაც ჯანდაბაში დამეკარგა.

ხომ არ ჯობდა სხვა ბიოგრაფია მომეძებნა? ცხოვრების შესახებ სხვა შეხედულება მქონოდა? მომეძებნა სხვა ზომის ფეხი, თითის ფრჩხილების სხვანაირი ფორმა და კიდევ სხვა აზრები, სხვა გემოვნება და ცოტაოდენი სიმსუბუქეც შემეძინა.

და, რასაკვირველია, სიყვარული! ნეტა აუცილებელია ამის საგანგებოდ აღნიშვნა, როდესაც ხარ მღვდრობითი სქესის, ხარ ახალგაზრდა და თანაც ეგზოტიკური ქვეყნიდან?

ძალიან მინდა რაღაც სათქმელი მქონდეს. სიამოვნებით ვისაუბრებდი მსოფლიო მშვიდობასა და სიყვარულზე, სინათლისა და გრძნობების ფერებზე, მაგრამ ხომ ხედავთ, არ ვსაუბრობ. მე მხოლოდ იმ ერთი ისტორიის დანერა მინდა. მხოლოდ ერთი ისტორიისა, რომელშიც მეც ვიქნები ერთ-ერთი გმირი. ოღონდ, იქ რა დამეკარგვია, არ ვიცი. ჯერ არ ვიცი.

8. ძმა (1968)

პატრისი თავის ოთახში შევიდა. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ერთ ბიჭთან ერთად ცხოვრობს. ასატანი სიტუაციაა, სამზარეულოსა და სააბაზანოს გაყოფა რომ არ უნევდეთ. ეს ბიჭი ინგლისურის კურსებზე დადის მასთან ერთად, ცოტა წაიშტერებს და ყველასგან გარიყულია. შეიძლება სწორედ ამის გამოა, პატრისის მის მიმართ ერთგვარი სიყვარულის გრძნობა რომ გაუჩნდა. ბიჭს სტიპენდია აქვს დანიშნული და დროდადრო „DOORS“-ს უსმენს იმიტომ, რომ ეს ჯგუფი მოდაშია. არადა, მუსიკისა არაფერი გაეგება. გარსონს (ასე ეძახიან მას) ძველი სპორტული შარვალი აცვია, საწოლზე ზის და რომელიღაც ილუსტრირებული ჟურნალის თვალიერებით იქცევს თავს. პატრისის აზრით, გარსონს მეგობარი გოგონა სჭირდება, პარტნიორი ფიზიკური ურთიერთობისთვის.

გვიანი ნაშუადღევია. პატრისის უკვე სამი ბოთლი ლუდი აქვს დალეული. ექვსი თვეა, რაც ამ ოთახში ცხოვრობს. დედა ყოველთვიურად უგზავნის ფულს, ერთხელ მონემაც კი მოინახულა. ისევ რაღაც უაზრო კაბა ეცვა და ამის გამო პატრისი სირცხვილით დაიწვა, მერე კი იმაზე გაბრაზდა, რატომ შემრცხვავო.

გარსონ: პატრის, ამ საღამოს უნივერსიტეტში წვეულებას აწყობენ. წამოხვალ?

ძმა: არა, გმადლობ, არ მსვალა.

გარსონ: ასე გაუთავებლად უნდა აკაკუნო მთელი ცხოვრება? მაინც რას წერ ამისთანას?

(გარსონმა პირველად დაუსვა ეს შეკითხვა, პირველად მთელი ამ ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ, როდესაც პატრისი დღეში, სულ ცოტა, სამ საათს მანაც ბეჭდავს).

ძმა: შენი საქმე არ არის, პირადულია.

გარსონ: რომანია ან რაღაც ამის მსგავსი?

ძმა: შემეშვი რა! ისედაც ვერა ვარ დღეს გუნებაზე.

გარსონ: გასართობად საერთოდ არ დადინხარ. ასე არ შეიძლება! (არადა, თავად გარსონი თითქმის არასდროს დადის გასართობად და თუ მაინცდამაინც, მაშინ ერთ-ერთ ლუდის ბარში ყურყუტებს ხოლმე, დრო გაჰყავს თავისნაირებთან ერთად).

ძმა: მორჩი ჭკუის სწავლებას?

გარსონ: კარგი, როგორც გინდა. მაშინ მე მარტო წავალ. სხვათა შორის, მარიც იქ იქნება.

ვიღაცამ ჭორი გაავრცელა, რომ პატრისის მარი ბესონვილი მოსწონს. სრულიადაც არა! არადა, ყველა ამბზე ლაპარაკობს. ნეტა თავს დაანებებდნენ. მაგრამ არა, არ ეშვებიან. პარიზში ცხოვრებაც ისეთივე მტანჯველია, როგორც მარენში (*მარენი პატარა დასახლებაა (5000 მცხოვრებით) საფრანგეთის დასავლეთ ნაწილში, პარიზიდან 510 კილომეტრის დაშორებით) იყო. უბრალოდ, პარიზი უფრო ამტანია და უფრო ცინიკური. პარიზში სიმშვიდე არ არსებობს. პატრისის მარი ბესონვილი სულაც არ აინტერესებს, ის სხვაზე ფიქრობს და ეს ფიქრი, ეს ოცნება მასზე, მარიზე მშვენიერია. სხვა ყველაფერი ერთფეროვანი და მოსაბეზრებელია, ასე მიაჩნია პარიზში მცხოვრებ ძამიკოს, თუმცა „ძმას“ აქ აღარაფერ ეძახის. ხანდახან ანე სწერდა ძმას წერილებს და ასე მოიხსენიებდა. ახლა ანეც აღარ სწერს.

ორი საათის შემდეგ. პატრისი მარტოა ოთახში. გარსონი მართლაც წავიდა უნივერსიტეტში წვეულებაზე და პატრისი ბედნიერია. ზის საბეჭდ მანქანასთან, რომელიც დედიკომ აჩუქა დაბადების დღეზე (მშვენიერი გადამწყვეტილება იყო, ნამდვილად ღირდა) და აკაკუნებს, ჯერ ნელა, მერე სწრაფად, მერე სულ უფრო სწრაფად. საწერ მაგიდაზე ერთი ნახევრად დაცლილი ლუდის ბოთლი დგას და ერთიც საფერფლე. ახლა გაცილებით მეტს ეწევა, ვიდრე შინ ეწეოდა.

სამინლად მოსაწყენია პარიზული მარტის საღამო, მაგრამ არა მისთვის — ცხოვრებისგან სიმწრით გამოვლუჯილი სიმშვიდე მუშაობის საშუალებას აძლევს და განსაკუთრებით ძვირფასია მისთვის. საერთო საცხოვრებელში უჩვეულო სიწყნარეა. პატრიკს თავი უსკდება. ისევ მასზე ფიქრობს. ალბათ სულ მალე იხილავს. მთავარია, თავს ძალა დაატანოს და წეროს.

1968 წლის მარტია. რატომ ასცდნენ დროში? მისი ბრალია, რომ გვიან დაიბადა, გვიან აღმოაჩინა, გვიან დაიწყო წერა, თუ ქვეცნობიერად შეეშინდა, რომ ის მასაც მიატოვებდა, ამის საშუალება არ მისცა და სხვა დრო აირჩია?

მაგრამ ის ხომ მუდამ არის. ნებისმიერ დროს. ის ხომ უსასრულოა, მუდმივია და უსაზღვრო!

ბეჭდვას აგრძელებს.

კარზე კაკუნია. ხმადაბალი და ნელი, შემდეგ უფრო ძლიერი. პატრისი, ცოტა არ იყოს, გაოგნებულია. ზანტად დგება, მერე ჩერდება, ყოყმანობს, ბოთლიდან ერთ ყლოუპს სვამს, კარისკენ მიდის და ისევ ჩერდება.

ბოლოს კარს მაინც აღებს, რადგან კაკუნი არ წყდება. კარისკენ მიმავალი გზად გარსონის რადიოს წამოედება და რადიო ძირს ვარდება. ჯანდაბა! რატომ დევს რადიო საწოლის კიდეზე? პატრისი გაღიზიანებულია, არა, გაცოფებული.

კარის წინ მარი ბესონვილი დგას. ეს უკვე მეტისმეტია. მარი იღიმება. წითელი, ბაფთიანი ბლუზა აცვია და განიერი, შავი ფერის ქვედაბოლო, რომელიც მუხლებამდე სწვდება.

ძმა: გამარჯობა, მარი.

მარი: მე... იცი.. წვეულებაზე რომ არ მოხვედი, ვიფიქრე, ხომ არ შევეუარო-მეთქი. შეიძლება შემოვიდე?

ძმა: ჰმ, კარგი, შემოდი. უბრალოდ არ მეცალა, საქმე მქონდა.

მარი: ხელის შეშლა არ მინდოდა.

ძმა: არა უშავს.

მარი ოთახში შედის. ამ ოთახში ერთადერთი ადგილი, სადაც ორი ადამიანი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ეტევა, სამზარეულოს კუთხეა. აქ ორივენი ძლიერს თავსდებიან. მარი საკმაოდ ლამაზია. პატრისი მარის სტუმრობით ისეა დაბნეული, რომ არ იცის, როგორ მოიქცეს, რა შესთავაზოს.

ძმა: ჩაის ხომ არ დალიევ? ისე, ლუდიც მაქვს.

მარი: კაი, ლუდი იყოს.

პატრისი მარის ლიტერატურის ჯგუფიდან იცნობს. მარი კურსზე ყველას მოსწონს, როგორც ამბობენ, გამოცდილება არ აკლია. თაფლისფერი თვალები ზომაზე მეტად აქვს დაშორებული ერთმანეთისაგან, მაღალია და გამხდარი, გრძელი წამწამებითა და ქათქათა კანით. თმას ფაიფურის სავარცხლით იწვევს ხოლმე ზევით და შურიანი გოგონები ფაიფურის მარის ეძახიან. ბევრი მეგობრობს მარისთან, მაგრამ როცა შეზარხოშდებიან, ჭორაობას იწყებენ, ყველას უწვებაო. უნივერსიტეტში მიაჩნიათ, რომ მარი განსაკუთრებული გოგოა. თუმცა, პატრისი ასე არ ფიქრობს. და საერთოდ, უნივერსიტეტის ჭორები არანაირად არ აინტერესებს.

პატრისის მთავარი საზრუნავი ახლა ის არის. პარიზში გადმოსვლის შემდეგ მისთვის მხოლოდ ის არსებობს. თავს ვერ ანებებს, სხვა ვერაფერზე ფიქრობს. თავის საყვარელ რაინდებზეც კი აღარ წერს მოთხრობებს.

ახლა კი სხედან ოთახში მარი და პატრისი და ლუდს სვამენ. პატრისი დაბნეულია. ახალ ბოთლს იღებს და ხსნის, თუმცა, ძველი ჯერ არ დაუცლია, მაგიდაზე უდგას. ოთახი იაფფასიანი სიგარეტის სუნით არის გაჟღენთილი. პატრისის რცხვინა თავისი უსუსურობის. უცბად დგება, სამზარეულოს კუთხე მეტისმეტად ევიწროვება.

პატრისი დუშაში 22 წლისაა და ქალებს დიდად არ სწყალობს. მათი ეშინიაო, ამტკიცებს მისი უმცროსი და, ანე.

მარი: როგორი სიმყუდროვეა აქ. მე კი ჩემს მეგობართან, კლერთან ერთად ვცხოვრობ. ხომ იცნობ? ქერა გოგო, კუბოკრული პალტო რომ აცვია. ინგლისელი.

ძმა: ააა, მართლა? არ ვიცოდი. სასიამოვნო გოგოა.

მარი: ჰო, ერთმანეთს კარგად ვეწყობით.

ახლა ოთახში გადმოინაცვლეს. პატრისი მარის თავის ერთადერთ სკამს სთავაზობს, თვითონ კი შალგადაფარებულ სანოლზე ჯდება. ეს ყველაფერი არ სიამოვნებს. რატომღაც ანე გაასხენდა, თავისი და. უცებ მოეჩვენა, - რომ არც ისე (ცუდი და ჰყავს და მათ შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა იმ სულელური შემთხვევის ბრალია. და ყველაფერი ალბათ, სხვაანაირად იქნებოდა, ნაშუადღევის ის საძაგელი სურათი მესხიერებაში რომ არ ჰქონდეს ჩარჩენილი, სანოლის წინ მუხლებზე მდგარი ანე. იქნებ ანეს ბრალი სულაც არ არის? იქნებ მართლაც მარენში ცხოვრების ბრალია ეს ყველაფერი და ანე სულაც არ არის დამნაშავე?!

მარი: არ გინდა წვეულებაზე წავიდეთ? იცი, საკმაოდ ნორმალური სიტუაციაა, და ლუდიც იაფია.

ძმა: აჰ, რა ვიცი, ასეთი რამე მე...

მარი: მაშინ გავისივროთ!

უცვებ პატრისი აცნობიერებს, რომ მარი საერთო საცხოვრებელში, მის ოთახში ზის. წარმოუდგენელია. ეს ხომ ნანტერია! (*Nanterre — გარეუბანი პარიზის დასავლეთით, სენის სანაპიროზე. იქვე მდებარეობს Université de Paris-ის მთავარ. შენობა და ასევე ცნობილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი. ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი მიიჩნევა პარიზის 1968 წლის კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ მოთავედ) აქ გოგოებს ბიჭების ოთახში შესვლა ეკრძალებათ. უდავოდ სახლის კომენდანტი მოქრთამა, თუმცა არც უნდა, რომ დეტალები იცოდეს, როგორ მოახერხა მარიმ აქ შემოღწევა. და საერთოდ, მარიზე ბევრის გაგება არც სურს.

სულელური სიტუაციაა ოთახი ჩაიხუთა. ჰაერი საფრთხით არის გაჟღენთილი. ნეტა ის ახლა რას აკეთებს? აბაზანაში წევს? თუ ღამლამობით ისევ შიშველი დგას ქუჩაში და გაჰკვივის?

მარი: ალბათ ჯობია, რომ წავიდე...

ძმა: არა, არა, მოიცა. შეგეძლია გავისივროთ, ან, მოიცა, რადიოს ჩავრთავ და...

პატრისი გარსონის რადიოს იატაკიდან იღებს, რთავს და შანსონის ჰანგები ოთახში იღვრება. პატრისი შანსონებს ვერ იტანს, მაგრამ არ იმჩნევს, დგას და მარის ფეხსაცმელს მიშტერება — ზონრებიანი ჩექმა, მუქი ყავისფერი, როგორც მარის თმა. მარი პატრისს შესცქერის, რომელიც უეცრად ადგილიდან დგება და რამდენიმე ნაბიჯს დგამს წინ — საბეჭდი მანქანიდან ფურცლების ამოღება დავიწყებია. მარის უცვებ საბეჭდ მანქანაზე გადააქვს მზერა. (არა, არ გაბედო, ნუ უყურებ! არა-მეთქი!

ძმა: მარი!

მარი: ეს რა არის?

ძმა: აჰ, არაფერი, ისეთი არაფერი, რალაც გადასაბეჭდი მასალაა.

მარი: რა...

პატრისი მარის გვერდით დგას და გრძნობს მის სუნს.

ხელზე ეხება, მერე იხრება და მხარზე კოცნის, წელზე ხელს ხვევს და სახეს მარის მკერდში მალავს.

კიჩოსთან გული ღამისაა ამოვარწყიო,
ჩემი ამღვრეული, ჩემი დაბოლილი გული.
იქ, კიჩოსთან, მავანნი ტალახს ერთმანეთს
უმონყალოდ ესვრიან.

მე კი ღამისაა გული ამოვარწყიო,
ჩემი ამღვრეული, დაბოლილი გული.
ისე ხორხოცობენ და ისე კვიან, რომ
ყურის ბარანები მისკდება,
თურმე იცინიან გულით.

ბილწსიტყვაობენ და ამ სიბილწით თავადვე ტკებებიან.

კიჩოსთან ღამისაა გული ამოვარწყიო,
ჩემი ამღვრეული, ჩემი დაბოლილი გული.

პატრისი არტურ რემბოზე ფიქრობს და ყვირილის სურვილი იპყრობს. ძუკნა ძალიან ულოკავს მარის სახეს. მარიც ეხვევა. პატრისმა არ იცის, ახლა რა მოხდება.

მარი ბესონვილი პატრისის ორივე ხელს იღებს, მკერდზე იდებს, თავად კი ტანსაცმელს ხდის. სულ მალე პატრისი შიშველი რჩება, სრულიად შიშველი, იმაზე უფრო შიშველი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მარი პატრისს ტუჩებში კოცნის. პატრისი ქალთან ჯერ არ ყოფილა. პატრისს გული ერევა ზიზღით. სულ მუხლებზე მდგარი ანე ასხენდება — ყოველთვის, როცა ასეთ რამეზე ფიქრობს.

პატრისი მარი ბესონვილზე წევს ბესონვილს ლამაზი სხეული აქვს, პატრისი ახლა უკვე მის სხეულშია — წინ მიიწევს და თან იმაზე ფიქრობს, ოთახის კარი დაკეტილია თუ არა. მარი ბესონვილი იცინის და თავს დროდადრო უკან აგდებს, გამომწვევად. მარი ბესონვილმა პატრისი აქამდე შეგნებულად მოიყვანა, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიტყუა. პატრისს სურს, რომ... ჰო, მარის დახრჩობა უნდა... მაგრამ ი ძალა ეცლება. ბოლო ძლიერი ბიძგი, ბოლო შეკრთობა, და პატრისი მარი ბესონვილის უფსკრულში იჩეხება.

9. გამყინვარების ხანა/წიგნი 1 (1953)

ის კაცი თავისთვის მიდიოდა ქუჩაში, მან კი ჰკითხა, სექსი ხომ არ გინდაო. კაცმა ჯერ შეცხუნებულმა შეხედა, მერე კი ხელი მოჰკიდა და... ლამაზი იტალიელი იყო Rue de Capron-იდან.

მერე ბრუნავდა და ტრიალებდა ის კაცი მასში, როგორც ბოთლში კორპსადრობი, ჰო, ტრიალებდა მასში და ამ ტრიალს ბოლო არ უჩანდა.

როცა ყველა და ყველაფერი ძილს მიეცემა, მე აკვივლდები. ჰადესს ვეწვევი, ზევსს ტახტიდან ჩამოვადგებ, დავანანვერებ და საჯიჯნად მივუგდებ ჩემს ჰინებს, რათა მისი ხორცი დაძლინ. გამყინვარების ხანაში გავმეფდები.

გულს ამოვივლევ და სვაებს დავაპურებ. მერე უგულოდ ვიბატონებ და არავის შევიბრალებ. და სიმშვიდეს მოვუტან ამით მსოფლიოს.

მინდა მთვარეს ვეახლო ცაში, რომ გულში ჩამიკრას. მთვარე ჩემია. მე მისი მეორე ნახევარი ვარ. ოდესღაც ერთმანეთისთვის შეფიცულები ვიყავით.

სადმე ხილზე ჩემს რაინდთან ერთად ბახუსს მივეძალები, და მერე სენაში თავს დავიხრჩობ დაჩირქებული სიყვარულით სასონარკვეთილი.

რა სიამოვნებით დავახრჩობდი, რომ მიმაჩნდე შენ ამის ღირსად. იცი, რომ ახლა, როდესაც ჩემი სხეული შენ ასე გიყვარს, ამით საკუთარ არარაობას აღიარებ?! რა სულელი ხარ!

ოჰ, თავი მტკივა!

წვიმის წვეთები ჩემს ფილტვებს აწვიმს. და მე ვიშლები.

აქილევსი კი, ან გარდაცვლილი ჩემი მიჯნური, აქვე ახლოს ბოლოთას სცემს და ჩემს სულს მოელის.

მე ჯვარს დავიწერ სიჩუმეზე და უბედურებაში ვპოვებ ბედნიერებას.

— რა თქვი, რა მქვიაო?

ფრანგულად გამართულად საუბრობს, მაგრამ აქცენტით.

— სარე? ეს რა სახელია? არაჩვეულებრივი საღამო იყო. შეიძლება, კიდევ გნახო?

— რა?

— შენი ნახვა კიდევ მინდა.

— თავი დამანებე!

— ჰეი, რა მოგივიდა? გადაირიე?!

— წადი, რა!

— მორჩი, რამ გავაგიჟა? გინდა რამე?

— ტაქსის ფული გადამიხადე, ფეხით სიარული მეზარება. სულ ეს არის.

— მოგცემ. რასაც ისურვებ, ყველაფერს მოგცემ. კარგი იყო. ძალიან...

— შემეშვი.

— მე Rue...

— ვიცი, სადაც მუშაობ.

— კარგი, კარგი. არ მინდოდა შენი წყენინება.

კიბეზე ჩარბის. „ჩემო ხვლიკო, ჩემო საყვარელო. მუხლებზე მომეხვიე და ჭრილობები ამილოკე, იქნებ შენ მაინც განმკურნო ჩემი სენისგან“ — ფიქრებში თავის ხვლიკს, დანაიდას ესაუბრება და მოგვიანებით ჩანერს კიდევ ამ აზრებს თავის დღიურში. საუკუნოვანი ძილით ჩაძინებულ ყველა ხეს გამოაღვიძებს, გიგანტები გაცოცხლდებიან და დედამიწას გადაქელავენ და ყველაფერს ცოდვის მდინარე წალეკავს.

ის ღამის სამ საათზე Rue de Choiseul-ს მიუყვება და საკუთარ თავს ეკითხება, რა იქნებოდა, მთვარეს რომ დანებებოდა მარტის ერთ ღამეს, ჰარიზში.

ეს გულისცემა არაა, ეს მისი ძველი ჩექმაა, მისი ნაბიჯები, პატარა და მართოსული ადამიანის ნაბიჯები. ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, და არ იცის, ვერ გაუგია, რატომ მოხდა ეს ყველაფერი, როგორ მოვიდა აქამდე. აქ და ახლა ხომ ყოველთვის არსებობდა! მისი ნაბიჯები შავ ქვიშაში კვალს ტოვებს. ის კი ერთ ადგილზე დგას. საკუთარ არსებობას არის მიჯაჭვული.

ადამიანები ხანდახან ვაკვირვებით შეჰყურებენ. ძველი, მამაკაცის პალტო აცვია. ნაქურდალი. სამი ზომით დიდი.

ტაქსი არ გაუჩერებია. ფული მაინც ვერ გაიმეტა, ჯიბეში ჩაიღო.

ავერ, პატარა ბიჭი მამამისის წინ დარბის, ცელქობს, თან რაღაცას აღფრთოვანებული უყვება. მარტის ქარი თმებს უწუნავს. ბიჭს ბედისწერა ეთამაშება. ოღონდ მან ჯერ არაფერი იცის ამის შესახებ. როგორ უნდა, რომ გააფრთხილოს. ხელს უქნევს, ქუჩის მეორე მხრიდან ეძახის ბიჭს. ისიც ამჩნევს, ცნობს და უხარია. მასთან მისვლა უნდა, მაგრამ მამა ეღობება. არ უმეებს. მიჰყავს.

მოხუცი ქალბატონის გვერდით ზანტად მოსეირნობს ძაღლი. მოხუცს შლაპა ადევს თავზე. ვითომ ლამაზია? რა საცოდაობაა იმის მცდელობა, რომ სიკვდილს ასეთი უსუსური იარაღით შეებრძოლო.

ძაღლი ცნობს მას და უხარია. კუდს აქიცინებს. წინა ცხოვრებაში დები იყვნენ, ალბათ. ან მისი თევზი იყო, ვერცხლისფერ აკვარიუმში გამომწყვდეული. თუ ასეა, მამინ შურს იძიებს. ძაღლს ენას უყოფს.

დაიბნა, გზას ვეღარ იგნებს, სულ აირია. აღარ უნდა ეროსთან ჭადრაკის თამაში. ქუჩები და სიბნელე შიშს ჰკვრის.

ჩერდება და ცდილობს ცოტა ხნით მომავალზე იფიქროს, მომავალზე, რომელიც ამოტრიალებული წარსულია. დაკლული ბატკნების ქვეყანაში მზე ამოდის... მის ქვეყანაში — მთვარე.

ტროტუარის კიდვზე ჯდება. მანქანა უსიგნალებს. და ახლა, სწორედ ახლა თავს მალა სწევს და სამყაროს გაყინული თვალებით შესცქერის. ქალაქის ცხოვრება იღვიძებს. და ის იღიმის. სულ ასე უნდა იღიმებოდეს. ნეტავ შეეძლოს თავისი მშვენიერ სიცოცხლის გაჩუქება.

რა დიდი სიამოვნებით შეჭამდა ახლა რაგუს „Le Coq“-ში.

ეგებ მზარეულს ერთი ჭიქა წითელი ღვინოც კი ჰქონდეს შემონახული მისთვის.

10. აპილაპი (2004)

ყველაფერს თავისი დრო აქვს და ოდესღაც ყველაფერი ბეზრდება ადამიანს. ერთხელაც აზიურ მაღაზიაში ქლიავის ჩირი იყიდა და აღარ მოეწონა. რატომღაც თავისი ყოფილი ქმრის ბიჭი გაახსენდა, და რასაკვირველია, თავად ყოფილი ქმარიც. წარმოიდგინა, რომ ახლა სხვა ქალებთან ჭირს სიმუნჯე ორგაზმის დროს და გახალისდა.

უცებ ტელეფონმა დაიწვია.

— გამარჯობა, იანი ვარ. სასწრაფოდ უნდა დაგელაპარაკოთ. გსმენიათ რამე სარეს შესახებ?

— ვის შესახებ? რომელი ხარ?

— იანი ვარ, თქვენი, სტუდენტი. ხელოვნების ისტორიას მიკითხავდით. საკურსო ნაშრომი კუბიზმზე, არ გახსოვთ?

— აა, იანი? ბოდიში, იან. ცოტა... ისე, ჩემი ნომერი როგორ გაიგე?

— შეგიძლიათ ერთი, არა, ორი საათი რომ დამითმოდ?

— კი მაგრამ, რა მოხდა? ახლა საკმაოდ...

— შეიძლება გნახოთ? ამ საღამოს? Roilof Harplein-ში, კაფე „Wildshut“-ში. თქვენთვის არც ისე შორი უნდა იყოს თქვენი აპილაპით...

აპილაპი!

— კარგი, მაგრამ ვერ მეტყვი, რა ხდება?

— მერე მოვიყვებით. ესე იგი „Wildshut“-ში. ერთ საათში, შევთანხმდით?

— კი, მაგრამ...

ყურმილი დაკიდეს.

აპილაპი გადაარჩინა ის ბიჭი. უფრო სწორად, აპილაპის ხსენებამ. იმ სტუდენტის სახე კარგად ვერც კი გაიხსენა, მგონი, წითურთმიანი ბიჭი იყო. ჯანდაბას, დროს მაინც გაიყვანდა. კვირის ბოლო იყო და ლაურას ყოველკვირეული სატანჯველი — როცა არ იყო, დრო როგორ მოეკლა — სწორედ ახლა იწყებოდა.

უსასრულოდ დიდხანს იდგა კარადის წინ და ტანსაცმელს არჩევდა. ბოლოს ვინრო ჯინსის შარვალი ჩაიცვა, სწორედ ის, ჯერ კიდევ საყვარლების ეპოქიდან რომ ჰქონდა, ზედ კი თეთრი პერანგი გადაიცვა, ერთერთი იმ 27 თეთრი პერანგიდან, რომელიც ამასობაში დაუგროვდა (ამას წინათ დაითვალა). ლაურას უყვარდა თეთრი პერანგები — ასე არაფრის და იმავდროულად ყველაფრის მთქმელი თეთრი პერანგები. არასდროს დაივიწყო მედლის მეორე მხარე — ასეთი იყო ლაურას

ცხოვრების პრინციპი, რომელიც მის კარიერაში ყოველთვის ამართლებდა — ყველა სამეცნიერო სტიპენდია თუ დაფინანსება სწორედ ამის წყალობით ჰქონდა მიღებული. წამწამები აიპრიხა, ტუჩებზე მკრთალი ჰომიდა გადაისვა, თმები მალა აინია და სახლიდან გავიდა. აპიდაპი ერთგულად და მოთმინებით ელოდა ავტოფარეხში.

კაფე „Wildshut“-ის არსებობის შესახებ მხოლოდ იმიტომ იცოდა, რომ ერთ მეგობართან ერთად დადიოდა ხოლმე იქ ადრე, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მეგობრები ჰყავდა და მათთან ერთად კაფეებში დადიოდა. ერთი ნოსტალგიური ადგილი იყო ეს „Wildshut“, სიმყდროვე აკლდა და ლაურას არ მოსწონდა.

რადიოში ბოზ დილანი მღეროდა. გარეთ წვიმდა. ცოტა ადრე მოუვიდა მისვლა. მანქანის დასაყენებელ ადგილს დიდხანს ეძებდა, ილანძღებოდა და თან ფიქრობდა, უკან ხომ არ გავბრუნდეთ. ბოლოს მანქანა ძლივს შეაკვება მანქანებს, მოპედებსა და ველოსიპედებს შორის. დასველებით მაინც დასველდა, ქოქოლა დააყარა (თავად არ იცოდა ვის) და სრულიად გალუმპული შევარდა კაფეში. კაფე სანახევროდ იყო სავსე, აქა-იქ ტურისტები ისხდნენ, ჰაერი ჯაბური მელოდით იყო გაუღენთილი. ერთ-ერთ კუთხეში ორადგილიანი მაგიდა მოძებნა და ერთი ჭიქა წითელი ღვინო შეუკვეთა. საზიზღარი საღამო იყო, აი, ისეთი, მატარებელში ჩაჯდომა და სადმე ჯანდაბაში წასვლა რომ მოგინდებოდა კაცს.

იანი მართლაც წითურთმიანი ბიჭი აღმოჩნდა, გამხდარი, მაღალი და მოუქნელი. ლაურას აღარც კი ახსოვდა მისი არსებობა. არადა, როგორც ბიჭმა უთხრა, საკურსო თემა დაუნერია მისი ხელმძღვანელობით (ლაურა, რა დღეში ჩავარდნილხარ, უკვე მესსიერება გვალატობს?!). ბიჭმა მორიდებით ჩამოართვა ხელი და გაუღიმა.

— დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდით... ავტობუსი არ მოვიდა. მოგწონთ აქაურობა? მიყვარს ეს ადგილი, არ ვიცი, რატომ.

მუქი ლურჯი ჯინსის ქურთუკი და შავი, ჩაფართხუნებული შარვალი ეცვა. ცხვირზე დიდი, სქელჩაჩოიანი სათვალე ედო. ეს სათვალე მაინც რამ დააინცყა!

ბიჭმა მინერალური წყალი, ბოსტნეულის წვნიანი და ერთი ჭიქა შეუკვეთა, დასაყოლებლად. ლაურა ღუმდა. ნეტა ამ ბიჭმა საკურსო ნაშრომი რა თემამე დანერგა?

— დრო რომ არ წავართვათ, მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით ვისაუბრებ და იმასაც ავიხსნით, თქვენთან მოსვლა რატომ გადავწყვიტე. ესე იგი, სარეს სახელი არასდროს გავიგონიათ?

— არა.

— მწერალი ქალი იყო. შეიძლება მთლად მწერალი არა, მაგრამ წერდა. ასე, ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა. ზუსტად არავინ იცის. და საერთოდ, მასზე ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი.

— ჰმ.

— 17 წლის იყო, როცა გარდაიცვალა.

ბიჭი გაჩუმდა, თითქოს ლაურას რეაქციას ელოდებოდა. ლამაზი, ღრმად ჩასმული თვალები ჰქონდა, გაურკვეველი ფერის, რაღაც გარდამავალი რუხსა და მწვანეს შორის.

—17 წლის ... უკვე მწერალი?

— კი, და თანაც როგორი მწერალი! მხოლოდ ერთი პატარა რვეული დატოვა. იცით, სასკოლო რვეულის მსგავსი იყო, უჭრედებიანი... ეს რვეული მის ოთახში ნახეს,

პარიზში. კონსიერჟმა მისი სიკვდილის შემდეგ აღმოაჩინა, იცით, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაამთავრა, მატარებელს ჩაუვარდა.

რაღაც ისტერიულად იმეორებდა ამ „იცით“-ს და თან ლაურას უყურებდა, თითქოს მისგან რაიმე სახის რეაქციას ელოდა. ლაურა უბრალოდ დაბნეული იქდა.

— მასზე თითქმის არაფერია ცნობილი. — გაავრძელა ბიჭმა თავისი დაბალი ხმით, — მისი ფოტოც კი არ არსებობს. ეს რვეული წლების შემდეგ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ერთ-ერთ გამომცემელს. ნახევრად ლეგალური გამომცემლობა იყო, ნმ-იანელების მიერ დაარსებული და ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიის გამომხატველ ლიტერატურას ბეჭდავდნენ. წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა და მაშინვე დაიტაცეს. გარკვეულ წრეებში წიგნი კულტადაც კი იქცა და ხალხიც სულ უფრო მეტად დაინტერესდა სარეს პიროვნებით. ყველაფერი აინტერესებდათ მის შესახებ, მაგრამ ეს სარე, ანუ ჟანა სარე, ვერსად იპოვეს. ლამის მითად იქცა, რადგან მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ნამუბუღი, რომელიც იდეალებს შეეწირა. მომდევნო ექვს წელიწადში წიგნი ოთხჯერ გამოიცა, რამდენიმე ენაზე ითარგმნა კიდევ. მაგრამ იმ ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ პარიზში 14 თვითმკვლევლობა დაფიქსირდა. და ყველა შემთხვევა სარეს თვითმკვლევლობის ისტორიის გამეორება იყო.

ბიჭი კვლავ გაჩუმდა, რადგან წვნიანი მოუტანეს და ჭამას შეუდგა. ლაურა ჩუმად იქდა. ბიჭს, როგორც ჩანს, ეს არ ანუხებდა. მხოლოდ შიგადაშიგ აპხედავდა ხოლმე ლაურას, თითქოს მის სახეზე რაღაცის ამოკითხვას ცდილობსო. ლაურამ აღარ იცოდა, რა ეფიქრა. სიგარეტი ამოიღო და გააბოლა, თან მერლოს წრუპვა გაავრძელა...

— მოკლედ, ეს ნამდვილი მითია, თანაც არცთუ ისე შორეული წარსულიდან. მერე წიგნის ბეჭდვა შეწყდა, რადგან პრესამ თვითმკვლევლობები სწორედ ამ წიგნის არსებობას დაუკავშირა. ერთხანს წიგნის შოვნა შეუძლებელიც კი გახდა. თითქმის ყველა არსებული ეგზემპლარი გაიყიდა. თქვენ ხომ ქალები გაინტერესებთ, ასე არ არის?

— რა?

— არა, მე იმას ვგულისხმობდი, რომ თქვენ ამ მიმართულებით დიდი ხანია იკვლევთ. თქვენი ნამუშევარი კამილა კლოდელის შესახებ მოვლენა იყო. ძალიან მომეწონა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაქვს ე.წ. „ქალების თემაზე“ გამოქვეყნებული ნაშრომები, მაგრამ ამ შემთხვევაში არა მგონია ცალსახა კავშირი...

— არა, აი, ნახეთ, აქ მართლაც არის კავშირი, და ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ თოთხმეტევი თვითმკვლელი ქალი იყო.

— კი მაგრამ, რა წერია ამისთანა ამ.. რა ჰქვია იმ რვეულს?

— აი, სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო. მხოლოდ ფიქრებია. მოქმედება საერთოდ არ არის და ის, რაც შიგ წერია, შეგიძლია როგორც გინდა, ისე გაიგო, საკუთარი ინტერპრეტაცია მისცე. რაც იქ წერია, ყველაფერი სიგიჟეა, ან სიმართლე, იმის მიხედვით, ვის რისი დანახვა უნდა. ეს, უბრალოდ, გონების დინებაა. მოკლე, განცდისმიერი ჩანაწერები, ცოტა აპოკალიფსურის კი. მაგრამ საბოლოოდ მთავარი მისი ავტორია, ის პიროვნება, ვინც დაწერა და არა ის, რაც იქ წერია. მთავარი სწორედ მითია, რომელმაც, როგორც ჩანს, 14 ქალს თვითმკვლევლობისკენ უბიძგა. თქვენთან

კი იმიტომ მოვედი, რომ გკითხოთ, დამეხმარებით თუ არა ამ პიროვნების იდენტიფიცირება მინდა.

— დაგეხმარო?

— ჰო, მე უკვე უამრავი მასალა შევგროვე. რამდენიმე თვითმკვლელი ქალის ოჯახსაც კი დაგუკავშირდი, პარიზის ლიტერატურის ინსტიტუტთან დავამყარე კონტაქტი, ბიბლიის ერთ-ერთ სპეციალისტსაც ვესაუბრე. მთელი ბერძნული და რომაული მითოლოგია ხელახლა გადავიკითხე, რადგან სარეს ტექსტში უამრავი პარალელი იძებნება მითოლოგიიდან. მინდა ვიცოდე, ვინ იყო სინამდვილეში. ის, რაც დანერა და დავგეტოვა, ძალიან ბუნდოვანია. მინდა ვიცოდე, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა, ვინ იყვნენ ის ქალები, რომლებმაც მას მიჰბაძეს. მე მათი ცხოვრების კონკრეტული სურათის აღდგენა მინდა. ზოგადი თეორიები არ მაინტერესებს. ეს კი სწორედ თქვენი სფეროა, ვერავინ შეგედრებათ.

— მთლად ასეც არ არის. ლიტერატურასთან ნაკლები შეხება მაქვს. ჩემი საქმიანობის სფერო სახვითი ხელოვნებაა. იქნებ ბატონი დეენისთვის მიგემართათ ლიტერატურის...

— მე ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობ. კარგად ვიცნობ პროფესორებს. მაგრამ მე თქვენ მჭირდებით.

— მე?

— დიახ, თქვენ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვიცი, როგორი შინაგანი გზნება გაგაჩნიათ იმისადმი, რასაც აკეთებთ. ბოლომდე იხარჯებით, სულით, გულით. მე თქვენს ლექციებს ვესწრებოდი თქვენი ხელმძღვანელობით და ვწერე საკურსო ნაშრომი და მთელი წლის განმავლობაში ვემზადებოდი თქვენთან, შესახვედრად. მე დიდხანს ვაკვირდებოდი.

— მაკვირდებოდი?

— ჰო, აუცილებლად მჭირდება ვინმე, ვინც დამეხმარება და...

— მოიცა, მოიცა! ერთი წუთით! უამრავი ასეთი ისტორია არსებობს. ზოგ ეპოქაში ადამიანებს, უბრალოდ, რაღაც მოვლენა ან გზის მაჩვენებელი პიროვნება სჭირდებათ. ომის პერიოდში ან ომის მერე, ან თუნდაც გარდამავალ პერიოდში, როცა რწმენა იკლებს, როცა ძველი იდეალები იმსხვერვეა, მაშინ...

— არა, არა, ეს ყველაფერი ვიცი. მაგრამ აქ სულ სხვა რაღაც ხდება. თქვენ ეს ჭკუიდან შემშლელი სტრიქონები არ წავიკითხავთ. იქ ჩიხია, იქ გამოსავალი არ ჩანს. ეს არის აბსოლუტური უარყოფა და იმავდროულად — საოცარი ლტოლვა. ყველაფერი, რაც იქ წერია, სარემ თავად განიცადა, თავად იცხოვრა, არაფერი გამოუგონია.

ბიჭი ლაურას თვალს არ აცილებდა და თითქოს საკუთარი შათოსით ტკბებოდა. მისი სათვალის უკან რაღაც კრთოდა, რაღაც შეიცვალა მის მხერაში.

ლაურას გაახსენდა, როგორ გაემგზავრა თავისი პირველი სტიპენდიით კაიროში მაშინ, როდესაც ძველ ეგვიპტეს იკვლევდა, როდესაც ბედნიერი იყო, როდესაც რაღაც უყვარდა. ბიჭს ჭინი მოუტანეს. მან ჭიქა ხელში აიღო და ვიდრე მოსვამდა, ჯერ ცხვირთან მიიტანა და სასმელი დაყნოსა.

— ძალიან გთხოვთ! უნდა დამეხმაროთ.

— კი მაგრამ, მე როგორ უნდა დავეხმარო?

— ორი თვით პარიზში ვაპირებ წასვლას. აკადემიურს ავიღებ. მინდა ნაშრომი დავწერო, სამეცნიერო ნაშრომი. ამ სტრიქონების მიღმა ადამიანები მინდა ვიპოვო.

ახლა გაცილებით სწრაფად, ემოციურად ლაპარაკობდა, ცოტათი განითლდა კიდეც.

ლაურა ღუმდა და დაბნეულობისგან ღვინის ცარიელ ჭიქას მიშტერებოდა. მერე კიდევ ერთი ჭიქა ღვინო შეუკვია.

ღრო გაიწვია. წვიმამ იკლო. ჯერ ისევ ცხელი მათხული იყო. ლაურას გაახსენდა თავისი და, დისშვილები, სახლი ბელგიაში. გაახსენდა ის სასიამოვნო ხალხი, ვინც იქ გაიწვნო და ზოგადად ყველა, ვინც მასზე ლაპარაკობდა, რჩევებს აძლევდა. გაახსენდა და უცებ ზიზღი იგრძნო ამ ყველაფრის მიმართ. ღვინის ჭიქიდან ერთი დიდი ყლუპი მოსვა.

— აი, ნახავთ, ეს მასალა როგორ შეგიყვარდებათ, თქვენ...

— შემიყვარდება? რა სისულელეა. ჯერ ერთი, ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ. გარდა ამისა, ეს ისტორია ნაკლებად მინტერესებს. აპოკალიფსური წიგნებისა და შეთქმულების თეორიების ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი.

— ეს თეორია არ არის, ეს 14 ადამიანის სიცოცხლეა.

ბიჭი საოცრად განზილებული ჩანდა ლაურას რეაქციით.

ლაურა კი იჭდა და ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენი წლის იყო ეს უცნაური ბიჭი, ან საერთოდ რატომ შეხვდა მას? მთელი საღამო ჩაუშხამდა, მისი მშვიდი, ცარიელი და ფიქრებისაგან განძარცვული ყოფიერება დაირღვა. დარჩა მხოლოდ სინდისის ქენჯნა და კიდევ — მთელი ღამე იმაზე ფიქრი, რაც ახლახან მოხდა, საყვედურები საკუთარი თავისადმი და დანაშაულის შეგრძნება იმის გამო, რომ მასში თანდათანობით ყველაფერი კვდებოდა. ლაურას ემინოდა ასეთი ღამეებისა.

— მე მაინც დაგიტოვებთ ამ საქალაღდეს. შეგიძლიათ გადახედოთ მასალას და თუ მაინც ვერ დაგარწმუნებთ, მაშინ სხვა გზას ვიპოვი, კარგი?

— ჰო, კარგი. ჩავხედავ.

ლაურა გაღიზიანებული ჩანდა. ბიჭი აშკარად თავს ახვევდა რაღაც ისტორიას და ეს ყველაფერი უკვე ნერვებს უშლიდა მას. რაც შეიძლება მალე უნდოდა ამ აბეზარი ბიჭის თავიდან მოშორება.

ბიჭმა შავი და სქელი, ბაყაყივით გაბერილი საქალაღდე მაგიდაზე დადო. ლაურამ საქალაღდეს დახედა. ბიჭმა ერთხელ კიდევ სცადა საუბრის თავაზიანად გაგრძელება, მაგრამ ლაურას მოკლე და მშრალმა პასუხებმა ენთუზიაზმი დაუკარგა და დაემშვიდობა. იანი — სტუდენტი და ლაურა — გრენლანდიის პრინცესა, ცინულის დედოფალი. რა შესანიშნავი წყვილია, — ზიზღით გაიფიქრა ლაურამ, გაიღიმა და თავის აპიდაპიმი ჩაჯდა.

მთელი ღამე თეთრად გაათენა. დილის რვა საათამდე ათვალიერებდა საქალაღდეში ჩადებულ ქალაღდეებსა და ს ფოტოებს. აქ იყო პარიზის სურათები, სტატეები ძველი, გაყვითლებული გაზეთებიდან, ინტერვიუები, ჩანაწერები, აქ იყო ასოციაციურად რელევანტური სხვადასხვა მასალა, ფილოსოფიური სტატეები და ფრაგმენტები ანტიკური მითოლოგიიდან. და ბოლოს იყო თავად ის ფურცლები — ვინმე სარეს მიერ დაწერილი ტექსტი.

ლაურა კითხულობდა. კითხულობდა და ეწვოდა. გათენდა, წვიმაც შეწყდა. ლაურა სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და რალაცას თავისთვის ჩურჩულებდა. და მერე უცებ ატირდა.

11. ქალი (2004)

„ლინის დაბადების დღის წვეულება? ისეთი ქაოსი იყო, იმდენი ხალხი მოვიდა, იმდენი ბიჭი, აქამდე თვალთ რომ არ მენახა. ასაკის ბრალია-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მაინც უჩვეულოდ მეჩვენა. ასე არ არის? რაზე ფიქრობ? ზაფხულისთვის უკვე დაგეგმეთ რამე? რას აპირებთ? მე ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ლინს ძალიან უნდა საზაფხულო ბანაკში წასვლა, და მაშინ მე მარტო უნდა წავიდე ზაფხულში სადმე. ხომ იცი, სიცხეს ვერ ვიტან. რა? ევროპაში ვიმოგზაურო? ხომ არ გადაიროი? სად შემოძლია ამხელა მანძილზე... არა, ძალიან შორია. დედაჩემთან? ჯანდაბაში უფრო დიდი სიამოვნებით წავალ, ვიდრე ადელაიდაში მასთან. არა, გამოირცხულია. ტვინს გამიბურღავს ჭკუის სწავლებით — როგორ უნდა მეცხოვრა, რა არ უნდა გამეკეთებინა, რა შეიძლებოდა უკეთესად გამეკეთებინა.. სად შემოძლია მისი ქადაგებების მოსმენა. არა, ახლა გაცილებით უკეთ ვარ. სადმე წავალ, აი, თუნდაც ტაილანდში ან სადმე, იქვე ახლოს. თანაც აზიაში უკვე ნამყოფი ვარ. ჰო, უფრო პრაქტიკულია. წარმოდგენა არა მაქვს, უბრალოდ, ზაფხულის ამრიანად გატარება მინდა. მე მგონი, კარგი იდგა. მომბეზრდა აქ ყოფნა, და თან ამ სიცხეს ვეღარ ვიტან. წელსაც თუ ისე დაცხა, როგორც წინა წლებში, და ამბობენ, ძალიან დაცხებაო, მაშინ სიღნეში ნამდვილად ვერ დავრჩები... ამოვიხუთები. თან ზღვაზეც ვერ გავდივარ, მშენე ცუდად ვხდები. ჰო, ცუდად. შაკიკი მენწყება და ღამით ვეღარ ვიძინებ. თუმცა ღამით ისედაც არ მძინავს, უძილობა მჭირს. ჰო, ლინზე გიყვებოდი... იცი, მე მგონი გავუშვებ, რატომაც არა. სადღაც მდინარე მურეის მხარესაა ის ბანაკი. ლინი უკვე ემზადება და ძალიან უხარია. უკვე 15 წლისაა და არც არაფერი უშავს, წავიდეს. მე მის ასაკში გადაწყვეტილების მიღების უფლებას ვინ მაღირსებდა. თავისუფლება რა იყო, არ ვიცოდი. ღმერთო, როგორ მძულდა ეს უუფლებობა. ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ახლაც კი, ადელაიდაში რომ მივდივარ, კომპარია ჩემთვის. არასდროს მქონდა ათ საათზე გვიან სადმე დარჩენის უფლება. იქიდან სხვაგან რომ გადავედი საცხოვრებლად, მხოლოდ მაშინ.. მაგრამ ეს ხომ უკვე იცი. ჰო, სწორედ მაშინ ჩამოვედი სიღნეში და... ამერიკაში წავიდე სამოგზაუროდ? რამე გავახსენა? ოთხი თვე ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე ვმოგზაურობდით მაშინ.. არაჩვეულებრივი იყო, პირდაპირ გრანდიოზული. ვგიჟდებოდი, ისე მომწონდა ეს ყველაფერი. თითქოს ხელახლა დავიბადე. სულ სხვა ადამიანი ვიყავი, უკან რომ დავბრუნდი. მერე ორი თვის განმავლობაში მშობლებთან დალაპარაკების სურვილიც კი არ გამჩენია, წერილებზეც კი არ ვცემდი პასუხს, და როდესაც მამაჩემი სიღნეში ჩამოვიდა ჩემს სანახავად, დავემალე, მეგობარს ვათქმევინე, ვითომ ქალაქიდან ვიყავი გასული. რატომ? არ ვიცი, გაცოფებული ვიყავი. მთელი სიცოცხლე გამიმწარეს, ამდენი წელი ნამდვილი ცხოვრების საშუალება არ მომცეს. მერე გადამიარა. მეგობარი ბიჭი გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში, დრამერი იყო, რა ბედნიერი ვიყავი... სტუდენტობის წლები კარვად მახსენდება, შენ არა? მე ვფიქრობ, სტუდენტობის შემდეგ აღარ უნდა დავრჩენილიყავი სიღნეში. რატომ არ წავედი მაშინ ნიუ-იორკში? იმ დროს შემოთავაზებაც კი მქონდა, სიამოვნებით წავიდოდი იქ, მიყვარს

ნიუ-იორკი. უნდა წავსულიყავი, მაგრამ არ წავედი. ფრანკის გულისთვის დავრჩი.. არასოდეს გნდომებია სიდნიდან წასვლა? მართლა? მე კი ყოველთვის მინდოდა. მაგრამ დავრჩი. რა ვთქვა, იდიოტი ვარ. ჰო, ლინი. მაგრამ ლინს ნიუ-იორკშიც გავაჩენდი, მაქსსაც იქ გავაჩენდი და... შევინარჩუნებდი. კარგი, ამაზე აღარ ვილაპარაკებ, ნუ გეშინია. არ ავყვები ნერვებს, შემიძლია თავი მოვთოკო. მაგრამ რატომ არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, ჰა, ჯენ? რატომ არა? არ მესმის, რატომ არავინ არ ლაპარაკობს ამ ოხერ სიკვდილზე? სადაც მივდივარ, ყველგან უცნაურად მიყურებენ, ჩურჩულებენ, ყველა ფიქრობს, რომ ახლა ავინწყვტ და სისხლის გუბებს დავაყენებ...”

სისხლის გუბეები, ფრანჩესკა!

„განა ასე არ არის, ჯენ? იცი, ყველა თითს იშვერს ჩემკენ, ეს ის ქალია, შვილმკვდარი ქალი, გიჟი ქმარი რომ ჰყავდაო, მაგრამ მე? მე ხომ ცოცხალი ვარ და ნორმალურად საუბარიც შემიძლია. ხომ შემიძლია, ჯენ, თუ არა? ჰო, კარგი, გავჩერდები, კიდევ ერთი სკოტჩი შეუკვეთე რა ჩემთვის?! არა, ნასვამი არა ვარ, უბრალოდ, კიდევ ერთი ჭიქა სკოტჩი მინდა“.

ჯენი ბარბაცით გადის ტუალეტში. ორივემ დალია, მაგრამ ჯენი აშკარად დათვრა, ფრანჩესკა კი — არა. კი, უყვარს ფრანჩესკას დალევა, რატომაც არა?! რა, აკრძალულია? კვირა საღამოა და „Milky’s“-ი გადატენილია. საცაა იენისიც დადგება. მშვენიერი თვეა, თვე პანაშვილებისა და დაკრძალვების გარეშე. ფრანჩესკა ზის და ფიქრობს. ფიქრობს იმ უდაბნოზე, რომელიც მის სულში მეფობს, ფიქრობს იმ უსასრულო და უკაცრიელ გზაზე, რომელიც უდაბნოს უსულო ქვიშაში სულ უფრო ღრმად ეფლობა, ქვიშის ოკეანეში იკარგება და მასაც თან მიათრევს.

თავი ჩიტებით მაქვს სავსე. ჩემი ბალიშის უკან ნავარდობენ, წრეს კრავენ. ღამე იწურება და ფილტვები მესხნება. ისევ ვსუნთქავ. შენზე ვფიქრობ, მაქს. ხშირად ვფიქრობ შენზე. და ვფიქრობ, რომ ერთ დიდ უდაბნოში მივდივართ მე და შენ, მხოლოდ ჩვენ ორნი. ჩვენ ხომ სულ ერთად ვიყავით, შენ — ჩემთან ერთად და ჩემში. ჩემს ფიქრებში, ჩემს ხილვებში, ჩემს წარმოდგენაში. სულ ერთი ციდა მოველინე ამ ქვეყანას, ამ დაწყველილ ქვეყანას, მაქს. და მეგონა, რომ უერთმანეთოდ ვეღარ აა დით. შენს დასთან ურთიერთობისას რალაც შემეშალა, გამომეპარა, მაგრამ შენ, შენ, მაქს, სულ ჩემთან იყავი, ვიდრე დაიბადებოდი, მანამდეც. მაშინაც ჩემთან იყავი, ჩემს სხეულში, ჩემს ფიქრებში, ჩემს სულში. და მერე, როცა დაიბადე, სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ იყავი ასეთი განსაკუთრებული? რატომ არ ჰგავდი სხვა ბავშვებს, რატომ მათსავით არ ცელქობდი და არ ურჩობდი, როგორც თუნდაც შენი და? ერთხელ შევესწარი, როგორ ელაპარაკებოდი შენს ოთახში ვიღაც უხილავს, ან იქნებ საკუთარ თავს, მეორე მაქსს. ეს ნოემბერში იყო, იანვარში კი უკვე აღარ მყავდი, მიმატოვე. როგორ მინდოდა, რომ ის უხილავი მე ვყოფილიყავი, რომ ჩემთან გელაპარაკა. როგორ მინდოდა, რომ შენი ნაწილი ვყოფილიყავი, მეორე მაქსი.. აუცილებლად მოვალ შენთან, აუცილებლად გიპოვი, მოგიტაცებ და შენს ზღაპრულ სამყაროში შენთან ერთად ვიმოგზაურებ! აუცილებლად, მაქს! და მერე მსოფლიოს ყველა კარუსელს მოვივლით, ცისფერ და ვარდისფერ ცხენებზე ამხედრებულები.

ისე მენატრები, მაქს... ჩურჩულებს და მეგობარს უყურებს, რომელიც ორი საცხე ჭიქით ხელში მაგიდას უახლოვდება. ოჰ, ჯენი, ჯენი!

მაშინ, დაკრძალვამდე, ჯენის ჯინსის შარვალი ეცვა და ყველა ამბობდა, ასე არ უნდა მოქცეულიყო. მიაჩნდათ, რომ ჯენის საქციელი არ იყო სწორი. შავი ტანსაცმელი რატომ არ აცვიაო, გაკიცხეს. ფრანჩესკამ მაშინ ჯენს თვალეებში ჩახედა და შიში დაინახა, ერთი აუწერელი შიში; შიში მეგობრის გამო, საკუთარი ცხოვრებისა და მომავლის გამო. ფრანჩესკამ ჯენის თვალეებში თავისი დამსხვრეული სამყარო დაინახა და მას, მხოლოდ მას დაუჯერა, რომ განიცდიდა.

— ევროპაში წადი. შენ ხომ საბერძნეთზე აბოლებ, იქნებ ამან მაინც გამოგვიყვანოს მდგომარეობიდან. ან რომში წადი. რომში ხომ სხირად ლაპარაკობდი და იქნებ იქიდან პარიზშიც გაიარო.

— კარგი, რა, ჯენ! იქ რა მინდა? მარტო ხომ არ ვიმოგზაურებ? იქ რა დამკარგვია?

— პარიზში ბიძაშვილი მყავს. ქალაქს დაგათვალიერებინებს. შემოძლია დავურეკო და ვთხოვო, რომ შეგხვდეს, მარტო რომ არ იყურყურო უცხო ქალაქში. სასტუმროში დაბინავდები, რომელიმე სუთვარსკვლავიან ფემენებელურ სასტუმროში. შეირგე. ცოტა ცხოვრება გაიხალისე! ფრენსი, ასე არ შეიძლება. როცა ჯენი ნასვამია, სენტიმენტალური ხდება, მაგრამ უხდება, ძალიანაც უხდება.

შუალამე ახალი გადასულია, „Milly's“-ი გადაჭედილია, ყველაფერი კვამლში იხრჩობა და ორთქლში იხუთება, და წრეზე ტრიალებს. ევროპაში წასვლა, შორს წასვლა, რომში, ათენში.. თუ უდაბნოში, ყველა ერთი ჯანდაბაა.

ასე უსხედან მაგიდას ორნი — შუახანს მიტანებული ქალები — და ერთმანეთს საკუთარ ისტორიას უყვებიან, სხვადასხვა ისტორიას, რომელთაც არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. სხედან ასე და ყვებიან. ერთ-ერთი მათგანი ჩვეულებრივი ქალია — მუშაობს, ორი ბიჭი ჰყავს და იმაზე ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეშია. მას ჯენი ჰქვია, წაბლისფერი თმა აქვს და ებრაულ-ორთოდოქსული ოჯახიდან არის, რომელსაც კარგა ხანია გამოეყო და უარი თქვა რელიგიურ ტრადიციებზე. მეორე უბრალოდ ქალია, განადგურებული ქალი, თანაც ცუდი დედა — რაც ებადა, ყველაფერი დაკარგა. და აი, ეს მეორე ქალი ცდილობს, რომ თავისი ისტორია მოყვეს, მეგობარს უამბოს ისტორია, რომელსაც დასასრული ექნება. ისტორია, რომელიც ბოლოს და ბოლოს დამთავრდება. მას უნდა, რომ ეს ისტორია დაასრულოს.

ამიტომ უნდა, რომ მოყვეს. მოყვეს, როგორ დაბრუნდა ერთ დღეს სახლში, იანვრის ერთ ქარიან ნაშუადღევს, ორი კილო ჰამიდვრითა და ბაზარში ნაყიდი, ქაღალდში გახვეული თევზით დატვირთული (სიღნის თევზის ბაზრობებზე თევზს ასე ფუთავენ ხოლმე). როგორ გადმოვიდა მანქანიდან და სახლის კარი გააღო. როგორ შევიდა სახლში, საკუთარ სახლში. მერე როგორ დაუძახა თავის პეტარა ბიჭს (ქალიშვილი ამ დროს ბებიასთან იყო სტუმრად წასული) და მერე ქმარს, რომელსაც იმ დღეს თავისუფალი დღე ჰქონდა, და არავინ რომ არ უპასუხა, როგორ ავიდა ზევით, და როგორ იპოვა ქმარი, რომელთანაც რვა წელი სარეველს იყოფდა, და საერთოდ ცხოვრებას იყოფდა.

ჰო, უნდა მოყვეს, როგორ იპოვა დერეფანში ქმარი, ბავშვის ოთახის წინ, იატაკზე დაგდებული და ტვინგასხმული, სისხლის გუბეში. როგორ გაიქცა, როგორ გადაახტა გაქვავებულ სხეულს და მაშინვე ბიჭის ოთახში შევარდა, რომ ენახა სანაოლის ქვეშ შემძვრალი შვილი, ატირებული და აკანკალებული, ალბათ ჩასველებულიც, და

აღბათ სამუდამოდ დადუმებულიც ამ საშინელების ე შემხედვარე. სწორედ ასე ფიქრობდა, ოთახისკენ რომ გარბოდა.

მერე შვილის ოთახში შევარდა და... მთელი სამყარო ჩამოინგრა, ერთ წამში ჩამოექცა თავზე, რადგან მოსაძებნი არავინ ჰყავდა, რადგან ის, ვისაც ეძებდა, ხუთი წლის ბიჭი, სანოლოზე მშვიდად იწვა და ღია თვალებით რაღაცას მიშტერებოდა. სახეზე კი სილურჯე გადაჰკრავდა.

აღბათ კიდევ 500 წელი იჯდა მის სანოლოთან, ვიდრე. მიხვდა, რომ ბავშვიც მკვდარი იყო. უნდოდა მოეყოლა, როგორ კოცნიდა და როგორ ელაპარაკებოდა ბიჭს, თავს - როგორ ირწმუნებდა, რომ შვილი ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალივით გამოიყურებოდა. მერე, ოდესღაც როგორ დაადო გულზე ყური, როგორ გაესინჯა პულსი, როგორ აიყვანა ხელში, რომ სიმართლე დაეჭერებინა, დაეჭერებინა, რომ ბავშვი ჯერში კი არა, აღარსად აღარ იყურებოდა, ის აღარ იყო. გავუღულიაო, უთხრეს. ბალიშით, საკუთარი ბალიშით გაგუდეს, ზედ მოხატული დათუნიებით, თათვლს რომ მიირთმევდნენ... დიდმა კაცმა პატარა კაცს ვერ ესროლა, დათუნიებიანი ბალიშით გაგუდა. აი, ამ ამბის დასასრულის მოყოლა უნდოდა ფრანჩესკას, მისი მოსაყოლი ძალა რომ ჰქონოდა.

12. ოლგა (1986)

ახლა ოლგა ძირითადად სახლში იჯდა და გარეთ აღარ გადიოდა. სადმე რომ ეპატიუებოდნენ, უარს ამბობდა, სემინარებს ხშირად აცდენდა, ლექციებსაც უკვე იშვიათად ესწრებოდა. საციდლებზე გასვლა ავიწყდებოდა და ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ელაპარაკებოდა ლიდიას, თავის ძალღუს. სამაგიეროდ, ყოველ საღამოს თავის სანერ მაგიდასთან იჯდა და წერდა.

სტრიქონ-სტრიქონ, სიტყვა-სიტყვით იწერდა ოლგა ტექსტს გაყვითლებული წიგნიდან, რომელიც რამდენიმე კვირის წინ იყიდა. იმედი ჰქონდა, რომ ასე უფრო ღრმად ჩასწვდებოდა ნაწერის აზრს, თუმცა, საბოლოოდ ამას არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ამით იყო დაკავებული და ეს მის ცხოვრებას, როგორც ჩანს, აზრს სძენდა.

წიგნი ოთხი დღით საუკეთესო მეგობარს, ნადინს ათხოვა, და როდესაც ნადინმა წიგნი ოთხ დღეში არ დაუბრუნა, ოლგა გაცოფდა, ველოსიპედს მოაჯდა, ნადინთან წავიდა და წიგნი ხელიდან გამოვლიჯა. თანაც ერთი გვარიანად გამოლანძღა. ნადინმა ოლგას საქციელი ვერაფრით ვერ ახსნა და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მაგრამ ოლგა ორი კვირის მერეც რომ არ გამოჩნდა, მეგობარზე წერვიულობა დაიწყო.

თავად ოლგას ეს ინციდენტი არც ახსოვდა. საერთოდ არავინ და არაფერი აღარ ახსოვდა, რადგანაც წერდა და ეს სრულ ბედნიერებას ანიჭებდა. მის ცხოვრებას აზრი მიეცა. ახლა მას წიგნი ჰქონდა. სხვა ყველაფერი უმნიშვნელო და სასაცილო ეჩვენებოდა. ოლგა ახლა ძლიერი იყო და რწმენით აღსავსე. ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ წიგნი იყო, ისევე როგორც სხვა ყველაფრის მიზეზი. ოლგა წიგნს მონდომებით სწავლობდა, ახლა წიგნის ყოველ სტრიქონს იცნობდა, კითხულობდა და კითხულობდა, წერდა და წერდა. წიგნს რაღაც საოუცარი ზემოქმედების ძალა ჰქონდა, ისეთი, აქამდე რომ არ განუცდია. წიგნმა ოლგას გარემოც ყველაფერი

მოაჯადოვა. ოლგა თანდათანობით ხვდებოდა, რომ ბედნიერება. ძალიან ახლოს იყო.

ერთ საღამოს კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ოლგა ერთ პატარა ქუჩაზე ცხოვრობდა, ბერსიში. იშვიათად სტუმრობდა ვინმე.

ოლგა ამ საღამოსაც მთელი ნეტარებით ემზადებოდა გადაწერისთვის. იმის წარმოდგენამაც კი, რომ კარს უკან ალბათ ნადინი იდგა და ლაპარაკს გაუბამდა, საშინლად გააღიზიანა. გადანყვიტა, კარი არ გაეღო. მაგრამ ოლგა ჯერ კიდევ ოლგა იყო, თანაც ჭკვიანი — იცოდა, კარს თუ არ გააღებდა, ნადინი დაეჭვდებოდა. ეს კი არ უნდა დაეშვა, ამიტომ ოლგამ კარი გააღო და ნადინს ეს სიტყვები შეაგება:

— მიხარია, რომ მოხვედი, ვწუხვარ, რომ ამას წინათ ასე უხეშად მოგექეცი.

ნადინს სახე გაუნათდა და გოგონები ერთმანეთს გადაეხვივნენ. უცხად ყველაფერი შეიცვალა. თითქოს ურთიერთობა აღდგა, თითქოს არც არასდროს განწყვეტილა. მერე პატარა სამზარეულოში შევიდნენ, სადაც იატაკზე ლიდიას ეძინა, და კუთხეში დასხდნენ. ყავა დალიეს და ნადინის მოტანილი ბელგიური შოკოლადის კანფეტებიც მიირთვეს. თან ლიდიას ხვრინვას ისმენდნენ. სანყალი, თანდათან სულ უფრო ბერდებოდა.

ოლგას ერთი ძველმოდური შავი კაბა ეცვა, თეთრი კოპლებით, ნადინს ეს კაბა მის ტანზე არასდროს ენახა. თმები შეემოკლებინა — ნადინს ესეც მოხვდა თვალში. ოლგას თვალები უბრწყინავდა. ოდნავ უფრო ეითორიული ჩანდა, ვიდრე სხვა დროს. ნადინი ცოტა დაიბნა, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— უნივერსიტეტში ვერ გნახე, ზოგიერთმა გიკითხა კიდევ, წარმოგიდგენია, მიშელმაც კი მოგიკითხა. ხომ მოგწონს ეგ ბიჭი, არა? მემგონი, მასაც მოსწონხარ. მშვენიერი გარეგნობა აქვს, შენ რა ტიპებიც მოგწონს ხოლმე, იმათ ნამდვილად სჯობია.

ნადინი ცდილობდა უდარდელი და მხიარული მოსჩვენებოდა ოლგას.

— რა? სულაც არ მომწონს, არანაირად არ მაინტერესებს და საერთოდ, უნივერსიტეტში ყველა იდიოტია, შენ გარდა.

— ესეც სიახლეა, არა?

— რატომ?

— რა ვიცი, ახალი ვარცხნილობა გაქვს, რაღაც სასაცილო კაბა გაცვია და ორი კვირაა არ გამოჩენილხარ, დაიკარგე. რამე მოხდა? შეყვარებული ხარ?

ნადინი ხშირად ფიქრობდა იმ წიგნზე, რომლის წაკითხვაც უდროობის გამო ვერ მოახერხა. მხოლოდ ისე, უგულისყუროდ გადაფურცლა. წიგნი გაცრეცილი იყო, ნადინს დანახვისთანავე არ მოეწონა. თუმცა მაინც ვერ ხვდებოდა, სინამდვილეში რატომ არ მოუნდა მისი წაკითხვა.

— რა სისულელეა, ხომ გითხარი... არაფერი არ ხდება. უბრალოდ, ცოტა ხანს განმარტოება მინდოდა. ბოლო სემესტრი ძალიან დამღლევი იყო და ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მითქი.

— უნივერსიტეტში დიდი ამბებია, სტუდენტებს დემონსტრაციებზე გამოსვლა უნდათ, მეც ვაპირებ საპროტესტო აქციის მოწყობას. შემოგვიერთდები?

— რას აპროტესტებთ?

— იცი, მე ვფიქრობ, რომ რაღაც უნდა შევცვალოთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების რაოდენობამ იკლო, ხარჯებიც შეამცირეს. ბევრი სტუდენტი ფიქრობს ასე. აბა, შეხედე, ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდება და...

ნადინი ცოტა ხანს კიდევ ქადაგებდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების, ქალთა უფლებების შესახებ, იმის შესახებ, რომ წინა ათწლეულების დემონსტრაციების გამოვრება მოუწევდათ და ასე შემდეგ.

ოლგა უყურადღებოდ უსმენდა, და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ნადინი როდის წავიდოდა, რომ თავის ჩვეულ საქმიანობას დაბრუნებოდა.

— ესე იგი ჩემი კაბა არ მოგეწონა? — ჰკითხა უცებ ნადინს და გაუღიმა.

— რა? აჰ, ჰო, რატომაც არა, გიხდება, ცოტა ძველმოდური კია.

— ჰო, კოსტიუმების მაღაზიაში ვიყიდე, მონმარტრზე, ძალიან მომეწონა.

— საერთოდ მისმენდი?

— რა თქმა უნდა... მაგრამ ხომ მიცნობ, პროტესტი, დემონსტრაციები და პროთესტანტები არ მაინტერესებს, ამისთვის არ ვარ შექმნილი.

— აბა რისთვის ხარ შექმნილი?

ნადინი ნაწყენი ჩანდა. ოლგასთვის სამყარო სულერთი იყო. ადრე ნადინს ოლგა ჯერ კიდევ მოუხმითვებელ და ცოტა არ იყოს ქარათუბუტა (მაგრამ გულუბრყვილო, საყვარლად ქარათუბუტა) გოგონადაც კი მიაჩნდა, მაგრამ მისგან ასეთ იგნორირებას არ ელოდა, ოლგას საქციელი ეგოისტურად მოეჩვენა.

— ამას მალე გავარკვევ. — უპასუხა უცებ ოლგამ. ასეთ კითხვებზე სხვა დროს პასუხს არასდროს იძლეოდა. ნადინი გაშრა, მეგობარს გაოცებულმა შეხედა, მერე ადგა და სამზარეულოდან გავიდა.

— როცა გაარკვევ, შეგიძლია მომაკითხო.

ოლგას არ შეუჩერებია, მიუხედავად იმისა, რომ ნადინს ამის იმედი ჰქონდა. ოლგა სამზარეულოში დარჩა და რამდენიმე წუთის განმავლობაში კარს მიმტერებოდა, რომელიც ნადინის წასვლის შემდეგ ღია დარჩა. მერე მიტრიალდა და სანერი მაგიდისკენ გაემართა.

გვიანი საღამო იყო. ირგვლივ სიმშვიდე და სიჩუმე სუფევდა. ოლგას მოეჩვენა, რომ მისი ოთახი აბრეშუმის ციხესიმაგრედ გადაიქცა; უცნაური სითბო ჩაეღვარა გულში. სამყაროს ზემოდან დასცქეროდა, და ტკბებოდა ამ საუცხოო და ამასთანავე საშინელი სანახაობით. იმ წყნარ ღამეს, როდესაც ოლგამ თავის უწინდელ ცხოვრებასთან დამშვიდობება გადაწყვიტა, პირველად დაესიზმრა სარე.

13. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

„მე დაწერე წიგნი! გულს ამოვიგლეჯე მკერდიდან, ტვინს ამოვიღე თავიდან და ხილულს გავხდი, რათა ყველამ ჩაიხედოს მასში. ფერფლს, ნაცრის თითოეულ ნაწილაკს ჩამოვაფუშნი დანახშირებულ სხეულს, ვიდრე არ დაუბრუნდები საკუთარ სანყისს — ჩემი ბირთვის უმცირეს ნაწილაკს.

არ გავჩერებულვარ, მივდიოდი და მივდიოდი. მას შემდეგ, რაც ხმელეთზე მყარად დავდგი ფეხი, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის ქარმა თავის ნაზ ხელებზე დასვენებული აქ მომაქროლა, ვდგავარ და ველოდები. ველოდები ღმერთს. ის კი არ მოდის, არ მპასუხობს. კარი მომიხურა.

სამყარო მისმა აჩრდილომა ჩაანაცვლა. დაბრუნება მინდა. უბრალოდ დაბრუნება მინდა. ნახევრად გარდაცვლილები დამლოვილივებენ თავზე და თან წაგვიყვანო, მევედრებიან. მე კი მათ ვეუბნები, ტყვია რომ მქონდეს ხელთ, ზურგში გესვრით-მეთქი.

ჰო, წასვლა მინდოდა, უცილობლად მინდოდა წასვლა. ბაბილონამდე ჩავაღწიე და.. ყველა კედელი მიწასთან გავასწორე, ბალები გავაუდაბნოე. მინდოდა ყველა სახის სიყვარულისთვის თავი მომეკვეთა, რადგან ვისაც უყვარდა, ყველა დამუნჯდა.

ოფელია კი მანც მომდევდა და მომყვიროდა: არავინ მოვა, აღარაფერი შეიცვლება.

მე სარედ ვიქეცი.

ვიცი, გავიმარჯვებ. და მერე ოფელიას თავს წავაცლი, გაუთავებელი წუნუნის გამო... მედოსიდან სირიამდე და ბიზანტიიდან ატლანტიდამდე — ყველამ და ყველაფერმა მოსვენება უნდა პოვოს, ძილს უნდა მისცეს თავი, უკანასკნელ ძილს!

მივდიოდი, არ გაუჩერებულვარ... ო, რა სიამოვნებით შევათქვეფდი შხამით ავსებულ ჩემს ბოლო ჭიქაში ეშმაკსა და ღმერთს ერთმანეთს და ერთ ყლოუპად დავეცლიდი ჭიქას, რათა ანგარიში გაგვექვითა“.

წერა შეწყვიტა. ჩვიდმეტი წლის გოგო იყო, სიცოცხლისაგან დაცლილი მზერითა და ცივი, სასონარკვეთილი გამომეტყველებით. მას შემდეგ, რაც სახლიდან გაიქცა, მართლობას დაუშეგობრდა.

არავინ ჰყავდა. არც სურდა, რომ ვინმე ჰყოლოდა. ოჯახს რომ ეპოვა, გიჟად შერაცხავდნენ, ფსიქიატრიულში გამოკეტავდნენ. ისე, ცოტა უფორმო კი იყო, არც ლამაზი ეთქმოდა.

სამაგიეროდ თვალები... მშვენიერი თვალები ჰქონდა და ხმა, რომელიც თითქოს სხვა, გარდასული ეპოქიდან მოდიოდა. პარიზის ლათინურ კვარტალში, ერთ-ერთ მანსარადაში ცხოვრობდა. ხანდახან საქურდლად გადიოდა და ლამდამობით სიბნელეს ესაუბრებოდა. არავის იცნობდა და არც მას იცნობდნენ. სასონარკვეთილება ისე დაუფლებოდა, მართლობას და შიშს ისე გამოეხრა, რომ მწუხარების ჭეშმარიტ მბრძანებლად გადაქცეულიყო.

სამჯერ შეეცადა ეპოვა სიყვარული. პირველად მაშინ, ჯერ კიდევ ოჯახთან ერთად რომ ცხოვრობდა იმ, სხვა სამყაროში, ახლანდელისგან ოდნავ განსხვავებულ კოშმარში.

სწორედ თავის სიყვარულზე უამბობდა გოგონა სამყაროს. სამყაროს კი ეს ამბავი სრულიადაც არ აინტერესებდა. გოგონას ტკივილი ჯერ გაღრმავდა, მერე გაჭიუტდა, ბოლოს კი ისე გამყარდა, რომ ლამის მთელი სამყაროს მწუხარებას დაეპატრონა. და რადგან ასე მოხდა, გადაწყვიტა, ყველაფერს თან ავიწებებ, ყველანაირ სისაძაგლეს, შიშს, ძრწოლასა და ღვთის წყრომას შევისრუტავ, რომ საკუთარი შიში დაეძლიო.

დღე დღეს მისდევდა და გოგონა სულ უფრო მეტად იკეტებოდა საკუთარ თავში. ყველაფერი გაფერმკრთალდა, ფერები დაკარგა, გაუფერულდა.

როცა წვიმდა, სახლის სახურავზე ადიოდა და ქალაქს გაჰყურებდა. და ასე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე სულ უფრო ცივდებოდა და იყინებოდა მისი სახლი, მისი სასახლე.

ზოგჯერ მონმარტრზე მდებარე პატარა ღვინის მაღაზიიდან წითელ ღვინოს იპარავდა და ფანჯრის რაფაზე შემომჭდარი, ჭიქას ჭიქაზე წრუპავდა. იმედი ჰქონდა, რომ სიცარიელეს განდევნიდა, მაგრამ ამაოდ.

ხანდახან ნელთბილ აბაზანაში წვებოდა და ოცნებობდა, ანდა თავის აზრებს ჯერ კიდევ სკოლისდროინდელ რვეულში იწერდა. სტრიქონები სულ უფრო ბუნდოვანი ხდებოდა, წითელი ღვინის ყოველი ყლოუპი ერთ ყლოუპ სიმარტოვეში ირეოდა, რომელსაც გოგონა მორჩილად და უხმოდ სვამდა. სვამდა და სვამდა.

ხანდახან ფილტრგამოცლილ სიგარეტს ეწეოდა და უსმენდა, როგორ უმღეროდა ღამე გრძელ, მწუხარებით აღსავსე სიმღერებს სიყვარულსა და ბედნიერებაზე, მაგრამ გოგონა ვერც ერთს პოულობდა და ვერც — მეორეს.

ღრო გადიოდა. შიში მასში სიმსივნესავით იზრდებოდა და თანდათან ჭამდა. ყვირილს აზრი აღარ ჰქონდა. გოგონა დამუწკადა, ყოველ ღამე პატარა ნაწილს ათლიდა საკუთარ ენას და ყლაპავდა. ტკივილით აღარ სტკიოდა. გულსაც იმავს უკეთებდა, აჭრიდა და აჭრიდა. და ბოლოს ნეკნებს მიღმა გულის ნაცვლად ნახვრეტელა რომ დარჩა, იქ შეიყუჟა, სწორედ იმ ნახვრეტში იპოვა თავშესაფარი.

ერთ დღესაც გადაწყვიტა, რაც შიგნით ჰქონდა, ფორთოხლის წვენივით გამოეწერა.

ქარი კოჭებზე ეფერებოდა. გოგონა შემსუბუქდა და სახურავებზე ფრენა ისწავლა... „ალბათ ჩემი ოცნებების სანოლში მოვკვდები“, ფიქრობდა თავისთვის, მე წავალ და თოვლი ჩემს ყველა ნაკვალევს წაშლის. და როდესაც ციდან თოვლის ბოლო ფიფქი ჩამოვარდება, მე ძილს მივეცემი.

გოგონა წამოჭდა. პარიზში გვიანი ღამე იდგა. გოგონა საკუთარ სანოლზე იჯდა და სიზმრისეული ბურუსიდან ვერ გამორკვეულიყო.

სარე, სიცოცხლისაგან დაცლილი ეს პატარა გოგონა, შუალამისას პარიზში პატარა ლამპას კანკალით ანთებდა და ბუტბუტით იმეორებდა: „ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი კარგად იქნება... ყველაფერი... კარგად იქნება... ყველაფერი...“

14. ძმა (1968)

პატრისი Pont d'Arcole-ზე იდგა და ხიდიდან სენას ჩასცქეროდა. ქუჩებში სამყაროს შეცვლის სურვილით შეპყრობილი უამრავი ადამიანი ირეოდა. 1968 წლის აპრილი იყო. პროფკავშირი პროტესტს უცხადებდა დანესებულებებს, სტუდენტები საპროტესტო აქციებს აწყობდნენ. დედა საშინლად ნერვიულობდა და ხშირად სწერდა წერილებს. ხანდახან თვითონაც ეხმიანებოდა დედას, სატელეფონო ჯიხურიდან ურევავდა. თუმცა, მთელი ეს აურზაური მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო.

კიჩოსთან გული ლამისაა ამოვარწყიო,
ჩემი ამღვრეული, ჩემი დაბოლილი გული.
იქ, კიჩოსთან, მავანნი ტალახს ერთმანეთს
უმონყალოდ ესვრიან.
ისე ხორხოცობენ და ისე კვიან,
რომ ყურის ბარახნები მისკდება;
თურმე იცინიან გულით...

არტურ რემბოს ამ სიტყვებზე ხშირად ფიქრობდა, ხანდახან მარი ბესონვილზეც.

მსოფლიო აირია და არეულობამ ნანტერმიც შეაღწია. საბეჭდ მანქანასთან თითქმის ვეღარ ახერხებდა დაჯდომას, ხმაური უშლიდა ხელს. მთელი დღეები ქალაქში დახეტიალობდა, თითქმის ყველა ხიდი მოიარა. უყვარდა ხიდები. ადამიანები არ უყვარდა. ოცნება თავისუფლებაზე, როგორც ჩანს, მალე საპნის ბუშტივით გასკდება და იმედგაცრუება, რომელიც უფრო და უფრო მატულობს, ყველაფერზე გაბატონდება.

მარი ახლაც ალბათ რომელიმე დემონსტრაციაში იღებს მონაწილეობას. ეს ფსევდომემარცხენეები. გარსონი დაუსრულებლად წუნუნებს. პატრისს თავი სტკივა. დედასგან მოდის და მოდის ტელეგრამები. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება მაინც ის არის, რომ ბოლო ხანს ვერაფრით ვეღარ წერს.

ამას წინათ ერთ თავის ლექტორს რამდენიმე ნოველა მისცა წასაკითხად. მერე სტუდენტურ გაზეთში დაუბეჭდეს. ახლა ეს ნოველებიც სტულს. მორალური იდიოტიზმია. ყველაფერი საზიზღრობაა, მის გარდა. მხოლოდ ის არის მისი ცხოვრების მეგობარი. არადა, როგორ უჭირს, რომ ფეხი აუნყოს, არ ჩამორჩეს მას!

პატრისი ხიდზე დგას და ეწევა. გამვლელები გვერდს უვლიან. ის საშუალო სიმადლისაა, ზომიერად გამხდარი, და უცხო ამ ქალაქისთვის.

სახლში დაბრუნებულს ოთახში ღია ბარათი დახვდა, გარსონმა ამოუტანა. ანესგან იყო. სწერდა: „პარიზში ვარ. მარენიდან წამოვედი. უკან აღარ დავბრუნდები. დედამ იცის. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. თავს ნუ შეინუხებ და ნუ შეეცდები, რომ აზრზე მომიყვანო. აქ ვრჩები. მეგობართან ვცხოვრობ, Parc des Buttes Chaumont-ის 16 ნომერში. თუ გინდა, გამომიარე. იმედია, არ გამიბრაზდები. ანე“.

პატრისი ფიქრებმა წაიღო. სანერი მაგიდისაკენ გაემართა. გარსონი სააბაზანოშია, შხაპს იღებს და თან რაღაცას ლილინებს.

სალამოს ხუთი საათია, საერთო საცხოვრებელში უჩვეულო სიცარიელეა გამეფებული. პატრისს თავი უსკდება ფიქრით, ვერ გადაუწყვეტია, ანესთან წავიდეს თუ არა. უცებ მაგიდას მიუჯდა, საბეჭდ მანქანას შალითა გადაადრო და უაზროდ მიაშტერდა. ბეჭდავს „ს“-ს და ა-ს. არაფერი გამოსდის. ის გაქრა, აღარ ეჩვენება. დროა, ისევე იპოვოს.

სკამიდან ისევე უეცრად წამოხტა, როგორც დაჯდა.

ქერთუქს ხელი წამოავლო და ოთახიდან გავარდა. ქვემოთ, გასასვლელთან, მარი ბესონვილს გადააწყდა იმ სულელ ინგლისელთან ერთად. გვერდის ავლას აპირებდა, მაგრამ მარიმ შეამჩნია, მისკენ წამოვიდა და გადაეხვია.

მარი: პატრის.

ძმა: გამარჯობა!

მარი: რამდენი ხანია გეძებ.

ძმა: აჰ, მართლა?! იცი, მე... ჩემი და ჩამოვიდა პარიზში.

მარი: რა კარგია. შენი ნახვა მინდოდა.

ძმა: ხომ მხედავ!

მარი: რა გჭირს? ასე რატომ მელაპარაკები, თავს რატომ მარიდებ?

ძმა: არა, მე... შეუძლოდ ვიყავი.

მარი: წამოდი, წამომყევი. ცოტა ხნით წამომყევი!

ძმა: მაგრამ...

მარიმ ხელი ჩაავლო და გაიყოლა. ინგლისელს კი, რომელიც ორივეს გაოცებული მისჩერებოდა და თავს ალბათ იდიოტივით გრძნობდა, ხელის დაქნევით დაემშვიდობა.

მარი და პატრისი მეტროში ჩადიან და ქალაქის ცენტრში მიდიან. მარი მთელი გზა პატრისის ხელებს მისჩერებია. პატრისი ჯიუტად ღუმს. მთელი გზა.

პარკში, სადაც ბოლოს აღმოჩნდნენ, პატრისი არასდროს ყოფილა. მარი მთელი გზა გვერდით მიჰყვებოდა.

ბოლოს ერთი ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. გარშემო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ცა ისე იყო მოღრუბლული, ალბათ წვიმა დასცხებდა.

მარი: უნდა დაგველაპარაკო.

ქმა: ამისათვის აქ უნდა მოვსულიყავით?

მარი: მიყვარს ეს პარკი, თანაც ამ დროს აქ ცოტა ხალხია ხოლმე.

მარის თმა მალლა აქვს აწეული, შავი შარვალი და მამაკაცის თეთრი, ფართო პერანგი აცვია. პატრისის ის საღამო ახსენდება, ნანტერის ოთახში. ამის გახსენებაზე სინთლე გადაჰკრავს.

მარი: მომწონხარ, პატრის, და არ ვიცი, ჩემი რატომ გეშინია. განა ასეთი ცუდი ვარ?

ქმა: არ მეშინია, უბრალოდ...

მარი: არა, პატრის, ჩემი გეშინია და იმ საღამოს მერე გამირბიხარ. ხომ ყველაფერი კარგად იყო, არა? მეგონა, შენც მოგწონდი.

ქმა: არ მესმის, ჩემგან რა გინდა.

მარი: (გაკვირვებული) რა მინდა? მე მეგონა... ერთი და იგივე რამ გვინდოდა... შენ კი... შენი ნამდვილად ვერაფერი ვერ გამიგია! გინდა?

(მარიმ ჩანთიდან პატარა პარკი ამოიღო. მოსაწვევი. მარი თანამედროვე გოგოა. ბოლო დროს სულ უფრო მეტად დგას ამ მოსაწვევის სუნი უნივერსიტეტის ტუალეტებში, ეზოში. მარი ბალახის მოხვევას იწყებს).

მარი: საპროტესტო აქციებში რატომ არ მონაწილეობ? ხომ იცი, რა მნიშვნელოვანია! რატომ არ დადიხარ ჩვენთან ერთად? რატომ არ გიყვარს ადამიანები?

ქმა: ასე რატომ ფიქრობ? უბრალოდ, ბევრი საქმე მაქვს.

მარი: (ხმამალლა) საქმე გაქვს? საქმე? მართლა? ჰო, კარგი, სასიამოვნო ისტორიებს წერ, მაგრამ ამ ისტორიებშიც ხომ ადამიანებზეა საუბარი, შენ კი წარმოდგენაც არა გაქვს...

ქმა: შენ რა იცი?

მარი: წავიკითხე.

პატრისის ამკარად რცხვენია.

ქმა: ეს მხოლოდ ისე... თანაც ეს უბრალოდ ჰობია.

მარი: ეს არ არის უბრალოდ ჰობი, პატრის! შენ მხოლოდ ლიტერატურა გაინტერესებს, ლექციებზეც ასე იყო.

სხვა ყველაფერი ფეხებზე გკიდია. ამას ყველა ამჩნევს.

ქმა: მერე რა. სულ ერთია.

მარი: და მე? მეც სულერთი ვარ შენთვის?

ქმა: მაშინ ჩემი შეგეშინდა, არა?

მარი: (თავჩაქინდრული) რალაც სხვანაირი იყავი, და ელოდი, რომ მეც იგივეს... მაგრამ, არა, არ შემშინებია, მომეწონა, პატრის.. (მარი წითლდება. როგორც ჩანს, არც ისეთი თანამედროვეა).

ძმა: (მზერა აარიდა) ვწუხვარ. თავად არ ვიცი, რა მჭირს.

მარი მისკენ იხრება და კოცნის. უცებ პატრისი მშვიდდება და ბედნიერების განცდა ეუფლება. ახლა აღარავინ არსებობს მათ გარშემო მისი და მარი ბესონვილის გარდა — მშვენიერი მარი. იქნებ სწორედ ეს არის ბედნიერება — მარი მის გვერდით. მარი ხომ ყველას მოსწონს, მარი ხომ ყველას უნდა. მან კი აქამდე ვერ შეიძნო ეს ბედნიერება. პატრისი მარის ეხვევა და თმაზე ოდნავ ჰქაჩავს. ახლა, ამ წუთას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს სხვა პიროვნებაა.

უცებ მარის გიჟივით უხსნის პერანგს და მკერდს უკოცნის. მარი იძაბება, სუნთქვა უხშირდება, მთელი სხეული ეკუმშება.

პატრისი ძალას გრძნობს და მერე, როგორც იქნა, მას ხედავს, გრძნობს მის სიახლოვეს. ის ხის უკან დგას და მათ მისჩერებია. პატრისი თავს აქნევს და მარის შემშინებელი ამტერდება.

მარი: რა მოხდა?

ძმა: არაფერი, არაფერი...

მარი: გააგრძელე!

ისინი ერთმანეთს ეფერებიან. პატრისი მარჯვენა ხელს მარის ფეხებს შუა უყოფს, თან აქეთ-იქით იყურება. მას ხე ეფარება, რომელიც მის უფსკრულსაც ფარავს. პატრისის ძალა ემატება, გრძნობს, რომ ის აქ არის. მარიც ეხმარება და მის ხელს მიმართულებას აძლევს.

მარი სადაცაა ამოიფრქვევა, სიამოვნებისგან გაუგებარ სიტყვებს ისვრის. პატრისი ბედნიერია. მარის სხეული ხელახლა აღმოაჩინა — რა ლამაზი სხეული აქვს მარის.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ხეს მიყრდნობილი, მარი ცაში იყურება.

მარი: ინვიმებს.

ძმა: ჰო.

მარი: უნდა წახვიდე?

ძმა: მოგვიანებით შემოვივლი.

მარი ბინაში თურმე მარტოა, რადგან მისი მეგობარი ამჟამად წასულია.

მარი: დაგელოდები.

* * *

ძველი სახლი, კონსიერჟის გარეშე. პატრისი კიბეზე აღის, აკაკუნებს, მესამე სართულზე მუსიკა მაღალ ხმაზე აქვთ ჩართული. კარს ხალათში გამოწყობილი, გაუპარსავი ტიპი აღებს.

ძმა: ანეს ვეძებ.

ტიპი: ანეს? აჰ, ჰო, შემოდი.

ძველი, გაბოლილი ბინაა, ჩამოხეული შპალერიით. კედლებზე მუსიკალური ჯგუფების პლაკატებია გაკრული, ერთ კუთხეში კი გიტარაა მიყუდებული. ყველგან ცარიელი ლუდის ქილები და ჭუჭყიანი ჭურჭელი ყრია. ოთახში ცუდი სუნია.

ანე გვერდითა ოთახიდან გამოდის, ფეხშიშველაა და პირში სიგარეტი აქვს გარტობილი. შეცვლილია, ტუჩებზე წითელი პომადა აღარ უსვია, თმაც რალაც

უცნაურად აქვს — აშკარად მოუვლელია. ანე იცინის და ძმას ეხვევა, აქამდე ასე არასდროს მოქცეულა. პატრისი დაბნეულია.

ანე: როგორ მიხარია! მეგონა, არ მოხვიდოდი. მე თვითონ ვაპირებდი მოსვლას. ოდესმე, გაბრაზება რომ გადამივილიდა.

ძმა: აქ რას აკეთებ? ეს რა ბინაა?

ანე: ჩემი მეგობრები არიან, უანი კატრინის მეგობარი იყო, გახსოვს კატრინი? მაგარი მანქანა რომ ჰყავდა. რა მანქანა იყო?

ძმა: არ ვიცი! ახლა რას აპირებ? პარიზში რა უნდა აკეთო?

ანე: რა ვიცი, ვნახოთ. დემონსტრაციებზე ვაპირებთ გასვლას. მაგარია, არა?! რვანი ვართ და ძან საინტერესოა, ამდენი რაღაც ხდება, იცვლება, ამდენი ახალი იდეა! და მეც აქ, შუაგულში, ეპიცენტრში! მერე მუშაობასაც დავიწყებ, ალბათ. უანი უკვე კარგა ხანია აქ არის, და ვილაც-ვილაცებს იცნობს.

ძმა: ანე, ეს სრული აბსურდია. შეიძლება თავიდან ყველაფერი საინტერესო მოგეჩვენოს, მაგრამ...

ანე: კარგი რა, ძამიკო. მშვენივრად ვიცი, რა უნდა მოთხრა.

ძმა: კი, მაგრამ, დედა...

ანე: მე მგონი, შეეგუება. მონეს ველაპარაკე და დედას ყველაფერს აუხსნის. უბრალოდ, მეტი აღარ შემიძლო.

ძმა: ანე...

ანე: შეგიძლია სადმე დამპატიჟო, მაგრად მშია.

პატრისი თანახმაა. დაბლა ჩადიან. ანემ ტანსაცმელი გამოიყვალა, ახლა გრძელი — ქვედატანი და მისური აცვია, მისურზე წარწერაა „Destruction“, რაც პატრისს უცნაურად ეჩვენება. თვალს არიდებს.

მიდიან და პატრისმა არ იცის, რაზე ილაპარაკოს. მარიზე ფიქრობს და იმაზე, რომ ის ისევ გამოჩნდა. უხარია, რომ ამაღამ ისევ დაბეჭდავს. როცა ყველა დაიძინებს, როცა ყველაფერი მიწყნარდება.

15. აპილაპი (2004)

უკვე რამდენიმე დღეა გადაუღებლად წვიმდა, ჭკუიდან შეიშლებოდა კაცი. ლაურა სამსახურში არ დადიოდა. ავად ვარო, შეუთვალა, თუმცა ავად არ იყო. ფანჯრის რაფაზე იჯდა, გრაპას წრუპავდა და თან ქლიავის ჩირს მიირთმევდა. წვიმდა. გადაუღებლად წვიმდა, მისი განწყობის შესაფერისად.

ლაურა უსიცოცხლო მშერიტ მიშტერებოდა ნივთებს მოღერი დიზანით განწყობილ სამფლობელოში. მისი წიგნები ღუმდნენ. მისი ტელეფონიც ღუმდა. იშვიათად რეკავდა ვინმე. დამ დაურეკა ერთხელ და ჰკითხა, რა გადანწყვიტე, რატომ არ შეგვიძლია ზაფხული ერთად გავატაროთო. ჯერ არ გადამიწყვეტიაო, — უპასუხა.

ლაურა ფანჯრის რაფაზე იჯდა და თავის ქმარზე ფიქრობდა, ყოფილ ქმარზე. უცნაურია, შვიდი წელი იცნობდე ადამიანს და მერე უცებ ისე გააგრძელო ცხოვრება, რომ თითქოს არასოდეს გცნობია, თითქოს ეს ადამიანი არც არასდროს ყოფილა შენი ცხოვრების ნაწილი. ქლიავის ჩირიც კი თითქოსდა გაუგემურდა.

საძინებელში ასასვლელი კიბის გვერდით მდგარ ტახტზე საქალაღდე იდო, რომელმაც ლაურაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ლაურა ვერ ივინწყებდა იმ

სურათს, საქალაქებში ჩანსობილი მასალის კითხვის დროს რომ წარმოუდგა თვალწინ, მაგრამ ამ ისტორიაში ჩაღრმავება არაფრით არ უნდოდა.

რა კავშირი ჰქონდა ამ ყველაფერს მასთან? მომავალი ნეტავ ამოტრიალებული წარსული ხომ არ იყო?

ზარის ხმა გაისმა. ლაურა შეკრთა, რამდენი ხანია მის კარზე ზარი არავის დაურეკავს. ზანტად ჩამოვიდა ფანჯრის რაფიდან.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გამოალო მასიური კარი. მის წინ სათვალისანი წითურთმიანი ბიჭი იდგა. თავიდან ფეხებამდე სველი იყო.

- გამარჯობა. შეიძლება შემოვიდე?
- აქ რას აკეთებ?
- თქვენ აღარ შემეხმინათ და ვიფიქრე, რომ მე...
- კარგი, შემოდი.

ბიჭს პირსახოცი მისცა და სააბაზანოში შეუშვა. მერე გაახსენდა, რომ საშინლად გამოიყურებოდა: სახეზე არაფერი ესვა და ჩაჩაჩულ ძველ შარვალში გამოწყობილი, ფეხშიშველა იდგა. არ ესიამოვნა, უცხომ ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა. სწრაფად ამოიყვია ძველი წინდები და გაჩეჩილი თმაც აიწია.

ბიჭი თმაგაბუებული გამოვიდა სააბაზანოდან, თეთრი მასიური და წინდები ეცვა. სველი შარვალი ფეხებზე ეკვროდა.

- შენუხებისათვის ბოდიშს ვიხდით... რა ლამაზია აქაურობა.
- ჩაის დალევ?
- უჰ, კი, სიამოვნებით.

სამზარეულოში შევიდნენ. ბიჭი ლაურას მიჰყვებოდა, თან ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდა. სამზარეულო — საუცხოო დიზაინით იყო განწყობილი შავი კაფელითა და შუშის კარადებით.

ლაურამ წყალი ააღუდა და გვირილის ჩაი დააყენა ერთადერთი ჩაი, რაც სახლში მოეპოვებოდა. მერე თავი სი გრაპის ბოთლი შემოიტანა და მაცივარს მიეყრდნო.

- რა საშინელებაა! რით ვერ გადაიღო... — წაიჩურჩულა დაბნეულმა.

ბიჭი ჩაის სვამდა, თან ყურადღებით ათვალთვლებდა, ყველაფერს.

- მართლა ძალიან მაგარი ბინაა... სერიოზულად.

— ჰო, საერთო საცხოვრებლების ასაკიდან ხომ გამოვიდეს ოღესმე ადამიანი?!

რა სულელური წინადადებაა, რამ ათქმევინა?

- მართალია. უბრალოდ, მინდოდა მეკითხა...

— საქალაქდეს გადავხედე და წიგნიც წავიკითხე. საინტერესოა, მაგრამ ვერ ვხვდები, ამას ჩემთან რა კავშირი აქვს.

- ისტორიამ არ დაგაინტერესათ? არ აგაღელვათ?

— მე ბევრი რამ მაღელვებს, მაგალითად, მშვიერი ბავშვები აფრიკაში, მაგრამ მაინც აქ ვზივარ.

- კი, მაგრამ...

— იან, ჩემო კარგო! (აი, კიდევ ერთი სულელური ფრაზა! მაგრამ არა უშავს, სად ვიყავით?), გინდა ერთი კარგი რჩევა მოგცე? მიდი ლიტერატურის რომელიმე პროფესორთან, ყველაფერი აუხსენი, მერე სტიპენდიაზე შეიტანე განაცხადი, პარიზში წადი და ამ ყველაფრის შესახებ კარგი, საინტერესო დასკვნებით სასესე ნაშრომი დაწერე. თემა მართლაც რომ ორიგინალურია.

ბიჭი ჯერ კიდევ ქაფქაფა ჩაის ჭიქას დაბნეული მისჩერებოდა. ლაურას უცებ შეეცოდა კიდევ, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, უნდოდა გულწრფელი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა.

— ლიტერატურის პროფესორი არ მჭირდება და არც ნაშრომის დანერგა მინდა. თქვენი დახმარება მჭირდება. შეიძლება ერთი ჭიქა გრაჰა მეც დავლიო?

— ჰო, რა თქმა უნდა, უკაცრავად.

ლაურამ ბიჭს თავისი ბოთლიდან დაუსხა. მან ჭიქა უცებ დაცალა და ისევ მიხედ-მოიხედა.

— ცუდად ხართ, არა? ამიტომ არ დადიოდით მთელი კვირა აკადემიაში?

— რა? ჰო, გაციებული ვიყავი.

— მინდა, რომ დამეხმაროთ, ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ... პარიზში. გთხოვთ. თქვენ გარეშე ამას ვერ შევძლებ.

— ბოდიში, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს საერთოდ არ ვიცნობთ. ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგდით? ასე დაუკითხავად მოდიხართ. და საერთოდ, საიდან იცით ჩემი მისამართი? ხომ გითხარი, ლიტერატურის სპეციალისტი არა ვარ, სახვითი ხელოვნებით ვარ დაკავებული.

„იყავი, ჩემო კარგო! იყავი დაკავებული. წარსული ფორმა აჯობებს, ძვირფასო!“

— ეს ყველაფერი არ მაინტერესებს. არ ვიცი, ჩემგან რა გინდათ.

უცებ ლაურა მიხვდა, რომ ბიჭს თქვენობით მიმარ თავდა. არადა თავის სტუდენტებთან შენობით ლაპარაკს იყო მიჩვეული. ჩაეღიმა. რაღაცამ აიძულა, რომ ბიჭის თვის თქვენობით მიემართა. ჯერ კიდევ ზუსტად არ იცოდა რატომ მოიქცა ასე, მაგრამ თავი უცებ აიყვანა ხელში.

ბიჭმა არაფერი უპასუხა, როგორც ჩანს, ლაურას ნათქვამისათვის სულაც არ მიუქცევია ყურადღება. კარგად მომზადებული ჩანდა, მაგრამ ეს მას ახლა მაინც ვერ უშველიდა. ბიჭს ხელი უნდა აეღო თავის განზრახვაზე, უნდა წასულიყო, მისი ტერიტორია უნდა დაეტოვებინა, რათა ლაურა ისევ მიჰბრუნებოდა თავის ფანჯრის რაფას და თავის გემოდაკარგულ ქლიავის ჩირს.

იმ ქალს შავი საქალაქიდან აპოკალიფსის გამოწვევა უნდოდა... მაგრამ აპოკალიფსი არ გამოვიდა. ასე იყო ყოველთვის, დასაბამიდან იყო ასე. შეუძლებელია დაიწყოს ის, რაც უკვე დაწყებულია. მხოლოდ დასასრული აკლდა ყველაფერს.

— შე თქვენ მჭირდებით, თქვენ! ეს ძალიან მნიშვნელოვანია...

ბიჭი ძალიან ჯიუტი ჩანდა.

— მე რა შემიძლია?!

— როგორ არა, შეგიძლიათ! შეგიძლიათ გადამარჩინოთ!

— კარგით, რა! ეს ისტორია არანაირად არ მაინტერესებს, ფრანგულად ცუდად ვლაპარაკობ და არც სურვილი მაქვს სხვადასხვა ადამიანების ისტორია გავქეცო. არ არის ეს საკმარისი? თანაც, უკვე თავს მახეზრებთ.

— თავს არ გაბეზრებთ! უბრალოდ ცუდ გუნებაზე ხართ და ამიტომაც არ გინდათ, ალბათ ჯიბრით, ან...

— მორჩებით, ბოლოს და ბოლოს?! არ მინდა. სხვა კურატორი მოძებნეთ.

— კურატორი არ მჭირდება, პარტნიორი მინდა.

— პარტნიორი?

— ჰო, პარტნიორი!

ლაურამ გრაჰიანი ჭიქა გამოცალა და ისევ დაისხა. აშკარად დაბნეული ჩანდა. და თანაც გაღიზიანებული. არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. უცებ მესხიერებაში ისევ წამოუტივტივდა.. მკვდარი ბავშვი. მშვენიერია, ესლა აკლდა, ახლა საკუთარი კომპარებია აკლდა ბედნიერებისთვის. მაგიდასთან დაჯდა.

— მართლა არ შემოძლია.

მის ხმაში სირბილემ გაიჟღერა.

ბიჭი გავიწყებული მიშტერებოდა. ალბათ ცდილობდა ბედს შეჰკუეებოდა.

ბიჭს ცხვირზე ჭორფლი ეყარა. ლაურას მოსწონდა ჭორფლები.

ბიჭმა აშკარად არ იცოდა როგორი რეაქცია ჰქონოდა. მერე უცებ მკვეთრი მოძრაობით წამოღდა.

— ალბათ ჯობს, წავიდე... ბოლიში მინდა მოვიხადო.

მე ყოველდღე აკადემიაში ვარ. იქნებ გადაიფიქროთ. ზაფხულის არდადეგებამდე რამდენიმე კვირაა. ძალიან დიდი იმედი მაქვს და კიდევ ერთხელ მაპატიეთ.

ჰასუსს აღარ დაელოდა და სადარბაზოს კარი ლამის ჩამოაგდო, ისე გაიხურა.

ლაურამ თვალი გააყოლა. ეს რაღა იყო?

წვიმა შეწყდა. ლაურა ფანჯრის რაფასთან მივიდა. ქლიავის ჩირისთვის ხელი აღარ უხლია. ღრმად შეისუნთქა, თითქოს ამოიოხრაო. ირგვლივ სიჩუმე და უდარდებლობა სუფევდა. ნეტავ თავადაც ასეთი მშვიდი და უდარდელი ყოფილიყო.

მერე საქაღალდე შენიშნა, ისევ იქ იდო. ლაურა ტახტზე ჩამოჯდა, საქაღალდე აიღო და გადაშალა.

16. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

წყლით საცხე აბაზანაში წვეს, წყლის ურჩხულებით საცხე აბაზანაში. დაბნეულია, არ იცის, როგორ გააგრძელოს ცხოვრება. ჯერ კიდევ არ იცის, რა ელოდება,, ამაღლდება თუ დაენარცხება. ირგვლივ ყველაფერს გამხმარი ფოთლების ფერი ადევს. გარშემო ყველაფერი. უძრაობას მოუცავს. მხოლოდ ჭიანჭველები ფუთფუთებენ, ჭიანჭველების მთელი ჯარი შესევია მის ტვინს. ყველა ხვეულში დაცოცავენ.

წყალში ყვინთავს. ღია თვალები წყლით ევსება. მერე იატაკიდან პირსახოცს იღებს და ტანს იმშრალავს. კაბას ზედ შიშველ ტანზე იცვამს, ასე უფრო მოსწონს. ზემოდან პალტოს ისხამს და კიბეებზე ჩარბის. გარეთ გავიდეს, შიდა და სიგარეტი სჭირდება. ღიად დატოვებული კარი ჭრიალებს, თითქოს კვნესის.

ქუჩებში გიჟივით დაეხეტება. მერე სადღაც... Rue Fortuny-ს სიახლოვეს ჩერდება და აქეთ-იქით იხედება. არ იცის, აქ როგორ აღმოჩნდა.

ზაფხულის სასიამოვნო საღამოა და ქალაქი ტურისტებითაა საცხე, გართობა სწყურიათ.

„რატომ დავივიწყე ყველაფერი, რაც ოდესღაც ვიცოდი? სინანულით აღვსილნი, ლოცვებში ჩაფლულნი და შენდობის მაძიებელნი, რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებით. მე შენდობას არ ვითხოვ. მოვედი, რათა ყველაფერი თან წავიღო. თქვენი ფარისევლობა გულს მირევს. ამაზე ფიქრიც კი გულს მირევს — ყოველთა

გალობა ყოველთა ზედა, მტერის ფერფლი. მოვედი, რათა წავიდე. თქვენი სიყვარული მე არ მჭირდება. დრო მალე შეწყვეტს ჩემი კანის ჭკობას“.

დაილაღა და შეჩერდა. სიბრალეულის აღმძვრელი შესახედაობა აქვს. მეტისმეტად გამხდარი, თვალებქვეშ მუქი ლაქებით. ვიღაც გამველეშაბა ფეხებთან რამდენიმე მონეტა დაუდო. ეცინება. მოძრაობა არ უნდა, დროს თავის ქალას ჩაუმსხვრევდა, რომ შეეძლოს. შიმშილსაც ჩაკლავდა. დგას. მოედანზე. ზედ ასფალტზე. დგას და ასე იდგება რვა საათი. იქამდე, ვიდრე ყველა ადამიანი არ წავა, სანამ მოვარე მზეს დუელში არ დაამარცხებს. დგას და იმ ქვას ელაპარაკება, რომელზედაც დგას. ზოგი ვაოცებული შესცქერის, ზოგი ვერც კი ამჩნევს.

მინა რბილდება. ჩიტები ნელ-ნელა უღურტულს იწყებენ. ის კი ისევ იქ დგას. ყველაფერი ისეა, როგორც მან გადაწყვიტა.

ხანდახან, ჰო, მხოლოდ ხანდახან ფიქრობს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ადრე იცნობდა. ფიქრობს იმაზე, თუ როგორი იყო ის, სხვა ცხოვრება. შეიძლება ანეწილი იყო და საშინელი, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდა საჭმელი და თბილი, ფუმფულა საბანი. და ერთი კანარის ჩიტი, რომელსაც ხშირად ესაუბრებოდა. მან კი ყველაფერზე უარი თქვა და ამ გზას დაადგა, რათა სამყარო დაესრულებინა.

რა საშინელებაა, როდესაც მარტობას დედის რძესთან ერთად შეინოვ.

გარიჟრაჟზე დაიძრა. ფეხები ლოდებად ჰქონდა ქცეული, სიარულის დროს ღრჭალი და ტკაცატკუცი გაუდიოდა სახსრებს. მიდიოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სიარულს ხელახლა სწავლობდა. და მიდიოდა. გზად არავინ შეხვედრია. დაცარიელებული ქალაქი ფშვინავდა და ზღვასავით ირწეოდა — მიიქცეოდა და მოიქცეოდა.

ხეტიალი მისი ცხოვრების აზრად იქცა. მინაზე სიგარეტის ნაშვნი დაინახა და აიღო. პარიზის ქუჩებში თბილი კრუასანების სურნელი დატრიალდა. სადღაც, შორს, ტრამვაი ავრუხუნდა. ჯიბეში ასანთი აღმოაჩინა და სიგარეტი გააბოლა — ახალი დღე დაიწყო.

ერთი გოგონა გაასხენდა, სახელად ფანი, სხვადასხვა ისტორიის მოყოლა სიცოცხლის ფასად დაუდ და, ისე, რომ თავად ვერაფერს მიხვდა. ამას ალბათ რომელიმე სხვა ცხოვრებაში შეიტყობს.

Rue de Charonne-ზე ერთ-ერთი მცხოვრელის შეგირდს იცნობდა, რომელიც ზოგჯერ წინა დღის ნარჩენებს აძლევდა ხოლმე მალულად. ნახევრად ცარიელი ტრამვაით გაგრუხუნდა მასთან.

იმ დილით სხვა, უფრო სიმშათურმა შეგირდმა გააღო საცხობი და საოცრად შეეშინდა, გოგონა რომ დაინახა.

— მომცემ ერთ კრუასანს?

— რა?

— მე პიერს ვიცნობ. შენ ეტყობა, ახალი ხარ. ერთ ისტორიას მოგიყვები, შენ კი ერთი კრუასანი მომეცი მშია. გამიგე?

— უფლება არ მაქვს. რა ისტორიას?

— სულერთია, ამოირჩიე.

— ჰმ... არ ვიცი... ფული არა მაქვს?

— კრუასანი მინდა!

— ჰო, კარგი.

ბიჭის ნორმანდიული დიალექტი მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა.

— მომცემ ერთ ცალს?

— კარგი, მოიცა.

ბიჭმა ერთი თბილი კრუასანი მისცა და რალაც წერა თავის დაგლევილ რვეულში. გოგონამ კრუასანი ჩაკბიჩა კრუასანმა სასწაული მოახდინა.

— უკანა ეზოში წავიდეთ, იქ გიამბობ. ჯერ ძალიან ადრეა, მაინც არავინ მოვა. —

ბიჭს ხომ ისტორიის მოყოლას დაჰპირდა.

— კი, მაგრამ უნდა ვიმუშაო.

— არაფერია. შეგიძლია ათი წუთით დაკეტო.

ბიჭი დაემორჩილა. თან თვალს ვერ აშორებდა გოგოს.

თითქმის მისი ასაკის იყო. საცხობი დაკეტა და გოგონას გაჰყვა. უკანა ეზოში გავიდნენ და ქვაფენილზე ჩამოსხდნენ. ქალაქი ნელ-ნელა იღვიძებდა.

— რისი მოსმენა გინდა?

— არც კი ვიცი. თუ გინდა ნუ მომიყვები. არა უშავს, მე თვითონ გადავიხდი კრუასანის ფულს.

— არა, არა, არა! — ბიჭს შეეშინდა, ისეთი ხმით წარმოსთქვა გოგომ.

მერე გოგონამ უამბო ანტიგონეზე, და თავისუფლებაზე.

შეამჩნია, რომ მოყოლილმა ბიჭზე შთაბეჭდილება მოახდინა და გულში დასცინა.

„საცოდავი!“ — გაიფიქრა, მაგრამ არაფერი თქვა. ბიჭმა კი მადლიერებით ჩაიხუტა. გოგონამ სითბო იგრძნო. ახლა სამყაროს ახალგამომცხვარი ფუნთუშების სურნელი ასდიოდა და გოგონა ამ სურნელში ჩაიძირა.

ბიჭი არც მას იცნობდა და არც სხვა არაფერი იცოდა ამქვეყნად (პურის ცხობის გარდა), არაფერი, სულ არაფერი. და გოგონამ ერთი პირობა გაიფიქრა კიდევ, რა ბედნიერებაა, როდესაც არაფერი იცი და ფუნთუშების სურნელი აგდისო.

— რა გქვია შენ?

— სარე, სარე.

ბიჭს აღარაფერი უთქვამს და გოგონა წავიდა. ბიჭმა მშერით გააცვილა.

პარიზს მზე დაჰკაჰკაშებდა თავზე. მზემ გოგონას სხეულშიც მოახერხა შეღწევა და ცინულის დნობა დაიწყო, თუმცა, იმ ცინულამდე, ნეკნებს შორის რომ ჰქონდა მოქცეული, მაინც ვერ მიაღწია.

17. აპილაპი (2004)

იენისის მშვენიერი დღეები იყო, უამრავი ტურისტი, კაშკაშა მშით, კარგი ამინდითა და ზედმეტად კმაყოფილი ადამიანებით. ლაურა კვლავაც აგრძელებდა ლექციების ჩატარებას უნივერსიტეტში და ღუმდა.

როგორც ყოველთვის. ბიჭი იმ დღესაც მისი სახლის შესასვლელთან იყო აყუდებული. ლაურას სათვალავი, ჰქონდა არეული, აღარ ახსოვდა, მერამდენე დღე იყო ან მერამდენე კვირა, რაც ასე გრძელდებოდა. ლექციების შემდეგ დაბარებულივით პირდაპირ მასთან მოდიო და ბიჭი და მისი სახლის შესასვლელთან იდგა. არაფერს ამბობდა, უბრალოდ იდგა. ერთხელ ლაურა შეეცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მან ხმა არ გასცა. არც თავისი საქალაღდე არ მიჰქონდა

უკან. უბრალოდ იდგა და ელოდა, და ელოდა. ოღონდ ყოველ საღამოს, ზუსტად თერთმეტ საათზე თავის ველოსიპედზე ჯდებოდა და მიდიოდა... მიდიოდა არსაით.

კართან აყუდებული ბიჭის დანახვაზე ლაურას გულში ეცინებოდა. ცოტა სასაცილო ტიპი ნამდვილად — ერთთავად დაბნეული და მოუხერხებელი, სასაცილოდ ჯდებოდა ველოსიპედზე, სასაცილოდ ატრიალებდა პედლებს და მიდიოდა. მიდიოდა ხელცარიელი, რათა მეორე დღეს ისევ დაბრუნებულიყო.

თავდაპირველად, ბიჭმა შესასვლელთან დახვედრა რომ დაიწყო, ლაურამ ისიც კი იფიქრა, ვინმეს ხომ არ შევატყობინო — აკადემიაში, პოლიციაში ან ფსიქიატრიულში ხომ არ დავრეკო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. რა უნდა ეთქვა?! ბიჭი არაფერს უშავებდა, სახლის წინ იდგა და ელოდა. თავისი ცინიკოსი კოლეგების სახეც კი წარმოიდგინა, როგორ ეტყოდნენ: „ყველა ჩვენგანი ელის რაღაც განსაკუთრებულს ცხოვრებაში. ნამდვილად შეუყვარდი, ძვირფასო“, რაც სინამდვილეში ნიშნავდა: „ჩაუვარდი ლოგინში და რომ მიხვდება, რა ცივი და ცარიელი ხარ, თავს დაგანებებს“.

ფანჯარასთან მდგარმა ლაურამ კიდევ ერთხელ გახედა ბიჭს, მერე მიბრუნდა, სააბაზანოში შევიდა, სარკის წინ დადგა და გახდა დაიწყო. საკუთარ გამიშვლებულ სხეულს თვალს არ აცილებდა სარკეში. ყურადღებით ათვალთვრებდა თავის გაფითრებულ კანს, სახეს და მარტოობისგან დაბერილ ტუჩებს, თავის უცნაურად გამოშვერილ ნეკნებს, ყოველ საღამოს გრაპის სმისგან განითლებულ ცხვირს, მოკუმულ ტუჩებს, თავის ასაკსა და იმ უხალისობას, მთელი მისი სხეული რომ მოეცვა.

ლაურა, ეს როგორ დაგემართა? ასე როგორ დაილაღე და დაბერდი?!

ოჩკანი მოუშვა, ტემპერატურა შეამოწმა და წყლის ჩხრიალს ცოტა ხანს მოჭაღობულივით უსმენდა. წყლის ხმაური, მისი ბავშვობის ხმა, ვარდის საპნის სურნელი. ჭყუმპალაობა — ბავშვობის მოძრაობები.

მერე უცებ ავტობუსები, სინდანგბარანგისაკენ მიმავალი ავტობუსები ამოტივტივდა მენსიერებაში — ქვეყანა, რომელიც 13.600 კუნძულზე იყო განფენილი და ადგილი, სადაც ყველაზე ლამაზად ჩადიოდა მზე. როგორ ამაცობდა (მამამ ასწავლა, რომ ეს საამაყო იყო) იმით, რომ ის რჩეულთა შორის რჩეული იყო და საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადგილას ცხოვრობდა, სადაც უზომოდ დიდხანს შექძლო ეყურებინა მზის ჩასვლისა და ამოსვლისათვის.

12, 13 და თვით 20 წლის ასაკშიც კი ამაცობდა ამით და მზის ქვეყნიდან წვიმის ქვეყანაში გადახვენილი ყველას ამას უყვებოდა, ვიდრე საერთოდ არ შეწყვიტა რამის მოყოლა.

გარემომ მხოლოდ წყალი იყო, საჭიროების შემთხვევაში ნავებითა და პატარა გემებით გადაადგილდებოდნენ, ხანდახან პატარა, დახუთული ავტობუსებითაც. ხალხი კარებზე იყო ჩამოკიდებული, ფანჯრებიდან იყო გადმოკიდული, ყვიროდნენ, სუნთქვა ჭირდა. ტროპიკული წვიმის პერიოდში სამივე — ლაურა, მისი უმცროსი და და დედა, ვერანდაზე ისხდნენ, მამას ელოდნენ და მანგოს მირთმევდნენ. მუსონების დროს ყველა ღუმდა, ბავშვებიც კი წყნარდებოდნენ და ჩაფიქრებული სახეებით ჭამდნენ გაბერილ და მწიფე მანგოებს. ისხდნენ ვერანდაზე, დროდადრო ჭადრაკს თამაშობდნენ ან დედა წიგნს. უკითხავდათ. როგორც კი მუსონი გადაივლიდა, კვლავ მხიარულება იწყებოდა. ზემობდნენ, ყველა ცეკვავდა. ლაურას და მის პატარა დას ამ ზემებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. ოკეანის სანაპიროზე გატარებული 12

წლის მიუხედავად, უცხო ენასთან თორმეტწლიანი. კავშირის შემდეგაც კი ვერ შეძლო დედამ კუნძულის ბინადართა ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა, კუნძულის ცხოვრებით ცხოვრება.

სახლი მუდამ ყავის სურნელით იყო გაუღწეველი. სავაჭრო მივლინებებიდან, ყავით დატვირთული გემებიდან უკან დაბრუნებულ მამას ყავა ყოველთვის ჩამოჰქონდა, ყოველთვის, ვიდრე იქ ცხოვრობდნენ, ვიდრე სამუშაო ჰქონდა, ვიდრე მამა ბედნიერი იყო, ვიდრე დედამ ის ევროპის გამო არ მიატოვა, ვიდრე დედამ ტვინი ისე არ გაუბურლა, რომ მამას ყველაფრის ხალისი დაეკარგა არც ლაპარაკი უნდოდა, არც ფიქრი და საერთოდ, აღარაფერი.

ლაურა, მისი პატარა და და მამა. ბოროტბუდიანი რომ მონიხულეს, ულამაზესი ნაგებობა იავაზე, ბუდას ძეგლიანი სამეფო... წლების შემდეგ ლაურამ ამ შენობასა და მის ისტორიაზე ნაშრომი დაწერა.

ლაურას ღამეობით ესიზმრებოდა ეს ყველაფერი. მას შემდეგაც კი, რაც ველოსიპედების ქვეყანაში დაბრუნდნენ საცხოვრებლად, სადაც ახალი ცხოვრება დაიწყო და რომელიც, რატომღაც, მათ სამშობლოდ უნდა ქცეულიყო. არადა, მამა ხშირად უყვებოდა ხოლმე ოკეანეზე, იმაზე, თუ როგორ უნდა ესაუბრო მას, კიდევ გოას მეთევზეებსა და იქაურ ოქროსფერ სანაპიროებზეც.

ლაურას ის ღამე გაახსენდა, მამამისთან ერთად კრიზიდან რომ ბრუნდებოდნენ ღამით, როგორ მოეხვია იმ ღამეს ყავის სუნით გაუღწეველი მამა და როგორ უთხრა — შეხედე, ლაურა. შეხედე, ესაა ყველაფერი. ამ ცხოვრებას მეტს ვერ მოსთხოვ, არც უნდა მოსთხოვო. აქ, ლაურა, აქ არის სამოთხე, ოღონდ მისი სურნელის აქვმა უნდა შეგეძლოს.

და მათ იმ ღამეს მართლაც შეიგრძნეს, დაინახეს კიდევ. ლაურა მამის მხოლოდ ცხრა წლის იყო. ლაურა და მამა, დიდი თეთრკანიანი კაცი ფართო პერანგითა და დაკოორული ხელებით, თანმდევი ყავის სუნითა და მზის სათვალით, რომელიც მუდამ ქვემოთ უცურდებოდა, მაგრამ არ იცვლიდა თავის მოძველებულ სათვალეს, ახალს არ ყიდულობდა.

მერე ჯაკარტაში, ინტერნატში გატარებული ხუთი წელი, თეთრი გოგონების გარემოცვაში. ყველაფერი რაღაცნაირად უცხო იყო: გოგონებს რაღაც უცნაური სახელები ერქვათ, რაღაცნაირი სუნი ასდიოდათ და რაღაცნაირად, სულელურად ლაპარაკობდნენ.

ლაურას ყველაფერი ენატრებოდა — სინდანგბარანგის სანაპიროები, ასეთი ნაცნობი ყავის სურნელი სახლში და პატარა და. მის მკლავის ნაკვეთებში ჩაკირული მარილი ენატრებოდა. კიდევ, თავისი კუები და წვიმა. ის წუთები ენატრებოდა, როდესაც მამასთან ერთად რანაკურის დიდებულ, გასაოცარ ქანდაკებებს ათვალთვლებდა. ის ქვის სპლოებიც ენატრებოდა, საიდუმლოებით იი ათასწლეულების განმავლობაში რომ იდგნენ და ელოდა ნენ. რას — მათ გარდა არავინ იყოლა.

და დედა.. დედა, რომელიც წლების მანძილზე იჯდა და ინგლისურ გაზეთებს კითხულობდა, რომელიც თავის გოგონებს ფერად ბათეთებს უბნევდა თმაში და არასდროს აძლევდა ფეხშიშველა სიარულის უფლებას. გადაპრანჭული ევროპელი, რომელიც სასტუმრო „ჰაიატი“ ჩაიხე ხვდებოდა მეგობრებს და იმხანად ევროპიდან ჩამოსული, ყველა ელჩის ცოლს იცნობდა. ქალი, რომელსაც ბაჰაზა ინდონეზიური,

ადგილობრივი ენა, ოდნავადაც არ ესმოდა. დიასახლისი, რომელსაც არასდროს შეუწყვეტია რუპიების გადაყვანა გულდენებში. არასდროს, არასდროს, შეუწყვეტია, ინდონეზიაში ცხოვრების ბოლო წამამდე.

სამინელება იყო ჯაკარტაში იმ გოგონებთან გოლფის თამაში, იმ ვილაც ფილისთან თუ ლუსისთან თუ რალაც ჯანდაბებთან. ამიტომ ხანდახან საღამოობით მამას გრძელ წერილებს სწერდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იყო მამა, მალე ჩამოდი და აქედან წამიყვანეო. მამა არ მოდიოდა. არავინ აკითხავდა. ის კი ღამღამობით ინტერნატიდან იპარებოდა, ჯაკარტის ვიწრო ქუჩების ლაბირინთში დაბორილობდა და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა, რადგან არ იცოდა, რა ექნა, სად წასულიყო.

ლაურა და ალისი, ორი თეთრი გოგონა. სახელები დედამ შეურჩიათ, დიდგვაროვანი წინაპრების სახელები შორეული ევროპიდან, სახელები, რომლებიც ღირსეულად ტარებას მოითხოვდა. სახელები ხომ მაინც უნდა ყოფილიყო ცისფერი სისხლის.

ყოველ ზაფხულს საუბრობდნენ იმაზე, რომ არდადეგებს ჰპარლემში გაატარებდნენ, ჰო, ამ არდადეგებს მაინც, უეჭველად. მაგრამ მერე ვერსად მიდიოდნენ, რადგან მამას ყავასთან დაკავშირებული საქმეები არ ელეოდა. მამის გარდა ვერავინ ტოვებდა სახლს. რა კარგი დრო იყო.

პატარა ალისი, თავისი მზზინვარე ქერა თმით, სანდანგბარანგის ყველა ბავშვს ხელით შეხების დაუოკებელ სურვილს რომ უჩენდა. ალისი, რომელიც მასზე უკეთ ცურავდა, ალისი, რომელსაც ახლა ორი შვილი ჰყავს და საოჯახო მეურნეობას უძღვება ბელგიაში. ალისი, რომელიც ამსტერდამში ჩასვლის შემდეგ მთელი სამი თვე სიტყვასაც არ ძრავდა ჰოლანდიურად.

როდის დაიწყო ალისმა კეთილშობილ გოგონად გარდაქმნა? როდის დაემსგავსა დედას? როდის დაიწყო მასავით ჩაცმა, საუბარი, ჭამა და სისულელებებზე ლაპარაკი? მაშინ, როცა დედამ მამასთან კონტაქტი განწყვიტა? თუ ფულის გამო როცა დაიწყო კონფლიქტი ოჯახში? თუ იანერის იმ ღამეს, მამას ჩუმად რომ დაურეკვს ტელეფონის ჭიხურიდან, ჯაკარტის კოდი რომ აკრიფეს ალისმა და ლაურამ ერთად, ჰპარლემის ერთ-ერთი ქუჩის კუთხიდან, ჩუმად, დედას რომ გული არ სტკენოდა, იმედგაცრუება რომ არ ეგრძნო, ჩემს ქალიშვილებს გაუცხოებული მამა მონატრებიათო, მამა, რომელიც თავისუფლად საუბრობდა ბაჰაბა ინდონეზიაზე და სხვა არაფერი იცოდა კუნძულისგან შემდგარი ქვეყნისა და ყავის გარდა? იქნებ მაშინ, ტელეფონზე ახალგაზრდა ქალმა რომ უპასუხა? მონდომებული ევროპული ინტონაციით რომ წარმოთქვა „ღიახ, ვისმენთ!“

ჰო, ალბათ, მაშინ... ანდა, შეიძლება იქამდე უფრო ადრეც, როდესაც უკვე ვეღარ გრძნობდნენ სამოთხის სურნელს, დაიწყებამ ტვინის ყველა ხვეული რომ დაუბინდა.

მას შემდეგ წელის ჩხრიალის ყოველ გაგონებაზე ლაურას მუდამ ჯაკარტის ხმები ესმოდა, იმ ქვეყნის ხმები, სადაც სამოთხის სურნელი შეიცნო.

დედა, რომელიც ჯერ ისევ ინგლისურ გაგებით კითხულობდა, მონდომებით ეპატიუებოდა თავის მეგობრებს ჩაიზე დიდ სახლში — ჰპარლემში, ჩრდილოეთის, ზღვასთან, რომელიც ცივი და ნაკლებ მიმზიდველი იყო ბავშვობისდროინდელ ოკეანესთან შედარებით. მის არც ერთ ქალიშვილს წლების მანძილზე არ უხსენებია ჯაკარტა, არც ერთი არ სვამდა ყავას (ჩაის კი ყველა ვარიაციით), არც ერთი არ

აღიარებდა, თუ როგორ უცხოდ, და დაკარგულად გრძნობდა თავს ამ ცივ და უსურნელო ქვეყანაში, იმიტომ, რომ დედის გაბრწყინებულ სახეზე არ უნდოდათ მწუხარების დაბრუნება.

გავიდა დრო და ერთ დღესაც ლაურა ამსტერდამში გადავიდა საცხოვრებლად, უნივერსიტეტში ჩააბარა, სწავლა და ახალი ცხოვრება დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, სცადა. მთელი სტუდენტობის განმავლობაში ალისმა მხოლოდ ერთხელ დაურეკა, ღამით დაურეკა ამსტერდამში ნამტირალევეს და შესჩვილა:

— ლაურა, აღარ შემიძლია, მოდი, უკან დავბრუნდეთ, მოდი, მამასთან წავიდეთ. შენ ხომ ჯაკარტაშიც შევიძლია ისწავლო, შენ ხომ შევიძლია...

ალისი მთელ ხმაზე ქვითინებდა, თითქოს მთელი ეს დრო ამ წუთისთვის ინახავდა ცრემლების მთელ მარაგს. უფროსი და კი ღუმდა და არ იცოდა, როგორ და რით ენუგეშებინა. და ეს ყველაფერი — საუბარი და ცრემლები — ნიდერლანდებში გატარებული რვა წლის შემდეგ იყო. ჯაკარტა კი ამასობაში ძალიან, ძალიან შორს გაცურდა, ჩამოშორდა თითქოს მათ სამყაროს, სადღაც კოსმოსში და წარსულის ნისლში დაიკარგა, ისევე, როგორც მამა... და მაინც ვერასდროს აპატიებდა ლაურა თავს იმას, რომ იმ ღამეს ბარგი არ ჩაალაგა, უმცროს დას არ გაუარა და შემდეგ მასთან ერთად აეროპორტისკენ არ აიღო გეზი.

სინამდვილეში არც არაფერი მოუმოქმედებია და ალისმა მალე ახალ მეგობრებსა და სიცილიაში გატარებულ არდადეგებზე დაიწყო ლაპარაკი. წარსული კი საბოლოოდ ჩაბარდა თითქოს ისტორიას.

დედას ჩამავალი მზის ქვეყანა თავიდანვე ჭირივით სძულდა. ამ ქვეყანამ წაართვა საბოლოოდ ქმარი, ამ უცხო ქვეყანამ დაუნერია ოჯახი, ქვეყანამ, რომელიც ასე სძულდა, რომელსაც თავის ყველა წარუმატებლობას და წყენას აბრალებდა. დღემდე.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ არა მარტო ქვეყანას დაუთმო ქმარი, არამედ ოკეანეს, ყავას და 17 წლით უმცროს ინდონეზიელ ქალსაც. თუმცა ამას დედა არასდროს არ აღიარებდა.

ლაურას არ ეყო გამბედაობა უკან დასაბრუნებლად, მაშინაც კი, როდესაც დედამისს ყოველ კვირა ტელეფონით აღარ ესაუბრებოდა. და მამა, დროთა განმავლობაში, ჯაკარტასთან ერთად დავიწყებას მიეცა.

მხოლოდ ერთხელ, ღამით, სიყვარულით დაბნედილმა და მძინარე ქმარზე მიჩერებულმა ლაურამ, კოცნით დასიებული ტუჩებზე ხელი მიიფარა და გაიფიქრა, რომ მამას მერე ეს აღამიანი მეორე კაცი იყო მის ცხოვრებაში, რომელიც უკონოდ უყვარდა და წარსულის გახსენება მოუნდა. ქმარი გააღვიძა და მოყოლა დაიწყო.

ჰყვებოდა და ჰყვებოდა, ქმარს კი დილაამდე მის მუცელზე ედო თავი და ყურადღებით უსმენდა.

— წამო, წავიდეთ და მაჩვენე ეს ყველაფერი, ყველა ამ ადგილის ნახვა მინდა. მინდა ყველაფერი ვიყოფი, მინდა ის ლაურა გავიხსნო, რომელიც იქ ცხოვრობდა. — უთხრა ბოლოს და ლაურა მთელი ძალით მკერდზე მიიკრა. ლაურამ მაშინ არაფერი უპასუხა. მაგრამ მაშინ პირველად გაიფიქრა, რომ ამ კაცთან ეს მართლაც შესაძლებელი იყო.

ისევ სააბაზანო. ლაურა ფიქრებიდან გამოერკვა. შეეცადა მოგონებები წელისთვის გაეტანებინა. მერე უცებ აღმოაჩინა, რომ ბავშვობის ენა დაბრუნებულიყო, რომ სიტყვები ენაზე აღნებოდა. მერე გაახსენდა, რომ გარეთ ბიჭი იდგა, რომელიც

თერთმეტ საათამდე დაელოდებოდა და ამ აზრმა რატომღაც ისე გაამხიარულა, რომ ხმამაღლა გადაიხარხარა.

18. ოლგა (1986)

ისევ ის ძველი კაბა ეცვა, კოპლებიანი. ნუთუ მართლა არსებობდა ცხოვრება ამ წიგნის აღმოჩენამდე?! ნაწარმოების გადაწერა დაამთავრა. საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ როგორია სიმარტოვის ქსელის საკუთარი ხელით ქსოვა ობობის მსგავსად. თითქოს სხეულიც დაუბერდა. ახლა მხოლოდ ღამეების მოლოდინითაა ცხოვრობდა, ნელ-ნელა, ზღაბგნით რომ მოინვედნენ მისკენ. ერთი სული ჰქონდა, როდის გამოეცხადებოდა ის სიზმარში. ოლგა სიგიჟეს ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა.

თან საშინლად ეშინოდა. ეშინოდა გაღვიძების, იმ ცხელი წვეთების, დრო რომ ერქვა და საფეთქლებზე ცხელი ცვილივით რომ ეცემოდა. ნეტავ კიდევ რამდენი. ასეთი საათი და დღე ელოდა წინ? და როგორ უნდა გაეთრია ეს დრო?

ოლგას ეშინოდა ადამიანების, რომლებსაც ნელ-ნელა ს შორდებოდა, უცხოვდებოდა. ოლგას ეშინოდა ხვალინდელი დღის, რომელიც ცაზე კონტურებად იკვეთებოდა.

სანოლიდან გამოძვრა, ფანჯარასთან მივიდა და გამოალო. სინათლის სხივებში გახვეულ ქალაქს რომ გახედა, ოფლმა დაასხა. ცუდად გახდა. ცივ კედელს აეკრა, რომ ცოტა დანყნარებულიყო. შიშით შეპყრობილმა ტანსაცმელი ფართხა-ფურთხით გადაიცვა და თავს ძალა დაატანა, რომ ლიდისთან ერთად სასეირნოდ წასულიყო, ერთი ჭიქა ყავა დაეღია და დღის ქაოსს შერწყმოდა, მისი ნაწილი გამხდარიყო. დღისით სახლში მარტო მაინც ვეღარ რჩებოდა — ურჩხულები ახლოვდებოდნენ.

სარკეში აღარ იხედებოდა. საკუთარ სხეულს ვეღარ იტანდა. ვერც საკუთარ სუნს. მისი ოთახი, ქმედება, რიტუალური ყოველდღიურობა — ყველაფერი ეს ერთ დიდ საპყრობილედ ქცეულიყო. ზოგჯერ სიბრაზე იპყრობდა და ნგრევის დაუოკებელი სურვილი უჩნდებოდა.

მოგვიანებით უმიზნოდ ხეტიალს აგრძელებდა მარეს ქუჩებში, ლიდია მეზობლისთვის მიებარებინა და სახე მორჩილად ჰქონდა მიშვერილი საღამოს ვრილი ნიავისათვის. ზარავდა იმაზე ფიქრი, რომ სახლში უნდა დაბრუნებულიყო.

ამას წინათ დედისგან წერილი მიიღო. გული აუჩუყდა. იტირა კიდევ. ჭკუას არიგებდა — ფული დაზოგე, თავს გაუფრთხილდი, პარიზი დიდი ქალაქია, ფრთხილად იყავი, იბეჯითე და ჩვენზე ნუ იღარღებ, ჩვენი ბედნიერება ჩვენი გოგონას კარგად ყოფნააო.

დედაზე ფიქრისას რატომღაც შპალერი გაახსენდა მათ ბინაში, ერთ უსახურ ქალაქში, პართენიში. გაახსენდა სამზარეულო თავისი სუნელებიანი პატარა ქილებით, სიდიდის მიხედვით დაკიდებული ზოლიანი პირსახოცები სააბაზანოში. ნეტა როგორ ძლებდა იქ? როგორ იტანდა კვირაობით სეირნობასა და ქორწილებს სამეზობლოში, დღეებსა და ღამეებს? საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკვე წარსული იყო.

ოლგა კითხულობდა დედის წერილს და ბრახობდა მშობლები მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად შრომობდნენ სუნელების პატარა ქილების, პირსახოცებისა და მცირე დანაზოგისთვის, რომელსაც მათი ქალიშვილი ამჟამად ასე უაზროდ ფლანგავდა პარიზში.

რა უნდოდა უნივერსიტეტში? ოლგას დედას იმედი ჰქონდა, რომ მისი ქალიშვილი კარგი მასწავლებელი დადგებოდა. საერთოდ, აქ რისთვის ჩამოვიდა? რატომ არ ჩაჯდა პირველივე თვითმფრინავში, რომ რაც შეიძლება, შორს წასულიყო?

ოლგა ველოსიპედის პედლებს თანმიმდევრულად ატრიალებდა, ქალაქის დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში კაფე დაინახა, ჯერ კიდევ ღია იყო, ადამიანების საუბარი ისმოდა. ოლგამ შეანელა. უცებ ვიღაცამ მისი სახელი დაიძახა. ოლგამ ველოსიპედი გააჩერა და ადამიანთა მასაში ნაცნობი სახის ძებნას შეუდგა. მერე მიშელი დაინახა, ქერა ბიჭი ლიტერატურის კურსიდან, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ ძალიან მოსწონდა.

— ოლგა, როგორ ხარ? სად დაიკარგე?

— გამარჯობა, მიშელ.

— რამდენიმე დღეა შენს დაჭერას ვცდილობ, მინდოდა მეკითხა, სადმე დასალევად ხომ არ წავსულიყავით?

ასე, ოცდახუთ წლამდე იქნებოდა, უდარდელი ცისფერი თვალები ჰქონდა და სულ ილიმებოდა.

— რა ვიცი. ისე, ბევრი საქმე მაქვს.

— კარგი, რა. ახლახან გათავისუფლდი, უკვე სახლში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ შენ რომ დაგინახე... არაჩვეულებრივად გამოიყურები, ლამაზი კაბა გაცვია!

— გმადლობ.

ოლგას ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდა გამბედაობა, რომ ფიქრი საქმედ ექცია, ჯერ კიდევ ძალიან ეზინოდა. ამიტომ მაგიდასთან დაჯდა და მიშელთან ერთად ერთი ჭიქა ყავა დალია. თავდაც არ იცოდა, რას და რატომ აკეთებდა, მაგრამ ამაზე მეტი საშინელება ის იყო, რომ ვერ ხვდებოდა, სხვა რა შეიძლებოდა, რომ მოემოქმედა.

მიშელი უნივერსიტეტზე უყვებოდა, წინა კვირას გამართულ კონცერტზე უამბო, თან ილიმებოდა, ერთხელ სელზე ხელიც კი დაადო. ოლგა აბსოლუტურად გულგრილი იყო მის მიმართ, უკვირდა, რატომ დაინტერესდა მიშელი მისით ახლა, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, თუმცა, მაშინ თავად ძალიან მოსწონდა.

ბოლოს მიშელმა ფული გადაიხადა და მაგიდიდან ადგნენ. მიშელმა ოლგას ველოსიპედი იქვე დაატოვებინა და თავისი მანქანით წაიყვანა. მანქანაში უცნობი მელიოღია უღერდა. პოპი. ოლგას მუსიკისა ბევრი არათფერი გაეგებოდა, და საერთოდ, არც ცხოვრებისა აღარ გაეგებოდა არათფერი — ამას ბოლო დროს სულ უფრო მძაფრად აღიქვამდა.

ერთ-ერთ კლუბში შევიდნენ და ლუდი დალიეს. ოლგა ალკოჰოლს ვერ იტანდა, მაგრამ მაინც სვამდა. მიშელი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ცოტა ხნის შემდეგ ოლგას საუბრის ძაფი გაუწყდა, დაილალა.

მერე ცეკვავდნენ და მიშელი მის სხეულს ღონივრად იკრავდა გულში. ოლგა თავს ისე დასულად გრძნობდა მიშელის მკლავებში, რომ საეჭვოდაც კი ეჩვენებოდა ერთმანეთს აკოცეს. მერე ოლგას ტუალეტში მოუნდა გასვლა და იქ გული აერია. ვიღაც უსასრულოდ გრძელნანაგვიანი შავკანიანი გოგო თავს უჭერდა და თან დასცინოდა, ამჟამად ხალისობდა მასზე. ცოტა ხნის შემდეგ ოლგა ისევ საცეკვაო მოედანზე გაბანჯალდა და მუსიკის რიტმს აჰყვა. ვიღაცა მენჯზე მიეკრა და წელზე

ხელი მოჰხვია. ეს მიშელი არ იყო. ცოტა ხანში მიშელიც გამოჩნდა და ოლგა უცნობს გაარიდა.

მიშელმა ისევ აკოცა ოლგას და აიჩემა, აქედან წავიყვანო და გავიდნენ.

მანქანაში ოლგას ჩაეძინა, წარმოდგენა არ კონი სად მიდიოდა. მიშელი კიბეზე ასვლაში ეხმარებოდა და თან რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში. ოლგას აღარაფერი ესმოდა, აღქმის უნარი დაჰკარგვოდა.

საკმაოდ დიდი ბინა სავსე იყო კასეტებით, ღვინის ყუთებითა და ვიღაც მისთვის უცნობი ადამიანების ფოტოებით. მიშელმა თქვა, ფოტოების გადაღება მიყვარსო და ოლგას კიდევ ერთი ლუდი შესთავაზა. ოლგა სვამდა და ნადინზე ფიქრობდა. რა კარგი იქნებოდა, ახლა მასთან რომ ყოფილიყო.

ოლგა ტახტზე დაჯდა და სიგარეტი აიღო, რატომღაც მონევა მოუნდა, ისევ ცხოვრებაში დაბრუნება მოუნდა იმ ცხოვრებაში, უნინ ასე ძალიან რომ უყვარდა.

მიშელმა მაგნიტოფონს ბოლომდე აუწია, ოლგას თავი უსკდებოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ქერათმიანი ბიჭი გვერდით ეჯდა, ხელეებზე ეფერებოდა და ეუბნებოდა, ულამაზესი ხარო.

ოლგა არ ეწინააღმდეგებოდა და ყველაფერზე თანახმა იყო, ცხოვრებაში დაბრუნება სურდა. აღარ უნდოდა ფიქრი, აღარც სიზმრები. უბრალოდ, სვამდა ლუდს, რომელიც ყელში სცდებოდა და ახველებდა.

ბიჭმა კაბის ღილები შეუხსნა. ოლგამ გაიფიქრა, ნადინს უნდა დავურეკო და ყველაფერი ვუამბო, მაგრამ იმ წუთში ანმყომ აიტაცა და ისევ იმ პატარა ბინაში დააბრუნა, ქერათმიანი მიშელის გვერდით.

ტახტი ძალიან ვიწრო იყო, მუსიკა — ძალიან ხმამაღალი. ბიჭი რაღაცას ეჩურჩულებოდა, მაგრამ ოლგას მისი სიტყვების აზრი არ ესმოდა. ბიჭი ხმამაღლა სუნთქავდა, ოლგას მკერდზე ხელს უჭერდა, მაგრამ ოლგა ვერაფერს გრძნობდა, მასში რაღაც ჩამკვდარიყო.

საკუთარ სხეულზე უცხო სიმძიმეს აღიქვამდა, თავი აღარ უშუშავებდა.

მერე ლუდის ბოთლი გადაავლო, საცვალი გაიხადა და ბიჭს შემოაჯდა. ბიჭი კვნესოდა. ოლგა მასზე აღარ ფიქრობდა, უბრალოდ ცდილობდა რაიმე შეეგრძნო. ტკივილი, რომელსაც ამ დროს განიცდიდა, ერთადერთი საშუალება იყო, ეგრძნო, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ბიჭმა მისი სხეული ისე გადაცურა, ოლგას არ შეხებია.

მერე ოლგამ დაარტყა, მერე კიდევ და კიდევ.

ბიჭი დაიბნა, თავს იცავდა, ბოლოს გაბრაზდა, სილა გაანწა და უთხრა, გეყოფაო.

ოლგა იცინოდა, რა კარგი იყო ისევ ცხოვრებაში დაბრუნება. თეძოები ისე დაიკანწა, რომ სულ დაისისხლიანა. თან იცინოდა. ბიჭმა უკვე გაბრაზებულმა უთხრა, არანორმალური ხარო და ადგა. ოლგა კი იწვა, შიშველი, დასისხლიანებული და სიცოცხლეში დაბრუნებული. მერე მოიკუნტა და აქვითინდა.

19. ქალი (2004)

გულს მირევს ეს აპრიალბებული, მბზინავი სხეულები და კამკამა მზით გაბრდღვიალბებული ქალაქი.

ტურისტებისაგან სრულიად დაცარიელებული სანაპირო, სასიამოვნო ნაშუადღევითი. ჰორიზონტზე გემები და დამდგარი, ლაპლაპა ზღვა. ქვიშით ამოვსებული და დამძიმებული თვალები. დუმილი სხეულის თითოეულ უჯრედში და ეს გაუსაძლისობა ყოველი ამოსუნთქვისას. მაგრამ არა უშავს, ამინდი სხვადასხვა ისტორიისგან დაცლილ, სასიამოვნო სადამოს გვირდება. აღარ დარჩა ისტორიები. ყველაფერი უკვე ვნახეთ და რისი ნახვა და მოსმენაც შეიძლებოდა. სამწუხაროდ... ან საბედნიეროდ.

დიდი ხნის წინ ამ ადგილზე კარუსელი იდგა. ერთ ღამეს დიდი ტალღა მოვარდა და ყველაფერი დაღუნა. საყოდავი სანახავი იყო, როგორ იუანგებოდა სანაპიროზე მიმოფანტული კარუსელის ცხენები და ბამბის ნაყინის ჯიხურები. ეს მრავალი, მრავალი წლის წინ იყო. ახლა ნაკვალევიც კი აღარ ჩანდა იმ კატასტროფის, დროს ყველაფერი წაეშალა.

აზრების ნარჩენები თავზე ფუტკრებით ეხვია. დაფანტული ფიქრები საკუთარ შვილზე, უკვე გაზრდილსა და გალამაზებულზე, ზაფხულის სიყვარულის შესაცნობად მალე სახლიდან რომ წავიდოდა.

სივარეტის კვამლი ცისკენ მიიწევდა. სკოტჩის ბოთლი ქვეშაში იყო ჩაფლული, გრილად რომ შენახულიყო. ფიქრები თავში აქეთ-იქით ირნეოდა.

შორიდან სიმღერის ხმა ისმოდა, ვიღაც მღეროდა. ალბათ, ზემოთ, ნავსადგურის ბარში. იქაურობა თავგადასავლების მოყვარული ტურისტებით იყო სავსე, ყოველდღიური მონყენილობისგან თავის დაღწევას რომ ცდილობდნენ.

სანდლები გაიძრო და წყლისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

„არა უშავს, ამასაც გაუძლებთ!“ — ფიქრობდა თავისთვის. ადრე ღვინით ტკბებოდა, აბაზანაში სიამოვნებით უსმენდა გასართობ მუსიკას. და ერთობოდა. წიგნებს კითხულობდა და ეწეოდა. წვიმაში მამამისის ძველი რემზინის ჩექმით დადიოდა. ახლა კი...

ამ ქალაქიდან არც თუ ისე შორს, Port Marquarie-ს ნავსადგურში შეხვდა ფრანკს. ეს სიზმარივით იყო, ოღონდ დღისით ნანახი სიზმარივით, არა ღამეული. ფრანკი იყო ის, ვისაც ორი შვილი გაუჩინა. ეს ის ფრანკი იყო, მერე თავი რომ მოიკლა და შვილი ბალიშით გაუგუდა. ფრანკი. Port Marquarie-ს ნავსადგურთან რომ გამიშვლდნენ და ისიყვარულეს, მერე კი ზღვას მიანდეს მათი საიდუმლო და ბევრი იყინეს. რვა წლის შემდეგაც ნათლად ახსოვდა ეს ყველაფერი.

ლტოლვა, ყველაფრის გამანადგურებელი ლტოლვა სიყვარული ყველგან და ყოველთვის. გაგიჟება შეიძლებოდა. და რისთვის, თუკი საბოლოოდ ყველაფერი განადგურდებოდა?! რა მაზოხიზმია!

წყალი კოჭებზე ეფერებოდა.

ურჩიეს, დასასვენებლად წადიო. რისგან უნდა დაესვენა, ცხოვრებისგან? ბოლომდე მაინც ვერ მიხვდა, რატომ უნდა წასულიყო ახლა, სწორედ ახლა. იქნებ პალმების გამო, იქნებ იმ დაჟანგული კარუსელის ცხენების გამო. სულერთია, სად დასრულდებოდა ეს მოგზაურობა, მოგზაურობა ჯერ უნდა შემდგარიყო.

მუხლები დაუსველდა, ჯინსის შარვალიც, მერე პერანგი, წყალი ნელ-ნელა ნთქავდა მის სხეულს. ფეხქვეშ ფსკერი გაქრა. ზღვაში შეცურა.

გიპოვი მაქს, აუცილებლად გიპოვი...

წყლის ზედაპირზე სინათლის ანარეკლი დალიცლიცებდა და ნავსადგურიდან წამოსული ხმები სულ უფრო შორიდან ისმოდა.

20. მე (2005)

არა, უნდა აუკრძალო ადამიანებს, რომ სხევებს რამეს დაჰპირდნენ. განა რამდენი დრო სჭირდება იმის მიხედვრას, რომ მოგატყუეს, გაგაცურეს და გაგაბითურეს. ცარიელი, ფუყე სიტყვებით გამოგკვებეს. ისე, ჩემი მითოვება რომ არ გადაეწყვიტათ, ახლა აქ ხომ არ ვიჯდებოდი და არ დავწერდი?!

რა უაზრობაა!

მშვენივრად ვიცი, რომ ინტანტილურად უღერს.

იმ დღიდან, როცა ჩემს ცხოვრებაში სიკვდილმა შემოაღო კარი, ვცდილობ გავიგო, ცოცხალი ვარ თუ არა. სულაც არ მინდა, ყველაფერი მშობლებს ან ჩემს ტრავმირებულ ბავშვობას გადავაბრალო. იდიოტობაა. არადა რა დასანანია, რომ ასე დამავიანდა, რომ ჩემმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. ჯანდაბა! ისიც კი ვიცი, ეს წინადადება სად ამოვიკითხე. დიურასის წიგნშია.

ტელეფონი დუმს, მე კი ჯერ არ მეძინება.

დღეს შემთხვევით ერთი ფოტო აღმოვაჩინე, დღისით, უსაქმურობისგან რომ არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. უფრო სწორად, დაღლილობისგან. მე ხომ ასე ვცდილობდი, იმ ადამიანებთან მიღწევას, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არიან გაფანტულები და რომლებსაც შეიძლება ჩემი მეგობრები ან საყვარლები ერქვათ. ვცდილობდი, მაგრამ უშედეგოდ. დავილაღე...

ფოტოს მივაშტერდი. შავ-თეთრ ფოტოზე ორი გოგონაა გამოსახული, ქალაქის პარკში. უმცროსი მე ვარ. მონყენილი თვალებით, პატარა ფეხებითა და გაცვეთილი ფეხსაცმლით. ფოტო თითქოს სხვა საუკუნიდანაა, იმ დროიდან, როცა სხვა რაღაცების სჯეროდათ და სხვაგვარად ცხოვრობდნენ. ნუთუ ეს მე ვარ? მართლა მე ვიყავი? და ამის გაგრძელება ანწყო? ნუთუ მაშინ ვიცოდი, რომ მიმატოვებდნენ? უკვე ვიცოდი? ამიტომ ვიყურებოდი ასე შეწუხებული?

შემეცოდა ის ბავშვი...

და ახლა ჩემს თავს ვეკითხები, როდის მოხდა, ეს როდის დამემართა?

ორიენტაცია დავკარგე. არც არასდროს მექონია. უამრავ უცხო ისტორიაში უმიზნოდ დავბორიალობ და ვცდილობ, საკუთარი ვიპოვო. არადა, ქუჩასაც კი ვერასდროს ვპოულობდი, ვიკარგებოდი... როგორ უნდა მოვახერხო ამ ისტორიაში ჩემი ისტორიის პოვნა?

21. ძმა (1968)

ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ყველგან საპროტესტო გამოსვლებია. თუმცა პატრისი მოვლენებისგან შორს დგას. ჩემად ყოფნის აღთქმას მაინც არ ღალატობს. მის ნიჭს აქებენ. მარის უყვარს, მარი ბესონვილს უნდა, რომ პატრისს უყვარდეს.

პატრისი შეშფოთებულია. მისი და დემონსტრაციებში მონაწილეობს და თმას ინით წითლად იღებავს.

პატრისი ღამლამობით წერს, როცა ყველას სძინავს. გარსონი მიეჩვია და ხმაურს ყურადღებას აღარ აქცევს. პატრისის ზოგჯერ საოცარი სურვილი უჩნდება მარი ბესონვილს ატკინოს. ღამლამობით ცუდად სძინავს, თვალეები ამოუღამდა.

ხანდახან დედა ურეკავს. ამ დროს დაბლა, საერთო ოთახში ჩასვლა უნევს. დედასთან საუბარი რცხვენია, როცა სხვები უსმენენ. ხანდახან თავს მიტოვებულად გრძნობს და ერთი სული აქვს, მარის შეეხოს, მაგრამ მარი წყალივითაა. რაც უფრო ცდილობ, რომ მუჭში მოიქციო, მით უფრო სწრაფად გისხლტება თითებს შუა. მარი ყველას უყვარს და არავის ესმის, არჩევანი პატრისზე რატომ შეაჩერა. პატრისის კი ღამლამობით ის ესიმზრება.

ახალგაზრდები როკს უსმენენ და ფესტივალებზე დადიან, არც სწავლა უნდათ და აღარც უწინდებურად ცხოვრება. რას იზამ, დრომ მოითანა. სულ უფრო მეტი ლექცია და სემინარი ცდება და ყველაფერი ამ სულელური პროტესტის გამო. ანე ვილაც იდიოტთან ერთად ცხოვრობს. პატრისი ხანდახან ფიქრობს, რომ ანე ამ ბიჭთანაც იმავეს აკეთებს, რასაც წლების წინ, თავის ოთახში აკეთებდა.

სასიამოვნო გაზაფხულია, მშვენიერი ამინდია, ცა ჰაერი ბრაზითა და ზიზღით არის გაჟღენთილი და პატრისი გრძნობს ამას. წერს ნოველებს, რომლებსაც აქებენ და ბეჭდავენ — პატარა ჟურნალებში, მისი პროფესორების რეკომენდაციებით. პატრისს მხოლოდ ერთის ეშინია — ის არ უნდა აღმოაჩინოს არავინ, ის, რომელმაც ალბათ არც კი იცის მისი, პატრისის არსებობის შესახებ. ისინი ერთმანეთს დროში ასკდნენ — ამაში მტკიცედ არის დარწმუნებული.

მარისთან ერთად სადილად წასვლა გადაწყვიტა. სადმე, სადაც ხელს არავინ შეუშლიდათ. ლათინური კვარტალის ერთ-ერთ რესტორანში მიდიან თევზისა და სალათის საჭმელად. მარის მამაკაცის შარვალი და უსაშველოდ გულამოჭრილი პერანგი აცვია. პატრისს ზიზღს ჰგვრის იმის გაფიქრებაც კი, რომ სხვა მამაკაცებს მარის მკერდის დანახვა შეუძლიათ, მაგრამ არაფერს ამბობს, ისედაც ბურჟუად მიჩნეული.

მარი ყოველდღე დადის დემონსტრაციებზე. მარის ლამაზი თმა აქვს და სადა ვარცხნილობას ატარებს.

რესტორნიდან გამოსულები უმიზნოდ დაეხეტებიან ქუჩებში. მარი ეკითხება, ხომ არ მოსწევდით. მარის მოსწონს, როცა ის ბოლდება. პატრისი თანხმდება და მარი რომელიღაც სარდაფში მიათრევს. წარმოდგენა არა აქვს, სად არიან. მარი პარიზელია, ქალაქს ხუთი თითოვით იცნობს. მის გვერდით პატრისის თავი გზაბნეული ჰგონია.

სადღაც კლუბში სხედან, ბნელა და ჯენის ჯოპლინს უსმენენ. პატრისის ეს მუსიკა არ უყვარს. მარისუანას სუნი ღვას. ყველგან წყვილები წვანან. პატრისს უკვირს, საიდან იცის მარიმ ასეთი კლუბები. რა უცნაური გოგოა. ანეც ნამდვილად ასეთ კლუბებში დადისო, — ფიქრობს. მარი დახლთან მიდის, ორი ჭიქა ღვინო მოაქვს და ერთ ღერ გამოხვეულ სიგარეტს აწვდის პატრისს. პატრისი ეწევა და არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

მაღე ერთმანეთს კოცნიან. პატრისი გრძნობს მარის მუხლს, რომლითაც მარი მისი სხეულისკენ გზას იკვლევს. ვილაც ოპიუმთან ჩიბუხს ეწევა, ვილაცები ოფლად იღვრებიან და თან ამ სივინროვეში ცეკვავენ. პატრისი და მარი ჭუჭყიან ტახტზე სხედან. აქ, ახლა, მასთან და მის მუხლებთან ერთად. ალბათ ეს ყველაფერია, რაზედაც პატრისის ოდესმე უოცნებია: მარის მუხლები.

პატრისი მარის ფეხებს შუა უცურებს ხელს. მარის ეტყობა, სიამოვნებს, წინააღმდეგობას არ უწევს. ყურადღებას არავინ აქცევთ.

პატრისი გრძნობს, რომ სხეული უმძიმდება. მარის სუნი მოსწონს, ყელზე ცოტაოდენი სუნამო ასხია, პატრისის ძალიან მოსწონს ეს ყვავილივით მსუბუქი სურნელი, ყელზე ჰკოცნის. მარის ხელი მის შარვალს ეხება. შარვალი ვიწროვდება, ყველაფერი ვიწროვდება...

ძმა: უნდა წავიდეთ...

მარი: არა, არ უნდა წავიდეთ. მე შენთან ყოფნა მინდა.

ძმა: რატომ გიყვარვარ?

მარი: სულერთი არ არის?

ძმა: არ ვიცი, რა მჭირს.

მარი: მე გხედავ შენ. იმასაც კი ვხედავ, რასაც ასე!

გულმოდგინედ მაღავე. დამიჯერე!

ძმა: და ეს მოგწონს?!

მარი: არც მე ვარ ანგელოზი. ყველაფერს მოგიყვები, ყველაფერს გეტყვი, რაც გაინტერესებს.

ძმა: მე შენ გატკინე.

მარი: მერე რა, ეს ხომ მე დაგუშვი, ანუ მე მინდოდა.

ძმა: მაპატიე.

მარი: მორჩი, ნუღარ მიხდი ბოდიშს! მე აქ ვარ, შენთან! და იცი რატომ? ასე მინდა და იმიტომ.

ძმა: ალბათ გაგიჟდი, თუ ეს მართლა გინდა.

მარი: რატომ გძულს საკუთარი თავი ასე ძალიან?

ძმა ამ კითხვაზე პასუხს არ სცემს.

მარი: (უცებ სიცილს იწყებს) იცი, შენი მოთხოვნები სულაც არ მომწონს.

ძმა: ვიცი. არც მე მომწონს.

მარი: მაშინ რატომ წერ?

ძმა: ისე, უბრალოდ.

მარი: გარსონი ამბობს, რომ ყოველ ღამე ბეჭდავ. ეს რაღაც სხვა რამეა, არა?

ძმა: მოდი, არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი.

ალარაფერს ამბობენ, ერთმანეთს კოცნიან. მერე მარისთან მიდიან სახლში.

22. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

„ყველაფერის ქონა არაფერის ქონას ჰგავს. რამეს რომ მიაღწევ, უნდა შეჩერდე, უნდა შეძლო საკუთარ სურვილებზე უარის თქმა და ამით ცხოვრება დუელში გამოიწვიო.“

მიცვალებულთა სამეთვლეს ქუჩებში მოხეტიალე, გაფაცვიცვით დავეძებდი საკუთარ აჩრდილს. მან კი მიმატოვა, მიღალატა. მარტოობა ღვთის კურთხევად მექცა და ამ სიმარტოვეში ჩამწყვდეული, ჩემი არსებობის ნაკვალევს დავეძებ ყველგან. ამაოდ. ღმერთს მივმართე. მან კი, დაღლილი ვარო, მიპასუხა. დაღლილი და იმედგაცრუებული. მე მომენდე-მეთქი, შევთავაზებ. მხრები აიჩჩია.

ატლანტიდის ქუჩებში ამაოდ ვიბორიალე, ყველაფერი ჩაძირულიყო, ყველა ჩამხრჩვალყო წყლის მარადიულ სიცივეში. გაუკაცრიელებულ ქუჩებში დაცარიელებულ სახლებს შორის დავეხეტებოდი. სიზმარეული კონტინენტი ჩემს ფეხქვეშ იყო განრთხმული... და რა?

მერე ჩემს ოაზისში მივედი, 300 წლის შემდეგ, და იმედგაცრუებულმა აღმოვაჩინე, რომ აქ ყველაფერი ხრიოკად ქცეულიყო. სურვილებისგან დაცლილიყო. და მეც ნგრევის კოცონი ავაგიზგიზე.

სიცოცხლე სიტყვების გარეშე, სიცოცხლე, რომელიც იყინება და სუნთქვას წყვეტს. მინდა, რომ თოვლი წამოვიდეს, დიდი, უზარმაზარი ფანტელები. პათოლოგიური ფანტელები.

ჩემს ხანჯალს ვიღებ და გულს ვიჭრი, მაგიდაზე ვდებ და მის დანაკუნებას ვინყებ. მანამ არ ვჩერდები, ვიდრე ფეთქვას არ წყვეტს. და მშვიდად დავყურებ.

ჩრდილოეთის მიმართულებით გავცურე, ჰო, ჩრდილოეთისკენ, იქ, სადაც ცხოვრება ასრულებს სიცოცხლეს. ტანტალოსთან ერთად მეც ვეჭეფი სუფრას, იმ ტანტალოსთან, საკუთარი შვილი ღმერთებს რომ მიართვა სადილად, მეც გავუსინჯე იმ ხორცს გემო... ჰადესისაკენ მიმავალ გზაზე დავიკარგე. იმას, რასაც ჩვენ ვთმობთ, ცხოვრება ჰქვია.

ნეტა რისთვის მივატოვე უდაბნო? ოფელია, ჯანდაბამდეც გზა გქონია! ყველა მონასტერს გადავიწვავ, მხოლოდ განსაწმენდელს დავიტოვებ თავშესაფარად. ეჰ, ოფელია, ეჰ!”

ნერტილი დასვა. წიგნი დასრულდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო.

ფანჯრიდან რიჟრაჟი შემოიპარა. დილის სინათლე მუხლებზე მოეფინა. აბაზანის წყალი, ოფელიას ტბა, სხეულის ყოველ მოძრაობაზე აქეთ-იქით ირწეოდა.

მისი თმა, გარს რომ ერტყა, ყველაფრის სურვილს აკარგვინებდა. ერთადერთი გრძნობა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა მასში, შიმშილი იყო. ყურადღების დატანას შეეცადა, არ გამოუვიდა.

წყლიდან ამოვიდა, იმ წყლიდან, რომელსაც ღამით თავისი გამჭვირვალობა დავკარგავ. სრულიად სველმა ოთახში გაიარა და იატაკზე წყლის გუბები დატოვა.

საათი გასულა მას შემდეგ, რაც პირში ლუკმა არ ჩაუდის, საზღვრები აორთქლდა. მსოფლიო რუკა მუცელზე დააღწა და ჭიპში ჩაეღვარა. 20 საათი იჯდა აბაზანაში და უკან დასაბრუნებელ გზას ეძებდა.

აჩრდილებს მანსარდაში მიმავალი გზები გადაუკეტა, ყველა ღმერთი ოდესღაც ალბათ დაიღალა და გასუქდა.

ფანჯრიდან სხივი შემოვიდა, სხივი, რომლის დაჭერასაც, ერთ ღროს თავის თეძოებს შორის ცდილობდა. მზის სხივი.

თავისი ოთახის პატარა ფანჯარასთან იდგა და ქალაქს გადაჰყურებდა. გაახსენდა მცხოვრებლის შევირდი და კიდევ თბილი პური, რომლითაც შევირდს კოცნის საფასურის გადახდა შეეძლო. ტანზე სწრაფად გადაიცვა და კიბეზე დაეშვა.

23. აპიდაპი (2004)

თბილი იენისი რომ მიიწურა, ივლისი ქალაქს წვიმით რომ შეეგება და წითურთმიანმა ბიჭმა ლაურას სახლთან ყურყუტი რომ არ მოიშალა, ლაურას

სინდისის ქენჯნა დაეწყო. ვინ იყის, ეგებ ბიჭს სწავლაზე ხელი აეღო. ამიტომ იმ დღეს გადაწყვიტა, დაბლა ჩასულიყო და ბოლო მოეღო ამ ყველაფრისთვის.

ლაურამ კარი გამოაღო და ქვემოთ ჩავიდა. ბიჭი შესასვლელში იდგა, ხელები ჭინის ქურთუკის ჯიბეებში ჩაეწყო და სიცარიელეში იყურებოდა. ლაურა ამ სანახაობას უკვე მიჩვეული იყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში ბიჭი მხოლოდ ერთხელ არ მოვიდა, 28 ივნისს. ლაურას ზუსტად ახსოვდა ეს დღე, რადგან იმ დღეს თავი რაღაც უცნაურად იგრძნო. გადაწყვიტა, ალბათ ფარ-ხმალი დაყარაო და გულზე მოეშვა. თუმცა იმავდროულად დარდიც შემოაწვა. მაგრამ მერე, 29-ში, როდესაც ბიჭი ისევ გამოჩნდა, ლაურას მის დანახვაზე ნიშნისმოგებით ჩაელიმა.

თუ ბიჭი ლაურაზე აღრე მოდიოდა და სახლთან თავის ჩვეულ პოზიციას იკავებდა, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ლაურა სწრაფი ნაბიჯებით ჩაუვლიდა ხოლმე ბიჭს და სახლში ისე შედიოდა, თითქოს არც კი დაენახა. ზოგჯერ საძინებლის ფანჯრიდან უთვალთვალებდა, ყალბუბებს უკან იმალებოდა, ეწეოდა და გრაჰას სვამდა. ბიჭის თვალთვალი, განსაკუთრებით ალისის მიერ ტელეფონით წაკითხული დარჩევების შემდეგ, სასიამოვნო განტვირთვაც კი იყო მისთვის.

ლაურამ პირდაპირ ბიჭისკენ აიღო გეზი. ბიჭს ქოლგა ჰქონდა თან, მაგრამ გაუხსნელი ეჭირა. არადა წვიმდა.

— მორჩა, საკმარისია! — უთხრა და ისე ახლოს მივიდა ბიჭთან, რომ მისი სუნიც კი იგრძნო. თოთო ბავშვის სუნი ასდიოდა. ნეტა რამდენი წლის იყო? 23-ის? 24-ის?

— კარგია, რომ მოხვედით, — თქვა ბიჭმა და აული, — არ გესმის? საკმარისია!

— ესე იგი, მზად ხართ?

— მზად? ხომ გითხარით, არსად წამოვალ-მეთქი. რატომ არ ანებებთ ამ სისულელეს თავს?

— დამთანხმდით!

— სასწრაფოდ წაღით აქედან, თორემ გიჩივლებთ, გეფიცებით, გიჩივლებთ!

— წამომყევით პარიზში. ჩემთვის სულერთია, პოლიციას შეატყობინებთ, თუ რას იზამთ. აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე არ დამთანხმდებით. უნდა წამომყევით.

— არსად არ უნდა წამოგყვით! გაფრთხილებთ, საკმარისია!

— წამომყევით.

— კარგი, ახლავ პოლიციაში დავრეკავ!

ლაურა უკვე ყვროდა. მერე უცებ შეეშინდა. მას აქეთ, რაც ბიჭი მის კარს არ შორდებოდა, მეზობლები პირველად გაახსენდა. ნეტა რას ფიქრობდნენ...

— ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

ლაურა სახლში შევარდა და კარი მიიჭახუნა. ოთახში შესული კედელს მიეყუდა. მერე ტელეფონის ყურმილს ხელი დაავლო. პოლიციაში დარეკვას სულაც არ აპირებდა, ბიჭს ტყუილად ეშუქებოდა, პოლიციის ნომერი კი არ იცოდა ზეპირად. მაგრამ ახლა გაცოფებული იყო ბიჭის სიჭიუტემ წონასწორობა დააკარგვინა. არ იცოდა, რა მოემოქმედა. რექტორისთვის რომ დაერეკა და ყველაფერი მოეყოლა? აეხსნა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა? მაგრამ რას ეტყოდა რექტორი? ყველა ჩათვლიდა, რომ ბიჭი შეყვარებულია. რა თქმა უნდა. თანაც რექტორი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. და პოლიცია? ნებისმიერს ჰქონდა უფლება, იქ მდგარიყო, სადაც უნდოდა — ბიჭი ხომ არავის აწუხებდა.

ლაურა გრძნობდა, როგორ დაეჭიმა მთელი სხეული. კრუნჩხვების დანწყებამდე ცოტალა აკლდა. წიგნებით ჭერამდე შევსებულ მისაღებ ოთახში თვალდახუჭული იდგა და სიმწრისგან არ იყო და, როგორ მოქცეულიყო.

თავისი ქმრის სახე წარმოუდგა თვალწინ, ისე ნათლად და მკაფიოდ, თითქოს წინ ედგა. ლაურა მიხვდა, ისტერიკა ეწყებოდა. ფანჯრიდან გადაიხედა, ბიჭი ისევ იქ იყო — ჯერ ხომ მხოლოდ ათი იყო დანწყებული.

სამზარეულოში შევიდა და სიგარეტს მოუკიდა, მერე გუშინდელი ნახევრადდაცლილი გრაჰას ჭიქიდან ყლოუში მოსვა, საშინელი გემო ჰქონდა. დაახველა. მერე ძველ მუხის მაგიდას მიუჯდა — მეგობრებმა ოცდამეათე დაბადების დღის აღსანიშნავად რომ აჩუქეს, ხელოვნების აკადემიაში მუშაობის დანწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

თავი სიყარიელით ჰქონდა სახვე, ერთადერთი იმ კაცის სახე წამოუტივტივდა, რომელსაც ცოლად გაჰყვა, რომელთანაც რვა წელი გაატარა და რომლისგანაც მკვდარი შვილი გააჩინა. აგონდებოდა მისი კრივის ხელთათმანები და მისი მღვმარე ორგანზმები, მისი გვერდული გამოხედვა და უკმაყოფილების ნიშნად წარბების აწევის ჩვევა. რაც დასცილდნენ, ლაურას მისთვის ერთხელაც არ დაურეკავს. მას მერე წელიწადნახევარი გავიდა.

არა, არანაირად არ აინტერესებდა ის დანწყებული წიგნი. არც პარიში არ აინტერესებდა. და არც ის ნითური ბიჭი.

თავისი ეკო-სიძის სახე წარმოუდგა თვალწინ, ყოფილი საყვარელიც გაახსენდა, რომელსაც შეიძლებოდა კვლავ შეხვედროდა, მეგობრები, იოგაზე რომ დადიოდნენ და პორტუგალიაში გასარუჯად მიდიოდნენ, ახალგაზრდა, მათსავით გარუჯულ მამაკაცებს ეძებდნენ და რელიგიაზე კამათობდნენ. შეეშინდა. რა ელოდა ნეტა მომავალში? კიდევ უფრო მეტი გრაჰანი საღამო?

ლაურამ სიგარეტი ჭიქაში ჩააქრო, მერე მისაღებ ოთახში დაბრუნდა და ისევ ტელეფონის ყურმილი აიღო ხელში. ახლა უკვე მაგრად წვიმდა, ბიჭი ჯერ ისევ დაბლა იდგა, ეს დანწყებული ამინდი თითქოს სულერთი იყო მისთვის. ლაურა კედელს მიეყრდნო და ღრმად ჩაისუნთქა.

პირველი სასიყვარულო ღამე გაახსენდა. ამსტერდამში, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, საწოლში, რომელიც ერთი ადამიანისთვისაც კი ვიწრო იყო. ოთახის კარი არ იკეტებოდა. მეზობელი ოთახიდან ხმაური ისმოდა, ოთახში ალკოჰოლის სუნი იდგა, და მერე ზენარზე სისხლის პატარა ლაქა გაჩნდა. გაახსენდა ის ბიჭი, რომელსაც ლუდის სუნი ასდიოდა და რომლის სახეც მესხიერებიდან დროს უმონწყალოდ წაეშალა. გაახსენდა, როგორია იმასთან ყოფნა, ვინც შენთვის სულერთია, როგორია გაბრუნება, როდესაც მეორეს სტკივა, როგორია მარტო ყოფნა და ამის არაღიარება.

ის ხედი გაახსენდა, თვითმფრინავიდან რომ დაინახა, როცა ინდონეზიას გადაჰყურებდა თვითმფრინავის ფანჯრიდან, მაშინ, ქვეყანას რომ ტოვებდა, თურმე სამუდამოდ. როგორი იყო ცხოვრების დანწყება... სწავლა, ძიება, ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბება და ბოლოს ცივ, უსულო და უემოციო ადამიანად გადაქცევა.

ლაურას ყველა მოგზაურობა გაახსენდა, ერთად გილიანი ნომრები დიდ სასტუმროებში, როგორ სურდა ეს კარიერა, დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი ფულის შოვნა. კაირო, ნიუ-იორკი. როგორ ცხოვრობდა? ან რითი სუნთქავდა?

ლაურას შეეშინდა. იმდენი რამ აღარ ახსოვდა. ალბათ უკვე ნაადრევი სიბერის პირველ წელიწადში შეაბიჯა.

ლაურა დაბლა ჩაქანდა, კარი გამოაღო, წვიმაში გავარდა და ბიჭს დაუყვირა:

— წამოვალ, წამოვალ! ჯანდაბას, წამოვალ!

ბიჭმა სრული სიმშვიდით, ყოველგვარი სიხარულის გარეშე დაუქნია თავი და სახლის კარისკენ მიანიშნა. თავიდან ფეხებამდე სველი იყო. უცნაურია, მაგრამ ორივეჯერ წვიმისგან გალუმპულმა შეაბიჯა ლაურას ბინაში. ლაურამ პირსახოცი გადაუვლო, ბიჭმა სპორტული ფეხსაცმელი გაიძრო და თმა გაიმშრალა. ლაურა სამზარეულოში შევიდა და ელექტროჩაიდან ჩართო. გარეთ უკვე ბნელოდა. ორი ჭიქა გვირილის ჩაი მაგიდაზე დადგა, თაროდან გრაჰას ბოთლი გადმოიღო და ბიჭს შეხედა. მერე ორი ჭიქა გამოიღო და გრაჰა ჩამოასხა.

— მაშ ასე, გეგმას მე შევადგენ და ვიტოვებ უფლებას, ნებისმიერ დროს დავანებო თავი ყველაფერს, როცა გადავწყვეტ. თქვენ არ შემეკამათებთ და იმას გააკეთებთ, რასაც მე ვეტყვი. თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ფულსაც გამომართმევთ. აკადემიაში ჩვენი გეგმების შესახებ კრინტსაც არ დაძრავთ. არ გამაგონოთ სასიყვარულო თავგადასავლები. ყოველთვის მზადყოფნაში იქნებით და აჟად არ გახდებით. არ დაბოლდებით, არც დაღევთ. და არც თქვენს ცხოვრებაზე მომიყვებით რამეს. ნურც ჩემს დარწმუნებას შეეცდებით. თუ გადავწყვეტ, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ამასაც უსიტყვოდ შეეგუებით. ამ წესებიდან ერთ-ერთი მაინც თუ მიუღებელია თქვენთვის, შევიძლიათ მიბრძანდეთ.

— თანახმა ვარ.

ბიჭი თავის გრაჰას წრუპავდა.

— არც დავლევ, არც დავბოლდები, არც ვინმე შემიყვარდება, არც ზარმაცი ვარ და ნებისმიერ დახმარებასაც მივიღებ. ფრანგული თითქმის არ ვიცი, მაგრამ თუ საჭირო გახდა, მალე ვისწავლი.

— უნდა მომიყვით ყველაფერი, რაც ამ ისტორიაზე იცით, რაც არ იცით და რისი გავებაც გინდათ. საორგანიზაციო მხარეზე მე ვიზრუნებ. ივლისის ბოლოს გავფრინდებით, ზაფხულის არდადეგებზე. მართალია, ფრენა არ მიყვარს, მაგრამ ამით თავიდან ავიცილებთ მანქანით მგზავრობას, რომელიც დიდხანს გრძელდება და ძალიან დამღლელია, თანაც იძულებული ვიქნებით, დროის გასაყვანად ერთმანეთს ველაპარაკოთ. მანამდე მე ინფორმაციას მოვიძიებ. ამ არდადეგებზე უნივერსიტეტისთვის სხვა საქმეც ხომ არა გაქვთ მოსაგვარებელი?

ბიჭმა თავი გაიქნია.

— არა, უკვე ყველა ნაშრომი ჩავაბარე.

— კარგია. შემდეგ კვირას გეგმა მზად მექნება, რომელსაც საფუძვლიანად უნდა გაეცნოთ, გასაგებია?

— გასაგებია. — ბიჭს ახლალა გაუკრთა სახეზე რაღაც სიხარულის მსგავსი.

ლაურა აგონიაში იყო. თავად არ სჯეროდა, რომ ამ ყველაფერს მართლაც ამბობდა და აპირებდა.

ბიჭი ილიმებოდა, თანდათან მოდუნდა, ფანჯრიდან გადაიხედა, გახედა არხს, ზაფხულის შუშუნა წვიმას, ამსტერდამში ჩამოსულ ყველა ტურისტს რომ ამინებდა.

— მგონი, არ იქნება ურიგო თქვენ შესახებაც ცოტა ოდენი რამ მიამბოთ. — ლაურამ კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა.

- შეგიძლიათ, ყველაფერი მკითხოთ.
- რამდენი წლის ხართ?
- 25-ის.
- ამსტერდამიდან ხართ?
- ასეც ვერ ვიტყვი. დედა ამსტერდამიდანაა. მამა დანიიდან. ცამეტ წლამდე ოდენსეში ვცხოვრობდი.
- და უნივერსიტეტში სწავლობთ...
- ლიტერატურასა და ხელოვნებათმცოდნეობას.
- ოდენსე...
- ჰო, იქ ბევრი არაფერი ხდება.
- ბიჭი უცნაურად ილიმებოდა.
- სწავლის დაწყებამდე რას საქმიანობდით?
- კოპენჰაგენის არქეოლოგიის ინსტიტუტში პრაქტიკა გავიარე, თურქეთში ვიყავი გათხრებზე. მერე აქეთიქით ვიმოგზაურე, ძირითადად სამხრეთ ამერიკაში. ლონდონში ისტორიის ფაკულტეტზე ჩავენერე, მაგრამ ორი თვის შემდეგ წამოვედი. სამხრეთ ამერიკაში ხელოვნების აღქმის შესახებ წიგნის დაწერა მინდოდა, წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მომივიდა ეს აზრი, 140 გვერდი დავწერე კიდევ, მერე დამეზარა. ერთ დღესაც მამაჩემს მოჰბეზრდა ეს ყველაფერი და მეც უფულოდ დავრჩი. და მერე...
- გასაგებია.
- გასაგებია?
- ჰო, მე მგონი...
- ძალიან კარგი.
- ოდენსე...
- ჰო, ოდენსე... ისე, ჯამენი მინდოდა გავმხდარიყავი. ჯაბი ჩემი ფარული გატაცებაა.
- ჯაბი ოდენსეში. საინტერესოა.
- ორივემ ერთდროულად გაიცინა.
- გმადლობთ. თქვენ გადამარჩინეთ! — თქვა ბიჭმა ნასვლის წინ. ზუსტად თერთმეტი საათი იყო, რომ წავიდა.

24. ქალი (2004)

სიცხეს ბოლო არ უჩანს, ბუბებმა თავი მოაბეზრეს, სკოტჩი ყელს წვავს. ტახტზე ფეხმორთხმული ზის, თავის გამხდარ, გარუჯულ ფეხებზე. ტელევიზორი დაბალ ხმაზეა ჩართული.

დღეს ლინის სკოლაში ყოფნის ბოლო დღეა. ახლა სადღაც გეიმობს. ფრანჩესკა მუდმივად ცდილობს, რომ მისმა ქალიშვილმა ნასვამი არ ნახოს, მაგრამ დღეს ს შეუძლებელია, დღეს ამას ნამდვილად ვერ მოახერხებს, ფრანჩესკა ცუდადაა. სიცხისგან იხუთება. ტელევიზორში „ინდიანა ჯონსს“ აჩვენებენ. ჰარისონ ფორდი ძალიან დაბნეული ჩანს, მაგრამ მალე შონ კონერი გამოჩნდება და ყველაფერი მოგვარდება, როგორც ხდება ხოლმე.

დღეს დედამ დარეკა. სუნთქვაზე იცნო — იქამდე, სანამ მის ხმას გაიგებდა. დედამ ლინი მოიკითხა. ფრანჩესკამ ის უპასუხა, რასაც ყოველთვის პასუხობს ხოლმე, დედა ახლა 71 წლისაა, მაგრამ 50 წლის გეგონება. 46 წელი მამამისზე, საზღვაო ოფიცერზე, იყო დაქორწინებული, რომელმაც თანაცხოვრების ამ 46 წლიდან 25 წელი ზღვაში გაატარა. ნაკლებ სავარაუდოა, რომ დედა ამით ბედნიერი ყოფილიყო. თუმცა, საკომპენსაციოდ ის ყოფნიდა, რომ დიასახლისების კლუბში ყოველთვის წამყვანი იყო და სიტუაციას აკონტროლებდა. ლამაზი ქალი იყო, ადელაიდაში დაბადებული. პატრიოტული სულისკვეთების. დედას და მამას ერთმანეთთან სალაპარაკო ბევრი არაფერი ჰქონდათ, და ეს ორივემ მშვენივრად იცოდა.

ჰარისონს ოფლი ჩამოსდის და ტანკს ასტეხა... ფრანჩესკა ბოთლს ცლის და მასაც ოფლი ასხამს. ლინი საერთოდ არ ეკარება სასმელს, ეზიზღება, ალკოჰოლის ეშინია კიდევ. სამაგიეროდ ვულგარულად იღებება და ისეთი ტანსაცმელი აცვია, რომელშიც მისი სხეული მამა კაცისას ემსგავსება. ლინი ვერ ხვდება, რომ ეს უხერხულ კონტრასტს ქმნის.

ლინი პატარა იყო და ბებიასთან იყო სტუმრად, როდესაც მამა და ძმა მოუკვდა. მისი თანდასწრებით მამე არაფერს საუბრობს. ლინი, კეთილი ლინი.

ლინის დედის დაკარგვის ეშინია, მაგრამ ხანდახან ლინი საკუთარ დედას ვერ იტანს. დედამ ეს იცის. ლინი ვერ იტანს დედას სკოტჩის ბოთლების გამო, სიჩუმის გამო, რომელიც სუფევს მათ სახლში Surry Hills-ში, იმ ტკივილის გამო, მას რომ მიაყენეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანჩესკას შეილია, იმიტომ, რომ ამ ოჯახს ეკუთვნის და არა რომელიმე სხვას.

ლინი ჩუმად იპარება სახლში, იმედი აქვს, რომ ფრანჩესკას სძინავს.

— დე, რატომ არ გძინავს?

— ვერ დავიძინე, მაპატიე, საყვარელო. კარგი დრო გაატარე?

ლინის განიერი ჯინსის შარვალი აცვია, სათვალე ოდნავ დასვრია, ტუჩებზე მყვირალა წითელი პომადა უსვია. კუბოკრული პერანგი სამი ზომით დიდი მანინც ექნება.

დაბადების დღისთვის მოისურვა. საშინლად გამოიყურება. რა დასანანია, რომ ეს ტომარა ამ ულამაზეს სხეულს ფარავს.

— ჰო, კარგი იყო. კვირას მივდივართ. ყველა ძალიან აუტირებულია. დე, დალიე, არა?

— საყვარელო, განტვირთვა მინდოდა.

ლაპარაკი უჭირს, მაგრამ ჯერ კიდევ აზროვნებს.

— ბებიაშ დარეკა.

ლაპარაკი არ უნდა შეწყვიტოს, თორემ ლინს შეეშინდება და ინერვიულებს.

— იკითხა, საზაფხულო ბანაკის მერე ხომ არ მომინახულებსო. ვუპასუხე, თვითონ დაგირეკავს-მეთქი.

— დე, არ მომწონს, რომ დალიე, ისევ დალიე. ხომ შეშინდი, დე?!

ვიცი, მერამდენედ. უკვე მერამდენედ, ლინ, ძვირფასო! ვიცი, საშინელება ვარ. უკეთესი იქნება თავს უშველო და ნახვიდე. გჭირდება ეს ყველაფერი? აჯობებს გაგვეცალო მე და ძვირფას ჰარისონს. ლინ, ჩემო კარგო.

— მაპატიე, საყვარელო, მე მხოლოდ...

ლინი მის გვერდით ჯდება. ისეთი დაბნეული ჩანს ამ თავისი გარდატეხის ასაკის, საკუთარი აზრის გამოხატვის უნარობის, ყველასგან და ყველაფრისგან გაქცევის დაუძლეველი სურვილის გამო. როგორ უნდა ფრანჩესკას, რომ ლინისთვის ის საყრდენი იყოს, რომელიც მას ასე ძალიან სჭირდება.

— შენ თუ ისევ დაინწყებ, მე ხომ ვერ წავალ, დე. მართოს ვერ დაგტოვებ... ხომ გესმის, რომ ვერ...

— ლინ, მომისმინე.

ფრანჩესკა პირში ენას ველარ ატრიალებს, თავს ძალას ატანს, რომ ილაპარაკოს. ელაპარაკე, ფრანჩესკა, ლინს ელაპარაკე, რომ არ შეეშინდეს. ლინს მაშინდელივით თუ შეეშინდა, მაშინ ნასულია საქმე.

— კარგად ვარ, ლინ, ჩემზე ნუ დარდობ. მინდა, ერთი რამ იცოდე — მიყვარხარ! ნასვლას ვაპირებ. შენ რომ ბანაკში წახვალ, მე ვეროპაში გავფურინდები, სადმე, და ვეცდები გონს მოვეგო. მინდა, იცოდე, რომ ამას ჩვენთვის ვაკეთებ, ლინ. მხოლოდ ჩვენთვის. ბანაკის მერე შეგიძლია ბებიასთან წახვიდე, კარგი? სწავლის დანწყების წინ ბებიასთან ერთად ჩამოხვალ, მანამდე მე...

გაცოფებული ლინი ტელევიზორს რთავს. რაღაცას მიშტერებია, ქვედა ტუჩი ცოტა ჩამონეული აქვს. ალბათ იტირებდა, რომ შეეძლოს.

— ვეცდები, რომ ყველაფერი უკეთ იყოს, კარგი? ვიცი, რომ ეს ყველაფერი გაშინებს, მაგრამ ვერ მოგატყუებ, ლინ. ორივემ უნდა დავძლიოთ ეს ყველაფერი.

— მე მართლა მგონია, რომ...

— არა, მომისმინე, რომ გელაპარაკები, ნუ იქცევი ისე თითქოს არაფერი არ გესმის.

ფრანჩესკამ ხმას აუნია.

ლინი ოდნავ შეცბა და თავის ფეხსაცმელს მიაშტერდა. დედას მისთვის არაფერი დაუშავებია, არასდროს. დედა მას არასდროს არ ატკენს, მაშინაც კი, როცა ნასვამია.

დედას არაფერი სძულს იმაზე მეტად, ვიდრე ძალადობა. ლინმა ეს იცის, ლინს ამისი არ ეშინია. არა, ამისი არა.

— ჩვენ ხომ მხოლოდ ერთმანეთი გვყავს, ლინ, ასე არაა? შეიძლება არ მოგწონს, მაგრამ მე შენი დედა ვარ და ამას უნდა შეეგუო. ჩვენ ერთი წარსული გვაქვს, ლინ.

— ნუ იმეორებ სულ: ლინ. ნუ იმეორებ!

— მაპატიე, მინდა აგიხსნა. მინდა, რომ გაიგო.

— სად გინდა წასვლა?

— ალბათ საბერძნეთში. აზრებს თავი უნდა მოუყარო, უნდა დაფიქრდე, იცი?

— ეს აქაც ხომ შეგიძლია.

— არა, არ შემიძლია, ლინ. აქ მუდამ მახსენდება. მუდამ მახსოვს.

— ბებია იცის ამის შესახებ?

ისევ ბებია. ლინის საყვარელი ხრიკი. ბებია, მფარველი ანგელოზი, მისგან ლინი ყოველთვის ყველაფერს იღებს, როგორც დედამისთან საშინელი ცხოვრების საზღაურს.

— დაივინყე ბებია, ყველა დაივინყე. მხოლოდ მე და შენ ვართ, ლინ. შეგიძლია ამ აზრს თხუთმეტი წუთით შეეგუო? ჩემი ხათრით, ლინ. შეეგუე! აქ ვართ შენ და მე და სხვა არავინ. ვცდილობ, აგიხსნა, რომ ჩვენ ორნი ახლა ისე კარგად არ ვართ...

— ჩვენ უკვე წლებია, კარგად აღარ ვართ, დედა.

პირველი გულწრფელი წინადადება წლების განმავლობაში. წინადადება, რომელიც ფრანჩესკას გულს უსერავს.

— ჰო, ვიცი.

მოკლე პაუზა.

— მინდა, რომ ეს მორჩეს, მინდა ვიბრძოლო, ჩვენ გამო, ლინ!

— ოჰ, დე, ეს ყველაფერი უკვე ათასჯერ გაქვს ნათქვამი.

ლინი დგება, მაიჯორიდან ერთ ჭიქა რძეს იღებს და დედას ზურგს აქცევს.

— მინდა, ვცადო, ლინ. მეც ხომ ადამიანი ვარ.

— ამას ვერასდროს შეეძლებო, დე! შენ ვერ შეძლებ, ვიცი...

უცხე ლინს ასაკი ემატება, ცხოვრებისაგან გატეხილ ქალს ჰგავს. ადრე არასოდეს ეკამათებოდა დედას, ყოველთვის თავის ოთახში გარბოდა, თავის საწოლში, სადაც რომ იყო გულის ფორმის ბალიშებითა და ერთი დათუნითა, მის ძმას რომ ეკუთვნოდა — ძმის ერთადერთი სამახსოვრო ნივთი.

— ლინ, ამას რატომ ამბობ?

— რატომ არ ჩერდები? რატომ არ იღლები ამ ყველაფრისგან? რატომ უბრალოდ არ ამბობ, რომ ამას ვერასდროს შეეძლებო?

მის სიტყვებს ძალა არა აქვთ. ლინი ისევ თხუთმეტის, არის. ლინს ენა არა აქვს, ლინი მუნჯია და სეიფივით ჩაკეტილი, საკუთარი თავისაც ეშინია და დედისაც, მაგრამ ახლა ლინი ცდილობს, რომ ილაპარაკოს.

დედამისი დუმს და ელოდება.

— ეს ყველამ იცის, ამას ყველა ამბობს, ჩვენი ფრანკი...

რამდენი წელია ეს სახელი არ უხსენებია ლინს. ლინმა, თავისი ლექსიკონიდან სიტყვა „მამა“ ამოიღო. ეს ცნება მისთვის აღარ არსებობს. ეს შვიდი წლის ასაკში გადაწყვიტა.

— ფრანკი გაგიჟდა, დე. ფრანკი ვერ იყო კარგად, ეს. ხომ ყველამ იცის, ხომ ასეა... შენ იყოდი, რომ ავად იყო, იმედი გქონდა, რომ გამოკეთდებოდა. ის კი გაგიჟდა მაქსი.. დე, ეს ყველამ ვიციო.

ლინი ჯერ კიდევ ზურგშექცევით ელაპარაკება.

დედა ტირის. განძრევა უნდა და ვერ ინძრევა. ლინის სახეს ვერ ხედავს, ლინი ამის საშუალებას არ მისცემს, ვიდრე ლაპარაკობს.

— ფრანკი გაგიჟდა, დე. მან მაქსი მოკლა, მერე თავი მოიკლა და მერე... ჩვენ დაგვხოცა, დე. გესმის?!

ლინი მეტს არაფერს იტყვის.

ფრანჩესკამ იცის, სიმართლე რა დაუნდობელია. ისიც იცის, რომ ადგილიდან არ გაინძრევა, ლინის შეხების ნებისმიერი მცდელობა განწირულია.

ლინი ტრიალდება და დედას უყურებს. ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია, სახე გაქვავებული აქვს.

დედა ცდილობს, მეტი აღარ ითიროს.

ლინს აღარ ეშინია, ლინი წარმოუდგენლად ძლიერია.

სიკვდილმა გააძლიერა, იმ სიკვდილმა, რომელმაც დედამისი სასონარკვეთილებაში ჩააგდო.

— წადი სადმე, დე, წადი, მაგრამ არ თქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, და არც ის თქვა, რომ მე ვარ ის ადამიანი, ვისთვისაც ამას აკეთებ, ამის გაგონებაც არ მინდა. ეს ტყუილია... არა უშავს, მაგრამ არ თქვა, კარგი?

— ჰო, მაგრამ, ლინ, მე ხომ შენ ძალიან მიყვარხარ!

ახლა ერთმანეთს თვალელებში უყურებენ, დედა და შვილი. უცვლელ ფრანჩესკა ხედება, რომ მისი ენა ისეთივე უსუსური, უძლური და არაფრისმთქმელია, როგორც წლის გოგონასი.

ლინი დედას თვალს არ აშორებს, მისი სჯერა. მერე თავს დაბლა ხრის და სამზარეულოდან გადის.

ფრანჩესკას სახე აქვს არეული, გამოფიტულია. უძლურებისაგან მუხლები ეკეცება და გრილ ფილებზე ეშვება. მერე იატაკზე გართხმული ცდილობს, იყვიროს, მაგრამ მხოლოდ ხრიალებს.

25. ოლგა (1986)

ოლგა შიშველი იჯდა სანოლზე. ლიდია სანოლის წინ დაგებულ პატარა ხალიჩაზე თვლემდა. ბებერი, დაღლილი ძაღლი, წყნარი და მშვიდი არსება. ოლგას ამციენებდა, ხუთი დღეა შინიდან არ გასულა. ამ ხნის განმავლობაში ლიდიას, კიდევ კარგი, მეზობელი უვლიდა. ოთახში უსიამოვნო სუნი იდგა. ოლგა, რომელსაც დაბალი სიციხე ჰქონდა, თავის ფეხებსა და მუხლებს დასაჩერებოდა. ადრე სიამოვნებდა საკუთარი სხეულის ცქერა. ახლა კი...

ოლგა ხანდახან გრძნობდა, რომ ის აქ იყო, სადღაც ძალიან ახლოს. ოლგა ეძებდა, ცდილობდა მის დანახვას ოლგას შიოდა და ფიქრობდა იმაზე, რომ ალბათ მასაც უნდა შიებოდა. და ეს აზრი ძალას მატებდა. ოლგა ლექციებზე საერთოდ აღარ დადიოდა. უნივერსიტეტში ალბათ ფიქრობდნენ, ავადააო — ამის გაფიქრებაზე ოლგას უბრალოდ ეღიმებოდა.

ოლგამ უკვე აღარ იცოდა, ვინ იყო. აწმყო არ არსებობდა, წარსულიც თითქოს ნისლში ჩაიძირა, გაქრა. ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, ან შეიძლება სულაც სხვა ცხოვრებაში, რომელიღაც სახლის სადარბაზოში კედელზე ამოფხაჭნილი სიტყვა წაიკითხა: Destruction. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ეს სიტყვა რატომღაც მის მეხსიერებას შემორჩა Destruction — ეს, ერთი სიტყვა, თეთრად შეღებილ სადარბაზოში. ოღონდ, სიტყვის ორი ასო შეცვალა და ასე ჩაიბეჭდა გონებაში: Destruction. ამ სიტყვაზე ამ ბოლო დღეებში ხშირად ფიქრობდა, იქნებ იმიტომ, რომ ამ სიტყვის დანერის სურვილი ხშირად უჩნდებოდა.. ალბათ მისმა შინაგანმა მე-მ რალაცნაირად ყოველთვის იცოდა, რომ ერთ დღეს იმ მაღაზიაში შევიდოდა... და წიგნის ბოლო გვერდზე სწორედ ამ სიტყვას ამოიკითხავდა.

კარზე კაკუნი გაისმა. ოლგა არ განძრეულა. ლიდია წამოხტა, ყვფით მივარდა კარს და პატრონს მოლოდინით საესე თვალელებით გამოხედა. ოლგა წამოდგა, ოთახი მოჩვენებასავით გადაკვეთა და კართან მისულმა, ხმადაბლა იკითხა, ვინ არისო.

— ოლგა, მე ვარ... ნადინი... კარი გააღე, გთხოვ!

ოლგა შეყოყმანდა, მაგრამ მერე საკეტში გასაღები ნელა გადაატრიალა და კარი გააღო.

კართან ნადინი იღვა, სახეგაფითრებული და თითქოს დაბერებული. ნაქსოვი პულოვერი და ტილოს განიერი შარვალი ეცვა, ცოტა გამხდარი ჩანდა და საერთოდ, რაღაც სხვანაირად გამოიყურებოდა. ერთხანს ასე იდგნენ უსიტყვოდ, პირისპირ — ოღვა და ნადინი.

— ოღვა...

ოღვას გაახსენდა, რომ სრულიად დედიშობილა იღვა და რომ ნადინმა პირველად ნახა ასე. ოღვამ მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რომ მის სხეულს ფორმები შეცვლოდა, რომ სილამაზე დაეკარგა.

ნადინმა ოღვას თვალი აარიდა და ოთახში შევიდა. ლიდიას ნერვიულად გადაუსვა თავზე ხელი და პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა. ოღვამ კარი ხმაურით მიხურა და ნადინს უკან მიჰყვა. სულ ერთი წუთით სითბო ჩაეღვარა სხეულში.

— რა ხდება?! — უყვირა ნადინმა, როცა ოღვა სამზარეულოში შევიდა. მერე საძინებელში გავარდა, საწოლს გადასაფარებელი გადააძრო და ოღვას გადაუგდო. ოღვა შიგ გაეხვია.

ნადინმა ჩანთიდან ვაშლი, ერთი შეკვრა ჩაი, სპაგეტი, პამიდორი და ყველი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ოღვას თვალს არიდებდა.

ოღვა თვალს არ ამორებდა ნადინს. უცნაურია, მაგრამ პირველად აღიქვამდა მის თავისებურ სილამაზეს, მის დამალულ სინაზეს, სიმშვიდეს, განონანსწორებულ ბას. ოღვა მეგობარს ათვალისწინებდა და ეღიმიებოდა.

— ოღვა, მიპასუხე...

ნადინი ახლა ჩურჩულით ლაპარაკობდა. თან კარადიდან ქვაბებსა და თევზებს ალაგებდა. ოღვა თავისი დამძიმებული სხეულით ჯერ კედელს მიეყუდა, მერე სკამზე ჩამოჯდა და ნადინს შეხედა. პაუზა ძაღლმა შეავსო — მოწყენილი შემოვიდა სამზარეულოში. ოღვამ იცოდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა, რაიმე აეხსნა, მაგრამ არ იცოდა, საიდან დაეწყო.

— არაფერიც არ ხდება. უბრალოდ დავიღალე და მომეზრდა ყველაფერი. აღარაფერი მინდა. არც უნივერსიტეტში სიარული. მარტო ყოფნა მინდა.

— ოღვა, ასე როგორ შეიძლება? როდემდე უნდა იყო ასე?

— არ ვიცი. ვფიქრობ. მგონი რაღაცას ვხვდები. თურმე აქამდე რა სულელი ვიყავი.

— რას ბოდავ? ოღვა, ძალიან ვნერვიულობ. მიშელთან რამე მოხდა? ყველა ისე უცნაურად იქცევა, როგორც კი შენს სახელს ვახსენებ. რა ჩაიღინე?

— ჯერ ლოგინში ჩავუწეცი და მერე ვცემე. — ოღვას, ეცინებოდა.

— რა? ხომ არ...

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ნადინს სამზარეულოს დანა ეჭირა ხელში, რომელზედაც ოღვას სახე ირეკლებოდა. ნადინს ხელი უკანკალებდა.

— უბრალოდ მისთვის დარტყმა მომინდა. შეგნებულად, ჰო, შეგნებულად მინდოდა მისი ცემა.

— ასე რატომ იქცევი?

— როგორ ასე?! უბრალოდ სექსი გვქონდა, მეტი არაფერი.

— ოღვა, როგორ შეიცვალე...

— გიყვარვარ?

ნადინი ადგილზე გახევდა. ის იყო ჰამიდურის დაჭრას აპირებდა, ხელი დაბლა ჩამოუვარდა, მაგიდას დაეყრდნო.

ოლგამ შეკითხვა გაიმეორა.

ეს დღე სამუდამოდ დარჩება ნადინ ლევიტის მესხიერებაში, დღე, რომელიც არასოდეს დაავინყდება და რომელსაც ყოველთვის ცხადად გაიხსენებს.

— შენ ხომ იცი, რომ...

— გიყვარვარ?

— რა თქმა უნდა.

ნადინი მაგიდის ზედაპირს დააშტერდა. მერე სპაგეტის პაკეტს მისწვდა და გახსნა.

— ეს რა არის? რას აკეთებ?

— საჭმელს. ჩვენთვის.

— საჭმელს...

— ჰო.

ნადინი ზურვით იდგა, ოდნავ კანკალებდა და სპაგეტის ყრიდა ქვაბში. უცებ შეკრთა, რადგან ხელი დაინვა. სიტუაცია მისთვის სრულიად აუტანელი იყო. ისევ მეგობრისკენ შებრუნდა.

— რატომ ხარ შიმველი, ოლგა?

საწყალი ნადინი! ვერაფერი გაუგია. იმ მომენტმა, როდესაც მისთვის ყველაფერის ახსნა შეეძლო, უკვე ჩაიარა, ან იქნებ არც არასდროს დამდგარა.

ისევ დუმილი ოლგა კვლავ შიმველი იჯდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ დიასახლისობდა ნადინი. მერე ისადილეს. ნადინი რამდენჯერმე შეეცადა საუბარი წამოეწყო, მაგრამ უშედეგოდ. მთელი ამ დროის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა, წარმოუდგენლად გაფითრებული. ბოლოს ძალღმე გადაიტანა ყურადღება და ლიღია დააპურა.

ნადინი მაგიდას დასჩერებოდა, მაგიდაზე დანყობილ ოლგას ხელებს დასცქეროდა, გაოფლილ და რბილ ხელებს. მერე ოლგას მარჯვენა ხელს შეეხო და ტირილი დაიწყო. ოლგას მეგობარი ატირებული არასდროს ენახა, მაგრამ ახლა მისი ცრემლები სულაც არ აღელვებდა. ფიქრებით მხოლოდ მასთან იყო, მას უტრიალებდა. იმედოვნებდა, რომ ამაღამ მოვიდოდა. მოვიდოდა, და ეტყოდა, რა ვქნა, როგორ მოქცეულიყო, როგორ ეცხოვრა. ოლგა მას ელოდა.

ნადინმა ოლგას ხელზე თავი დაადო და აქვითინდა, სხეული სულ ერთიანად დაეჭიმა. ოლგას წარბიც არ შესტოკვებია, თითქოს მას არ ეხებოდა ის, რაც ახლა, ამ ოთახში ხდებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნადინი სააბაზანოში შევიდა. იქიდან პირდაბანილი დაბრუნდა, ოდნავ აწითლებული. ოთახი ბინდში იძირებოდა.

ნადინი ოლგას წინ მუხლებზე დაეშვა და ისე მაგრად, მოეხვია, ოლგას ეგონა, დავიხრჩობიო. ნადინი ოლგას გამეტებით ჰკოცნიდა ხელებზე, სახეზე, მხრებზე. თითქოს ცდილობდა, რომ სულ ცოტა სიცოცხლე მაინც ეწილადა მეგობრისთვის.

რა სიამოვნებით მიიღებდა ოლგა ამ საჩუქარს სხვა დროს, მაგრამ ახლა იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. უცებ გაიფიქრა, რომ ალბათ უკეთესიც კი იყო, ნადინმა წიგნი რომ არ წაიკითხა.

— ძალიან გთხოვ, გონს მოეგე, დაბრუნდი, მართლა მეშინია...

ნადინი რაღაცას ამბობდა, მაგრამ ოლგას აღარაფერი ესმოდა, სიტყვებს მნიშვნელობა დაეკარგა და ამას ორივე გრძნობდა.

ოლგამ ნადინი საწოლთან მიიყვანა. დაქანცული ნადინი საწოლში ჩანვა, ოლგა გვერდზე მიუწვა.

ერთ საწოლში იწვნენ, ერთმანეთის გვერდით. ნადინი — დაბნეული და გაოგნებული, ოლგა — საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი. სიცხემ დაუწია.

მაღე ნადინს ჩაეძინა, ოლგასთან ჩახუტებულს. იმ ღამეს ნადინს ცუდად ეძინა, ძილში ხშირად კრთოდა.

მოგვიანებით ოლგა ფრთხილად ადგა. იცოდა, რომ ნადინი დიდი სიამოვნებით დარჩებოდა მასთან. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, სრულიად შეუძლებელი — არა ახლა, არა ასე. ვინ იცის, ოდესღაც იქნებ მოეხერხებინათ და ოლგას ნადინი მართლაც ისე შეჰყვარებოდა, როგორც ეს ნადინს სურდა.

მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი იყო.

26. მე (2005)

ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ამ კონკრეტულ ისტორიაში უკეთ გასარკვევად იმ სამშობლოში უნდა წავიდე, რომელიც არ გამაჩნია და ის ადამიანები უნდა ვიპოვო, რომლებიც ჩემს მიტოვებას აპირებენ.

გადავწყვიტე და აი, უკვე თვითმფრინავში ვზივარ. ახლა მახსენდება, რომ მთელი დღეა სიტყვა არ მითქვამს. მაგრამ მუნჯად ცხოვრება არსებობის სწორ ფორმად უნდა მივიჩნიო თუ არა, ჯერ არ გადამიწყვეტია.

აღრე ბევრს ვლაპარაკობდი, თუმცა, სინამდვილეში ყოველთვის მუნჯი ვიყავი. ეს, ალბათ, იმ უცნაური გრძნობის ბრალია, რომელიც დროდადრო მეუფლება ხოლმე, მაგალითად, როგორც ახლა, თვითმფრინავში. ასე მგონია, აქ ყოფნით თითქოს ვკარგავ იმას, რაც ამ წუთებში სხვა ადგილას და სხვა ადამიანებთან ერთად უნდა განმეცადა. რაღაცას გამოვაკლდი, რაღაც დავკარგე?

ბავშვობისას ერთი საშინელი თამაში ვიცოდი, ერქვა: „გარდასახვა რომ შემძლებოდა“. ქუჩებში დავდიოდი და ვისაც კი დავინახავდი, ვცდილობდი იმ ადამიანის ადგილას წარმომედგინა საკუთარი თავი. ვითომ უცხო სხეულში მოვხვდი და იქიდან თავის დაღწევას ვეღარ ვახერხებდი. თავს საშინლად ვგრძნობდი. ვიჯექი და იმაზე ფიქრით ვიმტვრევი თავს, ასეთ დროს როგორ უნდა დამემტკიცებინა სხვებისთვის, რომ მე ვიყავი და არა ის, სხვა.

ვერც კი წარმომიდგენია, რომ სხვა ვყოფილიყავი. არ, ვიცი, რატომ არის საკუთარი მე-ობის საპყრობილე ასეთი ვიწრო და დალუქული. ბავშვობაში არც კი დამიშვია, რომ გამოვქცეოდი, თავი დამეხსნა ამ გალიიდან.

ვზივარ თვითმფრინავში. გარემო უცნობი, უცხო ადამიანები მახვევია და ეს ყაყანი გარემო — ჩემ ზურგსუკან, ჩემ წინ, ჩემ გვერდით — მხოლოდ ზიზღს მგვრის.

ქვეყანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მე მელიოდება, ოღონდ არა ხელ და გულგამლილი. რასაკვირველია, თავს ვიტყუებ, როცა ვამტკიცებ, სიცოცხლის გასახსენებლად მიფრინავ-მეთქი, იმ სიცოცხლის, რომელიც ჯერ კიდევ მის დაწყებამდე წარმოვიდგინე, საღდაც, სიზმარში. და თავისთავად ცხადია, თავს ვიტყუებ, როცა ვამტკიცებ, არ ვიცი, ამ ისტორიაში მე რა მესაქმება-მეთქი.

27. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

სიყვარული ისე დაანთო, როგორც მოპარული სანთელი, მის სხეულზე დადგმული. სიყვარული წვეთავდა ახლა მის მუცელსა და კალთებზე, სიყვარულმა სხეული დაუნვა, თავად კი ჩამოიღვენთა და ჩაქრა.

თვალეები დახუჭა და თავისი სასახლე წარმოუდგა თვალწინ, როგორ იწვა იქ, ცინულის თხელ ფენაზე მოლივლივე მინის კუბოში.

კაფეში იჯდა, ფოსტალიონ ბიჭს თავი დააპატიჟებინა. მაგრამ ბიჭს ბოლოს შეეშინდა და ისე გავარდა, კაპუჩინოსთვის თითივც კი არ დაუკარებია. სარემ სალათი ბოლომდე შეჭამა და მისი სასმელიც დალია.

მალე შემოდგომა დადგება და უკვე უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ გადაიხდის თავისი საცლადავი თავშესაფრის ქირასა და ერთი წყვილი გამძლე ჩექმის ფულს.

უნდა მოიფიქროს, როგორ გაექცეს უწყებებს. შიმშილის გრძობა ცოტა რომ დაიკმაყოფილა, თავი უკეთ იგრძნო, თავში ცინულის სასახლე გაულღვა და ცისფერ გუბედ იქცა.

ხანდახან თავდაც კი ეპარებოდა ეჭვი საკუთარ თავში და იჯერებდა, რომ ავად იყო. ხანდახან. იშვიათად.

მან დათმო თავისი სახელი, თავისი სახე, თავისი ხმა. და მერე თავადვე ამოავსო საკუთარი თავი, ცხელი ცვილით გამოტენა. მალე უნდა წასულიყო აქედან, ალბათ ერთ მუჭა მინდაც კი არ ღირდა მთელი კაცობრიობა...

მისი მომწვანო, მამაკაცის პალტო, სიცივეს ველარ უძლებდა. გვერდზე მჯდომ მოხუც კაცს სიგარილო სთხოვა. მან ერთი ცალი მიანოდა, თან ბრიყველად გაუღიმა და დაკვნეტილ ფრჩხილებზე დაამტერდა. სარე კვამლში ჩაიკარგა. დამშვიდებული და კმაყოფილი კუჭი კიდევ უფრო მეტს ითხოვდა, მან კი პალტოს ჯიბიდან თავისი დაკუჭულ-დალაქავებული რვეული ამოიღო და მაგიდაზე დადო. ლაქებს დაამტერდა, სიკვდილის სუნს იცნოსავდა, რომელიც მელანს ასდიოდა და თავისი დაბრეცილი ნაწერის ასოებს ეფერებოდა. ხანშიშესული მამაკაცი, სიგარილო რომ მისცა, ხანდახან მზერას აპარებდა მისკენ.

ღღეები მოკლდებოდა, მას კი სამყაროს ყველაზე გრძელ ღამეზე უნდა ექორწინა, რათა მათი კავშირიდან სიბნელისა და არქტიკული სიმშვიდის თვეები დაბადებულიყვნენ.

წინადადებები რვეულში ჩანერა, ქალაღლი უნდა ეზოგა, მოპარვა არ უნდოდა, რაც შეიძლება შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო. დაწერა: Destruction. სადღაც ნაიკითხა ეს სიტყვა და თავისად მიიღო. ამ სიტყვას საიდუმლო კავშირი ჰქონდა მის რვეულთან. პარიზში არაფრისმთქმელი ხუთშაბათი იყო.

„შესანიშნავია, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ შევიცნობთ უფრო სწორად, ჩვენ ერთმანეთს ველარ შევიცნობთ, რადგან აღარაფერი იარსებებს, რისი შეცნობაც შეიძლება. მე და თქვენ, თქვენ და მე ერთმანეთს ველარ გავიცნობთ. ჩვენ ვიხეტილებთ ზღვის ფსკერზე, ჩავძვრებით ჰაერის ყველა ორმოში; ჩვენ ავაშენებთ სასახლეს, ავაშენებთ ნისლისგან; ჩვენ გავიმარჯვებთ და მე თქვენ ჩემს სიკვდილსაც კი გაჩუქებთ. მე თქვენთან ერთად ზამთრის ძილს მივეცემი, ერთმანეთის ამბორით

დალოლილები, უირაფების ბუდეში, იმ ქვეყანაში, რომელიც არავის ეკუთვნის. მე ჩამოვიკანწავ სილამაზეს ჩემი ფრთებიდან. მე თქვენთან ერთად სიყვარულს გამოვიგონებ, ისეთს, როგორიც მე მინდა. მე თქვენს ძილს დარაჯად დავუდგები და სიზმრებს მოგპარავთ.

ქუჩაზე რომ პატარა გუბეებია, მათ გადავცურავთ ჩვენი აბრეშუმის გემებით. დამტოვებთ, არ გამიშვით არსად. ნება მომეცით, შეგეხილოთ, თქვენი ნაფხურები დავიკვა. ნება მომეცით, მიყვარდეთ, სულელური, უმიზნო სიყვარულით. ნება მომეცით, გეთაყვა, თქვენ მხოლოდ ნება მომეცით. თქვენს ტკივილს შევჭამ ჩემს ლექსებში, რომელთაც თქვენს სხეულზე ამოვტვიფრავ. თითოეულ იარას მოვეუვლი, ოღონდ ნება მომეცით, ნურაფერს იტყვიან.

ნება მომეცით, სიბნელე ჩავანვითოთ თქვენს ღვინოში ნება მომეცით, ყველა საიდუმლო გავგიხილოთ, პატარა ბორცვზე, იანვრის ცივ ნაშუადღევს, უსასრულოდ რომ გაიწელებს; ნება მომეცით, ერთმანეთი აღარ შევიცნოთ.

ნება მომეცით..."

გაქუცულპალტიანი გოგონა წამოდგა. დაკუჭული რვეულით ხელში, საღამოს ბინდბუნდში ნაცემ კატასავით წელმოწყვეტილმა შეაბიჯა.

სახეზე ქალაქის განათების მკრთალი შუქი დასციმციმებდა. ესმოდა გამვლელების ნაბიჯების ხმა, ხედავდა გვერდით ჩავლილ ველოსიპედებსა და მანქანებს, გრძნობდა იმ დამალულ ნასკვს, რომელიც ამ ყველაფერს ერთმანეთს აკავშირებდა, მაგრამ მისი გახსნა არ შეეძლო. მიდიოდა და მიდიოდა და რვეულს ტანზე იკრავდა, როგორც სამკერდე აბჯარს.

28. ქმა (1968)

გარეთ პოლიციის მანქანების სირენები არ წყდება. საერთო საცხოვრებელში არეულობაა. მარი ღემონსტრაციებზე დადის. ანე დააკავებს და პატრისი იძულებული გახდა მის წამოსაყვანად მისულიყო. ღედა დარდისგან გიჟს ჰგავს, მონეს უნდა, რომ ანე დაბრუნდეს, მუდარით სავსე წერილებს სწერს, თუმცა წერილები ამ საქმეს ვეღარაფერს შველის. პატრისი გაბრაზებულია, არა, გაცოფებულია ანეს საქციელის გამო. უკვე ვეღარ იტანს, ვერც მის შიშველ მკერდს გრძელი, მამაკაცური პერანგების ქვეშ, ვერც მის გაუხეშებულ სახის ნაკვთებს.

მონატრებამ ლამისაა დაახრჩოს, მარის მონატრებამ. არადა ძალა არ შესწევს, რომ საკუთარი ნაჭუჭიდან გამოძვრეს და ეს უუნარობა ყველაფერს ართულებს. რას აპროტესტებენ? რისი მოტანა შეუძლია ცვლილებებს, ღირს კი მცდელობად? სასაცლოა. ვერანაირი რევოლუცია ვერ შეცვლის ადამიანის ბუნებას. და თუ მაინც რამე შეიცვლება, მხოლოდ მცირე დროით, რათა ახლად ხალი მოკრებილი და უფრო დამანგრეველი დაბრუნდეს უკან წარსული.

მისმა ერთ-ერთმა ნოველამ კონკურსში გამარჯვა ნოველა დასავლეთის კულტურის ისტორიაში ქრისტიანული მსხვერპლის როლის შესახება. შესანიშნავია, ცოტა ფულს იშოვის და ნოველაც ერთ-ერთ ლიტერატურულ, ჟურნალში დაიბეჭდება.

ახალი მიმართულება უნდა იპოვოს, საკუთარი სტილი. სჭირდება. მოხუცები აქებენ, ახალგაზრდები მასთან საერთოს ვერ პოულობენ. მარი ხანდახან ბარათებს უტოვებს კარში: „შენი კანის სუნი მენატრება. გელოდები“. ასეთ წერილებზე გიჟდება.

კარჩაკეტილი ცხოვრობს. თავს მხოლოდ იმიტომ არ ესხმიან, რომ იციან, მარის მოსწონს, რომ მარი მას მფარველობს. სხვა მხრივ, სრული არარაობაა მათ თვალში.

მონე ეცოდება, რადგან დედას სამივე შვილის მაგივრობას უწევს. დედა ბეჯითად უგზავნის შვილებს ფულს, მაგრამ ანე ერთ ფრანკსაც არ იღებს. პატრისი ანეს სადილად ეპატიჟება და თავის ლიტერატურულ წარმატებაზე უყვება.

ძმა: მონე მალე პარიზში ჩამოვა. ასე, ორ კვირაში.

ანეს თავშალი აქვს შემოხვეული, ბავშვურად გამოიყურება, ტურტლიანი ფრჩხილები აქვს. რალაც ვულგარული მაინც ყოველთვის ჰქონდა უმცროს დას — ასე ფიქრობს ანეს ძმა.

ანე: ვიცი. გიჟივით მწერს წერილებს. შენ მიეცი, არა, ჩემი მისამართი?

ძმა: ეს შენი ოჯახია, გინდა ეს თუ არა. და რალაც ვალდებულებები გაქვს მის წინაშე.

ანე: ჩემი ვალდებულება ის არის, რომ იმას ვემსახურო, რისიც მწამს.

ძმა: სისულელეა ეს ყველაფერი! და სასაცილოა ეგ შენი პროტესტი!

ანე: ამას იმიტომ ამბობ, რომ შენ სხეანაირად ფიქრობ. აბა, ვისხდეთ და ვუყუროთ, როგორ ლპება ყველაფერი, როგორ იმონებს კაპიტალი ადამიანებს, როგორ...

ძმა: ანე, მთავარი ეს არ არის! არც არასდროს ყოფილა!

ამ დროს მათთვის საჭმელიც მოაქვთ და მსოფლიო რევოლუციაც დაინწყებას ეძლევა. ანე ყოველთვის სიამოვნებით ართმევს ძმას ფულს, თუკი შესთავაზებს. ამ ბოლო დროს ძალიან გახდა. ახლაც, სავსე კოვზებს გამწარებული იტენის პირში, თითქოს საუკუნეა არაფერი უჭამიაო.

ძმა ისევ ორ ცეცხლს შუაა, ზიზღსა და გაოცებას შორის, სიბრაღულსა და სიძულვილს შორის. ცდილობს ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. მარი ბესონვილის მკერდზე ფიქრობს. სილამაზეს ყოველთვის უარყოფდა, მაგრამ მარის შემთხვევაში ეს შეუძლებელია.

ანე: ეჰ, ძამიკო.. ისევ საღდაც სხვაგან ხარ, შორს ჩვენგან. ყოველთვის ასეთი იყავი.

ძმა: სასაცილოა, ძამიკოს რომ მეძახი...

ანე ღეჭავს, ლოყებდაბერილი.

ანე: საერთოდ საღ ხარ, საღ ცხოვრობ? სიცოცხლის გემინია! ამდენი ფიქრი და ასე ცოტა ცხოვრება!

იაფფასიან სასადილოში სხედან და ერთმანეთისთვის უცხონი არიან. პარიზი გრვეინავს, პარიზი მშიერია. ანეც მშიერია და ძმისაგან განსხვავებით აუტირებული. არადა ორივემ ერთი სისხლი ჩქეფს, რა საშინელებაა.

ძმა ანეს სახლამდე აცილებს, დანგრეულ სახლამდე, სადაც ანე და მისი ამხანაგები ცხოვრობენ. არადა, საშინლად რცხვენია ანესთან ერთად ქუჩაში სიარულის.

ანე: რა კარგი იქნებოდა, ველოსიპედი რომ მქონდეს, ვერ მიმოვი? კარგი იქნებოდა. მოპარვა არ მინდა.

ძმა: ვნახოთ, რაიმეს მოვახერხებ. არ მოიპარო!

ანე ილიმის, მსუბუქად კოცნის ლოყაზე და სადარბაზოს კიბეზე არბის. ძმა თავს საშინლად გრძნობს. მეტროში ჩადის და ქალაქში მიდის. სატელეფონო ჭიხურიდან მარის ურეკავს. მარი ყურმილს იღებს. ძმა შვებით ამოისუნთქავს. როგორ უნდა, რომ ყველაფერი მოუყვეს, ყველაფერი.

ძმა: მარი...

მარი: ვიცოდი, რომ შენ იყავი...

მარი ჰპირდება, რომ ერთ საათში Saint-Chapelle-თან იქნება. ძმა დროის მოკვლას ცდილობს. მერე მარი მოდის. ამაყი და ღირსეული, ლაღად მოაბიჯებს ქუჩაზე. მოდის და თან მოჰყვება: ადამიანთა მზერა, აღფრთოვანება, ცნობისმოყვარეობა; ცისფერი კაბა აცვია, ღრმად ამოჭრილი. პატრისის მისი ცქერით ტკბება. მარი ეხუტება, სამი დღეა არ უნახავს. პატრისის მისი სუნამოს სურნელს ღრმად ისუნთქავს. ხელიხელჩაკიდებულები დასეირნობენ პარიზის ქუჩებში. პატრისის ისევ გრძნობს სიცოცხლეს ძარღვებში. ადამიანთა ბმულობის განზოგადება, მუხლმოყრის მშვენიერება. მარის გვერდით თავს ახალგაზრდად გრძნობს, მარის გვერდით სიცოცხლეს სიცოცხლის გემო ეძლევა.

29. აპიდაპი (2004)

ტურისტები ურდობებივით შემოესივნენ ზაფხულის მზით დამთბარ ქალაქს. ჯგროდ დაესხნენ თავს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, რათა ყველაფერი თან წაიღონ, რისი წაღებაც შეეძლიათ. სიახლისა და თავგადასავლების მაძიებლებს საღამოობით კოკისპირული წვიმაც კი აღარ აშინებთ.

უნივერსიტეტში ბოლო ლექციები უინტერესო და მოსაწყენი იყო, სტუდენტები უკვე შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე, ზღვასა და ახალგაზრდულ თავგადასავლებზე ოცნებობდნენ.

ლაურამ მთელი დღე ეროვნულ არქივში გაატარა, საჭირო ინფორმაციას ეძებდა. თან ოთხი ჭიქა ყავა დალია და ხუთი ღერი სივარეტი მონია. თვალი შეაჩვია მონიტორების სილურჯეს და ინფორმაცია სურათებად ჩაიბეჭდა მესხიერებაში — ყველაფერი, რაც სარეს შესახებ მოიპოვებოდა.

ლაურამ მხოლოდ ორი კვირის წინ დაიწყო სარეს ჩანაწერების შესწავლა, რომელშიც რამდენიმე გრაფიკული ნამუშევარიც იყო. სან-ფრანცისკოდან, პარიზიდან — და ბერლინიდან ამ წიგნის სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი გამოცემები გამოიწერა, ყველა გრაფიკა გაადიდებინა და თავისი სამუშაო ოთახის კედლებზე გააკრა. ხანდახან თავს გარდატეხის ასაკში მყოფი გოგონასავით გრძნობდა, რომელმაც ეს-ესაა მძიმე მეტალი აღმოაჩინა.

კარგი იყო, რომ ფრიკმა მაინც დაანება თავი. ახლა მას ასე ეძახდა.

Helstraat-ის მიმართულებით მიდიოდა. „Madame Jeanette“-ში მიიჭქაროდა. მანქანა წესის დარღვევით გააჩერა, ნამდვილად დააჯარიმებდნენ, მაგრამ ეს არ ადარდებდა.

ტერასა ცარიელი იყო. ამ ბარში კარგი კოქტეილები და მარტინი ჰქონდათ, რომელიც ქმართან ერთად ცხოვრების განმავლობაში საკმაოდ ბევრი დაეღია, ი საღამოობით მასთან ერთად, მრავალჯერ.

ლაურა წელიწად-ნახევრის წინ დაშორდა ქმარს. კანა დაში გაემგზავრა და ეს ურთიერთობაც ამით დაასრულა მეორე სადოქტორო ნაშრომი დაწერა და მერე... მერ არაფერი. საშინელება იყო მერე. და სიცარიელე. იმაზე დიდი, ვიდრე ოდესმე.

ქმარს გაეყარა, რადგან... მეხუთე წელს რაღაც მოხდა Madame Jeanette-ში აღარ დადიოდნენ, აღარც სვამ. დნენ და მისმა ქმარმაც სხვა ქალებთან სიარული დაიწყო, წვერს აღარ იპარსავდა, ეუხეშებოდა. ბოლოს ერთმანეთს უყვიროდნენ. უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და საგნებიც ჰაერში დაფრინავდა.

ქმარს ხან ტახტზე ეძინა და ხანაც საერთოდ ბრუნდებოდა შინ. ერთხელ ნასვამმა ვიღაც ქერა არსებაც კი მოიყვანა სახლში.

ლაურამ მარტინი დაღია და სკამის საზურგეს ი მიეყრდნო. ჩანთიდან მობილური ამოიღო და ნომერი არიფი, უცხო ციფრები. რამდენიმე ზარის შემდეგ უცნაურად, წარმოთქმული „ჰოო?“ გაისმა.

— ლაურა ვარ.

— ა, უკვე გელოდით.

— „Madame Jeanette“-ში ვარ, იცით ეს ბარი?

— Helstraat-ზე, ხომ?

— ჰო. შეგიძლიათ მოხვიდეთ? აქ დაგელოდებით.

— 20 წუთში მანდ ვარ.

ლაურამ ტელეფონი გათიშა და ამ წამოწყების აბსურდულობაზე დაფიქრდა. ფრიკი და ლაურა, საუკეთესო ხელოვნებათმცოდნე. შესანიშნავი წყვილი.

ერთი წიგნი გაახსენდა მამას ბიბლიოთეკიდან, ჯერ კიდევ სინდანგბარანგში ერთადერთი, რაც ამ წიგნის შესახებ იცოდა, ის იყო, რომ ეს წიგნი ქალმა დაწერა. ის ლექსი გაახსენდა, ათი წლისამ ზეპირად რომ ისწავლა, ისე, უბრალოდ. ლექსის სტრიქონებმა მოაჯადოვა, თუმცა, მათი არსი ბოლომდე არც კი ესმოდა:

ვერ ვიმყოფინე ვერც შენი გული,

ვერც შენი მხურვალე კოცნა.

მწყურისხარ, როგორც ქრისტეს ზეციური

საუფლო, რომელსაც მოსწყდა.

უზომოდ მინდა, რომ დაგისაკუთრო

სისხლით და ხორციით შეგერწყა.

შენი სხეულით დავტკბე, ვიდრე

გადავდინდებით ერთურთში ოდესღაც.

ის ღღე გაახსენდა, ეს ლექსი დედას ამაყად რომ უთხრა და დედა რომ აღშფოთდა: უნმანური და ღვთის საგმობი ნაწარმოებიაო. მერე, დაივიწყეო, ურჩია და მამის ბიბლიოთეკას განადგურებით დაემუქრა. მაგრამ ლაურას ეს სტრიქონები არ დავიწყებია.

ბიჭი რომ მოვიდა, ლაურას უკვე სამი მარტინი ჰქონდა დაღეული. ბიჭს ძველი ჯინსის შარვალი და სამხედრო ჩექმა ეცვა. უცხო გარემოში ცოტა დაბნეული ჩანდა.

ჯარში ნამყოფს არ ჰგავდა, ნამდვილად სოციალური სამსახური ექნებოდა გავლილი, ნამდვილად ოდენსემი. ტრავმირებული ბავშვობა, განქორწინებული მშობლები, მოკლედ, რაღაც ამის მსგავსი.

ფრიკი ყურადღებით ათვალისწინებდა ლაურას. თან მოწყენილი ჩანდა. სიგარეტს მოუკიდა. დუმდა. მერე სასმელების მენიუს ფურცვლა დაიწყო.

ლაურამ სახეში შეხედა და მიაყარა:

— შეგვიძლია 10 დღეში გავემგზავროთ. ბილეთებს მე ვიყიდი და სასტუმროსაც მე დავჯავშნი. სარეს შესახებ ბევრი რამ მოვიძიე, აი, საქალაქი. მე ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, თვითმკვლელი ქალების ცხოვრების შესახებ უნდა შევისწავლოთ ყველაფერი. მათი ახლობლების მისამართებს თქვენ მოძებნით. ინგლისური კარგად იცით?

— ნორმალურად.

— კარგი. სია ჩამოვწერე, მანამდე რა უნდა მოაგვაროთ. ასე რატომ მომჩერებხართ?

— აღფრთოვანებული ვარ. მეშინოდა, რომ მაინც გადაიფიქრებდით.

— ნუ გეშინიათ, დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ მგონი, პირველ ეტაპზე სამი კვირა...

— სამი კვირა ცოტაა.

— გადანყვეტილებებს მე ვიღებ! დანარჩენს პარიზში ვნახავთ.

— კარგი, კარგი.

მუსიკა ჰაერში მშვიდად ირნეოდა. ბიჭმა ვისკი შეუკვთა.

— კარგად გახსოვთ ჯაკარტა? — ჰკითხა უცებ.

ნეტა საიდან იცოდა?

— რამ გაგახსენათ?

— ინტერნეტში თქვენზე 12087 ინფორმაციაა.

ბიჭი არაფრით გამოირჩეოდა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, აი, ისეთი, რომ ვერ დაიმახსოვრებ.

— აჰა, 12087 ინფორმაცია? მამაჩემი მუშაობდა იქ. ბევრი არაფერია გასახსენებელი.

— საკუთარ თავში ჩაკეტილი ხართ, არა?

— რა უაზრო შეკითხვებია?

— აქ რატომ გამომიყვანეთ?

ლაურა გაბრაზდა.

— „So will ich dich, o meine Gottheit haben, in meinem Blut dein Fleisch und Blut begraben“ (*უზომოდ მიწა, რომ დავისაკუთრო სისხლით და ხორციით შეგერწყა, შენი სხეულით დავტკეპე, ვიდრე გადავდინდებით ერთურთში ოდესღაც.) — პათეტიკურად წარმოთქვა ლაურამ, — იცით ეს ლექსი?

ლაურამ სიგარეტი მძიმედ მოქაჩა. ბიჭს გულდასმით აკვირდებოდა. ერთგვარ უპირატესობას გრძნობდა მის წინაშე.

მაგრამ ბიჭმა გააოცა.

— რიკარდა ჰუხი, „ვერ ვიმყოფინე მე შენი გული“. რატომ გაიხსენეთ ეს ლექსი?

ლაურა შეკრთა. სიგარეტი ჩააქრო.

— თქვენ ეს ლექსი საიდან იცით?

— ვიცი. ძალიან ანგაჟირებული და ნაკლებად ცნობილი მწერალი ქალი იყო. რატომ მეკითხებით?

— ეს ლექსი არავინ არ იცის. არავინ!

— თქვენ ხომ იცით, მეც ვიცი. და ეს საკმარისია...

ამ არაფრით გამორჩეულმა ბიჭმა მისი ბავშვობის ლექსი იცოდა რატომღაც. ლაურამ სასწრაფოდ შეუკვეთა შემდეგი მარტინი.

30. ქალი (2004)

— ფრანჩესკა, გაიღვიძე.

ჯენი იყო ტელეფონზე და უყვებოდა, რომ ათენი საინტერესო ქალაქია, რომ უამრავი რამ არის სანახავი, რომ რამდენიმე მართლაც კარგი სასტუმრო მოძებნა, რომ გადაფრენის უამრავი შესაძლებლობა არსებობს, რომ პარიზში გადაჯდომაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა, რომ... რომ...

— მომავალ ოთხშაბათს უკვე შეგიძლია გაემგზავრო, — როგორც იქნა წერტილი დაუსვა ჯენი.

— ჰო, სულერთია, დამიჯავშნე. — ფრანჩესკა ცდილობდა გამოფხიზლებულიყო.

ლინი ამ ზაფხულს მარტო მიდის დასასვენებლად. მიდის, რომ გაიზარდოს. და მერე ყველაფერი სხვანაირად იქნება, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან. ეს მერე, აი ზაფხულის მერე.

ჯენი საუბარს ამთავრებს და ფრანჩესკა კვლავ საწოლს უბრუნდება. რა კარგია, რომ ჯენი ყველაფერს მოაგვარებს. ფრანჩესკას უხარია. ლინი სკოლაშია. პარასკევის მზიანი დილაა. როგორ დაიწყოს დღე? რითი?

მაქს, წუხელ ჩემთან მოხვედი, სიმამრში. ფრანკ, შენც, შენი მრგვალი, დიდი თვალებით (ლინსაც ხომ ასე თი თვალები აქვს, კარგ ლინს, შენს საყვარელ ლინს), შენც დამესიზმრე, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ... ხანდახან, თავს ვეკითხები, ლინსაც ისევე გაიმეტებდი, მაქსი რომ არ ყოფილიყო იქ, ლინი რომ ყოფილიყო მის ადგილას, მოკლავდი? შეძლებდი მის მოკვლას? თვალებში ჩახედავდი და მოკლავდი? ნეტავ როდის დაიწყო ეს ყველაფერი შენში? ზუსტად როდის, ჩვენი თანაცხოვრების რომელ დღეს, რომელ წუთს დაიწყე ამ ცოფის დაგროვება? შენს დასაფლავებაზე შენი ძმა რომ მოვიდა, ხელი მომკიდა და რალაცას ბუტბუტებდა. შემეცოდა, რადგან შენი ძმა იყო, ფრანკ, და შენ გამო რცხვენოდა. ვერაფრით ვერ გაეგო, ფრანკ, რა მოხდა. და იცი, ყველაზე საშინელება რა არის? რომ იმ წუთას მე ვიცოდი პასუხი, ვიცოდი, რატომ გააკეთე ეს. მე მას ეს უბრალოდ ვერ ვუთხარი. ვერავის ვუთხარი, მაგრამ ჩვენ ორივემ ვიცით ეს, ფრანკ, ორივემ...

31. ოლგა (1986)

არაფრით გამორჩეული დღე იყო. ოლგამ გადაწყვიტა, სამყაროსათვის სახეში შეეფურთხებინა და კარი მიეხურა.

ოთახის კედლებზე თავისი გადანერვილი ფურცლები ააკრა, საბოლოოდ გადანყვიტა საფოსტო ყუთიდან წერილები აღარ ამოეღო, ფანჯრები დახურა და ფარდები გადანია. მერე შიშველ სხეულზე კაბა გადაიცვა და გარეთ გავიდა.

იმ დღეს ოლგა სიკვდილს პირველად შეხვდა.

ზაფხულის თბილი დღე იდგა. ოლგამ Marais-ში, ერთ ჩიხში, სიკვდილი დაინახა. ხიდზე გადმოდიოდა და ხელიც კი დაუქნია. სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. ესეც სიკვდილი და გოგონა — გაიფიქრა ოლგამ და ხმამაღლა გაიყინა. ისაუბრეს. სიკვდილი თავის აზრებს ოლგას უსიტყვოდ უზიარებდა და ოლგაც ხითხითებდა.

შე ნავაგო! დამტოვე მარტო, არა? — ფიქრობდა ოლგა, ხიდის მოაჭირზე გადაყუდებული. სადღაც სიცოცხლეს ზეიმობდნენ, სადღაც ფუსფუსებდნენ ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მათზე. სიკვდილი და გოგონა კი ერთად მისერიბობდნენ. სიკვდილი არც ისეთი საშინელი ჩანდა, როგორც ოლგას ეგონა. მის გვერდით ყოფნა უფრო სასიამოვნოც კი იყო, ვიდრე სიცოცხლესთან ურთიერთობა, რომელმაც ასე დაღალა ოლგა.

„შე დეპრესიული ნავაგო, მარტო მტოვებ, არა? არა და შემძლო ყველაფერი ბოლომდე მიმეყვანა და დამესრულებინა, ყველაფერი, რაც გსურდა... მონატრება ხომ გამომიგზავნე, ჩემს დასახარებად დაგეგმე, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ხომ ხედავ. მოვალ, ნუ გეშინია, მიიღებ, რაც გინდა! მივდივარ, მივაბიჯებ და ყოველი ნაბიჯით სულ უფრო ვშორდები ქალაქს. ფეხებზე მკიდისარ! შენც და სხვა დანარჩენიც. ჩემს ფიქრებს ცაზე ვარსკვლავებივით ავაკიაფებ. ვერ გიტან. ისე ძალიან მეზიზღები, რომ მზად ვარ, მოგკლა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დასრულდე. შენ მომაცხუე, ყველაფერი ტყუილი იყო!“

გაიფიქრა ოლგამ და ატირდა. როგორც იქნა, აღიარა, რომ სიცოცხლე აღარ უნდოდა. გაახსენდა ის კაცები, რომელთაც მასში ერთ დროს გარკვეული გრძნობების გამოწვევა შეეძლოთ. თვალწინ ყოველთვის ერთადერთი სიტყვა ედგა — Distraction. სასიყვარულო აქტის დროსა კი ნგრევაზე ფიქრი... არა, ასე არა. იქნებ არასოდეს არ ჰქონია ის ორგანო, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისათვის.

ერთხელ ბაჭია შეუყვარდა, მამამ ნანატრი ლეკვის ნაცვლად რომ მოუყვანა. იმაზე დარდით, ბაჭიას არაფერი დაემართოსო, აღარც ეძინა და ვეღარც ჭამდა. სკოლაში წასვლა აღარ უნდოდა, არც ეკლესიაში, წირვაზე, არც კვირა დღეს უნდოდა გასერივნება ოჯახთან ერთად მხოლოდ ცხოველთან დარჩენა სურდა, რომელსაც ამ სიყვარულის გაცნობიერება არც კი შეეძლო. მშობლები შემფოთებულები უხსნიდნენ შვილს, რომ ასე არ შეიძლებოდა, ცდილობდნენ დაეცვათ პირმშო ამგვარი სიყვარულისაგან. მაშინ ოლგამ თქვა, — მე სხვანაირად არ შემიძლიათ და ალბათ ასეც იყო, სხვანაირად სიყვარული არ შეეძლო. ერთ დღეს შინ რომ დაბრუნდა, არც ბაჭია დახვდა, არც ვალია და არც სტაფილოები. გაქრა. ოლგას სახლიდან გაქცევა და ცხოველის მოძებნა უნდოდა. მაშინ, ისე, ახლა მაინც ხომ შეუძლია ასე მოიქცეს, არა? ჰო, ახლა, როდესაც მისი ცხოვრებიდან ყოველგვარი სიყალბე განდევნა და საკუთარ თავს დაუბრუნდა. ახლა აუცილებლად იპოვიდა იმ ბაჭიას.

32. მე (2005)

ახლა სწორედ იქ ვარ, სადაც უკვე ვიყავი. მოგზაურობა უმედეგოდ დამთავრდა. გავალ, სასმელს მოვიმარაგებ, რომ ეს საღამო უფრო მხიარულად გავატარო. რა საოცრად ბანალური აზრია. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთხელ შეგხვდნენ, იქნებ ეს ერთადერთი შანსია და მერე... მერე ისინი

შენს თმას, შენს ჯინსს ხედავენ, ანდა შრილა გაზეთში ჩალრმავებულ შენს მზერას. მუდამ ასე უშვებ ხელიდან შანსს, ასე უაზროდ ატარებ ცხოვრებას.

იქნებ სხვა ცხოვრებაში შევხვედრივარ ქუჩაში იმ უბედურ გოგონას, ვერ ვიცანი, ვერ შევიცანი, მისი ტკივილის გაზიარება არ მოვინდომე და ახლა ამიტომ არ მანებებს თავს?

ჯერ კიდევ გახსოვარ? გახსოვს ერთ ღროს ხიდებს რომ მივუყვებოდი და ხანდახან პარკში ვისხედიო? ჯერ კიდევ გახსოვარ? ჯერ კიდევ მახსოვხარ? შევძლებ კი შენს ამოცნობას მასაში, ათასობით ადამიანთა შორის?

კვლავაც ასეთი განუმეორებელი ხარ?

33. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

„ნელ-ნელა ვიმსხვრევი და არავის ძალუქს ამ მსხვრევის შეჩერება. მხოლოდ ამ სტრეიქონებს, ამ წიგნს, შეუძლია ჩემი გამთლიანება. წიგნი — ეს მე ვარ!

სულელებზე დანაძლევება სულაც არ არის ჩემი საქმე. შიში სხეულში ჩამელვარა. და ეს შიში რომ გადავლახო, საკუთარ თავს უნდა გადავაბიჯო. ვცდილობ, ძალიან ვცდილობ. მშვიდ ცხოვრებას მოაქვს: ღიპიანი მუცლები, ზიზღი და საკუთარი სულის გაუპატიურება. მე ყველას ნაიარევი დაფუტოვე. და მაინც, ვერაფერს მოაღწია ჩემამდე, ვერც თქვენ, პატივცემულო არარაობაე!

ენას ამოვიჭრი, ასე ჯობს... ცხოვრება რომ შევძლო, ელასტიკური უნდა ვიყო. უნდა იძვრნებოდეს ჩემი სული და უნდა მქონდეს ფორმებში შეუზღუდავი სხეული. მე გარიგებებისთვის არა ვარ შექმნილი!, მე მსურს წინადადება წერტილის გარეშე.

ჩემი გოლგოთა — ეს მე ვარ. ჩემი აგაპე — ღმერთის სიყვარული — გაუკვალავი გზა. ჩემი სემეიას წყარო მხოლოდ ხილვია. სტიგმა კი არსად არ იკვეთება.

გესმით ჩურჩული, ფერებად რომ იღვრება?

მხედავთ მე, აქ მდგომს, დამუნჯებულს და გონებაგანძარცველს?

მარჯვენა მხარეს იდგნენ კაცები.

მარცხენა მხარეს — მხოლოდ ქალები.

და სადღაც შუაში ვიყავი მე.

მე გავარღვიე სიბნელე და ჩამოვგლიჯე ცა, რომელიც თავზე დამყურებდა. ხელები გავიწვდინე სინათლისკენ, მაგრამ მზეს მაინც ვერ მივწვდი. სადღაც ჩემს გულსა და ჩემს სასონარკვეთილებას შორის ბავშვი ჩაისახა, რომელმაც არაფერი არ უნდა იცოდეს სიცოცხლის შესახებ. ის უნდა დარჩეს იქ, თავის არარსებულ ადგილას, რათა გადარჩეს. და მე ამ ბავშვს ვერასდროს ვატარებ მუცლით.

ასე რომ, ჩემს ბავშვს, მომავლისგან დაცულ ჩემს ემბრიონს, შეუძლია ჩემში სიკვდილი.

ამაღამ თმას მოვიჭრი...“

34. ძმა (1968)

რევოლუცია „La belle chienlit“-ით იწყება. „როდესაც საფრანგეთი მონყენილია“ — ასე ასათაურებს „Le Mond“-ი ახალი ერის დასაწყისს. პატრისი დაბნეულია. არ უნდა რაიმე საერთო ჰქონდეს ამ ყველაფერთან, ღროის კარგვად მიაჩნია.

ისევ უნდა გამოიყვანოს ანე ციხიდან. დედას ურეკავს და ანეს ამბავს ატყობინებს, სხვანაირად არ შეუძლია, თანაც ფული სჭირდება. საშინლად გაბრაზებულია, უფრო სწორად, გაცოფებულია თავის დაზე.

მარის ყველგან თან დაჰყავს. მის ფანტაზიას აკრიტიკებს და პატარა რეაქციონერს ეძახის საყვედურით. მიუხედავად ამისა, პატრისი თავის ნოველებში ჯილდოებსაც იღებს და ცოტაოდენ ფულსაც. დროდადრო ეჭვიანობს მარიზე. ო, ეს მარი ბესონვილი და მთელი ეს ტუტუცი იდეოლოგიების გროვა.

„ფრანგ სტუდენტებს მხოლოდ ერთი რამ ადარდებთ, ექნებათ თუ არა ნანტერიდან და ანტონიდან ჩამოსულ სტუდენტ გოგონებს ბიჭების საერთო საცხოვრებლების ოთახებში თავისუფლად შესვლის უფლება. მთლიანობაში ძალიან შეზღუდული წარმოდგენაა ადამიანთა უფლებების შესახებ“. — წერს პრესა. პატრისს ამ სტრატეგიების წაკითხვისას ელიძება, რადგან ფიქრობს, რომ მართლაც ესაა მათი რევოლუცია.

ახლა პროფკავშირებიც გააქტიურდნენ და საპროტესტო აქციებს აწყობენ. გამოსვლებში ჩაბმულ ბევრ სტუდენტს უნივერსიტეტიდან რიცხავენ. როგორც ჩანს, სამყარომ დაივიწყა ყველანაირი თამაშის წესი თუ შეთანხმება. ხელისუფლება Banlieue-ში ცხვირს ვედარ ყოფს. საერთო საცხოვრებლები დაკავებულია, დერეფნებში სტუდენტები ბოლდებიან, როკენროლს უსმენენ და მიაჩნიათ, რომ მაგარია.

მარი მუდმივად კომუნისტებზე და ეგზისტენციალიზმზე ლაპარაკობს და სარტრის ციტატები მოჰყავს.

პატრისს მხოლოდ მარის სხეულზე შეუძლია ფიქრი, სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ ეჩვენება.

ისინი საუბრობენ FNL-ზე, მოითხოვენ, რომ ვიეტნამში მშვიდობა დამყარდეს. მარის სჯერა „თავისუფლების“, ერთხელ, ერთ-ერთ კლუბში ყოფნისას, პატრისი მარის ეუბნება:

— მე მჯერა თავისუფლების, მაგრამ სხვა თავისუფლების, როცა ცხოვრების მიმართ პრეტენზია არ გაქვს. თუ ანარქიაა, ტოტალური ანარქია უნდა იყოს, მაშინ ყველაფერი უნდა დათმო, მაშინ ძალადობაც ტოტალურია, წინ, ყველაფრის წინააღმდეგ და არაფრისკენ!

მარი შეძრწუნებულია და დაბოლილი, პატრისს სილა აწნავს. მერე ტუალეტში მიათრევს და „ბოდიშს უხდის“.

პატრისი ღამლამობით წერს და უძილობა სტანჯავს!

დედა ფულს უგზავნის და ნერვიულობს. მონე პარიზში ჩამოდის, სასტუმროში ცხოვრობს, გულაჩუყებული ტირის და ამბობს, რომ მკერავი უნდა გამოვიდეს და დედას გვერდში ამოუდგეს.

ნანტერის ყველა იდიოტი სორბონის შუა ეზოში გადაბარგდა და იქ ათენებს ღამეებს. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. მარიც მათ უერთდება და პატრისს ეხვეწება, შენც!

გადმოდის. პატრისს თავი შორს უჭირავს და ხაზგასმით ს ამბობს, რომ ამ ყველაფერთან არაფერი აქვს საერთო.

მარი ჰენრი ვებერს გაიცინობს და აღფრთოვანებულია მისით. პატრისი ვერ იტანს მას, მაგრამ მარის მაინც მიჰყვება მასთან შესახვედრად. სტუდენტები აუდიტორიებს

კეტავენ და იარაღდებიან. ანე ძმის საქციელით ამაცობს და პატიობს, დედიკოსთან რომ დააბეზლა.

ანე: კარგია, რომ, როგორც იქნა, რეალობას დაუბრუნდი.

პატრისი მდუმარედ შესცქერის ანეს, რომელსაც თმა (მოკლედ აქვს შეჭრილი).

სალამოს მეტროთი Banlieue-ში მიდის მარისთან, დაღლილია და თავის ტკივილს უჩივის. მარი ეუბნება, რომ უყვარს.

ღამით პოლიციელები შიდა ეზოში იჭრებიან და ყველას აპატიმრებენ. მარი და მისი მეგობრები პოლიციას მიჰყავს, პატრისი ვიჟივით გარბის პოლიციის განყოფილებაში. მარის მალე უშვებენ, რადგან მამამისი ფულს იხდის. მარი ამტკიცებს, მამა ჩემით ამაცობსო.

ლათინური კვარტალი მთლიანად ბარიკადებითაა გადახერგილი, როგორც ამას გაზეთები წერენ. მარი ზეიმობს. პატრისი ვერაფრით ვერ. მიმხვდარა, რატომ უყვარს მარის.

პატრისის არსებობა რალაც უცნაურია: შეუმჩნეველი და როგორღაც ნეიტრალური. თუმცა ცუდი სულაც არ არის, ზედმეტი დისკუსიებისგან იცავს. გარსონი ქრება, შეშინებულია. ამ დღეებში ლალატს არავის აპატიებენ.

ხელისუფლება ლათინურ კვარტალს გვერდს უვლის, თავს არიდებს. სტუდენტები რჩებიან, კოკონს ანთებენ, ყველა გადაირია. 13 მაისს პროფკავშირები სოლიდარობის ნიშნად გაფიცვას აცხადებენ რეპრესიების მსხვერპლთათვის: ევროპა გმინავს.

მარი თავისი ბინიდან მიდის — უბანი ზედმეტად ბურჟუაზიულია, გარემო ზედმეტად დახვეწილი — და ცდილობს, პატრისს აუხსნას ეს. მიუხედავად ამისა, უმეტესად მაინც პატრისის ოთახში სძინავს, ნანტერში.

ღილიდანვე, როდესაც მარი მისი ოთახიდან გადის, პატრისი მარის დაბრუნებაზე და მასთან ერთად გატარებულ მომავალ ღამეებზე იწყებს ოცნებას.

კიდევ კარგი, მისი ქალაქი ღუმს და ბარიკადებზე არ მიდის.

ათი ათასობით ადამიანი გამოდის 13 მაისს დემონსტრაციაზე. პატრისს უნდა, რომ სადმე დაიმალოს, დაიკარგოს.

ღამულაობით ძილის წამლებსა და დამანყნარებლებს სვამს, მაგრამ მაინც ვერ იძინებს, თუ მარი „სახლში“ არ მოდის.

თავის ციხესიმაგრეშია გამოკეტილი — სანოლი და მარი ამ სანოლში — მისი ოცნებების სასახლე. Sud aviation-ი გაფიცულია, Renault-იც, მას კი ეს ყველაფერი არ აინტერესებს. მარი დიდხანს თუ იგვიანებს, ბეჭითად ბეჭდავს. ფიქრობს, რომ საბეჭდი მანქანის კლავიშები უფრო ხმაურიანია, ვიდრე მთელი ეს წივილ-კივილი.

დაახლოებით რვა მილიონი მუშაა გაფიცული.

— სამი წლის წინ ქალს ბანკში ანგარიშის გახსნაც კი არ შეეძლო ქმრის თანხმობის გარეშე. რა საშინელებაა, ამბობს მარი, — დროა, ყველაფერი შეიცვალოს.

მარი ხშირად ახსენებს „Revue Arguments“-ის თანამშრომლებს, იქ პოლიტიკური და ეროტიკული ესეების გამოქვეყნება მიწადა, ეროტიკა დღეს პოლიტიკის ნაწილიაო, ამბობს. პატრისს ეს სასაცილოდ მიაჩნია, მარა ხომ დისიდენტების წრეებს არ განეკუთვნება, იმ ხალხისგან განსხვავებით, ვინც იქ მუშაობს.

სახალხო მთავრობას ითხოვენ. ეს რას ნიშნავს?

საერთოდ ველარ იძინებს.

პატრისი ანეს სტუმრობს, რომელიც ალტერნატიულ-სოციალურ დასახლებაში, სადაც Villes Nouvelles-ში, ცხოვრობს. ანე არასრულწლოვანთა უწყების შესახებ უყვება, ჩემი წაყვანა უნდათ, მაგრამ ჩემი მეგობრები ამას არ დაუშვებენო. პატრისი ღუმს, დასთან ერთგვარ სიახლოვეს გრძნობს, მეტიც — მისი ესმის და ეს მასში ზიზღს იწვევს. ანე ამაცობს, პოლიციელებმა Boulevard St. Michel-ს რომ ვერ მიაღწიეს, ეს ჩემი დამსახურებაც არისო, ამბობს.

ღედა ვედრების წერილებს სწერს, ანეს „დაცემა“ არ დაუშვა, ისედაც არ ვიცი, მანდედან როგორ წამოვიყვანო, მალე ხომ სრულწლოვანი გახდებაო. პატრისის დედისა არ ესმის. ეგონა, ღედა გააფთრებული გამოქანდებოდა პარიზში და ანეს ძალით წაიყვანდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ღედაც დაიღალა.

მარის პატრისი ყველგან თან დაჰყავს, St. Emilion-ში ვილაც ტიპებს ხვდება. ეს არალეგალური შეხვედრების ადგილია. მარი იქ ბევრს იცნობს. ლუდსა და იათფასიან ღვინოს სვამენ. ვილაცას ოპიუმს აქვს. ისინიც აბოლებენ ოპიუმს. პატრისი უარს არ ამბობს, ფიქრობს მარიზე და მარის მკერდზე. მარი ცეკვავს და ბედნიერია. ისინი მუშებისთვის ხელფასის 35%-იან გაზრდას ზეიმობენ.

პატრისი თავს ცოტა შეუძლოდ გრძნობს, მაგრამ მერე... უცებ... უცებ ის ჩნდება. თავადაპარსულია. მასთან მოდის. პატრისი ოდნავ ეხება თავზე. სხვები ცეკვავენ, ვილაც ღრიალებს. სარე კალთაში უჯდება და თმაზე ხელს ჰკიდებს.

ძმა: დარჩი ჩემთან.

ის: ვერა.

ძმა: შენ ხომ ჩემი ნაწილი ხარ.

ის: მორჩი თავის მოტყუებას.

ძმა: მიყვარხარ...

მოგვიანებით, საერთო საცხოვრებელში.. პატრისი წევს, მარი იატაკზე ზის, ეწევა და შიშველია. ოთახში არავინაა, მათ გარდა. ყველა კომენდანტი გაქცეულია.

მალე ზაფხული მოვა.

მარი: უკეთესად ხარ? ვინერვიულე. ისე დიღხანს გეძინა. მარკის მანქანით მოგიყვანეთ აქამდე. — მარი გვერდით უჯდება, თან ეწევა. სიჩუმე კანის ფორებში აღწევს.

ძმა: რატომ გიყვარვარ?

მარი: ამაზე ნულარ ლაპარაკობ, შეირგე.

მარი გვერდით უწევა, სიგარეტი ჯერ კიდევ ხელში უჭირავს. პატრისის კვირების განმავლობაში პირველად ეძინა კარგად. უსასრულო სიმშვიდის შეგრძნება ეუფლება. მარი კოცნის.

მერე ისევ დგება საწოლიდან და საბეჭდ მანქანასთან მიდის. მისი სიშიშვლე დამაბრმავებელია. პატრისი თვალს ადევნებს, ვერ ხვდება, რას აპირებს. მარი ქაღალდზე დაფარებულ ნაჭერს ხელს ჰკიდებს. რამდენიმე ფურცელს იღებს და კითხულობს.

ძმა: ხელი გაუშვი!

მარი: უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, რას წერ.

პატრისი საწოლიდან ხტება და მასთან მირბის, მაქ რამ მარი ფურცლებს არ აძლევს. თავს ითავისუფლებს, ღია ფანჯარასთან მირბის და ქაღალდებს ფანჯრიდან ყოფს გარეთ.

მარი: მომიყევი, ყველაფერი მომიყევი, თორემ გა დავეყრი, მართლა გადავეყრი, ხომ იცი...

ძმა: ჰო. კარგი.

დანაპირები უნდა შეასრულოს. ახლა სანოლზე სხედან, ერთმანეთის გვერდიგვერდ. მარის ხმამაღლა უკითხავს ტექსტს და ხმა უკანკალებს.

35. ოლგა (1983)

ქალაქს ზაფხული ესხმის თავს, მშობლები — ოლგას. უნივერსიტეტიდან ვიღაცებს აგზავნიან, რომ „გონს მოეგოს“, მაგრამ ოლგა კარს არავის უღებს. ოლგას ძალღი უდრტვიწველად იტანს ამ ყველაფერს.

ღღეები გადის. ოლგა საკუთარ ყოფას უმეგობრდება. ოლგა სურვილებისგან დაიწყალა. ხანდახან ჰკონია, რომ სწორედ ეს არის ბედნიერება — ცხოვრება სურვილების გარეშე. ძალიან შეიცვალა. სარკეში საკუთარ თავს ვეღარ ცნობს და ყოველ ღამე იმას ცდილობს, შიში განდევნოს. თუმცა ბოლომდე ვერ ახერხებს, მაგრამ არ ნებდება. საკუთარი სულის გაკვეთის პროცესი ნელა, მაგრამ წარმატებით მიიწევს წინ.

ოლგამ ყველაფერი მიატოვა — არც ნიშნების ამოცნობას ცდილობს და აღარც გზავნილებს ეძებს ცაზე. უბრალოდ ნელთბილ წყალში წოლა სურს. სიცარიელის რწმენად აღიარება უნდა. ფუნთუშების ჭამა, მძინარე ძაღლის ყურება. ნეტა რას გრძნობს ძაღლი ამ დროს?

ახალგაზრდა და ლამაზი ოლგას გაქრობა ღირსეული, და იმავდროულად მშვენიერებითა და მრისხანებით სასესა.

და ეს გაქრობა ოლგამ გოგონასა და სიკვდილზე სიმღერით დაიწყო.

ღილაობით ვიღაც კარზე აკაკუნებს. ხანდახან კარის ქვეშ წერილებს უცურებენ. ერთხელ, სახლში დაბრუნებულს სადარბაზოში მჭადარი მიშელი დახვდა. საკუთარ მუხლებში თაფარგულს ხელში ყვავილების უბრალო თაიგული ეჭირა. ოლგას დანახვამ წამოდგა, ოლგას წინ გადაუდგა და სახეში მიაშტერდა:

— გამარჯობა. ბოდიშის მოხდა მინდოდა.

კომუნიკაციის ყველაზე სრულყოფილი კრახი ასი ათასობით წლის განმავლობაში! როგორი დამთრგუნველია იმაზე ფიქრი, რომ კომუნიკაციის მცდელობა დასაწყისშივე ასეთი აბსურდულია. მისი ცხოვრების უდიდესი სიყვარული, ბაჭია, განა საცოდაობა არაა ეს?

— რისთვის მიბოდიშებ?

— აი, ეს შენ...

ოლგა მიშელს თაიგულს ართმევს და ისე მიათრევს, როგორც ლიდიას მიათრევდა ხოლმე, როდესაც ჯერ კიდევ ლეკვი იყო და სიარული ეზარებოდა. ოლგა სადარბაზოდან ქუჩაში გამოდის. მიშელი უკან მიჰყვება.

— გაჩერდი, რა! რა ხდება? ყველა შენ გეძებს. რა მოგივიდა? ყველა ნერვიულობს.

— ვინ ნერვიულობს?

— ყველა. კარგად ნამდვილად არ გამოიყურები, ოლგა!

ჰასუხად ოლგა მხრებს ოდნავ იჩეჩს. ველოსიპედს საკეტს ხსნის და მიაგორებს.

- მოდი, ყავა დავლიოთ. დაგპატიჟებ. დღეს რაღაც გრილა.
- არა, გმადლობ.
- ოლგა!

მიშელი ხმას უწევს, აღშფოთებული ჩერდება. ოლგას მის მიმართ ჯერ კიდევ შერჩენია მცირეოდენი სიბრაღეული.

— მარტო ყოფნა მინდა. უნივერსიტეტს თავს ვანებებ — უნდა დაგველაპარაკო, ვთხოვ...

ოლგას ცოტა არ იყოს უკვირს, მიშელი ასე თავისმომბეზრებლად რომ იქცევა. მიშელი ოლგას უსიტყვოდ, მიჰყვება ახლომდებარე კაფეში, ყავას უკვეთს და სიგარეტს უკიდებს. მიშელი ღელავს.

— შემიყვარდი.. — ამბობს უცებ და გვერდზე იხედება. — შევეცადე, ამ გრძნობისგან გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ.. ყველა ამბობს, რომ ვაგიჟდი ან... არ ვიცი. მართლაც ძალიან უცნაურად იქცევი, გაუგებრად, მაგრამ მე მაინც სულ შენზე ვფიქრობ. მინდა იმ ლამისათვის ბოდიში მოგიხადო, თუ განწყენიე. მინდა, დაგეხმარო. მე მგონი, ცუდად ხარ. მინდა ყველაფერი ვიცოდე და გპირდები...

ოლგამ ამოიკვნესა. მიშელს თითქოს ეწყინა, მაგრამ ბარ შეიმჩნია.

— სერიოზულად გეუბნები, ოლგა. მინდა...

მიშელი წამოწითლდა. ოლგა თითქმის ეუცხოებოდა, მისი ალბათ ოდნავ ეშინოდა კიდევ. ოლგა ამას მშვენივრად ხედავდა. ახლა ბევრად მეტს ხედავდა.

— იცი, ოდესღაც მეც მიყვარდი, რა სასაცილოა, არა? ისე, მე მთელი ცხოვრება შეყვარებული ვიყავი, თუმცა, უმეტესად, ცალმხრივად. მაგრამ ახლა... ახლა უკვე ყველაფერი სულერთია. არ გეგონოს სამაგიეროს გიხდიდე, უბრალოდ ასეა, შენ არაფერ შუაში ხარ. წამოდი, გავისეირნოთ. რა კარგი საღამოა, არა?

— ნადინს ველაპარაკე, ამბობს, რომ დეპრესიაში ხარ.

— მერე რა? შეიძლება, ან იქნებ არა... ადექი, გავიდეთ.

მიშელმა ყავის ფული გადაიხადა და კაფედან გავიდნენ. ოლგა თავის ველოსიპედს კვლავ მიაგორებდა. მიშელი რაღაცას უყვებოდა თავის და-ძმაზე, პარიზზე, თავის ოცნებაზე, რომ ოდესმე მფრინავის ლიცენზია აეღო. ოლგა შესტყეროდა მის ხელებს, მისი ტურის კუთხეებს და ფიქრს ვერ იმორებდა თავიდან, რომ დასანანი იყო ცხოვრების ასე დათმობა, ასე უბრალოდ გადადგება, არაფრისთვის, მართლაც არაფრისთვის. ამას ფიქრობდა ახლა, როდესაც სიცოცხლე მისთვის აღარაფერს ნიშნავდა.

მიშელმა ბამბის ნაყინი იყიდა და რადგან ოლგამ უარი უთხრა, მარტო შეუდგა ჭამას.

ოლგა მასზე ფიქრობდა, ფიქრობდა იმაზე, რომ ყვე ლაფერი მეორდება, რომ ალბათ მასაც ეყოლებოდა მემკვიდრე და ასე გავრძელდებოდა. სიცოცხლის დაუსრულებელ კარუსელში ხის პატარა ცხენებზე შემომსხდარი ადამიანები. უცებ ოლგას გაეცინა, ხმამაღლა გაეცინა.

— ეს მე ვარ! ის ხომ მე ვარ, მე...

— რა თქვი?

— ჰო, როგორ ვერ მივხვდი! მე ვარ ის... მე... მე ის ვარ!

— ვინ? რაზე ლაპარაკობ?

მიშელს პირთან ბამბის ნაყინის პატარა ნაფლეთი მიჰკრობოდა და დაბნეული ჩანდა, ლამის დაფეთებული.

— ახლა მივხვდი!

ოლგა ბედნიერებისგან ასხივებდა. ჯერ მალლა ახივდა, ცაში, მერე მიწაზე დაჯდა და სიცილი დაიწყო. ახლალა ჩასწვდა ყველა იმ ნიშნის აზრს, რომელიც მას დაუტოვა. Distraction. წიგნის მაღალიზის ამბავსაც მიხვდა, მიხვდა, რატომ გავარდა ის ბიჭი მაღალიდან. იმასაც მიხვდა, რატომ გაუჩნდა თავის გადაპარსვის სურვილი.

ოლგა მიშელს გადაეხვია, გულწრფელად, მთელი გულით. მან ხომ დღევანდელი დღე აჩუქა, მის სანახავად მოვიდა და მის გაგებას შეეცადა. ოლგა მიშელს მოეხვია და ტუჩებში აკოცა. სამყაროს ხედვის პერსპექტივა შეიცვალა.

— დამეხმარები... ხომ?

ოლგას სიხარული მიშელსაც გადაედო და ახლა უკვე ისიც იცინოდა, მართალია, არაფერი ესმოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

თუ გიყვარვარ, მაშინ ჩემს გულს დავაქუცმაცებ და ყოველ დილას იმით გამოგკვებავ. თუ გიყვარვარ, მაშინ აღარაფრის მიხედვრა აღარ დაგჭირდება. ნუ მონიღომებ იმის გაგებას, როგორი იყო მზე, ვიდრე შენ მას ჩემს თვალებში აღმოაჩენდი. ნეტავ მართლა შეგეძლოს ჩემი სიყვარული. ეს საღამო იქნება არაჩვეულებრივი და კიდევ მრავალი ასეთი საღამო მოჰყვება მას. რომ შემეძლოს... საკუთარ კანში ვარ ჩაჯავნილი. ისე ვარ ჩაკირული, რომ ვიხრჩობი. დამითმობდი კი შენს წარმოსახვაში პატარა კუთხეს, სადაც მე დავსრულდებოდი? გააკეთებდი ამას ჩემთვის? შენ არაფერი იცი, შენ არაფერი გესმის. მაგრამ არა უშავს. როგორი ცივი გაქვს ცხვირის წვერი.

რა სიამოვნებით გაგათობდით, რომ შემეძლოს...

36. მე (2005)

დღევანდელი ერთი შეხვედრის ოქმს ვაღგენ, რადგან ჩემი მეგობრები, ისინი, რომლებიც იოგაზე დადიან, ყველაფერში მშვენივრად ერკვევიან, ყურადღებით ეკიდებიან საკუთარი კვების რეჟიმს, პატარა კინოთეატრებში დადიან ფილმების სანახავად (არაკომერციულის, რა თქმა უნდა), იმათ, რომელთაც თანავარძლობის უნარი ჯერ არ დაუკარგავთ და სხვებზე ნერვიულობენ, მთხოვენ გავესაუბრო. მათი აზრით, უკვე რამდენი ხანია საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი. ჰოდა, მეც შევეცდები ამ პროტოკოლში იმის გადმოცემას და ახსნას, თუ რა მჭირს. თუმცა წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ ნაკლებად მალეღვებს ახლა ეს ყველაფერი.

სიკვდილს ხომ არ ნატრობო? — არა მგონია, არა.

დეპრესიული ხომ არ ხარო? — რატომ დეპრესიული? არა.

უძილობა ხომ არ განუხებსო? — კი, მაგრამ, მე ხომ არც ვცდილობ რომ დავიძინო.

თუ გყავს გარშემო ისეთი ადამიანები, შენზე რომ ზრუნავენო? — რაში მჭირდება?! იდენტობის პრობლემა ხომ არ გაქვსო? — ეს ჭანდაბაა?!

საკმარისი სექსი თუ გაქვსო? — ვინ დაადგინა, როდის არის სექსი საკმარისი?

მძიმე ბავშვობა ხომ არ გქონიაო? — რა ვიცი, ჩემი ბავშვობა ისეთივე მძიმე იყო, როგორც ყველა ბავშვის.

სკოლაში დაჩაგრული ან სხვებისგან გარიყული ხომ არ იყავიო? — რა სასაცილოა, სხვა რა ალტერნატივა არსებობს? ნეტა ვიცოდე!

შენი მშობლები როგორები არიანო? — დედაჩემი დედაჩემია, მამა მკვდარია.

მკურნალობა ხომ არ გესაჭიროებაო? — კი, სიამოვნებით ვიმკურნალვები აბსენტით, უფილტრო სიგარეტებითა და მარლონ ბრანდოებით.

ეს რა, სასაცილოდ მიგაჩნია? — არა, ამას სრულიად სერიოზულად ვამბობ.

37. აპიდაპი (2004)

გაუთავებელი წვიმის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიძარა. უჩვეულოდ ჩამოცხა. ივლისის ხვატი დილიდანვე იგრძნობოდა. სხიპოლის აეროპორტი გადატენილი იყო, და ხმაურში იხრჩობოდა. ადამიანები სიცხეს ვეღარ უმკლავდებოდნენ, ტანსაცმელი ტანზე ეკვროდათ.

ფრიკს სქელი მზის სათვალე ეკეთა, დარბაზშიც კი არ მოუხსნია. კონდიციონერები ზუზუნებდნენ. ლაურას მკერდზე ოფლი ჩამოსდიოდა, ესეც მისი სასიყვარულო თავგადასავლების ტრიუმფი: მის მკერდამდე მიღწევა. ფრიკს ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის მკერდზე. „შეიძლება ცისფერია. მით უკეთესი ფრიკისთვის“ — ფიქრობს ლაურა.

დღის განმავლობაში ერთმანეთს თითქმის არ დალაპარაკებინ. ფრიკი მთელი გზა „National Geographic“-ს კითხულობდა, ლაურა აეროპორტის წიგნების მაღაზიაში ნაყიდი რომანით ერთობოდა.

სამინელი სივინროვე იყო თვითმფრინვაში, ლაურას თქოები დაუბუჟდა, ჭირის დღესავით ეზიზღებოდა ფრენა. ვერც ჭამა ვერ შეძლო და თავისი ულუფა ფრიკს დაუთმო, რომელმაც ყველაფერი მადიანად გადასასწლა. როგორც ჩანს, ვერც ფრიკი ვერ იტანდა ფრენას, მთლად გაფითრებული გაუნძრევლად იჯდა სავარძელში და რაღაც გამჭვირვალე ფერი ედო სახეზე. თან ეს სულელური სათვალე და სასაცილო სპორტული ფეხსაცმელი.

ლაურა ცნობისმოყვარეობას შეეპყრო. ნეტა რა ურთიერთობა ჰქონდა ფრიკს თავის თანატოლებთან? როგორი გამომეტყველება ჰქონდა ორგაზმის დროს? კაცთან თუ ქალთან? ლაურას გაეღიმა.

გამოფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ლაურამ სამოქმედო გეგმა შეადგინა. თავის აპიდაპიზეც იფიქრა, მომდევნო სამი კვირის განმავლობაში ფარეხში მარტო რომ უნდა მდგარიყო. ამინებდა ის ფაქტი, რომ აბჯარი უნდა მოეხსნა, რაღაც ეხამუშებოდა. აპიდაპის გარეშე თავს ისე გრძნობდა, როგორც კუ ბაკნის გარეშე.

აფრენის წინ ლაურამ ფრენის შიშის საწინააღმდეგო აბები გადაყლაპა, რომელიც თავის ექიმს საგანგებოდ გამოაწერინა, მერე ყურებში ყურსასმენები გაიარჯო და შეეცადა, მუსიკის მოსმენით შეეყოლიებინა თავი.

ლაურა გასასვლელის მხარეს იჯდა და ცდილობდა, ფანჯრისკენ არ გაეხედა. ორ პატარაბავშვიან გადაღლილ დედას მისჩერებოდა. ერთ ბავშვს დედის კალთაში მშვიდად ეძინა, მეორე აქეთ-იქით დარბოდა გასასვლელში. დედა გამუდმებით ეძახდა. ბოლოს სტიუარდესამ ბავშვი დედას მიუყვანა.

ლაურას თავისი დისშვილები გაახსენდა. გოგონა, რომელიც სამი წლის ასაკიდან შეუყვარდა, და რომელიც პრაქტიკულად ლაურას დაქორწინების მიზეზი გახდა.

პატარა ქერათმიანი არსება, რომელიც სულ იცინოდა რა საყვარელი აქცენტით ლაპარაკობდა, ადრე ლაურას ღია ბარათებს უგზავნიდა, ზედ ყვავილს ხატავდა და იმ რამდენიმე სიტყვას ჯღაბნიდა, რომელითა დაწერაც შეეძლო (ლაურას დამსახურება): „ლაურას უყვარს ლინა“.

ახლა, უკვე გაზრდილი, სულ მალე სკოლაში წავიდოდა და ყველაფერს დაივიწყებდა, რაც კი სიცოცხლეს უდარდებლობას ანიჭებდა. უფროსი დისშვილი საკუთარ თავს აგონებდა ლაურას, თავის ბავშვობას. მაშინ ლიმ მზრუნველი დეიდასავით მიჰყავდა საბავშვო ბაღში და მერე იქიდან გამოჰყავდა კიდეც. და ეს სიხარულს ანიჭებდა — ბავშვის შემოგებება და მოხვევა, მისი ათასგვარი კითხვა, მასთან ერთად პატარა ხიდების გადარბენა, მას თან ერთად სამყაროს აღქმა და ახლიდან შეცნობა. ასეთ დროს საკუთარი ბავშვობა უკითხავად ეპარებოდა ხოლმე. ლაურას, იმავე წამს პატარა გოგონა აგონდებოდა, ბაღის ზღურბლზე რომ შემოეგებებოდა ხოლმე.

თვითმფრინავის დაშვებისას ყველაზე მეტად და. ამ სიმაღლიდან ქალაქი მთელი თავისი სილამაზითა და დაუნდობლობით მოჩანდა.

შარლ დე გოლის აეროპორტი ხალხით იყო სავსე, გულის წასვლამდე ცხელოდა. განერვიულებულმა და დაღლილმა ლაურამ არუც კი იცოდა, რა უნდოდა ამ ქალაქში, რომელიც სასიყვარულო ღამეების, უზნეო თავგადასავლებისა და სიგიჟისთვის გამოდგებოდა, მაგრამ არა საკვლევად.

ფრიკი, რომელიც ორივეს ბარგს ურიკით მიაგორებდა, ცოტა მოშვებული და ბედნიერიც კი ჩანდა. მანამდე სასტუმროს გამო გვარიანად იკამათეს. ფრიკს არ უნდოდა, რომ ფული ლაურას გადაეხადა, მაგრამ ლაურამ, საქმისადმი ინტერესის გამო, უხერხულად მიიჩნია ბიჭის რომელიმე იაფფასიან სასტუმროში დაბინავება თავაზიანობის გამო კი არა, უფრო ეგოიზმის გამო აიღო ორი ნომერი „Maine Montparnasse“-ში, ბოლო თვეებში ფული საკმარისად ჰქონდა.

ივლისის მზებზე ასფალტი დუღდა, პარიზის ქუჩები ოფელში ცურავდნენ. ლაურამ ტაქსი გააჩერა, ფრიკი მორჩილად ჩაჯდა. ტაქსიშიც აუტანლად ცხელოდა. პირველად პარიზში დედასთან ერთად ჩამოვიდა ლაურა, ინდონეზიიდან ახალი ჩამოსულები იყვნენ. დედას ყოველთვის უნდოდა პარიზის ნახვა. ეს პირველი არდადეგები იყო მამას გარეშე. ლაურას მაშინ პარიზი არ მოეწონა, ენატრებოდა წვიმა, წყალი და მამა.

სასტუმრო ერთ წყნარ, პატარა ქუჩაზე მდებარეობდა. ლაურამ ფრიკს განუცხადა, დღეს არაფრის გაკეთება არ მინდაო და ლამის ცხვირწინ მიუხურა თავისი ოთახის კარი. ნუთუ მართლა ასეთი აუტანელი გახდა? არა, ამკარად უზნეოდ მოიქცა.

ფრიკს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მორჩილად დაუქნია თავი. იმავე სართულზე ცხოვრობდა, სამი ნომრის იქით.

ლაურამ შხაპი მიიღო, ბარგი ამოალაგა და ოთახში შეუკვეთა ყავა და წყალი. სასტუმროს შიდა ეზოს გადახედა, სივარეტს მოუკიდა, მინი-ბარი გამოაღო, ჭინი აღმოაჩინა და დაისხა. ბოლოს ერთი სივარეტი კიდეც მოწია და მიწვა.

რომ გაეღვიძა, უკვე ზნელოდა. ფრიკი არ გამოჩენილა. ლაურამ ტანსაცმელი გამოიცვალა, ტურნებზე პომიდა ნაისვა და ოთახიდან გავიდა. სასტუმროში პატარა რესტორანი იყო. ლაურას შიოდა, ამიტომ თევზის წვნიანი, სალათა და ერთი ჭიქა კონიაკი შეუკვეთა. ფრაკში გამოწყობილი ასაკოვანი მამაკაცი ვილინობზე უგემოვნო მუსიკას უკრავდა, ისეთს, ლიფტებში რომ ისმის ხოლმე.

დიდხანს იჯდა, „Figaro“-ს ათვალეიერებდა, მკრთალად განათებული მყედრო გარემო მასზე კარგად მოქმედებდა, — ასეც ვიფიქრე, რომ აქ იქნებოდი.

თერთმეტი საათი ხდებოდა, ფრიკი რომ გამოჩნდა და ლაურას მაგიდას მიუჯდა. ახალგაპარსულს სასიამოვნო სუნი ასდიოდა.

— დალევთ რამეს? წელან რაღაც ვერ ვიყავი კარგად, — ერთ ჭიქა ღვინოს დავლევ. კიდევ ერთხელ გადავთვალე რე საქალაქე. ხვალ...

— მოდი, საქმე ასე გავინანილოთ. მე ეროვნულ არქივში წავალ. ჩემთვის დროებითი საში გამოვანერინე. თქვენ ხვალ ტელეფონს მიუჯდებით.

— ტელეფონს?

— ჰო, ყველა ნომერზე დარეკავთ, რაც კი სიაშია, ყვე ლა მსხვერპლის ახლობლებს დაურეკავთ.

— დავრეკავ. არ შეიძლება, არქივში მეც წამოგყვით?!

— რისთვის? — გაელიმა ლაურას. — არ მენდობით?

— არა, კი...

— ასე დროს დავზოგავთ. ჯერ გარდაცვალების, ცნობას მოვიძიებ, ვნახავ, ყველაფერი ემთხვევა თუ არა ამით სასაუბრო თემა ამონურელი იყო. ფრიკი თავის თეთრ ღვინოს სვამდა. ლაურა კონიაკს წრუპავდა, სიამოვნებდა მისი არაჩვეულებრივი გემო.

— პირველად გოგოს გამო ჩამოვედი პარიზში. თვრამეტი წლის ვიყავი და ვადმერთებდი. ჩამოვედი და ყველგან ვეძებდი, რადგან მისამართი არ ვიცოდი. საცხოვრებლად გადმოვიდა, უმაღლესში სწავლას აპირებდა, ჯერ კიდევ ოდენსედან ვიცნობდი. მერე როგორღაც მისი მისამართი გავიგე. და მივაკითხე. არადა ორი წელი არ გვენახა ერთმანეთი. ფულს ვაგროვებდი, ვმუშაობდი, რომ მასთან ჩამოვსულიყავი, და მერე... მერე იქ მივედი და... ბორდელი აღმოჩნდა, რაღაც ბორდელის მსგავსი, ოღონდ ფეშენებელური. თავის მოკვლა მინდოდა. მაგრამ მერე მივხვდი, რომ იქ არ უნდა მივსულიყავი. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში დრო არ უნდა დაკარგო, ერთი წამიც კი.

ბიჭმა ლაურას შეხედა. ლაურა გაუნძრევლად იჯდა.

ფრიკმა მაგიდაზე რამდენიმე ფრანკი დადო და რესტორნიდან გავიდა.

38. ქალი (2004)

მონწმენდილი ცა ვარსკვლავებით იყო სავსე. დაჯერებაც კი უჭირდა ფრანჩესკას: ივლისის შუა რიცხვებში, არც აცია, არც აცხელა და, ჯგუფს ჩამორჩენილი ტურისტებით, ტაქსიში ჩაჯდა და ქალაქის ცენტრში მიაყვანიდა თავი მძლოლს. წარმოუდგენელია. როგორ უნდა აეხსნა ეს ყველაფერი კეთილი ღვინისთვის ან რა უნდა მოეყოლა ჯენისთვის?

— იცი, ათენში აღარ წავედი, და ახლა პარიზში ვარ... მერე გაახსენდა, რომ ახსნა-განმარტებას ალბათ არც არავინ არ ელოდა მისგან, რომ ყველამ თავი დაანება ჯკუის სწავლებას და რომ, ალბათ, უხაროდათ კიდევ, ცოტა ხნით სიდნიდან რომ გაქრა ჩემოდანში დარდებჩალაგებული.

პარიზი ის ქალაქი იყო, რომელიც შეყვარებულს უნდა მოენახულებინა და არა ახლა. ტაქსის მძლოლს სასტუმრომდე მიყვანა სთხოვა, მან კი რატომღაც საზიზღარ

პანსიონში მიიყვანა ალბათ ჩაცმულობით შეაფასა. ფრანჩესკას მძლოლის განზილება არ უნდოდა. პირიქით, გახალისდასავით, შეეცადა, განწყობილება არ გაეფუჭებინა. არა, დღეს არა! ამიტომ პანსიონში დარჩა და ერთ საცოდავ თთახს დასჯერდა.

მერე ქალაქში გაისეირნა, St. Germain-ის მიმართულებით. ქუჩებში უმიზნოდ დასეირნობდა, და რა უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, თავისუფლების შეგრძნება დაეუფლა.

ბოლოს ბარ „Le Roostand“-ში შევიდა. გარშემო მხოლოდ ფრანგული ისმოდა, რომელიც ტკბილად და უცხოდ უღერდა. სიამოვნებდა, რომ არაფერი ესმოდა. თავს მართლაც კარგად გრძნობდა. ამ ადგილას სამყაროს სრულყოფილებამდე თითქმის აღარაფერი აკლდა. დალევა მანისცდამინც არ უნდოდა, მაგრამ თავს უფლება მისცა და მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო დალია. უნდა მორიდებოდა ალკოჰოლს.

თვითმფრინავში მთელი გზა ეძინა. ახლა ფხიზლად იყო. პარიზი მოულოდნელობებით სავსე მოგზაურობას ჰპირდებოდა. ნეტავ პარიზში იმითმ ხომ არ ჩამოფრინდა, რომ ღმერთებთან აღარ დაბრუნებულისყო, იმ ღმერთებთან, რომელთაც ერთ დროს აღმერთებდა და რომლებმაც მერე უღალატეს, მიატოვეს? რატომ პარიზი?! ბედმა ასე გადაწყვიტა, დაუგეგმავი, უეცარი გადაწყვეტილების სახით გამოუგზავნა პარიზში დარჩენა. ცოტა ხნით ციხიდან თავის დაღწევას ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ჰქონდა.

ბარში საფორტეპიანო მუსიკა ისმოდა, ნელ-ნელა მოეშვა. ესიამოვნა.

ერთმანეთი ზაფხულში გავიცანით. ვიფიქრე, გენიოსია-მეთქი. უბრალოდ ვისხედით, ბევრს არ ვლაპარაკობდით. ვიფიქრე, შეგვიძლია დიდი საჰაერო ბუშტი გავებროთ და მალლა ავფრინდეთ-მეთქი. მისთვის პირველი ქალი ვიყავი და ეს ისე რომანტიკულად ჩემთვის მეოთხე კაცი იყო. ვუთხარი, მეორე ხარ-მეთქი და დაიჯერა.

მერე თავის მეცნიერებაზე ხელი აიღო. აღარ იყო გენიოსი, უბრალოდ, მანქანად გადაიქცა, მხოლოდ ფულის შოვნაზე ფიქრობდა. რომ მოკვდა, არავინ იცოდა, ამდენი ფული თუ გვექონდა. მეც არ ვიცოდი. ამაზე არასდროს უსაუბრია.

ხანდახან, ღამ-ღამობით, როცა ვერ იძინებდა, მეც მეღვიძებოდა და დაბლა, სამზარეულოში ჩავდიოდი. ის იჯდა იქ და რაღაც ციფრებს წერდა. რომ ვეკითხებოდი, რა არის-მეთქი, მეუბნებოდა, არაფერიო. და ეს არაფერი ძალიან მაშინებდა.

ოპერა უყვარდა. როდესაც ბავშვები შინ არ იყვნენ, რომელიმე არიას ძალიან ხმამაღლა ჩართავდა ხოლმე და უსმენდა. მეჯავრებოდა ოპერა. ყოველთვის მძულდა.

ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავით ერთად (მხოლოდ კინოში დავდიოდით), მკითხა, მითები რატომ ვიყვარსო. სილიადისა და პათოსის გამო-მეთქი, — ვუპასუხე ვუთხარი, რომ ყოველდღიურობისა მეშინოდა, რომ ცხოვრებაში პათოსი და ტრაგედია მაკლდა.

და მან ეს შესანიშნავად გაიგო, სიტყვასიტყვით ტრაგედიის ისეთი სიღრმე განმაცდევინა, რომელიც სხვა შემთხვევაში ჩემს ცხოვრებას არასდროს ეწებოდა უზარმაზარი, გასამხმეგებელი ბერძნული ტრაგედია. აი, რა მაჩუქა.

ღვინო მოენონა და კიდევ შეუკვთა. აქ არავინ შეუძლია ხელს, რომ დაეღია.

გარეთ წყვილები დასეირნობდნენ, დაღვრემილსახიანი კაცები, უსახლკაროები, გამყიდველები, ვაჭრები, შორტიანი გოგონები, ორიენტაციდაკარგული თინეიტჯრები,

თავდაჯერებულობის ნიღბებს რომ ირგებენ, როგორც ლინი. გარეთ ბევრი ხალხი იყო, გარეთ სავსე იყო ადამიანებით.

და ფრანჩესკა, უკვე შეზარხოშებული, ბარიდან გარეთ გამოვიდა, მერე გაჩერდა და გაიღიმა. პარიზის დაქსაქსული ქუჩების ნიაღვარში ჩაიკარგა. პატარა, იაფფასიან მაღაზიებში შედიოდა და იმ ფულზე ფიქრობდა, სიკვდილმა რომ აჩუქა. ფულზე, რომელიც არ იყო, როგორ დაეხარჯა. ერთ მოხუცებულ, ბობ მარლისებურად ჩანანავებულ კაცთან შეჩერდა. კაცი ძველ წიგნებსა და გაყვითლებულ, გაცრეცილ „National Geographic“-ის ნომრებს ჰყიდდა. ჰკითხა, ინგლისურად ხომ არაფერი გაქვთო.

— აი, ქალბატონო, — უპასუხა კაცმა და წიგნების დასტაზე მიუთითა. ფრანჩესკამ წიგნები გადაათვალიერა ერთი პატარა წიგნი მოხვდა თვალში, სამოცდაათიან წლებში გამოცემული.

„გამყინვარების ხანა“ — ეწერა ყდაზე. ფრანჩესკას სათაური ეუცნაურა, მაგრამ წიგნი რატომღაც მოეწონა და იკითხა, ეს რა არისო. მოხუცმა მხრები აიჩეჩა და გაუღიმა. ეტყობა, ვერ გაიგო. ფრანჩესკამ წიგნი იყიდა და იმაზე მეტი გადაიხადა, ვიდრე კაცმა მოსთხოვა. ამ დაწყველილი ფულის უაზროდ გაფლანგვა მოუნდა.

მერე ნოტრდამის ნაცვლად კიდევ ერთ ბარში შევიდა და ორი ჭიქა სკოტჩი დალია. ჩანთიდან წიგნი ამოიღო და გადააფურცლა. პირველ გვერდზე მელნით ეწერა: სასონარკვეთას ნუ მიეცემი, მელისა.

39. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

საკუთარ სხეულს ველარ ვერძნობ. სადღაც ჩემს ნეკნებს შორის მწვანე ურჩხულები ბუდობენ. ჩემი სიგარეტი ერთ უჩვეულო ისტორიას მაღავეს, ჩემი ტუჩების ანაბეჭდი იმას ჰყვება, რისი გარჩევაც არავის ძალუძს.

ჰადესი სულებითაა სავსე, ჩემი ადგილი აღარ არის.

მე მხოლოდ ნასვრეტები მაქვს სხეულში.

მიხაკები კი გულზე მაჭკნება.

ცხოვრების ჯარა სარეცხის თოკისგან რთავს ჩემს სასახლეს, ჩემს ციხესიმაგრეს, რომელიც ქვიშის, წყლისა და ცრემლებისგან შედგება.

ჩემი მეგობრები გარდაიცვალნენ და ეს დანაკარგი ქუთუთოებს მიმძიმებს.

ღამეები მკერდზე მაკვდებიან, ძუძუ მოსწყურდათ, მე კი რძე არ მაქვს, გამიძრა. საცოდავი ღამეები!

ჩემი გული პირდაღებული იარაა, სხვა არაფერი.

საკუთარ თავს ვეღარასდროს დაუბრუნდები, თუკი ერთხელ მაინც შეეცდები ჭრილობების მოშუშებას.

სიამოვნებით შეგიძვრებოდი ყურის ნიჟარაში, რათა ყველაფერი გამეგო, რასაც შენი ტვინი ინახავს. მაგრამ შენი ტვინი ცარიელია. მთელი ეს წვალება ამაოა.

თავი გადაიპარსა.

ერთი ხანშიშესული ქალი რამდენიმე ფრანკს ჩუქნის და თან ლოცულობს, ღმერთო, იხსენ მისი სულიო. მუცელი უგვრემს. ჭეჭა-ჭეხილის მოლოდინში სკამზე ჯდება.

მის პირდაპირ ახალგაზრდა კაცი ზის და წინგს კითხულობს. უცებ მალლა იხედება და შემსებარი რალაცას ბუტბუტებს, მერე მისკენ მოემართება.

— ჰეი, რა მოხდა, რა დაგემართა? შემოიძლია, რამით დაგეხმარო?

ის დგება და მიდის, კაცი უკან მისდევს, მერე სიგარეტს სთხოვს, კაცს სიგარეტი არ აქვს, მაგრამ თამბაქოს მალაზიაში შედის და მისთვის ერთ კოლოფს ყიდულობს, ის მალდობის ნიშნად თავს უქნევს. ერთმანეთისთვის ბევრი არაფერი აქვთ სათქმელი. კაცი უბრალოდ მის გვერდით მიაბიჯებს. გოგონა კუთხეში უხვევს, პატარა ქუჩაში. Rue Jose-სთან ჩერდება.

ისინი კრეპებს ჭამენ და კაცი ეუბნება, რომ ავადმყოფური იერი გაქვსო. საბერძნეთიდან ვარო, პარიზის უნივერსიტეტში სწავლას ვინყებო. მამაჩემი ომში დაიკარი ვაო, ჩემს ძმას ზეთისხილის პლანტაცია აქვსო.

ისინი Parc Du-ში შედიან. კაცი ამჩნევს, რომ ის პალტოს ქვეშ შიშველია და ტირილს იწყებს. ჰო, ტირილს იწყებს.

სამყარო კოსმოსის მოკვეთილი ნაწილივითაა, რომელიც დაიკარგა და დროში უმიზნოდ დასუწრავს. ჰო, სწორედ ასე ფიქრობს ის.

40. ძმა (1968)

არდადეგებზე უფრო მეტი უსიამოვნება თავს: დედა მისგან ითხოვს, რომ სახლში დაბრუნდეს, თუნდაც ორი კვირით. ის კი ცდილობს დედას აუხსნას, რომ არ შეუძლია. მიზეზად მარისთან ერთად დასასვენებლად წასვლას ასახელებს.

სინამდვილეში მარი კარგა ხანია აღარ გამოჩენილა. ახლა მე-7 კვარტალში ცხოვრობს, პარიზის გარეუბანში. სტუდენტები იქ ქარხნების დაცარიელებულ დარბაზებში შეიჭრნენ და მარიც თავის ექვს მეგობართან. ერთად ცხოვრობს ერთ-ერთი ქარხნის დარბაზში. ეს, ეტყობა, ახლა მოდამია. პატრისის სხვა გეგმები აქვს, ნანტერიდან წასვლას არც აპირებს.

„შენი ნაწერი მაშინებს, პატრის. რატომ წერ ასე, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ასე მგონია, არ გიცნობ, უცხო ხარ ჩემთვის. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დრო მჭირდება, რომ საკუთარ თავში გავერკვე, ეს ყველაფერი გავიაზრო. პირველი 30 გვერდი წავიდე, კიდევ ერთხელ მინდა გადავიკითხო. რატომ წერ ისე, თითქოს ქალი წერდეს? რა საერთო აქვს მას შენთან? ყველაფერი უნდა ამიხსნა, პატრის. ახლა საშინლად დაკარგულად ვგრძნობ თავს, თან მენატრები, მაგრამ ყველაფერში გასარკვევად მართლ დარჩენა მჭირდება. როცა დრო მოვა, მე თვითონ მოვალ შენთან. გთხოვ, გამიგე და დამელოდე. შენი მარი“.

უკვე თექვსმეტი დღეა ერთმანეთი არ უნახავთ. პატრისის ემინია, ვერც ფიქრობს, ვერც წერს, ვერც ჭამს. მარის გარეშე არსებობა ვერც კი წარმოუდგენია, მარი ბესონვილი უნდა. გულში მას წყევლის. ყველაფერი მისი ბრალია. იქნებ მისი მოკვლის დროც დადგა, დასრულების დრო. იქნებ მაშინ მაინც განთავისუფლდეს მისგან და მარის მიუძღვნას თავი.

ხანდახან თავის რამდენიმე კურსელს ხვდება. თავს ლიტერატორებს უწოდებენ. Café de Flore-ში დადიან, და კითხულობენ, და სვამენ. ხანდახან ოპიუმსაც ეწევიან,

რომელსაც პატრისი შოულობს როგორღაც იმ ხალხის დახმარებით, მარიმ რომ გააცნო.

ანე ალჟირში აპირებს წასვლას, „ცხოვრების ჭეშმარიტ ფორმაზე“ საუბრობს და წითელ ჯვარში უნდა ჩავეწერო — აცხადებს. პატრისი ხედება, რომ ანე ზუსტად ისეთი გაიზარდა და ჩამოყალიბდა, და მერე ისე დაეცა და განადგურდა, როგორსაც არასდროს არ ისურვებდა. ანესთან სტუმრად დადის და თან სინდისი ქენჯნის. დედამ და ანემ ურთიერთობა განწყვიტეს, მხოლოდ მონე სწერს ხოლმე ჩუმად წერილებს.

როდესაც პატრისი თავის ოჯახზე ფიქრობს, ტირილის გუნებაზე დგება. ლიტერატურის ერთ-ერთი ლექტორი მოხიბლულია მისი ნოველებით და ურჩევს, რომელიმე გამოცემლობაში პრაქტიკა გაიაროს. პატრისის Satyricon Press-ს წარუდგენენ, სექტემბრიდან პრაქტიკის გავლა შეუძლია იქ. საერთოდაც არ ახარებს ეს ამბავი.

მარი ბესონვილი ივლისის ბოლოს, ანუ სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც პატრისმა ერთი კვირით პარიზიდან წასვლა გადაწყვიტა. მარის მოკლე შარვალი და მამაკაცის განიერი პერანგი აცვია. პატრისი გამჭოლი მზერით, ათვალეირებს. მარის მისთვის შოკოლადი მოაქვს, მაგრამ ერთმანეთს ჯერჯერობით ვერ ეხებიან. არ იციან, რიმ, დაინყონ. მარის თმას ქარი ეთამაშება, პატრისი ვნებისგან იწვის. სასიეროდ მიდიან.

მარი: ბევრი ვიფიქრე, და დავასკვენი, რომ შენი ნაწერები საშინელებაა.

ქმა: მალე დავამთავრებ, შეგწყვეტ წერას.

მარი: რატომ წერ ამ ყველაფერს? სამყარო მართლა ასეთი საზიზღარი გგონია?

ქმა: ალბათ კი.

მარი: კი, მაგრამ ყველაფერი ასე საშინლად ხომ არ არის?

ქმა: ვფიქრობ, რომ არის.

მარი: მე? მე ხომ გიყვარვარ? განა ეს არაფერს ნიშნავს?

ქმა: დამიჯერე, მართლა, მე თვითონაც ვიტანჯები.

მარი: კი, მაგრამ...

სიტყვა უძლურია, როდესაც გრძნობები ცეკვავენ. მარი პატრისს კოცნის და პატრისი თვალებს ხუჭავს. როდესაც მარი ბესონვილი მასთან არის, მზადაა ის მოკლას. და ეს აზრი შიშს ჰგვრის.

მარისთან მიდიან, მეგობრები ჯერ არ დაბრუნებულან. დარბაზში არავინაა, ბნელა, და ვარდის წყლისა და ძველი ქალაქის სუნი დგას. კუთხეებში საძილე ტომრები აწყვია, მარის თავისი სანოლი აქვს, კოლონიური დროის თეთრი ფარდით გამოყოფილი, თითქოს კოლოების საწინააღმდეგო ბაღეაო, სამყაროს საშინელებათაგან თავის დასაცავად.

ტანზე იხდიან და ერთმანეთს კოცნიან. და პატრისი იმ წამს იჯერებს, რომ მარის ის ნამდვილად უყვარს. მაგრამ ეს სიყვარული აშინებს, იცის, ვერ მოერევა. იატაკზე გორავენ, ცალკე მდგარ სანოლამდე ვეღარ მიაღწიეს. თავებით კედლებსა და შიშველ იატაკს ეხეთქებიან. სამყარო პატარავდება და ვიწრო გამოქვაბულად იქცევა, ეს გამოქვაბული მარის ფეხებს შუა მოქცეული. გოგონა ულამაზესი თვალებითა და ნოტიო ხელისგულებით. მარის ალბათ გასამაგება მოუნწევს, პატრისის სურვილები რომ დააკმაყოფილოს.

ახლა შიშვლები სახელდახელოდ მონყობილ სამზარეულოში სხედან. პატრისი თანდათან ტკბება ცარიელი სივრცით. მარი ჰამიდერის წვენს სვამს.

ძმა: მომიყევი რამე. მაგალითად, შენს ოჯახზე.

მარი: ოჰ, მოსაყალი ბევრი არაფერია. მამაჩემი არაჩვეულებრივი ადამიანია. ერთმანეთის მშვენიერად გვემის. დედა (ცოტა სხვანაირია, თავი ყველასგან შორს უჭირავს, უფრო ჩემს ძმას ჰგავს. მათი გაყრის შემდეგ მამასთან ვცხოვრობდი, ასე მოვინდომე, უანი კი დედასთან დარჩა. თუმცა ერთმანეთს ხშირად ვხედავდით. ხანდახან შაბათ-კვირას შვილებს გაგვეცვლიდნენ ხოლმე მშობლები. და ეს მომწონდა. თავს დამოუკიდებლად ვგრძნობდი.

ძმა: შენი ძმა?

მარი: უანი? სამედიცინოზე სწავლობს, პედიატრია უნდა. ძალიან სერიოზული ტიპია.

მარი ხითხითებს და კალთაში უჯდება.

მარი: ძალიან მიყვარს შენი სხეული. სამყაროსათვის, იქ იმდენი სამალავია.

მერე ჩუმდებიან. პატრისის წარმოდგენა არა აქვს, რას ფიქრობს მარი მის წარსულზე. ერთხელ მარიმ ანე ნახა, იქნებ მარისთვის პატრისის წარსულს ანეს გემო აქვს: თავისუფალი და „არაფრანგული“. ალბათ, ცოტაოდენი კონსერვატიზმით, ოდნავ იმაზე მეტად, ვიდრე მის ოჯახშია, მაგრამ სასიამოვნოდ და წესიერად. მარის არ შეუძლია მისი ჯოჯოხეთური წარსულის გაგება, არც არის საჭირო, მერე ისევ ერთმანეთს ეხუტებიან და კოცნიან. ისევ და ისევ, ისინი მხოლოდ ამისთვის არიან გაჩენილი. პატრისი ასე ფიქრობს.

მარი: ყოველთვის ოცნებობდი იმაზე, რომ მისნაირი ყოფილიყავი?

ძმა: ვოცნებობდი? არა, არც მასეა საქმე, უბრალოდ მასზე ვწერ.

მარი: უბრალოდ? მსგავსი საშინელება ჯერ არ წა მიკითხავს.

ძმა: მართლა ასეთი საშინელებაა?

მარი: მეშინია ამ პერსონაჟის, ამ ენის. საზიზღრობაა! და საერთოდაც არ არის პოეტური, პატრისი.

ძმა: „Satyricon Press“-ში პრაქტიკას გავივლი, მერე სამსახურს მოვძებნი, მერე საკუთარი ბინა მიიწა და კიდევ ის, რომ ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად.

მარი: მოგიგრიხე თუ არა კისერი! ჰა-ჰა-ჰა!

ძმა: გადმოხვიდოდი ჩემთან საცხოვრებლად?

მარი: ვიფიქრებ. მითხარი, რომ გიყვარვარ.

ძმა: არ იცი, როგორ მენატრებოდი.

უცებ პატრისის აზრად მოსდის: მარისაც ხომ შეუძლია ასეთი იყოს, ის იყოს. რატომაც არა? მარის ეს ალბათ სულაც არ გაუჭირდება.

41. ოლგა (1986)

დილა იყო თბილი, ტკბილი და მღუმარე. მიშელს მის გვერდით ეძინა. მთელი ღამე თეთრად გაათენეს. ღამით გრილოდა, განვიმდა კიდევ.

ოლგა საწოლის კიდემზე იჯდა, სანახევროდ დაცლილ ოთახში. ავეჯი უკვე ნერვებს უშლიდა და ამიტომ ბევრი რამ უბრალოდ ქუჩაში გაიტანა.

ამ მზრუნველ და ალერსიან კაცს, ფრენაზე რომ ოცნებობდა, ახლა მშვიდად ეძინა. მთელი ღამე არ უძინიათ. მიშელი კანზე ეფერებოდა და ერთთავად ბოდიშს უხდიდა, ოლგამ არც კი იცოდა, რისთვის.

ვიდრე მიშელი მის სხეულს ზედმინევენით შეისწავლიდა, თითქოს შემეცნებით მოგზაურობდა, რუკის გარეშე, ოლგა საკუთარ წარსულზე ფიქრობდა. ოლგამ რაღაც დაკარგა, რაღაც, რაც სიცოცხლის ტოლფასი იყო, და რასაც ახლა მიუსაფართა ქვეყანაში ბრმად დაეძებდა.

ნადინმა საფოსტო ბარათი გამოუგზავნა პროვანსიდან. „ძალიან ვენერვიულობ. შენი სიცილი მომენატრა. გთხოვ, შენთან ყოფნის უფლება მაინც მომცე. ვეცდები, გავივო. ნადინი“.

რა სწრაფად გავიდა ზაფხული. რა სწრაფად შეიძლება აციებულიყო. მიშელს ისე მშვიდად ეძინა.

ოლგა ადგა და სივარეტი აიღო. კუთხეში მინოლილი ლიღია ძილში კრუსუნებდა. როგორ დაბერდა. წასვლის დროა, ჩემო ლიღია, გაიფიქრა ოლგამ. დაიწყებული სუნი გაახსენდა ბავშვობიდან. ის ლიღია გაახსენდა ჯერ კიდევ პატარა ლეკვი რომ იყო.

ოლგამ ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა, ქალაქი ჯერ კიდევ სიზმრებს ებრძოდა.

ოლგამ გაიღიმა და სუფთა ჰაერი ღრმად შეისუნთქა. თუ გიყვარვარ, დამეხმარები, სიკვდილის შიშს რომ მოვერიო.

— დილა მშვიდობისა.. რომელი საათია? ასე ადრე რატომ გაიღვიძე? ჯერ წესიერად არც კი გათენებულა.

— არ ვიცი.

— კარგად ხარ?

— მოგწონვარ?

— რა თქმა უნდა!

მიშელი სანოლზე იჯდა და მის შიშველ სხეულს ვენებით ათვალიერებდა. მიშელს პიტნისა და ტყავის სუნი ასდიოდა. ოლგა მთელი ღამე ცდილობდა, მისი სხეულის სუნი დაემახსოვრებინა. სამყაროს ოლგასთვის აღარაფერი ჰქონდა სათქმელი.

ოლგა შეტრიალდა.

— რაღაც მინდა გკითხო, მიშელ.

— რა?

— არა, არ ადგე, არ მომიახლოვდე.

— კარგი.

— მინდა გავივო, გეშინია თუ არა სიკვდილის და ღმერთის თუ გნამს?

— ჰმ, მეშინია თუ არა... არ ვიცი, ამაზე იშვიათად ვფიქრობ. მე მგონი, რომ დავებრდები, შიშიც აღარ მექნება.

— და ახლა? ახლა რომ მოხდეს?

— რას ამბობ?! მოდი, დაბრუნდი სანოლში.

— ღმერთი გნამს?

არ ვიცი. დედაჩემი ძალიან მორწმუნე ქალია და საკვირაო წირვაზე ყოველთვის თან დავყავდი. მე მგონი, მწამს, მაგრამ კათოლიკეები არ მიყვარს, შეიძლება ერთ დღეს ბუდისტი გავხდე ან რაღაც ამის მსგავსი, როგორც ფრანსუა. იცნობ ფრანსუას?

ბუდისტი გახდა და მომავალ წელს ინდოეთში აპირებს წასვლას. მოდი, რა, ჩემთან, ოლგა.

— მე ოლგა არ მქვია.

— რაა?!

— ოლგა არ მქვია-მეთქი.

— ეს როგორღა გავიგო?

— შემოდგომა მოდის. ამჩნევ? მიყვარს შემოდგომა, წელიწადის ყველაზე გულწრფელი დროა. თითქოს შენს თვალწინ შიშველდება, იძარცვება სამყარო.

ახლად გაღვიძებული ლიდია სანოლზე ახტა, მაგრამ მიშელმა სანოლიდან ჩამოავდო. ძაღლმა ერთი შეუღრინა და კუდამოძუებული სამზარეულოში გაიძურნა.

— იცი, როგორი მარტოსული ვარ, მიშელ?! ხანდახან მგონია, რომ ეს თანდაყოლილი ავადმყოფობაა, უკურნებელი. აღარც ღმერთის ჰყერა და აღარც მეშინია. ხანდახან მგონია, რომ მარტოობას თავად ვესწრაფვი. არ ვიცი, გესმის თუ არა ჩემი, მაგრამ შენთვის ამის თქმა მინდოდა. მართლა არ ვიცი, რაღაზე უნდა ვისაუბრო, მეტი მართლა არც არაფერი მაქვს სათქმელი.

შიშველი მიშელი მის გვერდით იდგა. სუსტი აღნაგობის იყო, ოლგას მოსწონდა მისი სხეულის სუნი. და იმ წუთას ოლგა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ნადინის გასაგონად თქვა, რომ მიშელს მხოლოდ შუამავლის ფუნქცია ჰქონდა მასა და მის მეგობარს შორის და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არაფერზე.

— შენ არაჩვეულებრივი გოგო ხარ, მაგრამ თავი ათასგვარი სისულელით გაქვს გამოტენილი. ეს უნდა შევცვალოთ.

მიშელი მხარზე ეფერებოდა. ოლგას ძალიან ამ წუთის დამახსოვრება. ლიდია კარში იდგა და თავის პატრონს მოწყვნილი შესცქეროდა. ძაღლი დაბნეული იყო, მაგრამ მოთმინება არც ახლა არ ღალატობდა და ელოდა.

— ხვალ ოთხისთვის გამოვივლი, კარგი?

მიშელმა ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა და კარი გაიხურა. ოლგამ ხელი დაუქნია და გაუღიმა. მერე მიაძახა — ყოველთვის მემახსოვრები.

ოლგა ვერ მიხვდა, მიშელმა გაიგო თუ არა მისი სიტყვები. მერე თავი დაიბანა, ლიდიას აჭამა და სულ ცოტა ხნით მოეჩვენა, რომ თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც მანამდე, ვიდრე წიგნების მაღაზიაში შევიდოდა.

ოლგა სიამოვნებით ნახავდა კიდევ ერთხელ იმ ბიჭს, რომელმაც წიგნი ხელში ააღებინა, და სიამოვნებით ჰკითხავდა, რისი შეგემინდაო — მიუხედავად იმისა, რომ პასუხი ახლა უკვე თავადაც იცოდა.

ოლგამ თეთრი ჯინსის შარვალი, რუხი პერანგი და სამემოდგომო ქურთუკი ჩაიცვა. თმა დაივარცხნა და თავზე ძველი ზამთრის ქუდი ჩამოიფხატა. ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა.

რამდენიმე სტრიქონი მისწერა ნადინს, წვრილ-წვრილი საქმეების მოგვარება სთხოვა.

მერე ფეხსაცმლის ყუთში ის ფურცლები ჩაანყო ნადინისთვის, სარეს ჩანანერებიდან რომ გადმოწერა. იქვე ჩადო ბინის გასაღები, ბებიამისის ძველი ბეჭედი, ნახევრადდაცლილი „ჟიტანის“ კოლოფი და საკუთარი შავ-თეთრი ფოტო. ამ ფოტოზე დაახლოებით 15 წლის იქნებოდა. სურათი იმ დღეს იყო გადაღებული, როცა ლიდია აჩუქეს. ფოტოზე ოლგას ლეკვი ხელში უჭირავს და მშობლიური სახლის

ვბოში დგას. მხიარული გოგონა, რომელსაც მომავალი წინ აქვს. დიდი, ცისფერი თვალები პირდაპირ ობიექტივში იყურება და ქარი გრძელ, მუქი ფერის თმას უჩეჩს.

ცოტა ფული, რაც შემორჩა, ოლგამ მაგიდაზე დადო და ერთ-ერთ კუპიურაზე ბინის გამჭირავებლის სახელი დააწერა.

— წამოდი, ლილია, დროა.

ლილიამ დაიყვება და თავის პატრონს უკან მიჰყვება.

ოლგა Rue Denain-ისკენ მიმავალ ავტობუსში ავიდა. მგზავრები ჩუმად ისხდნენ, ძირითადად გაზეთებს ჩასჩერებოდნენ. Gare du Nord-ი სავსე იყო, როგორც ყოველთვის. ადამიანებითა და ხმაურით სავსე. ოლგა ხალხის მასაში წინ მიიწევიდა. საათის ისრებიც წინ მიიწევიდნენ.

ოლგა დიდი დაფის წინ შეჩერდა, დაფაზე მატარებლების მოძრაობის განრიგი ეწერა. მატარებლები ყველა შესაძლო მიმართულებით მიდიოდნენ, მიდიოდნენ სამხრეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, და ზოგიერთი — არსაით. ოლგამ ლიონის მატარებელი აირჩია, რადგან მერვე ლიანდაგიდან გადიოდა, თითქმის სადგურის დარბაზის ბოლოდან. ლილია ადამიანთა მასას გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და ყველაფერს სუნავდა.

ოლგა ლილიასკენ დაიხარა, მოეფერა და ცხვირზე აკოცა.

— შენ საუკეთესო ძაღლი ხარ მსოფლიოში და ძალიან მიყვარხარ, — ჩასჩერჩულა ყურში ძაღლს. ლილიამ სიამოვნებისაგან კუდი გააქიციხა და ოლგას ხელისგულები აულოკა. მერე მერვე ლიანდაგისკენ გაემართნენ.

ბაქანზე ხალხი კანტიკუნტად იდგა. ადამიანები მონყენილობისგან აქეთ-იქით იყურებოდნენ. ოლგამ ბაქანზე აიარ-ჩაიარა. ლილია ფეხსაცმელზე ეთამაშებოდა, დიდი ხანია ასე აღარ მოქცეულა. ადრე ეს მისი საყვარელი საქმიანობა იყო და ისე ხალისობდა, რომ ოლგას თავისი ფეხსაცმლის დამალვაც კი უწევდა. ახლა თამაში არ დაუშლია. ერთად ყოფნის კიდევ რამდენიმე წუთი ჰქონდა ორივეს.

„მოდი, ყველაფერი ჩამოვიხსნათ მხრებიდან. განა რამდენი დრო სჭირდება ადამიანს, რომ შეძლოს დღესა და ღამეს შორის ცხოვრება?“

ლაშის გონება დაკარგა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ჯიხურის კედელს მიეყრდნო, იმდენად ნათლად ჩაესმა ეს ფრაზა ყურში. ეს მისი ხმა იყო, საოცრად მონყენილი ხმა. ოლგას სუნთქვა გაუხშირდა, სიხარულისგან ტირილი მოუნდა, მაგრამ ყურადღების მიპყრობას მოერიდა.

მან ოლგა იპოვა. ის ოლგას დაელაპარაკა.

ოლგამ სწრაფად ამოიღო ქურთუკის ჯიბიდან დაჭმუჭნილი ქაღალდი და ფანქრით რამდენიმე წინადადება დაწერა. მერე ფურცელი გადაკეცა და ზედ ნაღინის სახელი და მისამართი დააწერა.

ჰაერი ხმამაღალი სივნალის ხმამ გაკვეთა. ლიონის მატარებელი ლიანდაგზე შემოვიდა. ბაქანი ათუსთუსდა, ამოდრავდა... ხალხმა მატარებლიდან ჩამოსვლა დაიწყო, სხვები ასასვლელად მოემზადნენ. ოლგა ბაქანის ბოლოსკენ წავიდა, წყნარად, ყურადღება რომ არ მიექცია, ყური დაუვლო დიქტორის ხმას, უკან დაიხიეთო, რომ აცხადებდა. მერე სასტვენის ხმა გაისმა, მძიმე ლოკომოტივი ამოდრავდა, მატარებელი დაიძრა.

ოლგამ წამიერად ლილიას გადახედა და გადახტა.

42. აპიდაპი (2004)

— ყველა არქივი შემოვიარე, სამოქალაქო რეესტრშიც ვიყავი, 1940 წლიდან 1960 წლამდე გამოცემული გაზეთები გადავქექე. ყველგან ვეძებე, მაგრამ ვერაფერს მივაგენი. პოლიციაშიც შევამოწმე. არც დაბადების და არც გარდაცვალების მონშობა არ არსებობს, არც თვითმკვლელობის ფაქტია სადმე დაფიქსირებული. თითქოს არც კი არსებობდა. არც ერთ გაზეთში არ წერია, რომ იძებნება პიროვნება ამ სახელითა და გვართ, ყოველ შემთხვევაში, ამ წიგნის გამოქვეყნებამდე.

ფრიკი სასოწარკვეთილი შესცქეროდა.

— შეუძლებელია, უბრალოდ შეუძლებელია!

— ფაქტია, რომ ასეთი პიროვნება არ არსებობდა. სხვათა შორის, აღარც ის გამომცემლობა არსებობს, რომელმაც წიგნი პირველად გამოსცა, 1986 წელს დაიხურა. ერთი პატარა გამომცემლობა იყო, ძირითადად სათავგადასავლო რომანებს, ფანტასტიკას, ეროტიკულ ანთოლოგიებსა და მემარცხენე პარტიების სულელურ სტატიებს ბეჭდავდა. ვინმე პატრის ღუშამჰსა და მის ცოლს ეკუთვნოდა. მის შესახებ რაიმე გსმენიათ?

— დაუჯერებელია...

— პატრის ღუშამჰის შესახებ რამე იცით?

— რა თქმა უნდა, ის ხომ ამ წიგნის გამომცემელი იყო.

— მისი რომელიმე ნაწარმოები წავიკითხავთ? ის ხომ მწერალიც იყო.

— არა, არაფერი წამიკითხავს. უნდა წამეკითხა?

— როგორ გითხრათ, ფანტასტიკური ჟანრის საუკეთესო ავტორად მიიჩნევენ. რამდენიმე ჯილდოც აქვს მიღებული. გეცოდინებათ, თუკი, ამ ტიპის ლიტერატურას კითხულობთ. მე მისი ერთი წიგნი წავიკითხე. „ფერომი“ ჰქვია, ძალიან ჩახლართული ტექსტია. ისე, რამდენიმე საინტერესო თეზისიც აქვს გამოქვეყნებული. როგორც ვიცი, ბოლო წლებში აღარაფერი დაუბეჭდავს. კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევაო, ამბობენ. რამდენიმე წელი სოაბონის უნივერსიტეტში ლიტერატურის ისტორიას ასწავლიდა. ჩემი აზრით, მას უნდა დავეუკავშირდეთ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ისტორია სხვისი დანერვილია? — ფრიკი გაოცებას ვერ მალავდა.

— ერთი რამ ფაქტია, უნა სარე არ არსებობდა ან შეიძლება არსებობდა, მაგრამ არ იყო 17 წლის, არ იყო ფსიქოპათი, არ იძებნებოდა და არც Gare du Nord-ზე მოუკლავს თავი. შეიძლება სხვა სახელი და გვარი ჰქონდა, რასაც საბოლოოდ ისევ იმავე დასკვნამდე მივყავართ: უნა სარე არ არსებობდა.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა.

ერთ მყუდრო კაფეში ისხდნენ. ლაურა კმაყოფილი იყო. ფრიკი აშკარად პროფესიულად მუშაობდა, ლაურას მითითებებს ზედმიწევნით ასრულებდა. ერთმანეთს კარგად უგებდნენ. ერთ საღამოს ღვინოც კი დალიეს ერთად, ფრიკი ნამდვილად კარგი მენეჯერი იყო.

ლაურამ პატარა რენო იქირავა, ალბათ უფრო აპიდაპის ნოსტალგიის გამო და კიდევ იმის გამო, რომ მეტროს ვერ იტანდა. მართალია, ფრიკს ბევრი რამ დაავალა,

მაგრამ თვითონაც ჩაფლული იყო საქმეში და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით მეტი თავდავინწყებით უღრმავდებოდა ამ ისტორიას. ნელ-ნელა კმაყოფილების მსგავსი გრძნობაც კი გაუჩნდა. სულ უფრო იშვიათად ფიქრობდა ამსტერდამზე.

ფრიკი მის მიმართ ყოველთვის თავშეკავებული იყო, ზედმეტად დისტანციურად კი. კითხვებს არ უსვამდა, არც პირადული შეკითხვებით აბეზრებდა თავს. იყო დღეები, როდესაც ლაურას ეს ბიჭი ფისიშპათიურებოდა კიდევ. მაგალითად, როცა საცობში იდგნენ და ლაურა ილანძლებოდა, ფრიკი კი ამშვიდებდა. წყნარად, დაყვავებით ელაპარაკებოდა. ანდა როცა ლაურას რაიმე ავიწყდებოდა და ფრიკი მზად იყო, ყველაფერი მოეგვარებინა. ბოლო დღეების განმავლობაში მხოლოდ საუზმზე ან ვახშამზე ხელავდნენ ერთმანეთს. ძირითადად, ცალცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ.

მზიანი და სასიამოვნო დილა იყო. გაუმართლათ და ტურისტებით გადატენილი კაფეს ეზოში ერთი თავისუფალი ადგილი მოძებნეს. ფრიკმა სიგარეტი სთხოვა ლაურას (ფრიკი მხოლოდ მაშინ ეწეოდა, როდესაც განსაკუთრებული რამ ხდებოდა. თითქოს სიგარეტის მოწვეით ამ წუთის განსაკუთრებულობის აღნიშვნა სურდა). ლაურამ კიდევ ერთი ნაჭერი შოკოლადის ტორტი შეუკვია.

— აბა, თქვენ რა გაარკვიეთ? — იკითხა ლაურამ გარკვეული დროის შემდეგ.

— ექვსი ადამიანი მოვიდიე. მისამართები შევამოწმე. თვითმკვლელი ქალების ოჯახის წევრებსა და შთამომავლებს ვესაუბრე, მაგრამ როგორც კი გაიგებდნენ, რა საკითხის გამო ვურეკავდი, ჩემთან ლაპარაკი აღარ სურდათ. თვითმკვლელობები, რომლებიც უშუალოდ წიგნს უკავშირდება 1974 და 1986 წლებს შორის ფიქსირდება. დაზარალებულთაგან ერთი ოჯახი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, ერთ გოგონას საერთოდ არ აღმოაჩნდა ახლობლები. ერთი თვითმკვლელობის შესახებ კი საკმაოდ ბევრი რამ გავარკვიე. ვინმე ოლგა კოლერტი. ეს გოგო Gare du Nord-ზე ჩაუვარდა მატარებელს. ერთი წუთით, უნდა ჩაახედო. ჰო, 1986 წლის 12 სექტემბერს. წერილები დატოვა და ძალი. მისი მეგობარი, ნადინ ლევიტი, წლების განმავლობაში ფემინისტური გაზეთის — „ოლგას“ გამომცემელი იყო. მან „გამყინვარების ხანა“ საჯაროდ გააკრიტიკა. ბევრი იბრძოლა, რომ წიგნის ხელმეორედ გამოცემა შეეჩერებინა. 1987 წელს მიიღწია კიდევ ამას.

— მერე? გაავრძელებ!

— ჰო, ძალიან აქტიური, ემანსიპირებული ქალი უნდა იყოს. მგონი ერთი შვილი ჰყავს. მე-7 უბანში ცხოვრობს ოთხი წლის წინ გაზეთი გაყიდა, აქტიურ მოღვაწეობას თავი დანება. სამი თუ ოთხი წელი წითელი ჯვრის თანამშრომელი იყო აფრიკაში. 43—44 წლის იქნება. ყველაზე დიდ იმედს მასზე ვამყარებ, რადგან, როგორც ვიცე ოლგა ამ ნადინს წერილებს სწერდა. არსებობს ოლგას 1986 წლის გამოცემა, რომელშიც მადამ ლევიტი სარესა და თვითმკვლელობებზე წერს. აი, ნაიკითხეთ. ეს ნადინ ლევიტი უნდა ავალაპარაკოთ.

ბიჭი ამკარად ღელავდა. ლაურა ხშირად ცდილობდა იმის ამოცნობას, თუ რამ აიძულა ბიჭი, ის წიგნი ნაეკითხა ან რატომ მოახდინა ამ წიგნმა მასზე ასეთი საოცარი გავლენა.

— ესე იგი, დუშამპსა და ლევიტზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება. თქვენ ყველაფრის ჩაწერა გვევლება, ასე რომ, ბეჭითად ჩაინიშნეთ ყველაფერი.

ფრიკმა ლაურას სიამოვნებით გაუღიმა. როგორც ჩანს, ორივეს წარსული, ცოტა ხნით ისვენებდა. ცხოვრებამ მათ სატყუარა გადაუვლო. სიცოცხლე ორივეს ნელ.

ნელა უახლოვდებოდა.

— ძალიან ბედნიერი ვარ... აქ რომ ვართ. — თქვა უცებ ფრიკმა და ლაურას თვალი გაუსწორა. ლაურამ თავი დაუქნია და თავაზიანად გაუღიმა. ამ ბიჭის მგერა ხანდახან შიშს ჰკვრიდა.

43. ქალი (2004)

ფრანჩესკამ შემთხვევით ნაყიდი წიგნის კითხვა დაამთავრა და გავიწყებული დარჩა. ვერ იტყვებდა, მაგრამ ეს წიგნი, 1974 წელს გამოცემული ეს პატარა, ბრაზიანი წიგნი, სავეს იყო... ფრანჩესკათი. წიგნი მასზე იყო. ფრანჩესკა თავს მოტყუებულად გრძნობდა, თუმცა უცნაური კმაყოფილების გრძნობაც დაეუფლა — ვილაცამ მისი აზრები ჩაიწერა, ვილაცას ესმოდა მისი. შეუძლებელი იყო, მაგრამ ვილაცამ ყველაფერი იცოდა.

წიგნი ერთ ღამეში წაიკითხა. საშინლად ცხელოდა. ვერც მეორე დღეს დაიძინა. დამძეული ჰიენასავით დაეხეტებოდა დილიდან ქუჩებში და ისეთ ადამიანს დაეძებდა, რომელიც მის დახმარებას შეძლებდა. მხოლოდ ნაშუადღევსლა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი უაზრობა იყო, ათეული წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ის ქალი, არა, გოგონა არსებობდა. ჰო, გოგონა, რადგან დაქალვება ვერ მოასწრო. წიგნის ბოლო გვერდზე აღნიშნული იყო, რომ 1953 წელს ჩაუვარდა მატარებელს, 17 წლის ასაკში.

ფრანჩესკა თავის პანსიონში დაბრუნდა და ცოტა ხნით საწოლზე მიწვა. მერე ოთახში ყავა და პატარა ბოთლი შამპანური ამოატანინა და დიდხანს იდგა შხაპის ქვეშ.

პანსიონის მისაღებში ქალაქის რუკა გამოართვა მორიგეს და იქვე კუთხეში მდებარე ინტერნეტკაფეში შევიდა. კაფე სავეს იყო თინეიჯერებით, საბრძოლო ინტერნეტ-თამაშებით რომ ერთობოდნენ. სიგარეტის კვამლით გაბუღულ ოთახში, რომელშიც ადამიანი გაუსაძლისი ხმაურის გამო წესით ათი წუთითაც ვერ უნდა გაჩერებულიყო, საათ-ნახევარი დარჩა და ყველაფერი ამოიწერა — ყველა სახელი, ყველა მონაცემი, რაც კი სარეზე მოიძებნებოდა.

მერე სატელეფონო ჯიხურში შევიდა და თუკი ხურდა ფული ჰქონდა, ტელეფონის აპარატში ჩაყარა, რადგან შორს, ძალიან შორს, ბოსტონში უნდა დაერეკა, რამდენიმე ზარის შემდეგ ყურმილში მამაკაცის დაბალი ხმა გაისმა:

— გისმენო.

ავსტრალიური აქცენტი ბოლომდე არ გამქრალიყო, ამერიკაში ამდენი წლის ცხოვრების შემდეგაც კი.

— მე ვარ, ფრანჩესკა. რაღაც მინდა გთხოვო, ლეო.

— ფრენსი?!

ლეო ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მას ასე მიმართავდა.

— ჰო, მე ვარ. რაღაც მინდა გთხოვო.

— ფრენსი, ღმერთო ჩემო, სად ხარ? ყველაფერი კარგადაა?

— პარიზში ვარ. რაღაცას ვეძებ და შენი დახმარება მჭირდება.

— ღმერთო ჩემო, რამე მინც მითხარი, როგორ ხარ?! ხუთ წელზე მეტია, რაც...

— ვიცი. სატელეფონო ჯიხურიდან გირეკავ.

- მე დაგირეკავ. რომელ ქუჩაზე ხარ? მობილური არ გაქვს?
- ოჰ, ლეო, ეს ხომ...
- ორი წუთი მაცალე.

ზუსტად ორი წუთი დასჭირდა. ზოგიერთი ადამიანი.

არასდროს იცვლება. ლეომ დაურეკა და ფრანჩესკას ისევ მოუწია საკუთარი თავის ხელში აყვანა, ამ ახლობელ ხმას უცებ რომ არ მოეთაფლა.

- გისმენ.
- ერთი ადამიანის მისამართი მჭირდება. ვინმე ნადინ ლევიტის. პარიზის ან რომელიმე სხვა ქალაქის მისამართი.
- ფრანჩესკამ სახელი ასო-ასო უკარნახა.
- კარგი, ჩავინერე. გაგიკვევ.
- 45 წლისა უნდა იყოს. ადრე ქალების ყურნალს გამოსცემდა. ყურნალს „ოლგა“ ერქვა.

— კარგი, ეს უფრო გამიადვილებს საქმეს. როგორ დაგირეკო? მობილურზე? ქალაქის ნომერი გაქვს?

ახლა უფრო საქმიანი ხმა ჰქონდა.

— პანსიონი „Monceau“, ოთახი 47.

— კარგი. კარგი. ჩავინერე. მანდ რას აკეთებ, ფრენსი?

უნივერსიტეტში ადრე ყველა ფრენკით ან ფრანკოთი მიმართავდა ხოლმე. როდესაც ფრანკთან ერთად დადიოდა, (რომელიც მერე ფრანკ ლ.-დ იქცა) ანდა როდესაც გვერდიგვერდ მოაბიჯებდნენ. ფრენსის არავინ ეძახდა.

— ვისვენებ. ახლა კი რაღაცას ვეძებ...

— გასაგებია.

— როგორ ხარ? — ხმის ტონი შედარებით დაურბილდა. ლეოსთვის არაფერი ჰქონდა ასახსნელი. ლეო არ შეცვლილა, არც ამერიკაში წასვლის შემდეგ. სრულებით არ შეცვლილა.

— სახლში ვარ და ვმუშაობ. არც კი ვიცი, რა ვთქვა, ფრენსი. ეს ისეთი სიურპრიზია. ლინი როგორ არის?

— საზაფხულო ბანაკშია. გაიზარდა და ძალიან დამოუკიდებელია.

— ჩვენი კეთილი ლინი, გახსოვს?

— ჰო. კარგი ლინი. ანა როგორაა?

— ანა... ანამ მიმატოვა, რვა თვის წინ. ახლა ვიღაც გინეკოლოგისგანაა ორსულად. რამდენიმე კვირაში ბავშვს ელოდება.

— ეს ხომ.. რატომ, ლეო?

— ეჰ, ფრენსი, ასე რატომ ხდება ხოლმე?

— ხშირად ვფიქრობ თქვენზე, შენზე... ჩვენზე.

— ფრენსი! — ლეო გაჩუმდა, სიგარეტს მოუკიდა. ნეტა ისევ ბევრს ეწევა? ადრე ყველა სიგარეტთან ლეოს ეძახდა.

— კარგი. ყურმილს ვკიდებ. შენს ზარს დაველოდები.

— OK — ეს „OK“ ამერიკულად უღერდა.

— ფრენსი...

— რა?

— ძალიან მომენატრე.

ფრანჩესკას აღარაფერი უთქვამს, ყურმილი დაკიდა. სადაცაა ჭექა-ქუხილი ატყდებოდა. ადრე ისე უყვარდა ზაფხულის წვიმა.

გაახსენდა წიგნი, შემდეგ ლეო, შემდეგ სიყვარული და შემდეგ... აკანკალებული მიეყუდა სატელეფონო ჯიხურის კედელს.

ლეო მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ნიჭიერ სტუდენტად მიიჩნევენ. ის და ფრანკი უძლევველ ტანდემს წარმოადგენდნენ. შვიდი წლის წინ ამერიკაში გადავიდა სამუშაოდ. სათვალთვალო და სატელეკომუნიკაციო სისტემებზე მუშაობდა მთავრობის დაკვეთით. (კოლი შეირთო, მაგრამ შვილები არ ჰყოლია (რა თქმა უნდა, არა). ლეოს ფრანკი უყვარდა, ლეოს ფრენსიც უყვარდა, ახალგაზრდობას ისე იყოფდნენ, როგორც პატარა წინილები საკენკს.

განვიმღა. ფრანჩესკა სატელეფონო ჯიხურიდან აკვირდებოდა ქუჩაზე მოვარდნილ წყლის ნიაღვარს.

შენთან გატარებული ოქტომბრის დღეები გახსოვს ლეო? და ჩვენი მოგზაურობა. სანაპიროები და ქალაქები, რომლებიც გვეძახდნენ და ელოდნენ, რომ მოვინახულებდით. გახსოვს, როგორი იყო? გახსოვს, ვუნდერკინდო? ალბათ არასდროს არ უნდა გადამეშალა გული მანის. გახსოვს, სამშობიაროში რომ მიმიყვანე, ლინი როცა ჩნდებოდა? იმ დღეს, შემოდგომის იმ დღეს, როდესაც ლინი დაიბადა... შენი მზის გოგონა, ასე ეძახდი. უკვე მაშინვე გინდოდა, რომ ფრანკის შვილი შენი ყოფილიყო?

ფრანჩესკა ჯიხურის იატაკზე იჯდა. დასრულდა, რაღაც დასრულდა. სიგარეტს მოუკიდა, მერე კარი ფრთხილად გამოაღო და გამოვიდა. ახლა მხოლოდ წინწკლადა.

44. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

საჭმელი საკვირაო ბაზარში მოიპარა, არავის შეუმჩნევია. მე-18 უბნის პატარა ქუჩებში მიაბიჯებდა. ცოტაოდენი თმა ამოსვლოდა. ახლა უწინდელივით თვალმისაცემი აღარ იყო, როგორც მაშინ, როდესაც ქოსას ჰგავდა და კეთროვანივით გამოიყურებოდა.

უცებ Sacré-Cœur-თან აღმოჩნდა და ეკლესიას მიაშტერდა. რევოლუცია ხომ სწორედ აქ მოხდა, რევოლუციამ აქ წააყალბა წმინდა მთასთან, ეკლესიაში თავშეფარებულ ბერებს თავები, აქ მოდიოდა სისხლის მდინარე.

ცდილობდა, რაღაც ეგრძნო. ტაძარი მის არსებობას არც კი იმჩნევდა. ცივი იყო და გულგრილი.

ბაზილიკა დუმდა. თავგადაპარსული ქალიც.

შემოდგომა ილეოდა. ეკლესია ქარებს არ ეპუებოდა და სძულდა ეს თავმოტყუებული ქალი, თითქოს მისი მინაში დამარხვა სურდა, მისი ცოფიანი აზრებისთვის ისევე სურდა თავის წაცლა, როგორც ოდესღაც ბერებს დააყრვეინა თავები.

შიგნით შევიდა.

ცარიელ ეკლესიაში გრილოდა. ყველა წამებული და ტანჯული ზემოდან დასცქეროდა. ბოლო რიგში ერთი მოხუცებული ქალი იჯდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

„ტანტალოსის ღმერთების ღმერთო! შე ბავშვების მშთანთქმელო.“ — გაიფიქრა თავისთვის. ღმერთები, რომლებიც შვილებს ჭამენ!

უცებ სიცილი აუტყდა, ხმამაღალი და ზიზღით სავსე. მოხუცებულმა ქალმა თავი ასწია და გამოხედა. მისი ბუტბუტის გარეშე შემაშინებელი სიჩუმე ჩამოწვა. ეს მაზობისტები! გარეთ გამოვარდა და გაიქცა.

„ნეტა ვინმეს თუ გაახსენდება, რამდენი ვიყავით? რამდენი ვიყავი მე? გაახსენდება ვინმეს როდისმე ჩემი გაყინული თითის წვერები?“

ქუჩაში მირბოდა, შეუჩერებლად.

ერთ-ერთ ვიტრინაში საქორწინო კაბაში გამოწყობილი მანეკენი დაინახა. უსიცოცხლო თოჯინა ქორწინებაში მიტოვებულ პატარძალს ჰგავდა. შეეცოდა და შეეცადა მისთვის თვალებში ჩაეხედა. ცისფრად მოხატულ თვალებში სიცოცხლე არ იყო, არც სიკვდილი იყო. მხოლოდ გაუსაძლისი სიცარიელე გამოსჭვიადა გოგონამ სახე ცივ მინას მიადო და ამ სიცარიელეს მიაშტერდა. ცრემლებმა სახე დაუსერა.

ვიტრინაში საკუთარი სხეული დაინახა. პატარა, ჩამოკიდებული მკერდი, ოდნავ გრძელი ხელები, უსუსურად რომ ეკიდა აქეთ-იქით, დაკანრული, განითლებული და გაუხეშებული მუხლები, საშიშად გამოზნექილი ნეკნები ბრტყელი მუცელი, უფორმო წელი. ფეხები — გრძელი თეთრი და დაგრეხილი. სახე — გახევებული და უცხო პატარა ცხვირი. ტუჩები, გამომშრალი, სიცოცხლის ნიშან-წყალი რომ არ ეტყობოდა. მაღალი ღანვები, უხეში ნიკაპი და წვეტიანი ყურები. ფართო შუბლი და ღრმად ჩამჯდარი ჭაობისფერი მწვანე თვალები.

ურჩხულები ჩემს თმამი იხლართებიან, ცეცხლს ათხევენ და მეც ვინვი. ვინვი ამ აუტანელი გამყინვარების გამო.

45. აპიდაპი (2004)

ლაურამ ქუჩის კუთხეში გააჩერა მანქანა. დიდხანს ეძება დასაყენებელი ადგილი, ბოლოს ორ მოპედს შორის ჩაეკვება და ერთი მოპედიც ააყირავა. ჯერ იფიქრა ავაყენებო, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ბავშვური მავნებლობის გრძნობით გაეცალა იქაურობას.

მე-3 უბანში იმყოფებოდა. ქალაქის ეს ნაწილი საკმაოდ ხმაურიანი იყო, თუმცა, ტურისტებს ქალაქის ამ უბანში ნაკლებად მოჰკრავდით თვალს. პატარა, მოძველებული ლამპიონები მონდომებით ცდილობდნენ ქუჩა სათანადოდ გაენათებინათ. მათგან წამოსულ შუქს კოლოები, ღამის პეპლები და პატარა მწერები ესეოდნენ და სინათლეს ართმევდნენ.

ჯერ აღრე იყო. საღამოს 9 საათისთვის იყვნენ შეთანხმებული. ლაურა არ ჩქარობდა, სივარეტი ამოიღო და მოუკიდა. გვერდით მამაკაცების ხელჩაკიდებულმა წყვილმა ჩაუარა და მეგობრულად გაუღიმა. Rue Eugene Spuller-ზე იდგა და შიდა ეზოებში იცქირებოდა.

პატარა გოგონამ ჩაუქროლა, უზარმაზარი ღვინის ბოთლი ეჭირა ხელში და უკან შეკრული თმა ბეჭებზე აქეთ-იქით უხტოდა. ლაურას თავისი პატარა დისშვილი

გაახსენდა. ნეტა ახლა როგორ გამოიყურებოდა? ლინა ყოველთვის სხვანაირი იყო, ვერავინ შეედრებოდა. ლაურამ მეორე დისშილთან ურთიერთობა ვერ ააწყო. ხანდახან ფიქრობდა, რომ გულში ერთზე მეტი ადამიანის ადგილი არ ჰქონდა, არც ბავშვისთვის, არც კაცისთვის და არც საკუთარი დისთვის. ლაურას ძალიან მონოგამიური გული ჰქონდა, უცნაური გული.

ამინდს ისეთი პირი უჩანდა, ნამდვილად განვიმდებოდა. ლაურას არ უნდოდა შეხვედრამე სველი და დასვრილი მისულიყო. ჩანთა მკერდზე მაგრად მიიკრა და სწრაფი ნაბიჯებით აუყვა ქუჩას. ერთ ტიპურ, ძველ, მაგრამ ახლად გარემონტებულ, თეთრად შეღებილ შიდა ეზოში ზარს უცხად მიაგნო: ლევიტი. გვარი ხელით იყო მიწერილი.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ცოტა ხანის შემდეგ ნკაპუნის ხმა გაისმა და კარიც გაიღო. ლაურა ნელა, აუყვა კიბეებს.

მესამე სართულზე ერთ-ერთი ბინის კარი ღია და ხედა. ლაურამ მორიდებით შეაბიჯა. დიდ და ნათელ მაღალჭერიან ბინაში აღმოჩნდა. შესასვლელში სინათლე არ ენთო, თუმცა ჩანდა, რომ ბინა პურიტანულად იყო მოწყობილი. ლაურა დერეფანში შეჩერდა და მოთმინებით, დაელოდა მასპინძლის გამოჩენას. ჩანთას ჯერ ისევ ღონივრად იკრავდა მკერდზე.

— გამარჯობა... შემობრძანდით. — გაისმა დერეფანში, მასპინძლის ინგლისურს ფრანგული აქცენტი ფარავდა.

ლაურას ჯაკარტის სკოლაში ფრანგულს კი ასწავლიდნენ, მაგრამ ამ ენას ვერაფერი გაუგო. მეტისმეტად ტკბილი და გადაპრანჭული ეჩვენებოდა. ამიტომაც გაუხარდა, მეორე ოთახში მყოფმა საუბრის ნეიტრალურ ენაზე წამოწყება რომ დააპირა.

ლაურა ხმას მიჰყვა და უზარმაზარ მისაღებ ოთახში აღმოჩნდა. აივანზე გამავალი კარი ღია იყო, კუთხეში უზომოდ დიდი სანთელი ენთო — ოთახში უკვე ბინდი იპარებოდა. ერთ კუთხეში ძველი, ლაქნაუსმელი ხის მაგიდა იდგა, ზედ უამრავი წიგნი დაეხვავებინათ. მეორე მხარეს, ბუხართან, რომელსაც, როგორც ჩანს, უკვე დიდი ხანია აღარ იყენებდნენ, სამოცდაათიანი წლების სტილის ორი სავარძელი იდგა.

— მაპატიეთ, ახლავე მოვალ. — გაისმა ახლა უკვე სხვა მხრიდან.

კედელზე დიდი ფოტო ეკიდა. ლაურამ თავისი ვინაო სათვალე ცხვირთან კიდევ უფრო ახლოს მიიტანა და ფოტოს დათვალიერებას შეუდგა. აფრიკული მოტივი აღმოჩნდა: უდაბურ ადგილას მოთამაშე ბავშვები გამხმარი ხეებისა და დამსკლარი მინის ფონზე. სამინელებაა, როდესაც კლიმე სიმართლეს შეესაბამება. საკუთარი თავისთვის ცოტა ძალა რომ დაეტანებინა, ალბათ ცხოველებისა და რომელიღაც ეგზოტიკური ტომის შეძახილებსაც გაიგონებდა.

თეთრი ფარდების მხრიდან ძალიან მაღალი ქალი გამოვიდა, გაიცინა, მაგიდის ნათურა აანთო და ლაურას ხელი გაუწოდა.

— უკაცრავად, რძე გადმომივიდა. დაბრძანდით, — ძალიან სასაცილო აქცენტი ჰქონდა.

მასპინძელმა ერთ-ერთ სავარძელზე მიუთითა. ლაურა დაჯდა. ქალი დაახლოებით 45 წლისა იქნებოდა. მამაკაცის თეთრი, განიერი პერანგი და ცისფერი ჯინსის შარვალი ეცვა, ფეხშიშველი იყო. საკმაოდ ძლიერი აღნაგობისა ჩანდა, მაგრამ „ფრანგული“ ტანი ჰქონდა, ისეთი, სასიამოვნო შთაბეჭდილებას რომ ახდენს. ესეც

კლიშეაო, გაიფიქრა ლაურამ. ქალს ღია თაფლისფერი თმა მხრებამდე სწვდებოდა, აქა-იქ ჭალარაც შერეოდა. ლამაზი არ იყო, მაგრამ რაღაცნაირად მიმზიდველი ჩანდა. ოდნავ უხეში, ლამის მამაკაცური ცხვირი და ნიკაპი. დიდი, გემრიელად საკოცნელი ტუჩები ჰქონდა და ულამაზესი თაფლისფერი თვალები.

— რას მიირთმევთ? ყავაც მაქვს და ჩაიც, მაგრამ... მოდით, ერთი ჭიქა ღვინო დავლიოთ. რძე ისედაც გამიფუჭდა. იმედი მაქვს, თეთრ სავინიონს დალევთ. ამბობენ, ჰოლანდიელები წუნიები არიანო. თუმცა უნდა გამოვტყდე, ჰოლანდიელებს ცხოვრებაში არ შეხვებდრივარ.

ლაურა, ცოტა არ იყოს, დაახნია ქალის ასეთმა ლი ალო ქცევამ. მადამ ლევიტი დიდხანს ეუბნებოდა უარ შეხვედრაზე, რამდენჯერმე სალანძღავი სიტყვებიც კი მოესმა ტელეფონით საუბრისას. ახლა კი როგორი თბილი და კონტაქტური იყო.

— თუ ასეა, დღეს თქვენ გეძლევათ შანსი წამდელი ჰოლანდიელი გაიცნოთ. სიტყვა „წამდელი“ ლაურას გადაჭარბებული ეჩვენა. საფერფლეს დაუნყო ძებნა.

— შეიძლება, მოვნიო?

— რა თქმა უნდა.

— გმადლობთ, რომ შეხვედრაზე დამთანხმდით.

— იცით, უნდა მაპატიოთ. ჟურნალისტების აღარ შემიძლია. ისედაც მძიმე სიტუაცია კიდევ უფრო, დამძიმეს მაშინ. ამ თემით ათი წელია აღარავინ დაინტერესებულა. როგორც იქნა, დამთავრდა ეს კომპარი და უცებ ერთდროულად ორი ადამიანი მირეკავს...

— ორი?

— დიახ, ვიდრე თქვენ დარეკავდით, კიდევ ერთმა დარეკა — ვილაც სიდნიდან ჩამოსულმა ქალმა. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ქალი ისე არეულ-დარეულად ლაპარაკობდა, წესიერად ვერც კი გავიგე, რა უნდოდა. ალბათ იმიტომ, რომ ავსტრალიური ინგლისური არ მესმის.

— გასაგებია.

ლაურა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. არ უყვარდა, როდესაც ვილაც იმავე საქმეს ჰკიდებდა ხელს, თავად რომ ჰქონდა წამოწყებული, მაგრამ არ შეიმჩნია, თავაზიანდაც კი გაიღიმა.

— ჰო, მე პრესასთან არანაირი კავშირი არა მაქვს. ეს კვლევაა, თუმცა, იქნებ...

— ოჰ, არა, ძალიან გთხოვთ! კიდევ ერთხელ ნუ გახდით ამ თემას საჯარო მსჯელობის საგნად. ისედაც უამრავი საშინელება გამოიწვია იმ დაწყვეტილმა წიგნმა. ლაურა ახლა მართლაც დარწმუნდა, რომ ტელეფონით საუბრისას მადამ ლევიტის ლანძღვა არ მოსჩვენებია. — ამ ამბის გასაჯაროება მის ხელახალ რეკლამირებას გამოიწვევს და თავიდან დაიწყება ის, რისი დაწყებასაც საერთოდ არ შეიძლებოდა.

მისმა ხმამ უცებ ძალიან უხეშად გაიჟღერა. მასპინძელი სავარძლის საზურგეს მიყრდნო და ღვინო მოწრუპა.

— მესმის, მაგრამ მე პრესა არ მიგულისხმია. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ლიტერატურისმოკიდნობის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ამ ფენომენის გამოკვლევა. ადამიანებს მითები სჭირდებათ, დიახ, 21-ე საუკუნეშიც სჭირდებათ. და ეს იათფასიანი წიგნი, როგორც ჩანს, მათ ამ მითებით ამარაგებდა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ადამიანს მაინც. თვითონ ეს წიგნი მედიუმია, სხვა არაფერი. მისი ლიტერატურული ღირებულება ჩემთვის სადავოა. აქ საუბარია მარტოსული

ადამიანის მითვთ, რომელსაც სამყაროს განადგურება სურს და ამის ნაცვლად, საკუთარ თავს ანადგურებს ან ვითომ ანადგურებს.

ქალს სახე დაეძაბა, უცებ ჭიქა დადგა და ტუჩები ოდნავ შეხსნა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო. მერე უფრო მიახალა, ვიდრე ჰკითხა:

— როგორ თუ ვითომ?

— უკვე ათი დღეა აქ ვარ, ყველაფერი დავეძინე, რისი მოძებნაც შეიძლებოდა. ვერც გარდაცვალების ცნობას მივაგენი და ვერც დაბადების მონუმბას. გაზეთის პატარა ნაგლეჯიც კი ვერსად ვნახე. ვერაფერი, საერთოდ, ვერაფერი.

— ამით რისი თქმა გინდათ?

— ჟანდარმერიის არქივშიც ვიყავი — 1950 წლიდან 1955 წლამდე პარიზში 17—18 წლის ასაკის არც ერთი ქალი არ ჩაფარდნია მატარებელს. მთელი პარიზის მასშტაბით რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული. მათგან ორი ხანშიშესული მამაკაცია, სამი — ახალგაზრდა კაცი!, ერთი — ასაკოვანი ქალი და ორიც — სტუდენტი, მაგრამ გოგონა — არა. არადა, სარემ თითქოს 1953 წელს მოიკლა თავი. ერთი მხრივ, შეიძლება ეს ფსევდონიმი იყო. მაგრამ მთელი ეს ტრაგედია ხომ მისი პიროვნების გამო დატრიალდა, მისი სიმბიოზის გამო მისსავე ნაწარმოებთან. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვინ იყო თავად ის.

ფრანგ ქალს სახე ისევ დაეძაბა. ლაურა ყურადღებით აკვირდებოდა მის გამომეტყველებას და ცდილობდა ამოეცნო, რამდენად ახლობელი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოლგა მისთვის, რამდენად მტკივნეული იყო ოლგას თვითმკვლელობა ამ ადამიანისთვის.

ნადინი ადგა, ღვინის ბოთლი მოიტანა და თავის ჭიქა ში დაისხა. მერე ისევ წამოდგა, ოთახში გაიარა-გამოიარა ისევ დაჯდა და მუხლებზე დაწყობილ ხელებს დაამტერდა. უცებ თავი მალა ასნია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ჟანა სარე არ არსებობდა? ანუ ის ფიქციაა?

— დიახ, სწორედ ასეა. ახლა მინდა ხელნაწერებს ჩაუვუძღე, იქნებ მათი დახმარებით გავიგო რამე.

— ღმერთო ჩემო!

ნადინმა თავი გააქნია და მზერა გადაიტანა. ლაურამ უცაბედად თავი საშინლად იგრძნო. რა საჭირო იყო აჩრდილების გაღვიძება? რა უფლება ჰქონდა, სხვის ცხოვრებაში რომ ერეოდა?

— მაპატიეთ!

ნადინი ოთახიდან გავიდა.

ლაურამ სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მოხილურზე შეტყობინება მოვიდა. ფრიკი იყო: „თქვენთან რა ხდება, საქმე წინ მიიწევს? მე იმ ტიპის მისამართი ვიპოვე და დაუკავშირდი. საუბარი არ სურს, მაგრამ რაც მთავარია, მისი მისამართი გვაქვს. ხვალ აუცილებლად უნდა წავიდეთ მასთან!“ ლაურას ძახილის ნიშანი არ მოეწონა.

ეს ენერგიული, შემტვევი ტონი, ეს მასკულინური ქცევა. საქმის წინ წასვლა ამ შემთხვევაში რას ნიშნავდა? ტრავმირებული ადამიანისთვის ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლას?

ნადინი ოთახში დაბრუნდა. ანთლებული კი იყო, მაგრამ წონასწორობას არ კარგავდა. დაჯდა.

— აღარაფრის გაგონება აღარ მინდოდა. ამ ისტორიის დავინწყება მსურდა, მეტი არაფერი. ერთადერთი, რის თავიდან აცილებასაც ვცდილობდი, წიგნის ხელახლა გამოცემა იყო. სიკვდილისთვის რეკლამის განწევა არ მინდოდა. ამ წიგნის საწინააღმდეგოდ დაწერილ სტატიებშიც კი არ მისაუბრია ღიად, ეს ყოველთვის დაშიფრული ტექსტი იყო, ხომ გვსმით?! მერე ეს აურზაური როგორღაც ჩანყნარდა და მეც დავმშვიდდი. მაღლობა ღმერთს! უკვე აღარ მქონდა ამის ძალა.

როგორც ჩანს, ოლგა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ადამიანი იყო. იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ლაურა თავიდან ვარაუდობდა.

— წარმოუდგენელია, მაგრამ ვილაცამ ხომ დაწერა?! ვილაცამ, ვისაც ძალიან კარგად ესმოდა, როგორია იყო 17 წლის, თანაც შემოილილი.

განვიმდა.

— მაინც რისი გაგება გინდათ? — იკითხა ნადინმა უკვე მშვიდად.

— ყველაფრის. ამ ამბავზე ყველაფერი უნდა ვიცოდე, ყველაფერი ოლგას შესახებ.

ნადინი ღუმდა. მერე დიდხანს უყურა ლაურას. ლაურა მეცნიერი იყო, მთელი ცხოვრება იკვლევდა და ძალიანაც მოსწონდა ძველ ამბებში ქექვა. მაგრამ ის ძველი ამბები დიდი ხნის წინ მოხდა და წარსულს ჩაბარდა, მათი სიცოცხლე დასრულდა, შთამომავლობა არ დაუტოვებია. ამ შემთხვევაში კი არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ეს ისტორია შეეხოთ. ეს ისტორია ჯერ ისევ ცოცხლობდა არსებობას განაგრძობდა.

— ოლგა ოქტომბერში 24 წლისა უნდა გამხდარიყო სექტემბერში თავი მოიკლა. ეს იმ დღეს მოხდა, პროვანსიდან რომ დავბრუნდი.

ნადინი ლაურასკენ ზურვით იდგა. წვიმა აივნის ფილებზე ასხამდა. და მაინც, ოთახში უცნაური სიჩუმე იყო.

— მაშინ ძალიან ჩართული ვიყავი ქალთა უფლებების დაცვის საქმეში. თან პრობლემები მქონდა ოლგასთან და ამას ძალიან განვიცდიდი, ამიტომ ლილუმი წავედი, დემონსტრაციაზე უფრო სწორად, გავიქეცი, პრობლემებს, გავიქეცი. მაგრამ გზაშივე მომენატრა ოლგა და ბარათი მივწერე, ვცდილობდი, მისთვის ყველაფერი ამეხსნა. ბოლო დროს ოლგა ძალიან ჩაიკეტა, ლექციებზე აღარ დადიოდა, მთელი ზაფხულის განმავლობაში მის თავს რაღაც ხდებოდა. ის წიგნი გაზაფხულზე იყიდა და ერთ დღეში წაიკითხა. იმ ღამეს ჩემთან მოვიდა და აღფრთოვანებული მიყვებოდა, მაძალებდა, მენც წაიკითხო. წიგნი არ წამიკითხავს, მხოლოდ ჩაუხედე და რაღაც არ მესიამოვნა. ვითქვინე, ეს ვითორია გაუვლის-მეთქი. ოლგას ხშირად ეცვლებოდა განწყობილება. ბევრი რამ მოსწონდა, თუმცა, აზრს მალევე იცვლიდა. სწორედ ეს ხდებოდა მას სრულიად განსაკუთრებულს, სწორედ ამის გამო იყო წარმოუდგენლად ღია იმ ყველაფრისთვის, რაც მის გარშემო ხდებოდა. როცა მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო, თავიდან ვერ დავიჯერე, რომ ყველაფერი ამ წიგნს უკავშირდებოდა. იმ დღესვე უკან დავბრუნდი, მატარებელი Gare de l'Est-ში შემოვიდა Gare du Nord-ის ნაცვლად, ასე გვითხრეს Gare du Nord-ი გადაკეტილია.

ნადინმა წერწყვი გადაყლაპა, რამდენიმე წამით დაღუმდა.

— მთელი გზა ოლგაზე ვფიქრობდი. როდესაც სახლში მივედი, სახლის შესასვლელთან პოლიციელები დამხვდნენ და გავითფიქრე... არც კი ვიცი, რა გავითფიქრე. მერე ლილია დავინახე, ყელზე ის საშინელი ქალაღდის რგოლი ჰქონდა

შემოხვეული, მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა. იქამდე, ვიდრე პოლიციელი ჩემთან მოვიდოდა და მკითხავდა, ნადინ ლევიტი ხომ არ ხართო. ვიდრე კიდევ რამეს მეტყოდა, გული წამივიდა. ბინაში ამიყვანეს. მერე უცებ იმასაც მივხვდი, თუ რატომ ჩამოვედით Gare de l'est-ზე. ოლგას ძალიან მე დავიტოვე. ლიდიას თითქმის არაფერი უჭამია ოლგას სიკვდილის შემდეგ, დეკემბერში ისიც მოკვდა. და ახლა... ახლა გინდათ მითხრათ, რომ ის არ არსებობდა?! — ნადინი არ ტიროდა, თუმცა ალბათ უკეთესი იქნებოდა ეტირა. — მიყვარდა, ძალიან მიყვარდა და ეს მისთვის არასდროს მითქვამს, წესიერად არ მითქვამს.

— ვწუხვარ, „ვწუხვარ-მეთქი“ რომ ვამბობ, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. მართლ დარჩენა თუ გსურთ...

— არა, არაფერი! ეს ისტორია უკვე დიდი ხანია, რაც ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა.

— რატომ გაყიდეთ შურნალი?

— ანმყოში მინდოდა დაბრუნება, ჩემს ბიჭთან.

— ბიჭი გყავთ?

— მამამისთან ცხოვრობს. ცხრა წლისაა. თქვენ გყავთ შვილები?

— არა, ანუ აღარ.

— აღარ?

— ბავშვი მკვდარი დაიბადა.

— Merde!

ლაურა გაშრა. ნადინს არ უთქვამს „ვწუხვარ“, არამედ „Merde“. ეს სიტყვა ბევრად უფრო გულწრფელად უღერდა, ვიდრე „ვწუხვარ“.

— ოლგას გარდა კიდევ უამრავი მსხვერპლი იყო, რომლებმაც მასავით ან დაახლოებით იმავენაირად მოისწრაფეს სიცოცხლე.

— ვიცი. ოლგას სიკვდილის შემდეგ დედამისს ძალიან მალე ინსულტი დაემართა, ვერაფრით შეეგუა იმ აზრს რომ მისმა შვილმა... ეს არავის ესმოდა. არც მე. თავიდან უბრალოდ გავცოფდი. ოლგას სიცოცხლის ბოლოს საყვარელი ჰყავდა. ბოლო დღეს მან ნახა. მე კი არა, იმან და ამას ვერ ვეგუებოდი. მიშელი. ღმერთო, როგორ ვერ ვიტანდი, ისე კი სასიამოვნო ტიპი იყო... მგონი, მანაც ძალიან განიცადა, მაგრამ ჩვენ ოლგასადმი სიყვარული ვერ გავიყავით. ის ყოველთვის თავს მარიდებდა, არც მე მეხატებოდა გულზე. ახლა ლექტორია, მგონი. დიდი ხანია მისთვის თვალი არსად მომიკრავს.

— რა მოგწერთ ოლგამ? თვითმკვლელობის რა მიზეზს ასახელებდა?

— მიზეზს? ოჰ, მიზეზი.. არსებობს ხოლმე მიზეზი? მე ამის არ მჭერა. ვფიქრობ, ყველაფერი ერთად ქმნის მიზეზს. წიგნის ხელნაწერი დამიტოვა, ყველაფერი დაწერა, თან შენიშვნებს ურთავდა, მაგრამ მათში აზრი არ ჩანს, უბრალოდ, უამრავი კითხვის ნიშანია დასმული. ოლგა ბუნებით ლაბილური და ამასთანავე, ძალიან მგრძობიარე იყო, წიგნს უფრო გრძობდა, ვიდრე ესმოდა. სიკვდილის წინ დაწერილ წერილში მხოლოდ რამდენიმე ბანალური მითითება იყო, ძალღისა და ბინის თაობაზე. წერილი ლიდიას ყელსაბაზზე დაამავრა. ეს არასდროს დამაფინყდებდა. ეს სურათი: დახვეული ქაღალდის რგოლი ლიდიას ყელზე. მწერდა, რომ ძალიან ბედნიერია... ეტყობა ბაქანზე მდგომმა დაწერა. მერე... ამ ქაღალდის რგოლმა მოსვენება დამიკარგა. იმ ფაქტმა, რომ მე მომწერა, მითითებები მომცა, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა მისი

სიკვდილის შემდეგ. საშინელებაა! ის ოლგა, რომელსაც მე ვიცნობდი, ამას არასდროს ჩაიდენდა!

დილის სამ საათამდე ისხდნენ ოთახში. უკვე მესამე ბოთლ თეთრ ღვინოს სვამდნენ; ლაურა გაუჩერებლად ეწეოდა, არაფერს იწერდა, ამაზე უკვე აღარ ფიქრობდა.

ნადინმა ორი ფოტოსურათი გამოუტანა. ერთი თავისი შვილის — საყვარელი, პუტკუნა ბიჭის ფოტო, ძალიან სერიოზული სახით სკოლის ეზოში რომ იდგა. მეორე უფრო ძველი ფოტო იყო — ნადინი მოკლე თმითა და ვარდისფერი პომადით ოლგასთან ერთად. ფოტო ოლგას სიკვდილამდე სამი თვით ადრე გადაუღიათ. ძალიან ლამაზი გოგო იყო, ისეთი, სამუდამოდ რომ უნდა შემოინახო მესხიერებაში. როგორ შეიძლებოდა ადამიანი ასე ლამაზად გამოიყურებოდეს, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ სიკვდილის მკლავებში აპირებს ჩაგარდნას?

ლაურას გაახსენდა გარდაცვლილი შვილი, თეთრხალათიანების ყვირილი: არ სუნთქავს! არ სუნთქავს! როგორ სძულდა უკან მობრუნება, როგორ სძულდა ამ ყველაფერის ვერდავინწყება.

— აფრიკაში ვიყავი, მინდოდა ვინმეს დავხმარებოდი. ეს ჩემი იდეალიზმი! რა იდიოტი ვიყავი! თავს ვერ ვანებებ, ჯერ კიდევ მგონია, რომ შესაძლებელია რაღაცის გაკეთება, რაღაცის გამოსწორება.

— ნამდვილად შესაძლებელია.

— კარგი, რა! ეს უბრალოდ მეთოდია, რომ საკუთარ ცხოვრებას აზრი შესძინო. ხანდახან ისე მენატრება....

ამასობაში ლაურამ მობილურზე ფრიკის ოთხი მესიჯი მიიღო. ლაურამ მისწერა, გამომიარე, მე თვითონ ვერ წამოვალო.

— დარწმუნებული ვარ, კიდევ შემეხმიანები. — უთხრა ნადინმა ლაურას, კარისკენ როცა აცილებდა.

— კი, ასე ადვილად ვერ მომიშორებ თავიდან. დიდი მადლობა.

— დაგელოდები. უნდა ვიფიქრო, უნდა გავისხნო და გავაანალიზო.

ფრიკი შიდა ეზოში ელოდებოდა კედელს მიყრდნობილი.

— გმადლობ. — წაიბურტყუნა ლაურამ და მანქანისკენ გაეშურა, ფრიკმა მანქანა დაქოქა და დაიძრნენ, ლაურა სავარძელს მიეყუდა, თვალები დახუჭა და ხმადაბლა ატირდა. „ლაურას სასონარკვეთილი გოდება“ — ასე უწოდებდა ხოლმე მისი და ლაურას ცრემლებს. ფრიკმა მანქანა გააჩერა. შეწუხებული, დამფრთხალი სახე ჰქონდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ლაურას ხმადაბლა, თითქოს ეშინოდა მისი ცრემლებისთვის არ შეეშალა ხელი. ლაურას ხელები უკანკალებდა.

— არაფერი. უბრალოდ, ტირილი მომიწინდა.

ფრიკი შეყაყმანდა. მერე ლაურასკენ გადაიხარა და მოეხვია. ლაურამ ჯერ თავის განთავისუფლება სცადა მაგრამ მერე წინააღმდეგობა შეწყვიტა.

46. მე (2005)

სახლში ვბრუნდები, უფრო სწორად, მივდივარ იმ ადგილას, რომელსაც ჩემი სახლი მინდა დავარქვა. ვფიქრობ, რომ სასწრაფოდ უნდა წავიდე და გადავიკარგო

განსაკუთრებით ამ უვარგისი დღის შემდეგ, რძიანი ყავისა და უმინაარსო საუბრის შემდეგ.

ღღეს გადავწყვიტე, მგრძობიარობა მოვიშორე, საკარნავალო კოსტიუმით გავიძრო; ადვილმდებარეობა შევიცვალო, სადმე წავიდე — ისეთ ქვეყანაში, რომელსაც არ ვიცნობ, ქალაქში, სადაც არასდროს ვყოფილვარ და სადაც ახლობლები არ მყავს.

სხვაგვარად ვერ დავწყნარდები, უბედურ გოგონას ვერ გავუმკლავდები და თავად ვიქცევი უბედურ გოგონად. სადმე უნდა წავიდე, რათა ამ ყველაფერის ბოლომდე დანერა შევძლო.

ამიტომ მივემგზავრები რაღაც დროით სხვა ქვეყანაში. იმ ქვეყანაში, რომელიც ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო საშინელია, მაგრამ მე მინდა იქ წასვლა.

შემეძლო ქალაქის გემი წყალში შემეცურებინა, რომ შენამდე მოეღწია. შენს ნაპირამდე მოეცურა, რათა სახეზე თბილი ღიმილით შეგძლებოდა ჩემი გახსენება.

შენ მე ხელში ჩამატყდი, როგორც თაიფურის პატარა ცხოველი, რომელიც ნამსხვრევებად იქცა. სად უნდა ვეძებო ახლა ნამსხვრევები და რისთვის?

ვიცი, რომ ეს ყველაფერი დასრულდა.

47. ფრიკი (2004)

— ამჟამად ძალიან ჯიუტი ადამიანი ხართ. ხომ ასეა?

დამტვრეული ინგლისურით საუბრობდა, თუმცა ფრიკი უარესს ელოდა.

— შეიგნეთ, რომ ამ ამბავთან თითქმის არაფერი მათქვანს საერთო. ამსტერდამიდან ჩამოხვედით, არა?

— დიახ. დამიჯერეთ ეს მხოლოდ კვლევაა, არაფერი არ გახმაურდება.

— ჩემი ძმა ამ საკითხზე არ დავგელაპარაკებთ. წლებია, ამაზე აღარ საუბრობს.

— მესმის, თქვენი სატყუარად გამოყენება არც მიფიქრია, სხვანაირად არ გამიგოთ. გთხოვთ.

— კი, მაგრამ როგორ უნდა დავგეხმაროთ? ჩემს ძმაზე ლაპარაკი ნამდვილად არ მსურს.

— მესმის და არც მინდა, რომ დავაძალოთ...

— ვერც დამაძალებთ. საშინლად დაღლილი ვარ და ნერვებმომპილი, ამ შეხვედრაზე რომ მოვედი და დრო დავკარგე.

— ძალიან გთხოვთ, ცოტა ხნით მომისმინეთ. მეტი არაფერი მინდა.

— კარგი, გისმენთ.

ერთმანეთს უამრავ პატარა ქუჩას შორის დამალულ, უსახურ კაფეში შეხვდნენ, კაფეში, რომლის შესახებაც ალბათ მათ გარდა არავინ იცოდა. ფრიკმა ერთი საათი მოანდომა ამ კაფეს მოძებნას და აი, ახლა ისხდნენ აქ, ეს სითეთრემდე ქერად შეღებილი ქალი და თვითონ.

თავიდან ფრიკი ლაურას ყველა რჩევის გათვალისწინებას ცდილობდა, მაგრამ ქალი იმაზე „მძიმე შემთხვევა“ აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა. ოდნავ ვულგარული სახე ჰქონდა, წითელპომადიანი ტუჩები და ოდნავ კვიხიანი ცხვირი. აბეზარი ადამიანის იერი ჰქონდა. ლაპარაკისას ხელებს იქნევდა, თითქოს პარალელურად ყრუ მუნჯთა ენაზე საუბრობსო — ეს ფრიკის ძალიან აღიზიანებდა.

ლაურამ ადრე თქვა, რომ ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის მოპოვება თუ გინდა, უკეთესია ქალებთან კაცები მიაგზავნო, კაცებთან კი ქალებით. მაგრამ ეს ქალი მაინცდამაინც „ქალური“ არ ჩანდა.

ფრიკს მარცხის უფლება არ ჰქონდა, ლაურას სიტყვები გაახსენდა: „ხომ ამბობთ, ამ ამბის გამოსარკვევად ყველაფერს გავაკეთებდიო. სანოლში ჩაუგორდით და ცხორებაში საუკეთესო ორგანოში განაცდევინეთ. რაც გინდათ, გააკეთეთ, როგორც გინდათ ისე მოიქცით, ოღონდ ინფორმაცია მოიპოვეთ“.

ამის წარმოდგენა ახლა ძალიან არ ესია მოვნა. ისე კი, ამ ქალის მანერებს თუ შეეჩვეოდი, მისი საუბრის მანერითა და უესტიკულაციით ტკობასაც შეძლებდა კაცი.

— ჩვენ მხოლოდ წიგნი გვინტერესებს.

— ჰო, ეს უკვე ბევრჯერ აღნიშნეთ.

— კვლევის შედეგების მიხედვით, თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ ასეთი ავტორი, უანა სარე, საერთოდ არ არსებობდა და ეს წიგნი სულ სხვა ავტორმა დაწერა. მეტიც, ქალმა დაწერა თუ კაცმა, ეგვე საკითხავია და თქვენმა ძმამ შესაძლოა, უფრო მეტიც იცის იმის შესახებ, ვინ იყო სინამდვილეში ნამდვილი ავტორი.

— რა სისულელეა! უანა სარე კულტია.

— დიახ, გეთანხმებით, მაგრამ ის არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, უანა სარეს სახელით.

— მეხუმრებით, არა? ეს ისტორია საკმაოდ კარგად ვიცი. როგორ თუ არ არსებობდა...

ქალმა სიგარეტს მოუკიდა, თან ფრჩხილებს იკვნეტდა. 50 წელზე მეტისა იყო და ასაკის მიუხედავად, საკმაოდ ინფანტილურად იქცეოდა.

ამჟამად ისეთ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება, მათთან ყოფნა რომ შეგრცხვება, როცა ორ ჭიქას დალევენ, გაიფიქრა ფრიკმა და ზუსტად ამ დროს ქალმა თავისთვის ყინულიანი ვისკი შეუკვთა. მერე უცბად წამოხტა და კაფეში შევარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა. კიდევ უფრო ფერმკრთალი იყო, მაგრამ შედარებით მშვიდად გამოიყურებოდა.

ლაურა წინა დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში წასვლას და ამ ქალის ძმის, პატრის დუშამპის ნაწარმოებების კარგად შესწავლას აპირებდა. ნადინ ლევიტთან გატარებული ღამის მერე თითქოს შეიცვალა. აფორიაქებული და ემოციით დატვირთული იყო.

— სხვა ვარიანტებიც შეამონმეთ? იქნებ მისი გვარი სხვანაირად იწერებოდა. ან იქნებ ფსევდონიმი იყო, იქნებ...

— როგორც ვითხარით, ორმოცდაათიან წლებში ასეთი არავინ...

— დარწმუნებული ხარ?

ლაურა მართალი იყო. ახლა ფრიკს ანკესზე დიდი თევზი ჰყავდა წამოგებული. წყნარი ნაშუადღევი იყო, კაფე — ცარიელი. ფრიკს ერთი წამით გულწრფელად მოუნდა ამ ქალის დამშვიდება, მაგრამ ეს სულელური აზრი მაშინვე უკუავდო.

ქალმა ჩამქრალი სიგარეტი მოქაჩა და კვლავ მოუკიდა. ნერვიულად წრუპავდა ვისკის და ფრიკს მზერას არიდებდა. ქარი ამოვარდა და მაგიდის ვადასაფარებელი ოღნავ ააფრიალა.

— მიკვირს, ეს მარტივი ფაქტები აქამდე არავის რომ არ შეუმონმებია. — ფრიკმა გაიღიმა.

— გეყოფა! აზრზე არა ხარ, რას ამბობ! შეუძლებელია ეს სრული სიგიჟეა, რასაც შენ მიყვები! — ქალი აშკარად გაოგნებული იყო — ამას ადამიანების სიცოცხლე შეეწირა. თითქოს დღეს იყო. კარგად მახსოვს, წიგნი რომ, გამოვიდა. ახლა კი შენ გამოჩნდი და გინდა მსოფლიოს, აუნყო, რომ წიგნი არ არსებობდა?

— მე წიგნზე არ მიტყვამს, ავტორი ვიგულისხმე.

— ეს ხომ ერთი და იგივეა?! გეყოფა, რა! ეს შეუძლებელია!

— მაგრამ ფაქტია.

ფრიკი თვალს არ აცილებდა, ქალი ისევ თავის ფრჩხილებს ეცა.

— ალბათ, აჯობებს ახლა წახვიდე. შემოძლია დაგიჩვეო?

— რა თქმა უნდა. თქვენს ზარს დაველოდები.

— დარწმუნებული ხარ?

— ასი პროცენტით!

— ჯანდაბა! ხვალ ან ზევ დაგიჩვეავ. კიდევ ერთხელ მომეცი ნომერი, წინა შეხვედრისას არ ჩამიწერია, შენთან დარეკვას არ ვაპირებდი.

ქალმა ფრიკის ნომერი თავის მობილურში ჩაიწერა. ფრიკს დაპატიუებაზე უარი უთხრა, ამიტომ ფრიკმა თავისი სასმლის ფული გადაიხადა და წავიდა. დარწმუნებული იყო, რომ ქალი დარეკავდა.

48. ანე (2004)

საცობის გამო Chatou-მდე მისვლას ანემ ერთი საათი მონადგო. ხელები უკანკალებდა, ძველი ფოლკსვაგენი, როგორც იქნა, დიდი მამულის წინ დააყენა და სწრაფი ნაბიჯებით შევიდა ეზოში. ჭიშკარი ღია იყო, გარბილად ყვფით შეეგება. ანე ძლივს იდგა ფეხზე, მშვიდ კუჭზე დაღეული ვისკი თავისას შვრებოდა. ძაღლს მოეფერა და ფარდულისკენ მტკიცე ნაბიჯებით გაემართა, მაგრამ ძმა იქ არ დახვდა. მის დასაძახებლად მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიყვირა:

— ძამიკო!

იყვირა. უკვე წლებია, ასე აღარ მიუმართავს. იცოდა, რომ მის ძახილზე ძმა შეცებოდა. მაგრამ ანეს ძმისთვის ტკივილის მიყენება უნდოდა, ანეს ისე ძალიან უნდოდა ახლა მისთვის ტკივილი მიეყენებინა.

მამულში სრული სიმშვიდე სუფევდა. ფარდულს უკან გაშლილი უზარმაზარი ბალი და დიდრონი ვაშლის ხეები, — გადახურული ადგილი აუზისთვის — ესეც კი არაჩვეულებრივად ჰარმონიულად ერწყმოდა საერთო ლანდშაფტს.

გარბილადი კუდს აქიციანებდა და ანეს თვალს არ ამორებდა. ეს დაწყველილი იდილია, გაიფიქრა ანემ. ყველაფერი საოცრად ყალბი ეჩვენა.

უეცრად ძმა მის უკან გამოჩნდა, ბაღში ყოფილა. როგორ ახერხებდა ასე უცხად გამოჩენას, ვერაფრით ვერ ხვდებოდა ანე. იმ დღესაც, ჰოკეის მოთამაშე ჟიულის წინ მუხლებზე რომ იდგა, როდესაც პირველად მოიკრიბა გამბედაობა, სიმორცხვე გადალახა და შარვალი შეუხსნა ასე უცებ გამოჩნდა დედის დასაფლავებაზე. მონემ წამოიყვირა კიდევ, ძმა უცხად რომ დაუდგა გვერდით. ანეს საშინლად აღიზიანებდა თავისი ძმის აჩრდილივით არაფრიდან აღმოცენება.

— ეს მომართვა როგორ გავიგო?! ძველი დროის გახსენება თუ მოგინდა, ეს არცთუ ისე კარგი მეთოდია, ანე.

ანე შეცბა. ახლალა შენიშნა, ძმა როგორ დაბერებულეიყო. გათეთრებული თმა, ნაოჭები შუბლზე და ეს თვალეხი, ჩაცვენელი და დაღლილი. ანე უსიტყვოდ გაემართა სახლისკენ.

— ეს რას ნიშნავს-მეთქი, გკითხე!

პატრისი ანეს უკან გაჰყვა.

საშინლად მოტეხილი კაცი, რომელიც თითქმის არ გადიოდა თავისი მამულიდან და კარჩაკეტილად, იზოლირებულად ცხოვრობდა ამ მოჩვენებით სამყაროში გარიბალდისთან და იმ სასაცილო იხვებთან ერთად, ტბაში რომ დაცურავდნენ. ანეს ეს სახლი არასდროს მოსწონდა მისთვის ძალიან დიდი და ცარიელი იყო, მეტისმეტად გადატვირთული ფლორითა და ფაუნით.

სამზარეულოში შევიდა და თუთუნის გახვევა დაიწყო. ხელები ჯერ კიდევ უკანკალებდა. გარიბალდი უკან გამოჰყვა.

— ეს შენ იყავი, არა? შენ იყავი, შე ნავაგო... შენ იყავი... შენი ბრალია... — ანე ყვიროდა და თავს ველარ იმორჩილებდა.

ძმამ სიგარეტს მშვიდად მოუკიდა.

— საერთოდ, აქ რას აკეთებ?

ძმა ხმამაღლა სუნთქავდა. სიგარილოებმა ფილტვები დაუზიანა. ჰაერი არ ჰყოფნიდა. სკამს ხელი მოჰკიდა, ნელა დაჯდა და შეეცადა აბსოლუტურად ნეიტრალური ტონით ესაუბრა, ისე, როგორც ყოველთვის საუბრობდა, როცა რაღაც არ მოსწონდა.

ანე ცუდად იყო, ალკოჰოლი სჭირდებოდა. იცოდა, რომ ძმას სარდაფში ყოველთვის ჰქონდა ღვინო. ჩავიდა, ერთი ბოთლი თეთრი ღვინო აიღო, ძმამ რომ უყიდა, სამზარეულოში ბოთლიდან საცობი ამოაძრო და პატრისს გვერდით მიუჭადა.

— რა ხდება? — იკითხა ძმამ წყნარად და მაცივრიდან ერთი ბოთლი ლუდი გამოიღო, სასმელებიდან ლუდს ანიჭებდა უპირატესობას. ისე, რა მნიშვნელობა აქვს დღეში ორი ბოთლი ღვინო გჭირდება ადამიანს თუ თორმეტი ბოთლი ლუდი? — ფიქრობდა ანე, როცა ძმა მას ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებასთან დაკავშირებით შენიშვნას აძლევდა. ძმამ ნაზად გადაუსვა გარიბალდის თავზე ხელი.

— ვერ ვიჯერებ... — ანე პირდაპირ ბოთლიდან სვამდა.

— ისევ დათვერი, არა? რადგან აქ მოხვედი, ესე იგი ჩემგან რაღაც გინდა. კი, ბატონო, მაგრამ რა, რა გინდა?

— შენ თავად მოიგონე. რა კონსიერჟი, რის... თვითონ დაწერე ყველაფერი და გამბედაობა არ გეყო... და შენ მარი... ღმერთო, რა ცუდად ვარ!

ძმა დუმდა, ისევ ძალღს ეფერებოდა, თითქოს არაფერი ესმისო.

— რა უსუსური ხარ! — თეთრი ღვინო ანეს სიმამაცეს მატებდა, ჯერჯერობით. — გაღმერთებდი და მარის მერეც შენ გვერდით დავრჩი... როგორ ეცოდებოდი ყველას. თურმე რა ნავაგი ყოფილხარ! მრცხვენია, რომ შენი და ვარ!

ძმა არ უყურებდა.

— რაზე ლაპარაკობ, ანე?

კიდევ კარგი, დედა ვერ მოესწრო ამას, კიდევ კარგი, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და მინც, როგორც არ უნდა სძულებოდა იგი, მინც ვერასოდეს გათავისუფლდებოდა იმ გრძნობისგან, მასთან რომ აკავშირებდა — ამ ბებერ, მოტეხილ კაცთან, შიშის გამო სახლიდან თითქმის რომ არ გადიოდა.

ძმა იჭდა, მშვიდად სვამდა ლუდს და ილიმებოდა. ამ სახლში სიკვდილიც კი კულტივირებული და თავშეკავებული ჩანდა. ანე იტირებდა, ამ აგურის ციხეში გამომწყვდეული და ყველანაირ მწუხარებას შეგუებული რომ არ ყოფილიყო.

— ჟანა სარეს ვგულისხმობ, პატრის.

— რაა?

პატრისი ადგა, ცოტა ხანს უმწეოდ იდგა სამზარეულოში, მერე მაცივართან მივიდა და ყველი გამოიღო.

— პატრის, მოვრალი არ ვარ. რამდენიმე ყლოუპი ვისკი დავლიე ერთ სულელურ ბარში ვიღაც სტუდენტთან ერთად, რომელმაც განმანათლა, რომ არასდროს არსებობდა გოგონა, სახელად ჟანა სარე. საკმაოდ ააა ვისაუბრეთ. მე პასუხი მჭირდება, პატრის, პასუხი შენგან.

— ანე...

ანეს თავადაც სტკიოდა ის, რომ ძმას ტკივილს აყენებდა. გაახსენდა 1970 წელი, ზაფხული. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, პარიზში ჩამოსული დედის ნახვა რომ არ უნდოდა, როგორ იტვირთა მაშინ პატრისმა შუამავლის ფუნქცია, როგორი მოთმინებით ასრულებდა პარიზში დედის როლს ან როგორ აკითხავდა ხოლმე მონეს სადგურზე და ამშვიდებდა ყოველთვის, როცა მონე თავისი „პატარა, დაკარგული დის“ გამო ტიროდა. ისიც გაახსენდა, ტელეფონით საუბრის დროს როგორი თავდაჯერებულობა ეუფლებოდა ძმის მშვიდ ხმას რომ გაიკონებდა, როდესაც რამე სჭირდებოდა. აქ, ამ სახლში უამრავ ზაფხულის დღესა და ზამთრის კვირას ატარებდა აქ, თავის ძმასთან და მის ცოლთან ერთად და მაშინ არაფერი ეჩვენებოდა არასწორად ან ყალბად.

— მართალია? მიპასუხე, მართალია?

— ვინ არის ის სტუდენტი?

— პატრის... მიპასუხე!

— შენ ამას ვერ გაიგებ.

პატრისი ისევ დაჭდა, სიგარილოს მოუკიდა. ეს საშინელი სუნი, ანე რომ ვერ იტანდა.

— ახლა ეს მე მეხება, პატრის, მე! მიპასუხე! — სწრაფად და სულმოუთქმელად სვამდა, თითქოს ბოთლს ისრუტავდა.

— ბევრი რამის ახსნა მომიწევს. მაგრამ ეს არ შემიძლია. და არც მინდა, ახლა არა.

— რატომ? არ მესმის, რატომ? მარიმ იცოდა ამის შესახებ? მე ეს წიგნი მიყვარდა...

— არასდროს გყვარებია, არასდროს!

— როგორ არა, უბრალოდ შენთვის არ მითქვამს. ან რატომ უნდა მითქვა? ისედაც საკმარისი იყო, რაც მას მოჰყვა. როგორ მომბეზრდა ყველაფერი! აქედან უნდა წავიდე. მარენში დავბრუნდები!

— მარიმ იცოდა.

— ანუ აღიარებ?!
ორივე გაჩუმდა.

— მართლა გინდა მარენში დაბრუნება?

— კი, უნდა დავბრუნდე.

- რისთვის? ეს ხომ შენი ცხოვრება აღარ არის?
- რატომ არ მითხარი?
- არ ვიცი.

პატრისი ადგა და ლუდით ხელში სამზარეულოდან გავიდა. ფეხებთან მიწოლილი გარიბალდი ანეს დაბნეული უყურებდა.

ანე ადგა, წასვლა დააპირა, მერე შენიშნა, რომ მთვრალი იყო. გაახსენდა, მართვის მოწმობა სულ ცოტა ხნის წინ რომ დაიბრუნა. გარეთ წვიმა დაიწყო. და უცებ ეს იდილია კვლავინდებურად მშვენიერი მოეჩვენა. ანე ტბისკენ წაბანცალდა, ნესტიან ბალახზე წამოწვა და დარდის ჩამორეცხვა წვიმას მიანდო. გარიბალდი მიუახლოვდეს, ცოტა ხნის შემდეგ პატრისი გამოჩნდა, გვერდით დაუჯდა. ანესავით ისიც სრულიად სველი იყო.

— მე არავის მოტყუება არ მინდოდა. არც ზიანის მიყენება და გულის ტკენა. მე ამას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვაკეთებდი. დამიჯერე, ანე!

— ვერ ვიჯერებ, რომ შენ...

— ეჰ, ანე!

— გაჩუმდი, უბრალოდ, გაჩუმდი. უბრალოდ, მოკეტე, რა. და სულელივით ნუ იმეორებ: ეჰ, ანე! ეჰ, ანე! ეჰ! ანე! — დასცინა ანემ.

— ნუ სვამ ამდენს, გთხოვ!

— თავი დამანებე!

— მარიმ იცოდა. თავიდანვე იცოდა. როგორ ვერ იტანდა ამ წიგნს! სარე მარენში გამოვივინე. 18 თუ 19 წლის, ვიყავი. და მერე...

— ამაღამ აქ დავრჩები.

— კარგი. გშია?

— ჰო, რამე მოამზადე.

პატრისი წავიდა. სველი ძაღლი, როგორც ყოველთვის, უკან გაჰყვა. ანეს გული მოეწურა წვიმისაგან დასველებულ ამ ბებერი კაცის შემხედვარეს — მარტოსული ადამიანი, რომელიც იმ სახლში შედიოდა, თერთმეტი ოთახისგან რომ შედგებოდა და თვითონ კი მხოლოდ ერთში ცხოვრობდა.

ანემ თვალები დახუჭა.

49. ქალი (2004)

— დილის სამი საათია, ლეო.

— ვიცი, მაპატიე. მაგრამ უნდა დამერეკა. პარიზში რას აკეთებ?

— მე? სად ჯანდაბაშია ჩემი სივარეტი?

— ფრენსი!

— რა?

— რას აკეთებ პარიზში? მართლა, რა გინდა მანდ?

— ისე, დასასვენებლად ჩამოვედი. მერე ერთი წიგნი ვიყიდე, სრულიად შემთხვევით და წავიკითხე. და ეს წიგნი, ჰმ, იცი, ეს წიგნი ჩემზეა. ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რაც შეიძლება მეტი გავიგო ავტორის შესახებ. ეს წიგნი 17 წლის გოგონამ დანერა და მერე თავი მოკლა. და მერე... მერე სხვა ქალებმაც მიჰბადეს. ამიტომ მჭირდება შენი დახმარება, ლეო.

— რას ბოდავ, ფრენსი?
— მართლა.
— ხომ კარგად ხარ?
— ოჰ, თავი ისე ნუ მოვაქვს, თითქოს ჩემზე ნერვიულობდე! უბრალოდ, იმას ვაკეთებ, რაც მაინტერესებს.
— მართლაც ვნერვიულობ შენზე. ნუთუ ეს ძნელი დასაჯერებელია? ჰო, უსასრულოდ ბევრს ვფიქრობ შენზე.
— აჰ, ლეო. მეც ბევრ რამეზე და ვინმეზე ვფიქრობ, მერე რა? დილის სამი საათია და ჯობს...
— დალიე?
— ახლაც ვსვამ, ლეო.
— შენი ნახვა მინდა. სასტიკად მინდა. ფრენსი.
— ხომ იცი, აზრი არა აქვს.
— მომიყევი რამე...
— მითოვებული ქმრის როლში ყოფნა არ მოგწონს არა? მოიხსენიე, სენტიმენტალურ გუნებაზეც დადექი და...
— ფრენსი, გთხოვ.
— რატომ არ გესმის, რომ ეს სრული უაზრობაა. მე სიმშვიდე მჭირდება და წიგნის ავტორზე ინფორმაციის, მოძიება; მეტი არაფერი, ლეო, არაფერი.
— ძალიან უსამართლოდ მექცევი, შენც ხომ იცი?
— არაფერია, ამ ცხოვრებაში სამართალი სანთლით, უნდა ეძებო, შენც ხომ იცი?
— ფრენსი, რა ჯანდაბა გინდა პარიზში?
— ხომ აგისხენი.
— ჰო, მაგრამ, ეს ხომ ... ეს ხომ სასაცილოა?!
— გააჩნია ვისთვის.
— გინდა პარიზში ჩამოვიდე?! ხუთი წელია ერთმანეთი არ გვინახავს.
— ჰო, ალბათ. ალბათ უკვე ხუთი წელი გავიდა.
— შემძლია სამსახურიდან გავეთავისუფლო.
— არა, არა! არ ჩამოხვიდე! ჩემს აწმყოში წარსული ნამდვილად არ მჭირდება, ლეო.
— წარსულს არც მე მივტირი, დამიჯერე, მე დღევანდელი ფრენსის ნახვა მინდა.
— არ მოგეწონება, დამიჯერე. იმედს გაგიცრუებს. და საერთოდ, მოდი დავამთავროთ ამ თემაზე საუბარი.
— დღემდე ფიქრობ, რომ მე ვარ დამნაშავე, არა?! ფიქრობ, რომ ჩემ გამო მოხდა, რაც მოხდა.
— აღარ გააგრძელო. გაჩერდი!
— არა, როდისმე ხომ უნდა ვილაპარაკოთ?! შენ ომი აქამდე საშუალება არ მოგეცა, პირდაპირ გეთქვა, რასაც ფიქრობ ჩემზე? აღიარო, სახეში მომახლო, რომ ჩემი ბრალია. რატომაც არა?! 5 წლის შემდეგ, მგონი, ამის აღიარების დროა. მეც შემძლია გათხოვამდე დათრობა და შენი ბრალდების მოსმენა.
— იცოდე, ყურმილს დავკიდებ, თუ...
— არა, არ დაკიდებ იმიტომ, რომ ეს შენც გინდა. მთელი გულით გინდა, წამიყენო ბრალდება, განთავისუფლდე შენი ტვირთისგან, შენი ბრაზისგან, ალბათ

სიძულვილისგანაც კი. არა, არ გინდა, ფრენსი! გგონია, ეს ეჭვიანობა იყო? გგონია, რაც ჩაიდინა, იმიტომ ჩაიდინა, რომ ჩვენზე იეჭვიანა? არ გეჩვენება, რომ ეს მიზეზი ზედმეტად ბანალურია? იქნებ ამ მიზეზით სიმართლეს ამარტივებ, ჰა? ფრანკს პრობლემები ჰქონდა, მწვავე პრობლემები, თუ რა ვიცი, რა დავარქვა; ალბათ საშინელი, საზარელი პრობლემები და ასეთ შემთხვევაში კითხვაზე „რატომ?“ პასუხი არ არსებობს...

— ახლა უკვე მართლა დავკიდებ ყურმილს.

— შენი ნახვა მინდა, მინდა პარიზში ჩამოვიდე და ყველაფერი პირდაპირ გითხრა. შემოგხედო, დაგინახო, ავიტანო შენი იმედგაცრუებული და სასმელისგან შემუშვებული სახე. ჰო, მინდა, მინდა ყველაფერი მოვიმოქმედო იმისთვის, რომ მიგახვედრო — დამნაშავეს ძებნას აზრი არა აქვს, არც არასოდეს ჰქონია.

— სულ ფეხებზე მკიდია შენი ფილოსოფია, შენი შემწყნარებლობა, შენი აზრები. ეს ჩემი შვილი იყო! და ჩემი ქმარი!

— ძლივს, ფრენსი, როგორც იქნა, მელაპარაკები.

— ფეხებზე მკიდია შენი სიბრალული. ფრანკს ძალიან უყვარდი, შენც ხომ იცი. მისთვის განსაკუთრებული ადამიანი იყავი, ესეც კარგად იცი. მეგობარი, პარტნიორი. ჩვენ მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები ვიყავით, ლეო. ჩვენ კი.. როცა გაუჭირდა, როცა აუტანლად გაუჭირდა, ჩვენ ზურგი ვაქციეთ, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, რომ მისგან თავი დავგვეღწია და ამ ყველაფრის მერე ენა გიბრუნდება იმის სათქმელად, რომ დამნაშავეს ძიებას აზრი არა აქვს?! შე ნაძირალა! ენა გიბრუნდება თქვა, რომ...

— გააგრძელე, გვედრები, გააგრძელე! მითხარი ყველაფერი, რისი თქმაც გინდა. არ დაიშურო არც ერთი სიტყვა. მითხარი, როგორ გძულვარ, როგორი ნაძირალას ვარ, როგორ გაგებდე და ჩემი უახლოესი, დეპრესიული, ავადმყოფი მეგობრის ცოლი შევიყი...

— წადი, შენი!

— ჰო, ფრენსი, კარგი, ეგრე იყოს. ჩვენ დავაავადეთ შენი ქმარი. ესე იგი, იქამდე მას არც ერთი პრობლემა არ ჰქონდა, იქამდე თქვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გქონდათ, იქამდე თვეობით მღუმარე არ იჯდა სამზარეულოში და არ იკვლევდა კოსმოსის ბნელ ამოცანებს უცნაური ალგორითმებისა და ციფრების მეშვეობით! იქამდე არ გიყურებდა უცნაურად, არ აფრქვევდა უცნაურ აზრებს, არ აშინებდა ბავშვებს თავისი უცნაური სურვილებითა და მიმართვებით! არა, ეს ყველაფერი არ ყოფილა! ეს ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ დააინწყო, რაც ჩვენ ის ჯოჯოხეთური ცოდვა ჩავიდინეთ და სექსი გვქონდა! ასეა, არა? და ახლა რა თქმა უნდა, ჩვენ ამისთვის ვისჯებით. ჰო, აბა რა!

— მოკეტე!

— ის, რომ მე შენ მიყვარდი, ფრანკმა 22 წლიდან იცოდა. იმ წამიდანვე, როცა ამას მე მივხვდი, როცა გავიცანი, ვიდრე თქვენი რომანი დაინწყებოდა. მე ეს მისთვის არასდროს დამიმალავს. მან ამდენი წლის განმავლობაში იცოდა, რომ მე, მის მეგობარს, მისი ცოლი მიყვარდა. თუ ეს მას ასეთ საშინელ პრობლემებს უქმნიდა, მაშინ რატომ აგრძელებდა ჩემთან მეგობრობას, რატომ მოისურვა ჩემი პარტნიორობა, ჩემთან ერთად მუშაობა? რატომ მიშვებდა სახლში, მიწვევდა ყოველ დაბადების დღესა და წვეულებაზე? რატომ მაძლევდა იმის ნებას, რომ მისი მშობიარე

ცოლი საავადმყოფოში წამეყვანა? ის ამ ცოდნით ცხოვრობდა, ფრენსი, ამ ცოდნით დაქორწინდა შენზე, ამ ცოდნით ჩასახა შვილები, ამ ფაქტის ცოდნით.

— აღარ შემიძლია, გაჩერდი.

— მე ყველაფერი ვცადე, ისევე, როგორც შენ, ფრენსი. ყველაფერი, რაც შემეძლო. ჩვენ მას ყველაფერი მივეცი, რაც გვქონდა, არაფერი დავიტოვეთ. შენ — შენებურად და მე — ჩემებურად. გინდა, გითხრა სიმართლე? გაინტერესებს? სულაც არ ვდარდობ, რომ ჩემმა ცოლმა, რომელთანაც თითქმის ექვსი წელი გავატარე, მიმატოვა. არ ვდარდობ და გინდა, გითხრა, რატომ? გინდა? იმიტომ, რომ ჩემი ცოლის მიმართ არასდროს მიგრძნია ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობდი. ვერ შევძელი და ვერც ვერასდროს შევძლებდი ალბათ და მე მისი მესმის. მესმის მისი, რომ წავიდა.

— აღარ მინდა...

— გინდა, ფრენსი! გვინდა! ჰო, ორივეს გვინდა, ეს ჩვენთვის აუცილებელია. კიდევ 5 წელს ვერ დაგელოდები, ვერ გაფრუდები. ვერ დაველოდები, როდის გაგძვრება სმით სული.

— აბა, რას ელოდით ჩემგან? რომ ისევ ის კეთილი ფრენსი დავრჩებოდი, საინტერესო ლექტორი, სასიამოვნო მეგობარი, ცოლი, დედა? ისევ ვიქორწინებდი, რომ ლინს მამინაცვალის ეყოლებოდა. მართლა გეგონა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ერთად ვიქნებოდით? მართლა ასე წარმოგედგინა და ამის იმედი გქონდა?

— არა, ამის იმედი არ მქონია, ფრენსი. ასეთი იდიოტიც არ ვარ.

— ეს ჩემი ოჯახი იყო, ლეო, ჩემი ცხოვრება. არაფერი აღარ დამრჩა. რა უნდა მივცე სხვა ადამიანს? რა უნდა ვუთხრა?

— ფრანკისთვის მისი ცხოვრების ბოლო თვეებში არაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა და ალბათ ყველაზე ნაკლებად იმ ფაქტს, რომ ჩვენ ერთად ვინქვით, ფრენსი, ჰო, მე ამის მჯერა, მოგწონს შენ ეს თუ — არა.

— თავი დამანებე! რა გინდა? რატომ არ ჩერდები?

რატომ მანამებ? უბრალოდ, რაღაცის გაკეთება გთხოვე, მეტი არაფერი. დახმარება გთხოვე, ინფორმაციის მოძიება. ალბათ შევცდი, ალბათ არ უნდა მეთხოვა, არ უნდა დამერეკა.

— რა გაცვია, ფრენსი? როგორ გამოიყურები? როგორი ხარ?

— რაა?

— როგორი...

— მკვდარი ვარ, ლეო, ფრანკზე ან მაქსზე მკვდარი. საშინლად უშნო, ბებერი, დაღლილი და ისეთი დაუსტებელი, რომ არც წასვლა შემიძლია და არც დარი ჩენა. აი, ასეთი ვარ.

— არ იტირო, გთხოვ! ვერასოდეს ვიტანდი შენს ცრემლებს, გთხოვ!

— ეს ყველაფერი იდიოტობაა, არაფრის მომტანი სისულელე!

— მიყვარხარ, ფრენსი!

— მე არ მიყვარხარ, ლეო!

— ჰო, ვიცი, რა თქმა უნდა, ვიცი... მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, არა?

— ჰო, ასეა.

— ფრენსი, გთხოვ, ნება მომეცი, გნახო. ორი საათით მაინც!

— არა.

— შენ კიდევ წლები გაქვს წინ. ბევრი არა, ასე თუ გააგრძელებ, მაგრამ მაინც. რა გინდა ამ წლებს უყო?

— არაფერი.

— ეს იმიტომ არ მოხდა, რომ სექსი გექონდა, ფრენსი.

ეს მისი ბრალი იყო. ფრანკმა ხელი ჩაიქნია ყველაფერზე.

ეს შენი ბრალი არ იყო.

— შენ რა იცი?

— მე ბევრი რამ ვიცი. იმიტომ, რომ საკუთარ თავზე უკეთ გიცნობ. ვიცნობდი შენს ქმარს. ვიცი, გვონია, რომ იმედი ვერ გაუმართლევ, რაღაც ვერ შეუსრულევ, რასაც ფრანკი შენგან ელოდა, რისიც ფრანკს სჯეროდა.

— აღარ დამირეკო რა!

— მე შენ საკმარისად მოგეცი დრო. ვიქორწინე, სხვა ქვეყანაში წავედი, ახლა ცოლსაც ვცილდები. მე შენ დრო მოგეცი. საკმარისი დრო. მერამდენე სკოტჩს სვამ?

— თავი დამანებე!

ქალმა ყურმილი დაკიდა. იცოდა, რომ ლეო ისევ დარეკავდა.

ჩემ გამო ხარ მკვდარი, მაქს? ჩემ გამო წაგართვეს მომავალი და სამუდამოდ დაგტოვეს წარსულში? ვერაფრით ვივინყებ, მაქს, როგორ გამოიყურებოდი იმ დღეს. მკვდარი ბავშვი, დახუჭული თვალებით. ბოლოს რა გაიფიქრე, ჩემო ბიჭო? თუ შეგიძლია, მაპატიე! როგორ უნდა შეგეგლიო, როგორ? გთხოვ, მიპასუხე...

50. აპიდაპი (2004)

— გადავწყვიტე, ამ საღამოს სადმე წავიდე. სულ ეს დრამა და დრამა. დროა, გავერთოთ. გინდათ, წამომყვეთ? — ლაურა დილის უღუფა ყავას მიირთმევდა.

— დასალევიად აპირებთ წასვლას?

— ჰო. მანქანას დაეტოვებ და ისე წავალ. მინდა ცოტა განვიტვირთო. დღეს ხომ შაბათია.

— ვიცი.

სასტუმროს ეზოში მხოლოდ ისინი ისხდნენ. იმ სასტუმროში თითქოს სხვა არც არავინ ცხოვრობდა. ზუსტად ორი კვირა იყო გასულიყო მას შემდეგ, რაც პარიზში ჩამოვიდნენ. ფრიკმა ნუხელ დაწვრილებით უამბო ლაურას ანე დუშამპთან შეხვედრის დეტალები, თან კმაყოფილებას ვერ მალავდა, რომ იმ უცნაურ ქალს გასაღები მოუნახა და საგონებელში ჩააგდო.

— კლუბ Cabaret-ში შევეკვეთე მაგიდა, თუ გინდათ, წამოდით.

— კი, რატომაც არა.

— ოღონდ ეს პაემანი არ გეგონოთ.

— ვიცი.

— რა იცით?

— თქვენ იმ ტიპის ქალი არა ხართ, მე რომ დამინიშნოთ პაემანი. — საინტერესო მიდგომა იყო აშკარად.

დუმილი გაინელა. ლაურამ ყავა ბოლომდე დალია.

ნუხელ ყოფილი ქმარი დაესიზმრა, ცუდ გუნებაზე გაიღვიძა და იმის შიშით, რომ დღეს მასზე არ ეფიქრა, გადაწყვიტა საღამო სადმე კლუბში სასიამოვნოდ გაეტარებინა.

ფრიკს ნამდვილად ვერ უწოდებდი საუკეთესო თანმხლებს, მაგრამ უცხო ქალაქში მყოფი ლაურასათვის მინც უფრო მოსახერხებელი იყო საღამოს მასთან ერთად გატარება. ფრიკი კვლავ ჩუმად იჯდა და თავის ცარიელ ჭიქას მისჩერებოდა. ლაურასთვის გაუგებარი იყო, როგორ სვამდა ასეთი სისწრაფით ცხელ სითხეს ისე, რომ პირს არ იწვავდა.

ავვისტოს თბილი დილა იყო. აი ისეთი, დილიდანვე კარგ განწყობილებას რომ ვიქმნის. ლაურას კანადაში ნაყიდი მზის დიდი სათვალე ეკეთა და თეთრი ტილოს შარვალი ეცვა, ტუჩებზე ოდნავ ესვა პომადა და უჩვეულოდ დიდი საყურე ეკიდა. არა, ეს დღე ნამდვილად რაღაც სასიამოვნოს ჰპირდებოდა.

საუზმის შემდეგ ლაურა კვლავ ოთახში დაბრუნდა და კიდევ ერთხელ გადახედა თავის ჩანაწერებს. 1983 წელი. ოლგა კოლერტი. Gare du Nord. „ახლო მეგობრობა აკავშირებდა ნ. ლ.-თან“ — ენერა კასწვრივ. ნეტა რამდენად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან? ლაურას ნადინზე ჩანაწერები არ გაუკეთებია. 1987 წელი. სიმონე ბელი, Gare du Nord. მისი ოჯახი ბრეტანში ცხოვრობდა და ინტერვიუზე მუდამ უარს ამბობდა.

კიდევ ერთხელ გადაიკითხა თვითმკვლელი ქალების სია. მერე პატრის დუშაპის სახელი დანერა სასტუმროს ხელსახოცზე და კიდევ ერთხელ გადახედა მის მოკლე ბიოგრაფიას. ცოლის სახელმა დააინტერესა. მარი ბესონვილი. სახელი ლამაზად უღერდა.

ლაურამ ლეპტოპი ჩართო და ინტერნეტში შევიდა. სიმონე ბელთან დაკავშირებით ახალი ვერაფერი ნახა მხოლოდ ის, რომ გამყინვარების ხანის თვითმკვლელ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა.

მარი ბესონვილი. ზღვა ინფორმაცია ვაძმოუყარა Google-მა. ლაურამ პირველივე საიტი გახსნა. თან წელი იანვის მუსიკა ჩართო და მხრებში გაიმართა, რომ დაღლილი ზურგი დაესვენებინა.

„დაბადებული 1946 წელს Le Pesq-ში. პუბლიცისტი, ესეისტი, Liberation Press-ის თანადამაარსებელი. 60-იანი და 70-იანი წლების ქალთა მოძრაობის ანგაჟირებული მებრძოლი. 19... დან კომუნისტური პარტიის წევრი, პარტიის რიგები დატოვა 19... წელს. მეუღლე — ფანტასტიკური ჟანრის ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი პატრის დუშაპი. გარდაიცვალა 1992 წელს, 44 წლის ასაკში, პარიზში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“.

„21 საათზე კლუბის წინ ვიქნები. თუ დავიგვიანე, შეგიძლიათ შეხვიდეთ, მაგიდა ჩემს სახელზეა შეკვეთილი. რაღაც უნდა გავარკვიო, მაგრამ აუცილებლად მოვალ. დამელოდეთ. ბევრი რამ მექნება მოსაყოლი. ლაურა“.

ფრიკს წერილი სასტუმროს მისაღებში დაუტოვა და მანქანაში ჩაჯდა. რუკაზე მარშრუტი თვალთ შქონდა მონიშნული — Chatou-ს მიმართულება.

ნახევარ საათში ადგილზე იყო. დახურული, შავი რკინის ჭიშკრის წინ იდგა. ძველებური ზარი შენიშნა ლომის თავითა და გვერდზე ამოტვიფრული წარწერით: დუშაპი. ზარი დარეკა. შორიდან კაცის დაბალი ხმა შემოესმა:

— დიახ.

— გამყინვარების ხანის შესახებ კვლევას ვატარებ. ლაურა...

— თავი დამანებეთ!

მკვეთრი ფრანგული აქცენტი ჰქონდა.

— თქვენი და უკვე ელაპარაკა ჩემს... კოლეგას.

სიტყვა „კოლეგა“ უცნაურად უღერდა.

— შემეშვით, ინტერვიუს მაინც არ მოგცემთ!

— უნდა დამეელაპარაკოთ. ეს მარის ეხება.

მოულოდნელად ჭიშკარი გაიღო და ლაურამ უზარმაზარ მწვანეში ჩაფლულ ეზოში შეაბიჯა. სახლის უკან დიდი ბალი მოჩანდა. ძაღლის ყეფა მოესმა. ლაურა შეჩერდა. რა იდილია სუფევდა პარიზიდან სულ რაღაც კილომეტრის დაშორებით. სულ სხვა სამყარო იყო, ვადამწვანებულები, ისეთი, საფოსტო ბარათებზე რომ უნახავს.

დიდი შავი ნაგაზი ლაურასკენ გამოეყანა და ყნოსვა დაუნყო, თან კუდს აქიცინებდა. ლაურას არ შეშინებია. ბავშვობაში ცხოველებთან თამაში მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, ცხოველებისადმი რაღაც ინსტინქტური ნდობა ჰქონდა. მალე მაღალი ხანშიშესული კაცი გამოჩნდა, მწვანე პერანგი ეცვა და თავზე შავი ქუდი ეხურა.

— რა ჯანდაბა გინდათ? — ლაურასგან ორი მეტრის დაშორებით დადგა.

— რამდენიმე კითხვის დასმა.

— პასუხის გაცემის არანაირი სურვილი არ მაქვს საოცრად დამცინავი ტონი ჰქონდა, ნიშნისმოგებით ელაპარაკებოდა.

— თქვენ ხართ ავტორი, არა?

— ხომ ავიხსენით, არ მსურს არანაირი პასუხის გაცემა!

— პრესის წარმომადგენელი არ გეგონოთ. ხელოვნებათმცოდნე ვარ და რამდენიმე შეკითხვა მინდა დაგისვით. მარი, თქვენი მეუღლე...

— ეს კითხვები, ეს დაუსრულებელი კითხვები. თითქოს მამა ღმერთი ვიყო. ათი წელია არავინ გამოჩენილა. ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. და აი, ახლა თქვენ და ის ბიჭი. როგორ დავიღალე, როგორ...

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. და უცებ ლაურამ იგრძნო, როგორ შემოაწვა სიბრაღეულის გრძნობა. ლაურას შეეცოდა პატრის ღუშამში, ძალიან შეეცოდა. აქაურობას აუცილებლად უნდა გასცლოდა. უცებ მიხვდა, რომ კაცის უფრო მეტად შეწუხება აღარ უნდოდა. სული შეეხუთა მისმა დათრგუნულმა გამომეტყველებამ.

— მაპატიეთ. მართლა ვწუხვარ, არ უნდა მოვსულიყავი, ასე არ უნდა დაგტყდომოდით თავს. უბრალოდ ჩემს ნომერს დაგიტოვებთ და...

თავისი სავიზიტო ბარათი ბალახზე დადო, თუმცა ამ მოქმედების აბსურდულობა კარგად ესმოდა. აქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა.

— ვწუხვარ! — კიდევ ერთხელ წაიბუტბუტა და წავიდა.

კაცი არ განძრეულა, ისე გაჰყურებდა მიმავალ ლაურას. ეტყობა, გაუკვირდა, ასე ადვილად რომ მოიშორა აბეზარი ქალი თავიდან. ლაურამ ერთი რამ ნამდვილად იცოდა: კაცმა ჭიშკარი მხოლოდ იმ ერთი სიტყვის გამო გააღო — მარი. ამას ჯერ კიდევ დილით, სასტუმროში მიხვდა: მარი ბოლო იყო იმ გარდაცვლილ ქალთა სიაში ის მეთხუთმეტე იყო. ლაურას ეჭვი აღარ ეპარებოდა.

ლაურას ხელები უკანკალებდა. ავტომაგისტრალამდე ჯერ კიდევ არ იყო მისული, მანქანა რომ გააჩერა და სიგარეტს მოუკიდა. თავს საშინლად გრძნობდა. სავარძელს მიეყრდნო და რადიო ჩართო. „Don't let me down, don't let me down...“ — გაისმა რადიოდან.

სიგარეტი ხელთან ერთად უკანკალებდა. სარკეში ჩაიხედა — მკვეთრი წითელი ფერის პომადა და შუშის თვალები ორთქლით დაბინდული სათვალის მიღმა. მობილური აიღო და ნომერი ავტომატურად აკრიფა. ციფრები, რომელიც ტვინმა კარგა ხნის წინ დაივიწყა, თითებმა ზეპირად იცოდნენ.

ტელეფონში ზუმერის ხმა გაისმა. ლაურა დაელოდა და როდესაც ტელეფონში მამაკაცის ხმა გაიგონა, მობილური ხელიდან გაუვარდა. გაფაცვიცებით დაუნყო ტელეფონს ძებნა. „ალო!“ — კიდევ ერთხელ შემოესმა. ნვალებით მიაგნო ტელეფონს და უცებ გათიშა.

შხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არც კი ამოუსუნთქავს. გასაღები გადაატრიალა და გაზს ფეხი დააჭირა. უნდოდა აქაურობას რაც შეიძლება მალე გასცლოდა. რამდენიმე წუთში ტელეფონმა დარეკა. ეკრანზე მოციმციმე ნაცნობი ციფრები საოცრად ახლობელი მოეჩვენა. მწვანე ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა. ვილაცამ ისე ახლოს და ისეთი სისწრაფით ჩაუქროლა, კინაღამ მის მანქანას გაჰკრა. ლაურამ ხმამაღლა შეიგინა.

— ლაურა?!

ლაურამ დაასიგნალა, მაგრამ ის იდიოტი უკვე გამქრალიყო.

— ლაურა! ჯანდაბა, თქვი რამე, ვიცი, რომ შენ ხარ.

— ბოდიში! — როგორც იქნა, თავი ხელში აიყვანა ლაურამ. საღი აზროვნება დაუბრუნდა. — ისე, ავტომატურად ავკრიფე შენი ნომერი... მაპატიე.

სიმართლებზე უკეთესი ტყუილი ვერ მოიფიქრა.

— ლაურა, რა ხმაურია, სად ხარ?

— კარგად ვარ, ბოდიში, მართლა, არ მინდოდა დარეკვა.

— ლაურა, მორჩი რა! მეც დაგირეკე ამას წინათ, მაგრამ სახლში არ იყავი. ამსტერდამში არ ხარ?

— არა, სახლში არ ვარ. სხვაგან ვარ. ახლა ლაპარაკი არ შემიძლია, საჭესთან ვზივარ, უნდა გავთიშო... ბოდიში, დანიელ!

— ლაურა, ბავშვურად რატომ იქცევი? დამელაპარაკე!

— დაივიწყე რა, გთხოვ! — ლაურა საოცრად ბრაზობდა საკუთარ თავზე. აღარ უნდოდა ამ ხმის მოსმენა.

— შენთან ლაპარაკი მინდა.

— უნდა დავკიდო, დანიელ, ვწუხვარ! — როგორც იქნა, ტელეფონი გათიშა.

ფრიკს მისთვის განკუთვნილი წერილი გადასცეს და საღამოს ხუთი საათისთვის გავიდა სასტუმროდან. ლაურამ წყალი გადაივლო და სველი თმით, შიშველი წამოწვა სანოლზე. გარეთ ჯერ კიდევ ნათელი იყო, ქუჩის ხმაური გაფელტრულივით აღწევდა ოთახამდე. ლაურა თვალდახუჭული ინვა ბოლოს როდის მისცა ვინმეს უფლება, რომ შეხებოდა? ახლა ამის წარმოდგენაც უჭირდა, მას შემდეგ რაც... ჩაიყვა, სახე მოინწვრიდა, სუნამო დაისხა და გარეთ გავიდა.

ცხრა საათისთვის კლუბის წინ იდგა და თვალებით ფრიკს ეძებდა. ვერსად ნახა, შიგნით შევიდა. წითლად განათებული ფუტურისტული დარბაზი ხალხით იყო

გადაჭედილი. ლამაზად ჩაცმული პარიზელი ლამაზმანები მრგვალ მაგიდებს მისხდომოდნენ, გემრიელად მიირთმევდნენ და თან მხიარულად ლაქლაქებდნენ.

ფრიკი უკნიდან მიუახლოვდა. შავი პერანგი და შარვალი ეცვა, გაცვეთილი სპორტული ფეხსაცმლის მაგივრად კი — ტყავის სადა ფეხსაცმელი. ნეტა გულის სიღრმეში მაინც ხომ არ იმედოვნებდა, რომ ეს პაემანი იყო?

თეთრ მაისურებში გამოწყობილი გოგონები დარბაზში აქეთ-იქით დარბოდნენ და შეკვეთებს კეკლუცად იღებდნენ. ლაურამ მარტინი შეუკვება. ფრიკმაც.

— თქვენ ძალიან... როგორ ვთქვა, სხვანაირად გამოიყურებით.

— ჰო, შევეცადე.

ლაურა მისგან კომპლიმენტს ელოდა, მაგრამ ფრიკს არაფერი უთქვამს ჯენტლმენური დახვეწილობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

— ვფიქრობ, რალაც-რალაცები უნდა მომიყვებო. ვიცო, რალაც გაარკვეით, — ხმადაბლა წამოიწყო ფრიკმა.

ფრიკი ღიმილით უყურებდა. ამ ღიმილმა ლაურა ცოტა დააბნია. თავი რომ არ გაეცა, სიგარეტს დაავლო ხელი.

— მეგონა, უფრო მეტი მექნებოდა მოსაყოლი, მაგრამ შევცდი.

— ლაურა!

ფრიკი ძალიან იშვიათად მიმართავდა მას სახელით.

— რა?

— არაფერი არ დამიმალოთ, ყველაფერი უნდა ვიცოდე!

ეს პათეტიკური ტონი!

— არაფერი ვიცო, ჯერ არ ვიცი. ხომ გითხარით?

ფრიკი თვალს არ აცილებდა.

— ჰო, კარგი.. დღეს დუშამპთან ვიყავი.

— ასეც ვიცოდი. მერე?

— მერე არაფერი. საუბარი არ სურს.

— კი მაგრამ, რატომ წახვედით? ხომ არ შევთანხმებულვართ. ალბათ მიზეზი გქონდათ.

— შეიძლება. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ჯერჯერობით.

— კარგი, რა, ლაურა! მეც ხომ უნდა ვიყო საქმის კურსში!

— ჰო, კარგი! დღეს, ნაშუადღევს, კიდევ ერთხელ გადავხედე თვითმკვლელები ქალების სიას. როგორც უკვე იცით, ბოლო სიმონე ბელი იყო. ვარაუდობს წელი — 1987. ცოტა ინტერნეტში ვიქიქე, თუმცა მასზე ვერაფერი ვნახე. მერე მარი ბესონვილს მივადექი, დუშამპის ცოლს. იმანაც თავი მოიკლა 1992 წელს, უცნაური დამთხვევაა, არა? 22 წელი ცხოვრობდნენ ერთად. უცხად ერთი იდეა დამეზადა და დუშამპთან წავიდი Chatou-ში. მართლაც შემიშვა, როგორც კი მარი ბესონვილი ვახსენე. თქმით არაფერი უთქვამს, ლაპარაკი რა თქმა უნდა, არ მოისურვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მარი ბესონვილის სიკვდილიც ამ წიგნს უკავშირდება. უცნაური ის არის, რომ მასთან ერთად მთელი წელი იცხოვრა და მხოლოდ ბოლოს, ამდენი წლის შემდეგ... იქნებ მარიმ რამე გაიგო? რალაც ისეთი, რამაც ეს ნაბიჯი გადაადგმევინა. როგორც მასალებიდან ჩანს, ენერგიული, საოცრად აქტიური ქალი იყო. ის არ ყოფილა პატარა, დეპრესიული გოგონა, რომელიც სიკვდილს ეკვლუყებოდა.

— ანუ?

— ამას ვერ აგისხნით. ჯერ ვერა. ფაქტები არ მაქვს, მაგრამ, იმედია, მალე გაირკვევა ყველაფერი. ეს კაცი უნდა ავალაპარაკო. ჩემი ნომერი დავუტოვე.

— ჰო, მაგრამ, ხომ იცით, არ დარეკავს.

— ალაპარაკდება, დარწმუნებული ვარ.

— ფიქრობთ, რომ...

— მოდით რა, დაივიწყეთ ეს დანყველილი წიგნი, ამ, სალამოს მაინც. აშკარად დროა, ცოტა გავერთოთ.

კიდევ სამი ჭიქა მარტინი დალიეს. ფრიკი ჩაფიქრებული იჯდა და ცოტას ლაპარაკობდა. არც საუბარი აენყო ლაურამ საცეკვაოდ გაიწვია. ფრიკმა თავაზიანად უთხრა უარი. ლაურა საცეკვაო მოედანზე მარტო გავიდა.

მაღალმა, ორაზროვნად მომღიმარმა კაცმა ლაურას გამომწვევად გაუღიმა. ლაურამაც მასთან ერთად განაგრძო ცეკვა. ცოტა ხნის შემდეგ ფრიკი წამოდგა, ლაურასთან მივიდა და ჰკითხა, ხომ არ გეწყინებათ, რომ წავიდეთ. ლაურამ ლოყაზე ხელი მოუთათუნა და თავი დაუქნია, თან თავი ძალიან სულელურად იგრძნო. ფრიკი წავიდა. ღამის ორი საათი იყო. მანამდე ფრიკი დაახლოებით ორი საათი მაინც იჯდა და უყურებდა, როგორ ეცეკვებოდა ლაურა ვიღაც ოფლიან კაცებს.

ლაურამ ცეკვა გააგრძელა. მოდუნდა. დაივიწყა, განდევნა ყველა ფიქრი — ის სევდიანი კაცი Chatou-ში, ის მექანიკურად აკრეფილი ნომერი, მისი ხმა, წიგნი და ამ წიგნის გარშემო შემოკრებილი სასონარკვეთილება, don't let me down, don't let me down...

რა თქმა უნდა, ბევრი დალია, მაგრამ თავს მშვენივრად გრძნობდა. მაღალმა კაცმა, რომლის სახელიც ხმამალალი მუსიკის გამო ვერ გაიგო, ტანზე გახადა, თან ფრანგულად რალაცას ეუბნებოდა. ლაურა კედლებზე ბავშვების ფოტოებს ხედავდა, რომელიღაც დიდ ბინაში, შუაგულ პარიზში. ლაურა უცხო სანოლზე იწვა. კარგია უცხო სანოლში გორაობა მაშინ, როდესაც საკუთარი დაკარგე. ვინ იცის, ამ უცხო ცხოვრებას იქნებ ერთ დღეს, საკუთარ ცხოვრებაში დაებრუნებინა.

კაცს ზურგზე ტატუ ჰქონდა ამოსვირინებელი — „მატილდა“. ნეტა სად იყო ახლა და ნეტა ვისზე ფიქრობდა ეს მატილდა? რა აზრი აქვს სხეულზე ხელშეუხებელი ფასეულობების ამოტვიფრას, თუ მერე ამავე ფასეულობებს უნდა უღალატო? იქნებ მატილდას ამ კაცის ღალატი არც კი აღარდებდა, იქნებ მატილდამ ამ კაცს დაასწრო კიდევ. იქნებ ეს ტატუ მხოლოდ მოგონებალა იყო ერთი ძველი, მივიწყებული ისტორიისა?

51. ნადინი (2004)

შენ მე მაშინ პირველად დამპატიჟე შენთან, სახლში. კარი გააღე და ლოყაზე მაკოცე. პირველად მაშინ ჩაგხედე თვალებში, რომელიც სიცოცხლით იყო სავსე და მახსოვს, გავიფიქრე, ამ თვალებზე უფრო ლამაზი ცხოვრებაში არაფერი მინახავს-მეთქი. და ასე ვიდევით ორივენი ვინრო დერეფანში, დაბნეულები. მერე შენ ოთახში შემიპატიჟე და ლიდიას მოეფერე. ლიდია არ ჩერდებოდა და მიყვოდა. შენ კი ნაზად გადაუსვი ხელი, დაუყვავე და უთხარი: ლიდია, ეს ხომ ნადინია, ჩვენი ნადინი! და მე გავნითლდი.

მერე სამზარეულოში ვისხედით და ჩაის ვსვამდით, შენ საგანგებოდ ჩემთვის გამოაცხე ნამცხვარი, რომელიც საშინლად გამოიყურებოდა, მაგრამ მე მაინც მომეწონა, ასჯერ მაინც მომიხადე ბოლიში და ამაზე ორივეს გულიანად გვეცინებოდა. იმ საღამოს შენ ისეთი გულღია იყავი ბევრი რამ მიაბე შენ შესახებ.

მერე მითხარი, რომ ერთ დღესაც პარიზიდან წახვიდოდი, ბორდოს მიმართულებით. სადმე წყლის სიახლოვეს დასახლდებოდი. რომ იქ იქორწინებდი, გასუქდებოდი და მოსაწყენი მასწავლებელი გახდებოდი. ამაზეც გულიანად ვიცინეთ. მერე ხელი ხელზე დამადე და ი მითხარი რომ სიცოცხლის გეშინოდა.

მასსოვს, მე ვისაცყვედურე, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ იმის თქმას ვცდილობდი, რომ შენთვის სიამოვნებით ვიბრძოლებდი, რომ სიამოვნებით ვიქნებოდი შენ გვერდით, რომ სიამოვნებით დავიცავდი შენს ოცნებებს, მაგრამ ეს შენი ოცნებები ჩემთვის არასდროს გაგინდვია, არასდროს...

არადა როგორ ვეჭვიანობდი იმ შენს ოცნებებზე.

ხანდახან ვერ ვიტანდი, ოღვა, შენი ტყუილის, შენი უხასიათობის, შენი უგულისყურობის გამო, როდესაც დემონსტრაციების შესახებ გიყვებოდი. და მე მძულდა ეს გულგრილი გამოხედვა. ვერ ვიტანდი, როგორ იკვნეტდი ფრჩხილებს და როგორ ლოკავდი ნაყინს, თითქოს ვილაც დაწყველილი ლოლიტა ყოფილიყავი.

როგორ მეშინოდა შენი შეხების. მეშინოდა, რომ ჩემი შეხებით ოცნებას დავამსხვრევდი, მიწიერად ვაქცევდი და ის გრძნობა, რის გამოც აღფრთოვანებული ვიყავი შენით, გაქრებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ შენ გამაქრე მე.

52. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

„ბატონო, ჩემო ბატონო, ჩემი გული რბილია, როგორც ის ქვა, რომელსაც ზღვა წლების განმავლობაში ლოკავს.

ერთ დღესაც გაიღევა და უხილავი გახდება. გთხოვთ, რამე მოიმოქმედეთ, ეს რომ არ მოხდეს“.

ხიდზე იდგა და ერთ მოხუცებულ ჭაღარა კაცს ვევედრებოდა. კაცი გაოცებული უყურებდა, უნდოდა გვერდი აეველო, მაგრამ ის გზას უღობავდა, არ უშვებდა. დაბნეული კაცი თავს აქნევდა, ახველებდა და გზის გაგრძელებას ცდილობდა. ის კი მაინც არ ეშვებოდა. კაცს თანდათანობით სიბრაზე იპყრობდა.

„შემიყვარეთ, ბატონო, გთხოვთ!“ — მომაბეზრებლად წკმუტუნებდა გოგონა. კაცი შეეცადა, გოგონა ხელით გვერდზე გაეწია, მაგრამ გოგონამ ფეხი დაუდო და კაცი ძირს დაეცა.

ძირს დაგდებულ კაცს გოგონამ ზედ ისე გადაუარა, რომ ყურადღება არ მიუქცევია კაცის ღრიალისათვის.

გოგონას ეს უკვე აღარ აღარდებდა.

53. მე (2005)

ტელევიზორიდან სამუდამო ბედნიერებას მპირდებიან, თუკი ამ სამაჭანკლო ფირმაში, ვაცნობისა და დაოჯახების ცენტრში დავრეგისტრირდები. არჩევანი

ნამდვილად დიდია — შევიძლიათ აირჩიოთ მამაკაცები და ქალები 18-დან 99 წლამდე.

99 წელი, ეს რა, სიცოცხლის გარანტიაა? და 18 წელი? ეს ის ასაკია, რა დროიდანაც სიყვარული უკვე დაშვებულია?!

გული მერევა.

უკვე ჩავალაგე ბარგი და იმედი მაქვს, ჩემი ცოტაოდენი ფულით უცხო ქვეყნამდე მივალწვე.

შიში გულზე ლოდვიით მკიდია.

ნეტა მე გამოვიგონე, პატარა უანა? მე გამოვძერწე შე უბედურო? თუ შენ მიგონებ მე, მძენავ, რათა ყველაფერი ასევე გაგრძელდეს?! დამაცადე, გავიჭრა ახალ უდაბნოებში, იქ ვიპოვი საშუალებას, რომ დაგიპირისპირდე. აუცილებლად გამოვძებნი რაიმე საშუალებას რომ უკან ჩამოგიტოვო!

54. ძმა (2004)

იცოდა, ნაშუადღევს ისევ განვიმდებოდა. უყვარდა წვიმის სურნელი. ყავა მოადლეა და მადამ სურს, შინამოსამსახურეს, ნამცხვრის მოტანა სთხოვა. ზარის ხმა გაისმა და გარიბალდი ყუფით მივარდა კარს. ადგა, სიგარილო ჩააქრო და ქალს კარი გაუღო. დილით თავად, დაურეკა და დაპატიჟა. რატომღაც მოეწონა. ვააკვირვა, იმ ფაქტმა, რომ ამ უცნობმა ქალმა წინა დღეს ასეთი თანაგრძნობა გამოიჩინა მისდამი. წლებია, აღარავინ მოსწონებია.

ქალმა ხელი გაუნოდა.

— გმადლობთ, რომ დამირეკეთ. არ ველოდი.

— დაბრძანდით. იმედია, ყავას დალევთ.

— სიამოვნებით.

მაგარი შავი ყავა ორ დიდ ჭიქაში დაასხა. არაჩვეულებრივი სურნელი დატრიალდა. ქალმა არც შაქარი ისურვა და არც რძე. საინტერესოა, გაიფიქრა კაცმა. რაღაც გასანეიტრალებელს ყველა ქალი ამატებს. შაქარი ან რძე. ცოტა მეტი სირბილე, ცოტა მეტი სიტკბო. ამ ქალაქს ყველაფერი, როგორც ჩანს, არ სჭირდებოდა.

— კონკრეტულად რას იკვლევთ? — ჰკითხა.

— შემთხვევით დავინტერესდი ამ ისტორიით, იანის საშუალებით, ჩემი სტუდენტია და, ასე ვთქვათ, დამიყლია.

— ლიტერატურათმცოდნე ბრძანდებით?

— არა, ხელოვნებათმცოდნე.

კაცს თავისი ცუდი ინგლისურის გახსენება უჭირდა.

ხანდახან ფრანგულ სიტყვებს იშველიებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალს მისი მშვენივრად ესმოდა.

— კვლევის მასალიდან გამომდინარე, ყველა ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სარე არ არსებობდა. არც გარდაცვალების ცნობაა, არც დაბადების. არც გაზეთებშია რაიმე ხელმოსაჭიდი. გასაოცარია, რომ ვერავინ შეამჩნია ეს მართლაც ამკარა ხარვეზი. ერთ-ერთი თვითმკვლელის მეგობარს ვესაუბრე, ვინმე ნადინ ლევიტს...

— ჰო, მერე. — რატომღაც ელიმებოდა, ამ ქალის სიმტკიცის შემყურეს.

— და ამ ყველაფერის ახსნა იმით შეიძლება, რომ თქვენ...

— მითების ახსნა შეუძლებელია. ამიტომაც არის მითი.

გარიბალდი კაცის ფეხებთან დანვა. მძიმედ სუნთქავდა. ქალს ძაღლის, როგორც ჩანს, არ ეშინოდა.

— ყველა გვარი შევამოწმე, ბოლოს მაღამ ბესონვილს მივადექი და მხოლოდ მერე აღმოვაჩინე, რომ თქვენ მისი მეუღლე...

— და მერე რა? ეს ისტორია, ეს წიგნი ისედაც დავინწყებოდა, აღარავის უნდა ამის გახსენება. ამ ყველაფერის გამომზეურება ბევრს არაფერს მოგიტანთ, არავინ დაგიჯერებთ. მხოლოდ რამდენიმე ადამიანს აათვორიაქებთ იმაზე მეტად, ვიდრე აქამდე იყვნენ ათვორიაქებული ისეც მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კერპს წაართმევთ და გაანზილვებთ. მეტი არაფერი. დამიჯერეთ, თქვენი აღმოჩენა ღიღებსას ვერ მოგიტანთ!

— ესე იგი, ეს თქვენ იყავით? — როგორი მძვინვარე გამოხედვა ჰქონდა, როგორი დარწმუნებული იყო მის სიტყვებში. კაცი ლაურას ტუჩების მოძრაობას აკვირდებოდა.

— რა პასუხს ელოდებით ჩემგან? ეს ხომ უკვე დავინწყებული ამბავია, დიდი ხნის წინ დავინწყებული. მას შემდეგ დღე თითქმის ათი წელი გავიდა. ეს ისტორია აღარავის ახსოვს რამდენიმე ფრიკის გარდა.

— ფრიკის...

— ჰო, ფრიკის. სწორედაც რომ ფრიკის გარდა, რავის აინტერესებს! მეც მინდა ამ წიგნს თავი დავანებოთ ახალი გამოცემის უფლება არ მიმიცია, თქვენ მიერ ნახსენები ნადინ ლევიტის სტატიების შემდეგ პრაქტიკულად აღარავინ დაინტერესებულა. ეს წიგნი დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა.

— თქვენ დანერეთ წიგნი, რომლის გამოც თხოთმეტმა ქალმა თავი მოიკლა, მათ შორის, თქვენმა ცოლმა. და გინდა მითხრათ, რომ... რა თქმა უნდა, ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებმაც მეგობრები და ოჯახის წევრები დაკარგეს, არა აქვთ უფლება იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო?!

— ეს ტყუილი არ არის! — წამოიყვირა კაცმა. გარიბალდის გაეღვიძა და გაკვირვებულმა გახედა პატრონს.

— წარმოდგენა არა გაქვთ, აქ მოდიხართ და დეტექტივის როლს თამაშობთ, სინამდვილეში კი არაფერი გესმით, სულ არაფერი. მარი კი... მარის ამასთან საერთო არაფერი აქვს. ის ნაბიჯვრები კი, რომლებიც ამას ამტკიცებენ...

— იმ დანარჩენი ადამიანების სიცოცხლე სულერთია თქვენთვის?

— ძალიან გთხოვთ, მორალისტად ნუ მოგაქვთ თავი! ისედაც მთელი ცხოვრება მტანჯავს ეს ამბავი.

— მაშ, რატომ აღრევე არ გამოაამკარავეთ ეს ტყუილი? იქნებ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაგერჩინათ?

— ამის თავადაც ხომ არ გჯერათ?! უბრალოდ, ერთი ისტორია მოვეყვი, მეტი არაფერი. არ მინდოდა „გამყინვარების ხანის“ გამოქვეყნება. ფსევდონიმით ვწერდი, მისი სახელით. მერე წიგნი გავრცელდა. და მეც დავკარგე კონტროლი, მერე უცებ ეს სიგიჟეც დაიწყო. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დრო იყო. ყველაფერი განახლებას მოითხოვდა. სულ მალე ორმა ადამიანმა მოიკლა თავი. პარალიზებული ვიყავი. გამოცემა შევწყვიტე, მაგრამ წიგნს სადღაც სარდაფებში ამრავლებდნენ.

არალეგალურად ბეჭდავდნენ, თარგმნიდნენ. აღარც რამის დაშვება შემეძლო, აღარც აკრძალვა. ველარაფერს ვაკონტროლებდი. მე და მარი, ორივე შეძრული ვიყავით ამ ამბით. თქვენ გგონიათ, რამე შეიცვლებოდა, იმის მტკიცება რომ დამეწყოს, სარეს არასდროს უარსებია-მეთქი? ხალხს იმის სჯერა, რისი დაჯერებაც სურს. ეს თქვენც კარგად იცით ეს წიგნი მძულს, მან მე ცხოვრება დამინგრია. მერწმუნეთ, ამის შანსი რომ ყოფილიყო, პირველი მე გავანადგურებდი ამ წიგნს, მაგრამ წარსულს ვერ დააბრუნებ.

— კი, მაგრამ, არ შეგიძლიათ ახსნათ, რატომ უბიძგა ამ წიგნმა ადამიანებს ასეთი გიჟური საქციელისკენ? მინდა პირდაპირ ვითხრათ, რომ თქვენი სხვა ნაწარმოებები ლიტერატურული თვალსაზრისით უფრო მეტად მომწონს, ვიდრე სარეს ჩანაწერები. ეს ხომ გარდატეხის ასაკში მყოფი ბავშვის ნაბოღვარია?! აშოკალიფსი? ეს ხომ დიდი ხნის წინ იყო?! ყველა თვითმკვლელი რატომ იყო ქალი? და საერთოდ, რატომ აირჩიეთ ქალური პერსპექტივა, ქალის ფსევდონიმი?

— რატომ იკლავდნენ თავს მხოლოდ ქალები? ამაზე მე მხოლოდ ჩემი მოსაზრებები მაქვს.

— კი, მაგრამ, მარი, თქვენი ცოლი? მან ხომ ნამდვილად იყოფა, რომ თქვენი...

— ვალდებული ვარ გიპასუხოთ? ყველა ის ქალი მებრალეება, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ მათ წინაშე თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ თუმცა ვიცი, ეს არაადამიანურად მოგეჩვენებათ. მე ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებს სარე სჭირდებოდათ. უკეთესად ვერ ავიხსნით, მაგრამ სარე ყოველთვის არსებობდა, ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს მან გამომიგონა მე და არა პირიქით. მარი.. მარის სიკვდილი კი არავის საქმე არ არის. ეს ჩემი პირადი ტრაველია.

— მაგრამ მისი სიკვდილის დაკავშირება სარესთან ლოგიკურია, არა? სხვასაც ხომ გაუჩნდა ეჭვი, რომ მარის სიკვდილი ამ წიგნს უკავშირდებოდა...

— მარიმ ვენები გადაიჭრა და არა... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სიტყვა Distraction დაწერა კედელზე. ეს სამხილისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ დასაწყისში მართლაც იყო ჭორები. თითქმის ყველა თვითმკვლელმა ქალმა ეს სიტყვა სადღაც დაწერა. — კაცი უცხად გაჩუმდა და ლაურას სახეზე მიაშტერდა.

— ძალიან ვწუხვარ თქვენი ცოლის გამო. — ჩაიბუტბუტა ლაურამ.

— თერთმეტი წელი გავიდა. ნოემბერში თორმეტი წელი გახდება. მე ცოცხალი ვარ. ჩემს ცოლს ვუღალატე მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავი ვერ დავანებე, მხოლოდ იმიტომ, რომ მე...

— თავი ვერ დაანებეთ?

— წიგნზე მუშაობა არასოდეს შემინწყვეტია. ამქვეყნად არაფერი მძულს იმაზე მეტად, ვიდრე სახელი უნა სარე. ვფიქრობ, ნარკომანების ამ დღეში არიან.

— ანუ კიდევ არსებობს ჩანაწერები?

— ამაზე არ გიპასუხებთ. ეს პირადულია.

— ესე იგი, სარე თქვენი პირადული საქმეა?

— ვერ გამიგეთ.

— მინდა, რომ გაგიგოთ. ნამდვილად მინდა. ამიტომ ვზივარ აქ. თხუთმეტი ადამიანი თავს იკლავს და თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს ყველაფერი თქვენს კონტროლს არ ექვემდებარება?! რომ ეს თქვენი პირადული საქმეა?!

— ჰო, ამას ვამტკიცებ. თქვენ ამ ამბავს ყველას გაავებინებთ. ასე მოიქცევით და მერე... მერე უკეთ გამიგებთ. კარგი, მე თანახმა ვარ. გამოააშკარავეთ. მწერალი აღარ ვარ, აღარაფერს ვაქვეყნებ. ჩემთვის სულერთია, ხალხი რას იტყვის. ისე მოიქცით, როგორც გინდათ და მერე მოდით ჩემთან. მერე შეგვიძლია, დავილაპარაკოთ.

— მერწმუნეთ, არ ვაპირებ ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო ან გული ვატკინო.

— ვიცი, ვიცი. თქვენ მხოლოდ კარგის გაკეთება გსურთ. რა თქმა უნდა. თქვენ დადებითი პერსონაჟი ხართ ჩვენს რომანში. თქვენ ჩემი ანტიპოდი ხართ, არა? თქვენ გადარდებთ 15 ადამიანის სიკვდილი, თქვენ შემოვრჩათ ჰუმანურობა, ჩემნაირი არაადამიანისგან განსხვავებით, ხომ ასეა? თქვენ მე არ მგავხართ, არა?

რა უცნაურად უყურებდა. ლაურამ თვალები დახარა. ნეტა რას ვერ გაუძლო? შედარებას, კითხვას, თუ პროვოკაციას?

— რაც გინდათ, ის გააკეთეთ. მაგრამ დამიჯერეთ, არ ღირს. ეს წარსული ამბავია, უმეტესობისთვის წარსულია. და ვფიქრობ, ერთ დღეს ჩემთვისაც წარსული გახდება. — გააგრძელა კაცმა, შედარებით ლმობიერი ტონით.

— მე მჯერა, რომ ერთი ადამიანისთვის მაინც თუ არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, ნადინ ლევიტისთვის, მაშინ ღირს. მისთვის კი ნამდვილად მნიშვნელოვანია, იცოდეს რატომ და რისთვის მოკვდა საყვარელი ადამიანი.

— და მიზეზი ცხადი გახდება, მაღამ ლევიტი თუ შეიტყობს, რომ ავტორი მე ვარ? ფიქრობთ, ის ქალები ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რომ უბრალოდ ამ იდეას აჰყენენ და ასე შეისისხლობოიან? ჩემი წიგნი რომ არა, ახლა ცოცხლები იქნებოდნენ? რატომ არ ცდილობთ, უფრო მეტად ჩაუღრმავდეთ ამ საკითხს?

— ამიტომაც ვარ აქ, სწორედ ამას ვცდილობ.

— მგზაპრე ნამდვილად არ ვარ! პასუხს თქვენს კითხვებზე მეც დიდხანს ვეძებდი! თუ გსურთ არაადამიანად წარმომაჩინოთ, ხელს არ შეგიშლით. რისი დაკარგვაც შემეძლო, ყველაფერი დავკარგე.

ლაურამ ყავა ბოლომდე დალია. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. კაცი უეცრად დამშვიდდა, თითქოს ამ თემაზე დისკუსიისთვის საჭირო ენერჯია გამოეცალათ. ნამცხვარს პატარა ნაჭრებად ჭრიდა.

— მაპატიეთ, არ მინდა, გვეკონოთ, თითქოს გადანაშაულებოთ. ამ ისტორიას შემთხვევით გადავანციდი და ვცდილობ...

— უბრალოდ, მესიმპათიურებით. დიდი ხანია, არავინ მომწონებია. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ გესაუბრებით. თქვენ მე ვერ შემამინებთ, ვერც პრესა შემამინებს. მე ჩემი პასუხი მაქვს და თქვენ თქვენს პასუხს იპოვით. გააგრძელეთ ძიება, ეცადეთ!

— ვეცდები! — გაღიზიანებულმა უპასუხა ლაურამ. — რატომ Distraction?

— „გამყინვარების ხანაში“ პატარა მინიშნებაა მის ბინაზე. Rue Bonapart-ის 42 ნომერში, უკანა ეზოში ცხოვრობდა. წიგნში ეს პირდაპირ არ წერია, მაგრამ იქაურობა საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი. ვინც კარგად იცნობს პარიზს, არ გაუჭირდებათ ამ მისამართის მიგნება. ჰოდა, გამოარკვეეს. მერე ერთ-ერთმა პირველმა თვითმკვლელმა ქალმა ეზო დაათვალიერა და ეს სიტყვა დაინახა კედელზე დაწერილი. როგორც ჩანს, იქ 1952-1953 წლებში გოგონა ცხოვრობდა, რომელიც რაღაცებს ფხაჭნიდა კედლებზე. ეს კონსიერაჟსაც დაუდასტურებია. წადით, დაათვალიერეთ ის ეზო. მე ნამდვილად არაფერი დამინერია იმ კედელზე. 1953 წელს ვერ დავწერდი. ძალიან, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მარენში ვცხოვრობდი.

იქ პირველად მარის სიკვდილის მერე მივედი. ეს დანყვევლილი სიტყვა ჩემი საკუთარი თვალით მინდოდა მენახა. არ დამიჯერებთ. არც არის საჭირო, რომ დამიჯეროთ. მოჩვენებების არ მჯერა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მითის ნაწილია, მაგრამ ეს მართლაც ის ეზო იყო, რომელიც წერისას თვალწინ მედგა და...

— რისი თქმა გინდათ?

— სარე არსებობდა. ის არსებობდა და საკუთარ ფიქრებს მკარნახობდა, მე ის არ გამომიგონია, მხოლოდ მისი ფიქრები ჩავინერე. მე ვიცი, რომ ეს ასეა. და სულაც არ ვცდილობ, პასუხისმგებლობას გავექცე.

ლაურა გაკვირვებული უყურებდა და აღარ იყოფა, რა ეთქვა.

— შეიძლება მარის სურათები ვნახო? ფოტოებს ვგულისხმობ — თქვა ბოლოს დაბნეულმა. კაცი შეეყოყმანდა, მერე თავი დაუქნია და ზემოთ ავიდა. გარიბალდი უცხო ქალთან დარჩა. რა უცნაური იყო, არასოდეს რჩებოდა უცხოთან, ყოველთვის პატრონს მიჰყვებოდა.

კაცმა სამი ფოტო მოიტანა, სამივე შავ-თეთრი. პირველ ფოტოზე მარი ძალიან ახალგაზრდა იყო, ახალი ტაცნობილი ჰყავდათ ერთმანეთი, მაშინ გადავიდა მე-7 უბანში საცხოვრებლად. სამზარეულოს იატაკზე იჯდა, უამრავ ცარიელ ბოთლს შორის, სიგარეტს ეწეოდა, ხელები მუხლებზე ჰქონდა შემოხვეული და პირდაპირ ობიექტივში იყურებოდა. მონყენილი ჩანდა.

მეორე ფოტოზე უკვე დაქორწინებულები იყვნენ, კაცს ახალი მიღებული ჰქონდა პირველი სოლიდური ჰონორარი Satyricon Press-ისგან. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, რომ სახლი ეყიდათ. მარი იჯდა თავის პარიზულ ბინაში, ტახტზე, უკან ანე ჩანდა, რომელიც, ეტყობა, იმ დროს მათთან ცხოვრობდა. მარის ხელში წიგნი ეკავა. ძალიან ლამაზი და დასვენებული ჩანდა. მაშინ თავის სადიპლომომ ნაშრომს წერდა. 1975 წელს დაასრულა. სამი წელი წერდა მადამ ბოვარიზე. პატრისის ეს ნაშრომი ძალიან უყვარდა.

მესამე კი მარის ბოლო ფოტო იყო. ანემ გადაუღო, პატრისის თუნდაც იმიტომ უნდა ჰყვარებოდა ანე, რომ ეს ფოტო გადაიღო. მარი სახლის ბაღში, აქ, Chatou-ში პამიდვრებს რგავდა, რემონის ჩექმა და ქმრის ძველი ჯინსის შორტი ეცვა. დაღლილი ჩანდა, შავად შეღებილი თმა კიდევ უფრო აბერებდა. ეტყობა, ანემ მოულოდნელად გადაუღო. მარის დრო არ ჰქონდა, დამალულიყო, როგორც იქცეოდა ხოლმე, როგორც კი ფოტოაპარატს მოჰკრავდა თვალს.

უცხო ქალი ფოტოებს ათვალეირებდა, მისი მზერა, ყველაზე დიდხანს ბოლო ფოტოზე შეჩერდა.

— ძალიან ლამაზი ქალია. — თქვა უცებ და კაცს დაკვირვებით შეხედა.

— ჰო, ყველაზე ლამაზი ქალი იყო იმით შორის, ვინც მინახავს. და ჩვენი ერთად ყოფნის დროს ეს აზრი არ შემცვლია.

— შეიძლება გკითხოთ, შვილები რატომ არ გყავთ?

— შეიძლება თუ არა, არ ვიცი. უბრალოდ მკითხეთ... მარის არ უნდოდა. თუ რატომ, ამის კითხვა კი არ შეიძლება.

კაცმა გაიყინა და ყავა კიდევ დაისხა, ლაურასაც შესთავაზა, მაგრამ მას აღარ უნდოდა. ყავა გაციებულებოდა. ლაურა ჯერ კიდევ ბოლო ფოტოს მისჩერებოდა. კაცი უცებ მიხვდა, რატომ მოსწონდა ეს ქალი. რატომ მოეწონა მაშინვე, კარი რომ გაუღო.

ვერ ბედავდა ამის გაცნობიერებას, მაგრამ ეს აზრი მაინც ეპარებოდა: ეს ქალი — გარდაცვლილ ცოლს აგონებდა.

ამ აღმოჩენამ შეაშინა. რაც უფრო ღიბხანს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო გაიზარდა ეს გაურკვეველი გრძნობა. იგრძნო, როგორ გაუოფლიანდა ხელები დაძაბულობისაგან, საკუთარი სხეული და საკუთარი თავი შეეზიზღა. გვერდზე გაიხედა. ქალმა ეტყობა რაღაც იგრძნო და თავი მიაბრუნა, თითქოს არ უნდოდა მისთვის შეეხედა.

— მოდით, ბაღში გავიდეთ, სუფთა ჰაერზე.

ლაურა უხმოდ ადგა და კაცს გარეთ გაჰყვა, გარიბალდიც. სახლს წრე დაარტყეს.

— რამხელა ფართობია, პარკივით დიდი ბაღია!

— ჰო, მაშინ კარგი შემოსავალი მქონდა, მარიც ბევრს მუშაობდა. მერე გამომცემლობა დაუაარსეთ, მარიმ მთელ საქმეს მართომ მოაბა თავი. ანთოლოგიებს გამოსცემდა.

ეს ანთოლოგიები საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობდა, კარგადაც იყიდებოდა, უკეთესად, ვიდრე ჩემი წიგნები. მთელ საორგანიზაციო საქმეს მარი თავად აკვარებდა. პრინციპში, გამომცემლობა მისი იყო და როდესაც მითხრა, უნდა გავყიდო, ვერც კი დავიჯერე.

— ერთი ადამიანისთვის საკმაოდ დიდია აქაურობა, არა?

— სიცარიელე მინდოდა. ადამიანების დანახვა აღარ შემეძლო, მას მერე, რაც...

ლაურამ სიგარეტს მოუკიდა. სიჩუმეს ახლა რაღაც სამიში გემო დაჰკრავდა. კაცის სხეული უცებ ისეთი დაღლილი და ბეზერი აღარ მოეჩვენა. ამან შეაშინა. პატრისს კი მარის სხეული გაახსენდა, გაახსენდა უამრავი დღე და ღამე, ერთად გატარებული და იფიქრა, რომ მთელი ეს დრო, რომელიც ერთად გაატარეს, მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. გაახსენდა ერთი ღამე, აქ გარეთ, ბაღში ტბასთან ახლოს. მარი ხეს იყო მიყუდებული, შარვალგახსნილი, სიგარეტით ხელში, გამომწვევად უყურებდა. როგორ შესთავაზა თავისი თავი, თითქოს მიჰყიდაო მას, საკუთარ ქმარს. და მერე როგორ უყვიროდა:

— როგორი იყო, ვგავდი მას? ასე გქონდა წარმოდგენილი, ჰა?

— რა?

ქალმა რაღაც თქვა.

— უნა სარე თუ გიყვარდათ-მეთქი, ვიკითხე, ვგულისხმობ, როგორც ქალი, როგორც...

კაცს შეეშინდა. ეს კითხვა მისთვის არავის დაუსვამს, არავის. მარის კი ამ კითხვის დასმა არ სჭირდებოდა.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რასაც გეკითხებით.

— ეს ძალიან... რა ვიცი... ძალიან აბსურდულად ყუფრეს.

— იმაზე აბსურდულად ნამდვილად არა, ვიდრე მთელი ეს ისტორია.

— არ ვიცი.

კაცმა პირდაპირ შეხედა, ამჯერად ლაურამ გაუძლო მის მზერას. ცივი თვალები ჰქონდა.

— კიდევ რა გაინტერესებთ, რით დაგეხმაროთ, რა გსურთ? — ჰკითხა კაცმა უხეშად და თეთრ ყვლზე მიაშტერდა, ამ ქალის, ალბათ, ყველაზე დაუცველ ადგილს — და თქვენ? — კითხვა დაუბრუნა ქალმა.

მარი ხშირად ღალატობდა მას. მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. მანაც ყოველთვის ყველაფერი იცოდა და პატიობდა. იცოდა, მარი ამას რატომ აკეთებდა. რისთვის უხდიდა სამაგიეროს. ეს ბუნების კანონივით იყო: მარი მას ღალატობდა და მერე უკან ბრუნდებოდა.

— მგონი, უკვე შეამჩნიეთ, რაც მინდა. — ისე თქვა კაცმა, რომ არც კი დაფიქრებულა, რას ამბობდა.

უცებ ეს უცხო ქალი მისკენ დაიხარა და აკოცა, კოცნა ცივი და გათვლილი იყო, მაგრამ ეს კოცნა იყო — მან ქალს მაჯაზე ხელი მოჰკიდა და აღარ გაუშვა.

მერე უხმოდ წავიდნენ ფარდულისკენ. ქალი მიჰყვებოდა, კაცს მისი ცივი ხელი ეჭირა. ფარდულში ქალმა გახდა დაიწყო. კაცი მის თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდა. ქალს ულამაზესი მკერდი ჰქონდა. სავსე და მძიმე. ქალმა ხელის ერთი მოძრაობით გაიძრო შავი ლიფი და ჯინსის შარვლის ამარა დარჩა. კაცი არ ინძრეოდა. მერე მიუახლოვდა, დაიჩოქა, მუცელზე მიადო თავი და შარვალი გაუხსნა. უცხო ქალი გათვლით აღარ მოქმედებდა, რაღაცნაირად მოეშვა, მოდუნდა. ეს ქალი მის ცოლზე უფრო მიუსაფარი იყო. არ იყო მარისავეთ რბილი და მიმტევებელი, მაგრამ მანაც ძალიან ახლობელი იყო. მგრძნობიარე და მოქნილი სხეული ჰქონდა, გამოცდილი.

კაცმა შარვალი გახადა.

ქალმა აკოცა. მომდევნო კოცნა უფრო რბილი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. ქალი ძირს დანვა. კაცს ხელი მისი თავის ქვეშ ჰქონდა ამოდებული, მაგრამ მანაც ვერ ახერხებდა ქალის თავი ტკვილისგან დაეცვა, რომელიც ყოველი მოძრაობისას წარმოიშობოდა. მაგრამ ქალი, როგორც ჩანს, შეჩვეული იყო ტკვილს.

55. აპიდაპი (2004)

ლაურა სასტუმროს საწოლზე შიშველი იწვა. მთელი ორი საათი გაატარა აბაზანაში, ტანს იხეხავდა, ცივი შხაპის ქვეშ, მაგრამ ვნება მანაც ვერ განდევნა სხეულიდან. ლაურა შეეცადა, მართლაც შეეცადა ცივი წყლით ჩაეჭრო ის, რაც მასში იწვოდა. შეეშინდა კიდევ, შეეშინდა საკუთარი სხეულისა, რომელიც თითქოს მისგან დამოუკიდებელი გახდა, რომელიც უკვე რამდენიმე საათია აღარ ემორჩილებოდა.

ლაურას აპიდაპი გაახსენდა, ასოების თანმიმდევრულობა, ეს ბავშვური უღერადობის გულუბრყვილო დაცულობის სიმბოლო. უკვე ამსტერდამში დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი. ამ ყველაფრისთვის თავი უნდა დაენებებინა, აღარც სხვა ადამიანების ცხოვრებაში უნდა ჩაეყო ცხვირი. მაგრამ ახლა დაბრუნება არ შეეძლო, ჯერ არა. რაღაც ისეთი არსებობდა, რაც აუცილებლად უნდა გაეგო, რაც ძალიან ახლოს იყო, ხელის განვდენაზე, აი, ცოტაც, სულ ცოტაც და მისწვდებოდა, მოიხელთებდა.

ამ უცნაურმა კაცმა ის შემამინებელი ვნება გაუღვიძა, რომელმაც მის ცხოვრებაში ამდენი რამ დაანგრია და მკვდარი ბავშვი აშობინა. ლაურამ წიგნი აიღო და მონიშნული ადგილების კითხვას შეუდგა:

„მე გადავიშლით ჩემს სხეულს და უფლებას მოგცემთ, ჩემი გონება გააუპატუროთ. მე ხომ ცინულივით ცივი ვარ და ლოდივით უტეხი. მე ვთვრები სხვათა თრობით. უცხო სხეულის ოფლი ჭუჭყად მენებება კანზე. თქვენ მე მიცნობთ? მიცნობთ? უფლებას მოგცემთ, ჩემი სხეული გადაცუროთ, უფლებას მოგცემთ, ჩემს გულში შეაღწიოთ, რათა იქ ვერცხლის ხანჯალი იპოვოთ და ამ ხანჯლით გული გაიპოთ, განზილებული და შეურაცხყოფილი გული. მოდიოთ, ნუ გეშინიათ. თქვენ მე ვედარასდროს მიხილავთ, მე ჩემს ნაკვალევს ნაშვლი თქვენს სხეულიდან. მოდიოთ, შემოდიოთ. მე ხომ უსასრულო ვარ“.

არა, ამ სტრიქონების ავტორი ან ნამდვილად უზომოდ უბედური უნდა ყოფილიყო, ან მანიაკალური მამოხისტი. ლაურამ თავი გააქნია, თითქოს ნაკითხული გააქანწყლო. არა, ალბათ ორივე. უცბად მობილურს დაავლო ხელი.

— ნადინ, ლაურა ვარ — შენობითი ფორმა თავისთავად მოვიდა.

— ველოდი შენს ზარს.

— უნდა ვნახო, რაც შეიძლება სწრაფად.

— სახლში ვარ, გამომიარე.

მე-3 უბანში ლაურა ამჯერად რუკის გარეშე წავიდა.

ნადინი უფრო ახალგაზრდა და მოსულიერებული ჩანდა. ლაურას უთქმელად დაუდო საფერფლე.

— დუშამპს ველაპარაკე, — უთხრა ლაურამ.

სიტყვა ველაპარაკე ყალბად და სასაცილოდ ჟღერდა. ნეტავ რამდენად შორს უნდა შეეტოპა ამ ისტორიაში?

— ეგ ნაბიჭვარი... ალიარა?

— მარიმ, მარი ბესონვილმა თავი მოიკლა. „გამყინვარების ხანის“ ბოლო მსხვერპლი ის იყო.

— მარი ბესონვილი... ნაცნობი სახელია... გამომცემელი არ იყო?

— კი, იშვიათად იხსენებენ, რომ დუშამპის ცოლი იყო.

არ ვიცი, რატომ, ალბათ უფრო მეტი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მაინც ცნობილი იყო. ეს ყველაფერი იმდენად ცხადი იყო, რომ ვერავინ დაინახა.

— მას მერე, რაც აქ იყავი, ეს ამბავი მოსვენებას არ მძლევს. მინდოდა მეკითხა, რამით ხომ ვერ დაგეხმარებოდა? მარსელი მამამისთან ერთად ორი კვირით არდადეგებზე მიდის. მე პროვანსში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ დავრჩები. მინდა, რომ...

— დუშამპი უცნაურად ლაპარაკობს. თითქოს ბოლომდე არ შლის კარტს. პირველ რიგში, მინდა ვიცოდე...

— რა?

— ოლგას ჩანანერები გაქვს? შეიძლება, ვნახო?

— ჰო, გაჩვენებ, მაგრამ ეს ჩანანერები ფაქტობრივად ორიგინალის იდენტურია. ოლგამ წინადადებები უბრალოდ გადაწერა და ხანდახან შენიშვნებს ურთავდა, თუმცა უფრო მეტად კითხვის ნიშნებს უსვამდა ტექსტს.

— სიტყვა „Distraction“ გახსოვს? ოლგას ჩანანერებშიც არის ეს სიტყვა? წიგნში ეს სიტყვა წერია სადმე? რა დატვირთვა აქვს?

— ოლგამ ეს სიტყვა რამდენჯერმე ახსენა. მახსოვს რადგან წიგნშიც არაერთხელ ჩანერა, თუმცა ეს სიტყვა „გამყინვარების ხანაში“ არ წერია. რატომ მეკითხები?

— დარწმუნებული ხარ, რომ ეს სიტყვა წიგნში...

— კი, წიგნი კარგად, ძალიან კარგად შევისწავლე. დამიჯერე.

ლაურამ ნადინს Rue Bonaparte-ის ეზოს შესახებ უამბო.

— ჰო, მაგრამ ეს ხომ შეიძლება უბრალოდ ტყუილი იყოს?

— მერე ოლგა? დუშამპს რომც დაეწერა ეს სიტყვა, ოლგასთან რატომ გაჩნდა?

— შეიძლება დაინახა, იქ, ეზოში, მაგრამ...

— ჰო, ზუსტადაც, რომ მაგრამ. ეს ყველაფერი ერთმანეთს არ ემთხვევა. წიგნში არსად არ წერია სარეს მისამართი. საიდან მოიტანეს ეს ქუჩა? რატომ მინცდამინც იქ? ვინ წამოიწყო იმ ეზოში კვლევა? დარწმუნებული ვარ, რომ „გამყინვარების ხანა“ დუშამპმა დაწერა, მაგრამ იქნებ მანაც ვილაცისგან გადაწერა? ძალიან გთხოვ, წალი ამ მისამართზე და გაარკვიე. ხელწერის ექსპერტიზა გვჭირდება. ვინმე ექსპერტს ხომ არ იცნობ?

— კი, ვიცნობ ერთ ექსპერტს.

— კარგი, მე დუშამპისგან რამეს წამოვიღებ. შეგვიძლია ექსპერტს დავეკითხოთ. დარწმუნებული ვარ, ის სიტყვა იქ ისევ წერია. ხვალ თვითონ წავალ და ვნახავ.

— კარგი, ვნახავ. მიშელს დაფურეკავ.

ლაურა წამოხტა, ნადინს გადაეხვია და კიბეებზე ჩაირბინა. სასტუმროში დაბრუნდა, ფრიკი უნდა ენახა და ბოდიში მოეხადა. წელიწადნახევრიანი ასკეტიზმის შემდეგ, 48 საათის განმავლობაში ორ სხვადასხვა კაცთან ჰქონდა სექსი.

ლაურამ ფრიკის ოთახის კარზე დააკაკუნა. ფრიკმა კარი მაშინვე გააღო და შეშინებული მიაშტერდა. ლაურა ოთახში შევიდა, არც უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა.

— ბოდიშის მოხდა მინდა, იან. მგონი, წუხელ გედმეტი მომივიდა და...

— არაფერია. როგორც მივხვდი, წუხელ სასტუმროში არ მობრუნებულხარ.

ეს რა იყო? ეჭვიანობა თუ ცნობისმოყვარეობა?

— არა!

რატომ არ მოატყუა ნეტა?

სასტუმროს ოთახში იდგნენ, ყველგან შეიძლებოდა ასე მდგარიყვნენ. ალბათ ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ღროში. ლაურა ფრიკთან მივიდა და გადაეხვია. ფრიკს სიფრიფანა სხეული ჰქონდა, აბრეშუმით.

— მინდა მეც გავიგო, რა გაიგეთ, — სევდიანად შესჩვილა ფრიკმა.

— ხვალ „De Flore“-ში ვიქნები, ზუსტად თორმეტ საათზე და ყველაფერს მოგიყვებით, კარგი?

— კარგი.

ლაურამ ლოყაზე აკოცა და ოთახიდან სწრაფად გავიდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, ისეთი დაღლილი ვარ, ნეტა მანქანის ტარებას თუ შევძლებო, მაგრამ მანქანის კარი გამოაღო და მანქანის საათზე 22:49 რომ დაიწერა უკვე Chatou-ში იყო.

ჭიშკარი ოდნავ შეღებული დახვდა. მანქანა პირდაპირ ჭიშკრის წინ დააყენა და ეზოში შევარდა. მთელი საღამო დარბოდა. არ იცოდა, რისთვის და რატომ.

პირველ სართულზე სინათლე ენთო. ფარდულის ფანჯრიდან სანთლის სუსტი შუქი გამოდიოდა. ის იქ იყო, საოცარი სიჩუმე იდგა.

კარის წინ გაჩერდა, გული გამალეებით უცემდა. მერე მისი სახელი დაიძახა.

შიგნიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა მოესმა. უცებ კაცი მის წინ აღმოჩნდა, თეთრი თმა გაჩეჩილი ჰქონდა. უკან ძალლი მოჰყვა და ყვეფით მიესალმა ლაურას, მერე ხელი აულოკა. ლაურამ ახლადა შენიშნა, რომ ეზოში ისე შემოვიდა, ძალღს არ დაუყეფია, თითქოს ახლობელი მოვიდაო.

ლაურამ არ იცოდა, რა ეთქვა. კაცს სახეში უყურებდა, თითქოს ათვალეერებდა. მერე მისი ხელი აიღო და კოცნა დაუნყო, თითის წვერებს უკოცნიდა და თან კაცს თვალს არ აცილებდა. თვითონაც არ იცოდა, რას და რატომ აკეთებდა, მთელი დღის მანძილზე რატომ ვერ იშორებდა ამ კაცის ნახვის სურვილს. რატომ ვერ ჩამოიბანა მისი ნაკვალევი ცივი შხაპის ქვეშ? ამ ადამიანის რა საიდუმლოს ეძებდა, რომელიც წიგნის მიღმა იმალებოდა? თუ ბოლოს ლაურას გზაც იმ სამინელ წიგნს მიადგებოდა?

კაცმა თავის კაბინეტში შეიყვანა. ოთახში სამი დიდი სანთელი ენთო, მაგიდაზე ძველი საბეჭდი მანქანა იდგა, გვერდით კი ფურცლები ეწყო. ოთახი წიგნებით, რვეულებითა და ქალაღდის პატარა ფურცლებით იყო სავსე. ბიბლიოთეკის სუნი იდგა.

ლაურა კაცის სახეს აკვირდებოდა: ამ სრულყოფილ, ლამამ ცხვირს და რუხ, ამოღამებულ თვალღებს, დაბლა დაშვებული ტუჩის კუთხეღებს, ნაოჭღებს, მისი ცოლის კვალს მის ნაკვთეღში.

კაცმა იცოდა, რატომ მოვიდა ლაურა. კაცი მას ელოდა და ლაურამაც იცოდა ეს. შხაპის მიღების შემდეგ ლაურას შიშველ სხეულს ჯერ კიდეგ შერჩენოდა სასიამოვნო სურნელი. იქნებ ეს ვნება კაცის სხეულის საიდუმლოს შეცნობის ინსტინქტით იყო განპირობებული? იქნებ სხეული უბრალოდ მატერიალიზებული ტექსტი იყო, სარეს ტექსტი? არა, არა, ასე არ უნდა მოქცეულიყო, ლაურა აქ არ უნდა მოსულიყო. მაგრამ ვერაფერს უხერხებდა საკუთარ თავს, გრძნობდა ამ კაცის თავდაჯერებულ ხელს — როგორ მიუყვებოდა ის მის სხეულს, როგორ ეცნობოდა ლაურას და ეს მოსწონდა, ეს უნდოდა. მაგიდას იყო მიკრული და კაცს სახეში უყურებდა. Distraction. Distraction. ყურში მხოლოდ ეს სიტყვა ჩანსმოდა. მერე თითქოს რაღაც აფეთქდა მასში, ლაურამ წამოიყვირა და კაცს ჩაებლაუჭა. კაცი ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდა, თითქოს მისი შესწავლა სურდა.

— თუ გინდა, შეგიძლია, ამადამ აქ დარჩე. — მშვიდად უთხრა და გარეთ გავიდა.

ლაურამ სიგარეტს მოუკიდა და საცვალი ჩაიცვა. ძალღი გარეთ იყო, ალბათ შიგნით არ უშვებდნენ. ეტყობა ეს ბრძენი კაცის სამოღობებლო იყო. ლაურამ ოთახში მიმოიხედა.

კედელზე ჩარჩოში ჩასმული ფოტო ეკიდა. ძალიან ძველი სურათი. ორი პატარა გოგონა. ერთი ცოტა უფროსი და თავის სიმორცხვეში დაკარგული და მეორე უფრო თავხედი, ჯიუტი. ორივე კიბეზე იჭდა, უკანა ფონზე აგურის სახლი და შესასეღელი კარი ჩანდა. გოგონები ობიექტივში იყურებოდნენ. უმცროსს წითური თმა კ აპრეხილი ცხვირი ჰქონდა, თავისი ასაკისათვის სრულიად შეუფერებელი, ნამდვილად ორი ზომით დიდი კომბინეზონი ეცვა, რადგან მკლავები და შარღლის ტოტები აეკეცა. მეორე გოგონა უფრო წყნარი და ი მორიდებულიის, შთაბეჭდილებას ტოვებდა. წვრილი სათვალე ეკეთა და კუბოკრული კაბა ეცვა, რომელიც სულაც არ უხდებოდა — ზედმეტად ბავშვური და გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა.

ოთახში უამრავი წიგნი ეწყო. ერთი თარო სავსე იყო კაცის მიერ დაწერილი წიგნებით, დანარჩენი კი სხვა დასხვა ჟანრისა იყო. წიგნები არ დაეხარისხებინათ.

ფანტასტიკა, საშინელებათა ჟანრის კლასიკა, მათ გვერდით, „ომი და მშვიდობა“ და პოლ ვერლენის ლექსები. ლაურა მაგიდასთან დაბრუნდა და უცებ გაეღიმა. გაახსენდა, რომ რამდენიმე წუთის წინ შიშველი უკანალით ეკვროდა ამ მაგიდის კიდეს.

მაგიდაზე სავსე საფერფლე, ორი ნახევრად დაცლილი ყავის ჭიქა, და ერთი კოქტეილის ჭიქა იდგა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, კარგა ხანია არავის ეხლო ხელი.

მაგიდაზე მღვარ აბაჟურზე პატარა ნახატი მიეყუდებინათ. სურათზე კუს მსგავსი კაცი ჩანდა. იქვე ქვემოთ ასო მ. მიეჭაბნათ. ლაურა საბეჭდი მანქანისკენ დაიხარა, დაკანრული მანქანის კლავიატურას ასოები თითქმის აღარ ეტყობოდა, ბეჭდვისგან ნაშლილიყო. კლავიშები ხელით ოდნავ შეეხო და რაღაც სიახლოვე იგრძნო. მანქანის გვერდით დადებული საქალაქო გადაათვალიერა, ერთადერთი მოწესრიგებული რამ მთელ ოთახში. ფურცლები ხელით შევსებული, ძალიან პატარა და ძალიან უბრალო ხელწერით. ეს წინადადებები... ეს სარე იყო.

ლაურამ საქალაქო ხელი გაუშვა, თითქოს მოწამლულიყო და სწრაფად ჩაიკვია შარვალი. კაცი სინით ხელში შემოვიდა. გარეთ ძალღი ყეფდა. კაცმა რამდენიმე ფრანგული სიტყვა დაუყვირა. ორი ბავები მოიტანა, კარაქი, ყველი და ორი ბოთლი ლუდი.

— მომშივდა და ვიფიქრე, რომ...

— კარგი იდეაა. ძალღს აქ არ უშვებ?

— აქ არა. აქ სიმშვიდე მჭირდება.

ლაურამ ერთი ნაჭერი ყველი შეჭამა და ლუდი მოწრუპა.

— პატრის! — წარმოთქმისას გაიფიქრა, რომ ამ სახელს ალბათ სიამოვნებით შეიყვარებდა.

— რა? — კაცი ტახტზე იჯდა და მადიანად შეეცქეოდა ვახშამს.

— საქალაქო ვნახე. — ლაურა ზურგით იდგა.

— ჰო?

— ის საქალაქო.

— მერე? — კაცი მშვიდად განაგრძობდა ჭამას.

— ესე იგი ის ჯერ კიდევ არსებობს? ესე იგი, წერას აგრძელებ?

— ლაურა, ახლა არა, ახლა არა, ძალიან გთხოვ!

— წამაკითხე!

— არა! — წამოიყვირა კაცმა და პური ხელიდან გაუვარდა.

56. ქალი (2004)

ვინ ხარ შენ? არ გიცნობ, მაგრამ შენ მაინც ჩემი ხილვების მოპარვა. უკან დამიბრუნე! მე ხომ მის გარეშე არაფერს წარმოვადგენ, სიცარიელე ვარ!

საოცრად მემინოდა, ლინ, ხანდახან, როდესაც გიყურებდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: საიდან მომეგლინე, რატომ გაჩნდი ჩემში იმ კაცის ანდერძით, რო მელსაც მამას აღარ ეძახი და ასეც უნდა იყოს. არც უნდა დაუძახო. ის ამ მიმართვას არ იმსახურებს! აღარ!

ერთხელ შემომხედე და მკითხე, ღმერთი არსებობს? მაქსი მასთანააო? მე გიპასუხე, კი-მეთქი, მაგრამ მოგატყუე.

მერე ფრანკზე მკითხე, ისიც იქ არისო? და მე გიპასუხე არა-მეთქი. შენ დაიბენი და მკითხე, აბა, ფრანკი ეშმაკთან არისო? და მე გიპასუხე, არა, უბრალოდ აღარ, არის-მეთქი. მაგრამ ამჯერადაც მოგატყუე, ლინ. სიმართლე კი ის არის, რომ მე არც არაფერი ვიცი.

ხანდახან მგონია, რომ მაქსიც აღარ არის, და სასოწარკვეთილება მიპყრობს. ვერ დამიშვია, არ მინდა, რომ ასე იყოს! მინდა, მაქსი იყოს, არსებობდეს. მინდა ის ადგილი ვიპოვო, სადაც შეიძლება მაქსი იყოს, იქნებ ფრანკიც, გესმის ჩემი, ლინ? მე შენ გიღალატე. ვწუხვარ, ლინ, მართო რომ დაგეტოვე. ძალიან მაკლიხარ.

თავის ბლოკნოტში დიდხანს ეძება და ბოლოს დაჭმუჭნილ ქალაქდღმე ლინის ხელით დაწერილი ნომერი იპოვა: ნომრის გვერდით „ბანაკი“ ეწერა. ტიპური ლინი. მხოლოდ ყველაზე საჭირო ინფორმაცია. უსასრულოდ გრძელი ნომერი აკრითა.

იქნებ გამართლებოდა, იქნებ ლინი ჯერ კიდევ ბანაკში იყო და არა ადელაიდაში ბებიასთან. იქნებ იქ ისე მოეწონა, რომ მეტხანს დარჩა.

სრულიად შეუფერებელი დრო იყო ახლა მის ქვეყანაში დასარეკად, იმ შორეულ კონტინენტზე, იმ მიკარგულ ბანაკში, მაგრამ უცბად ისე მოუნდა ლინის ხმის გაგონება, რომ მანაც დარეკა. ჯერ არავინ იღებდა ყურმილს, ბოლოს მამაკაცის დაღლილი, ბოხი ხმა გაისმა.

— ლინ ლოუელის დედა ვარ. მასთან დალაპარაკება მინდა. ვწუხვარ, ასე გვიან, ანუ ადრე, რომ... მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია.

— ვისი დედა?

— ლინ ვიქტორია ლოუელის.

— ერთი წუთით, დამელოდეთ.

ფრანჩესკა ღელავდა, შუბლზე ოფლის წვეთები მოიწმინდა.

კარგა ხანი გავიდა, ლამის მთელი საუკუნე, შეეშინდა, ლინი ნასული ხომ არ არისო, მაგრამ უცბად მისი ხმა გაიგო, ასე ახლობელი, მშვენიერი ხმა და თავისი ქალიშვილი წარმოუდგა თვალწინ — საკუთარი სქესის უარყოფელი, გაორებული ლინი, თავისი ჩამოუყალიბებელი ნაკვთებით.

— დეეეე?! — ამ „ე“-ს ყოველთვის უსასრულოდ წელავდა. — რა მოხდა?

— ლინ, საყვარელო...

— ღმერთო, დე, რა მოხდა?

საერთოდ არ ჰქონდა ნამძინარევი ხმა.

— ნუ გეშინია, არაფერი მომხდარა. შეგიძლია დამელაპარაკო?

— ჰო, რა თქმა უნდა. სად ხარ, დე?

— პარიზში ვარ, ლინ. საფრანგეთში. აქ დავრჩი და ცოტა ხანს კიდევ აქ ვიქნები.

ათენში აღარ წავედი, აქ რალაც ვიპოვე, მოგვიანებით აგისხნი, ახლა არა. მაგრამ შენი ხმის გაგონება მინდოდა, მინდა, რომ შევძლოთ, იცი...

— ნასვამი ხარ, დე?

— არა, ლინ, ნასვამი არ ვარ. უბრალოდ მენდე, კან გი? მხოლოდ ამ ერთხელ დამიჯერე. მინდა, რომ შეგწყვიტოთ, ჰო, შეგწყვიტოთ ერთმანეთის მოტყუება. მინდა გითხრა, რომ უზომოდ მიყვარხარ და ვწუხვარ, რომ ხშირად გატყუებდი, რომ ხშირად ყურადღებას არ გაქცევდი, ხშირად შენ გვერდით არ ვიყავი, მაგრამ მინდა და ვიცი

რომ უნდა შევიცვალო. მინდა, ლინ, შენთვის და ჩვენთვის. მე მჯერა შენი, ლინ. ვწუხვარ, რომ ნერვებს გიშლი და სულ ლინს გავიძახი, მაგრამ ამას ვეჭიდები, იცი? შენი სახელი ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ხელჩასაჭიდი რამაა და ამიტომ ვიმეორებ ასე ხშირად, რომ საყრდენი ვივარძნო. თითქოს მერე ყველაფერი უკეთაა, უფრო იოლია. ძალიან მიყვარხარ, ლინ!

— დე... — ლინს ხმა აუკანკალდა. ფრანჩესკამაც ცრემლების მარილიანი გემო ივარძნო პირში.

— მე მაქსი შენზე მეტად არ მყვარებია. ვიცი, ასე ფიქრობ, მაგრამ ცდები! იცი.. როდესაც ვინმეს კარგავ, სხვა ადამიანებს ვეღარ ხედავ მწუხარებისგან, გესმის? ხანდახან გავიწყდება, რომ შენ გვერდით სხვა ადამიანებიც არიან, რომლებიც ისევე გიყვარს. ძალიან მინდა, მაპატიო.

— დე.. — ლინი ტიროდა. ფრანჩესკა კი ცდილობდა გაეხსენებინა, როდის ნახა ბოლოს შეილი ატირებული. ლინი თითქმის არასდროს ტიროდა.

— მეშინოდა. მეკონა... წახვედი. სამუდამოდ.

— არა, არა, ლინ, რას ამბობ. ჩამოვალ და ყველაფერ თავიდან დავიწყებთ, ყველაფერი სხვანაირად იქნება, კარგი? არ მინდა შენი დაკარგვა, ლინ! ამას ვეღარ გადავიტან!

— არც მე მინდა, დე!

ახლა მის ცრემლებს ნაზი ღიმილი შეერია. რა ლამაზი იყო ლინი, რა მშვენიერი, როცა იღიმებოდა. და რა კარგი იყო, რომ თავად ამას ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა.

— კარგია მანდ? როდის მიდიხარ ბებიასთან?

— ჰო, მაგარია. ვერთობი. კიდევ ხუთი დღე დავრჩები აქ, მერე ბებია ჩამომაკითხავს. არ უნდოდა, რომ მარტოს მემგზავრა. ხომ იცი როგორია! კარგია პარიზში? რას აკეთებ? — ლინი სხვანაირი იყო, უფრო გულახდილი.

— რაღაცას ვარკვევ. რთული, გრძელი ისტორიაა, სხვა დროს მოგიყვები. მაგრამ ქალაქი ძალიან საინტერესოა, შენ მოგეწონებოდა. ოდესმე აქ ერთად ჩამოვიდეთ, კარგი?

— კარგი. დე...

— გისმენ.

— რაღაც მინდა გითხრა... მე...

— რა მოხდა?

— არაფერი, არაფერი... მაშინვე ნუ განერვიულები ხოლმე. მე... მოკლედ, მე და ერთი ბიჭი...

— ლინ?

— მე და ის ბიჭი...

— რაა? ვინ ბიჭი?

— ძალიან მომწონს.. შენ არ იცნობ, ძალიან მაგარია. 17 წლის არის და St. Helens High-ში სწავლობს. ჯიმი ჰქვია.

— მიხარია, ლინ. არ იცი, როგორ მიხარია, რომ გამომხილევ და მითხარი? როგორ მინდა, ბედნიერი იყო!

— მგონი ვარ კიდევ, დე.

— მიყვარხარ, ლინ!

— მეც მიყვარხარ, დე!

- რომ ჩამოვალ, იმედია გამაცნობ.
- მოდი, მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ, კარგი?
- კარგი.

ლინის ხმა კიდევ დიდხანს ჩაესმოდა ფრანჩესკას, ცა, ყურმილი კარგა ხნის წინ დაკიდა. რა სასაცილო იქნებოდა — ლინი და ვილაც ჯიმი. ალბათ მოუქნელი ტიპია, ჭორფლიანი და ისეთი, შეგნებულად რომ იცვამენ ცუდად. და ლინმა ეს სიახლე მას გაანდო. რამდენიმე კვირის წინ ასე არ მოიქცეოდა, არაფრით არ მოიქცეოდა ასე.

ცა მოლუშული და მოლრუბლული იყო. ფრანჩესკა თავისი სამგზავრო ჩანთის წინ იდგა, რომელსაც ჯერ კიდევ კარადად იყენებდა. მერე მთელი ტანსაცმელი ამოალაგა, გულდასმით დაკეცა და ერთ დიდ პარკში ჩაანყო. სააბაზანოში შევიდა, წყალი გადაიფლო, მერე ფრჩხილების მაკრატელი აიღო და მხრებამდე ჩამოზრდილი რბილი თმა მოიჭრა. უსწორმასწოროდ გამოუვიდა, მაგრამ ეს არ ადარდებდა. ყვავილებიანი კაბა ჩაიცვა, კაბა, რომელიც შარმან ჯენისთან ერთად იყიდა, და გარეთ გავიდა.

ტანსაცმლიანი პარკი თან წაიღო და პანსიონის უკანა ეზოში მდგარი ნავის კონტეინერზე შემოდო. სველი და მოკლე თმა თავისუფლების განცდას ანიჭებდა.

ახლა აღარაფერი ჰქონდა, თავისი პატარა ხელჩანთაც კი არ წამოუღია, მხოლოდ რამდენიმე დაჭმუჭნილი კუპიურა ედო მუჭში.

ალბათ პატივბასაც სწავლა სჭირდებოდა.

სამყარო ამ წამს სულ სხვა მხარეს ტრიალებდა.

ცა მტერიანი იყო და ყველანი ერთად ვიყავით: მაქსი, ლინი, ფრანკი და მე. ჩვენ ვარსებობდით. ჩვენ ყველანი ვარსებობდით. ერთად.

57. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

„უკიდევანოა ჩემი ოცნება, უსასრულოა ჩემი ცინულის სასახლე, რომელშიც არავის ვახედებ. მე ყველას ომი გამოვუცხადე. აღარც შენთან მინდა მოსვლა, აქილევს! მომბზრდა, დავიღალე. ყოველ ნგრევას მუსტად აღვუნუსხავ დროის ფურცლებზე. ოდესმე იპოვიან, გამიხსენებენ. აუცილებლად გამიხსენებენ.“

ვტოვებ ფერფლით სავსე საფერფლეებს, ვტოვებ ოფლის მარგალიტებს, მარტოობის ათასობით კილომეტრსა და ღია ჭრილობებს, ვტოვებ შიშის ლაქებსა და ომს. და ვტოვებ სიყვარულის დამსხვრეულ სურათებს. მე მოვალ, აქილევს, მოვალ, შე მოძალადევ! გინდა შური იძიო, გამისწორდე? მაგრამ ხარ კი ასეთი ძლიერი, რომ შემეჭიდო?

მე გადავიშლები, როგორც წიგნი და მოგცემ უფლებას, რომ წამიკითხო, რომ გადამსურო, მაგრამ შორს ვერ წახვალ, გვირაბის ბოლოს ნაჯახს იპოვი და თავს გაიპობ, რადგან შენი ბოლო ოცნებას ჩემთან ერთად დასრულდება, გათავისუფლების ბოლო იმედი დაიმსხვრევა. გინდა ვითხრა, რატომ განიცადე მარცხი, გინდა? იმიტომ, რომ მოლოდინით სავსე იყავი“.

სანოლის გვერდით დანთებული სანთელი თითქმის ჩაინვა, უკვე რამდენი დღეა შუქი გამოურთეს, ბინის ქირა ნაქურდალი ფულით გადაიხადა.

გადაპარსული თავით, ლაბადაში გახვეული, სამინლად გამხდარი, ნახევრად შიშველი — შიშველ ბინაში. მაგიდა ძველმანების ბაზრობაზე იყიდა, მატრასი ძალიან

ძველია, ჭეჭყიანი და გაუბედურებული, ათას ისტორიას ინახავს და ათას ლაქას. გოგონა მკვდარი თევზის თვალებით, სიმახინჯის ზღვარზე. გოგონას ოპიუმი აქვს, გრძელწვერა კაცმა უშოვა; არაბმა, ომის ვეტერანმა, სუფთა ფრანგულით მოსაუბრემ. გოგონაც არ დარჩენილა მასთან ვალში.

ოპიუმს კილიტიდან ეწევა. ღამე ბნელია და ქარიანი, მალე ზამთარი მოვა და ყველაფერს დაასამარებს სიჩუმე და სიკვდილი დაისადგურებს ირგვლივ. გოგონა ნელ-ნელა ჭკუიდან იშლება, მარტობა მისი სხეულის თითოეულ უჯრედში აღწევს. გოგონას ცოტათი ეშინია, მხოლოდ ცოტათი. მისი უჯრედებიანი რვეული თითქმის სავსეა მისივე ბავშვური ხელნაწერთ. მალე ყველაფერი დასრულდება.

დასასრული ვი თეთრია და მშვენიერი. გოგონამ იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

კვამლი მალლა აღწევს, ტვინამდე, თვალები უმძიმდება და ცარიელი ოთახი კიდევ უფრო ფართოვდება, ფერები სიმკვეთრეს იძენს. ამწუთას ის არაბი უყვარს, ალბათ ერთადერთი ადამიანი მთელ მსოფლიოში. და უხარია ეს ხანმოკლე ბედნიერება.

ვიდაც მის სამყაროში შემოდის, ქალი, ლამაზი ქალი. ოღნავ ფერმკრთალია და კოპლებიანი კაბა აცვია. გოგონა ხელს მისკენ იშვერს და იცინის, ახალგაზრდა ქალი უახლოვდება, კალთაში უჯდება და იღიმის.

— მე ოლგა ვარ, მხოლოდ ახლა შევძელი მოსვლა, აქამდე შენკენ ვიკვალავდი გზას, დიდი დრო დამჭირდა. ერთმანეთს დროში ავცდით. — ეუბნება გოგონას და მის ცივ ხელებს ეფერება. მერე წინ იხრება და ყელზე ჰკოცნის.

— დროში?

— ჰო, მე შენ კარგად გიცნობ, ძალიან კარგად. შენ მკვდარი იყავი, როდესაც მე ვცოცხლობდი. — გოგონა იცინის. თავად არ იცის, რატომ.

— მართლა?

ახალგაზრდა ქალი კი, რუსული სახელით და მუქი თმით, მას აშტერდება, მერე ტუჩებში კოცნის. რა მშვენიერი კოცნაა.

— ჰო, უბრალოდ, დროში ავცდით. იმდენ ხანს გელოდი.

მუქი თაფლისფერი, დიდი თვალები აქვს და სავსე, სველი ტუჩები.

ერთმანეთს ეხვევიან და ცეკვავენ. მთელი ეს ცარიელი ბინა ცოცხლდება, თითქოს აქამდე მათ ცეკვას ელოდებოდა.

— ყველაფერი გავაკეთე, რაც დაიბარე, მაგრამ მაინც ვერ ვიპოვე ვერაფერი. მართლა, დროში ავცდით ერთმანეთს, — ისევ იმეორებს ქალი.

გოგონას ტირილი უნდა. ეს სიახლოვე ყოველისმომცველია.

— შენ მკვდარი ხარ?

— ჰო, მაგრამ მაინც ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ, შენთვის ზედმეტად ახალგაზრდა, — ეუბნება ქალი. ხმას აღარ იღებენ, ცეკვას აგრძელებენ.

— მე მოგკალი?

ეკითხება გოგონა და უცებ მის წინ იჩოქებს. ქალი ღუმს. თავს გვერდით ატრიალებს.

დილით იღვიძებს და გული ერევა. მარტოა, მაგრამ საიდუმლო აქვს, რომელიც არ უნდა, სამყაროს გაუზიაროს.

ჩამოვალწნიე. უცხო ქვეყანაში ჩამოვედი. მრავალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობ, დღეს სავაჭრო ცენტრში ვიბოდილა: რომელი კოსტიუმი მოვირგო? რომელი მე ავირჩიო დღეს ჩემთვის? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

ქალაქი დიდია და ტყუილებით სავსე, საიდუმლოებებითა და მოვრალი სახეებით — და ქალაქი წამნამებზე მა წვება. თვალის ყოველი დახამხამება ქალაქთან ბრძოლას ნიშნავს, შერკინებას, ფარიკაობას. და მე მაინც არც და სანყისი ვიცი და არც დასასრული.

წუხელ შენმა აჩრდილმა მომიკაკუნა. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა და მზად ვიყავი, კარი გამეღო. დღეს კარს აღარ გავაღებდი, დღის შუქზე არ გავაღებდი.

მსოფლიოს საუკეთესო ღვინოს ვსვამ, ღვინოს ღვინის ქვეყნიდან, რომელიც აქ იმაზე გემრიელია, ვიდრე იქ, საიდანაცაა. ჩემი ტელეფონი დღეს. ცოტა ვინმე თუ იცის ციფრები, რომლებიც მათ ჩემთან დააკავშირებთ, ჩემი ჩრდილების სამყაროში. თათლი ჩაიში, შიშველი წოლა, ჩემი სხეულის სხვის სხეულში ჩაძირვა, ღვინისა და ხველის სანინააღმდეგო მიქსტურის სმა. შავ-თეთრი ფელმების ყურება, მეგობრებზე ფიქრი, მომავლის ხელიდან გაშვება, ცარიელ მაცივარში ყურება, ჰამიდგრის სალათის იმედგაცრუებულად ჭამა, ნაშუადღევს ძილი უძილობისგან დაღლილისთვის... ხანდახან ვირტუალური ფოსტის დათვალიერება, რომელიც არც კი არსებობს, და უგრძნობლობა.

აქ ვზივარ და ვფიქრობ, რომ არსად წავალ, ვიდრე იმ უბედურ გოგონას არ ვიპოვი, რათა ღირსეულად გავაცილო!

59. ნადინი (2004)

იცი, დღეს ვის შევხვდი? მიშელი ვნახე. თითქმის არ შეცვლილა, უფრო გახდა და დასერიოზულდა, ისეთი მოუმნიფებელი აღარ არის. გაუკვირდა, რომ დავეურეკე. ისე აღელდა, ყველაფერი რომ მოვეუყვი. ცოლს გამოირდა, შვილები არ ჰყავს. მეგონა, შვილები ეყოლებოდა, წესით უნდა ჰყავდეს, მისნაირ ტიპებს მამობა უხდებათ.

ნეტა რატომ მოვეწონა? ჰო, შენს საყვარელს შევხვდი და იმ დაწყევლილ სიტყვაზე ველაპარაკე. ის კი მიყურებდა და ალბათ ფიქრობდა, რომ გავგეჟდი. ერთმანეთი არასოდეს გვესიმშაითურებოდა და მაშინ, დასაფლავების დღეს, ორივე სულელურად ვიდექით ჩვენს მწუხარებაში ჩაძირულები.

როგორ მძულდა ის მაშინ, რომ არ შეგაჩერა. იცი, რომ მე ერთადერთი ვიყავი, რომელმაც შენი უსულო სხეული ნახა? მე მომიწია შენი ამოცნობა. შენს მშობლებს ამის უფლება არ მისცეს, არც უნდოდათ და არც შეეძლოთ. მე ავიღე საკუთარ თავზე. უკვე სულიერად განადგურებულს რაღა შემამინებდა?

ოლგა, იცი, რომ შენი სიკვდილი უბრალო ტყუილზე ყოფილა დაფუძნებული? როგორ შეგეძლო ჯერ იმ ბიჭთან დაწოლილიყავი და მერე თავი მოგეკლა?

ჰო, დღეს მიშელი ვნახე, შენი მიშელი, ცოლგაცაცილებული და უშვილო. დიდხანს ვისხედით ერთად, მასაც უნდა კედელზე ამოფხაჭნილი იმ დაწყევლილი სიტყვის ნახება.

ჩემს სიცოცხლეს შენი სიცოცხლის გარეშე რა აზრი აქვს?! შენმა სიკვდილმა ხომ ჩემს სიცოცხლეს საყრდენი გამოაცალა.

ყველგან სათამაშოები ეყარა, ზუსტად ისე, როგორც ბავშვმა დატოვა, არეულ-დარეულად და მყუდროდ. ბავშვი საკეისრო კვეთით გააჩინა და ამას პატარა დანაკარგად თვლიდა; ტკივილის შეგრძნება უნდოდა, არ უნდოდა ნარკოზის ქვეშ ყოფილიყო მაშინ, როცა სიცოცხლე იბადებოდა.

შიშველ კედელს მისჩერებოდა და გრძნობდა შვილი სუნს, რომელიც ახლა მამასთან ერთად იყო. ეს კაცი, რომელიც არასდროს ჰყვარებია, აშკარად უყვარდა დღეს, უყვარდა იმიტომ, რომ ასეთი კარგი მამა იყო. ეს კაცი ნამდვილად იმსახურებდა იმას, რომ შვილი თ თავისთან ჰყოლოდა. ნადინმა გაიღიმა და სახე შვილის გაოფლილ ლაქებიან მისურში ჩარგო. სითბოს გრძნობდა. მერე ადგა, ფანჯარა გამოაღო და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

60. ძმა (2004)

მანქანით გავიდა ქალაქში საყიდლებზე. შავი ქურთუკი ეცვა. ქურთუკს ჯერაც იმ ქალის სურნელი ასდიოდა.

ანემ დაურეკა და „დაემუქრა“ მოვალე, ის ყოველთვის „იმუქრებოდა“, ვიდრე მასთან მივიდოდა. მაღამ სურმა სადილი გააკეთა და სახლიც დაალაგა. მაღამ სურის შემწვარი ქათამი არ უჭამია, ხახვის წენიანი თვითონ მოიშხადა.

შშვენიერი საღამო იყო და იფიქრა, ბუხარი ხომ არ ავანთო, თუმცა არ ციოდა. გარიბალდი ეტყობა მიხვდა, რომ პატრონი კარგ გუნებაზე იყო და სიხარულისგან კუდს გამუდმებით აქიციებდა.

სუფრა გამალა, მერე სარდაფში ჩავიდა, ღვინო ამოიტანა, საცობი ამოაძრო და მაგიდას მიუჯდა. გემრიელად ივახშმა, შავი პური მიირთვა და საკუთარ ბაღში მოწყვეტილი ორი მწიფე პამიდორიც მიაცოლა. ყოველთვის იმ დროს ჭამდა, როდესაც მონდებოდა, როცა მოშივდებოდა. ამას მარამ შეაჩვია.

ცოტა ხნის შემდეგ ანე შემოვიდა. ზედმეტად მომდგარი შარვალი და გრძელი, ზოლებიანი პულოვერი ეცვა, თმა აწეული ჰქონდა, თვალები — შავი ფანქრით მოხატული. ძმა მის ჩაცმულობას ყოველთვის უგემოვნოდ მიიჩნევდა. და მაინც, მისი შეცლომებისა და ამბოხის მიუხედავად, ანეს უცნაური, სევდანარევი, ოდნავ ვულგარული სილამაზე მაინც შემორჩენოდა. ძმა აკვირდებოდა მის სწრაფ მოძრაობას სივარეტის გახვევისას, მის დაკვნეტილ ფრჩხილებს. შეიძლება სწორედ ამ მიმზიდველობითა და თავგანწირული, ამაზრზენამდე დასული სულერთიანობით იზიდავდა კაცებს ასე. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ყველა მისი ყოფილი საყვარელი ძალიან მალე ისევ მის კარზე აბრაახუნებდა. ანე მათ ყოველთვის უღებდა კარს. ეს ქალი თითქოს წარსული დროის ერთადერთი დიდი გადმონამში იყო; გადაშენებული ცხოველის მსგავსად შემორჩენილი, დროს ვერაყოლილი.

პატრისს უხაროდა, ანე რომ მოვიდა. ის მაინც დამაკავშირებელ ჯაჭვად რჩებოდა ძმის ცხოვრებაში: პატრისსა და მარის, პატრისსა, დედამისსა და მონეს შორის, პატრისსა და სიცოცხლეს შორის. იქნებ მათი კონფლიქტი და შეუთავსებლობა, ერთმანეთზე ასე გაბრაზება, უფრო დიდი და მყარი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი, დამური სიყვარული ოდესმე შეიძლებოდა ყოფილიყო?!

ანემ ჯონტი შეაკეთა და გვერდზე გადადო. მერე ერთი ყლოუპი ესპანური ღვინოც მოსვა, ძმამ მისთვის რომ გახსნა. მაღამ სურის მომზადებული ქათმის ერთი ნაჭერი გადმოიღო და შეჭამა. ძველ რადიოს ხმა აუნია, დიქტორი ახალ ამბებს გადმოსცემდა: ავტოავარია კარაკასში, გარდაცვლილი. არეულობა უკრაინაში. ფრანგი რეჟისორის ფილმი ჩე გევარას შესახებ. მუსიკალური პაუზა. რეკლამა.

ძმამ ჭუჭყიანი ჭურჭელი ნიჟარაში ჩაანყო და ცივი წყალი მოუშვა. ისევ დაჯდა, ანეს ლამამ, თხელ თითებს ათვალეირებდა, ახლა ჯონტს რომ უკიდებდა. სიგარილო ამოიღო პერანგის ჯიბიდან და მოუკიდა. ასე ისხდნენ და ენოდნენ ჩუმად. ეს ჩვეული რიტუალი იყო — ე. წ. „განმუხტვის მცდელობა“, როგორც ანე ეძახდა.

— მონეს ველაპარაკე. ოქტომბერში ვაპირებ მარენში წასვლას, ცოტას დავისვენებ. შვებულება ავიღე. მონეს არაფერი აქვს საინინალმდეგო, ზედა სართულს დამითმობს. მისმენ?

— ხომ იცი, რომ იქ გაგიჟდები. მაქსიმუმ, ორი დღე გაძლო და მერე...

— არა, ჩემი ბინის გასაღები. უკვე ჩავაბარე, უკან ველარ დავიხვე!

— მარენში ყოფნით რა შეიცვლება? რამე გაუმჯობესდება?

— აქ თუ დავრჩები რამე შეიცვლება?

— არ ვიცი. მე მეგონა, აქ იყო შენი სახლი.

ანეს ქუთუთოები დაუმძიმდა, თვალები დაუვიწროვდა.

— ამაღამ აქ დავრჩები, — ჩაიბუტბუტა.

თქვა და ადგა, კართან მივიდა. ძმა უკან გაჰყვა, თუმცა, არც კი იცოდა, რატომ. უცებ ანემ მარის სურათი დაინახა, ბოლო ფოტო, თავად რომ გადაუღო, ბაღში. ფოტო ტელეფონის მაგიდაზე იდო. ალბათ ლაურას რომ აჩვენა, მაშინ დადო აქ. ფოტო, რომელმაც სხვა ქალის სხეულთან მისასვლელი ხიდის როლი ითამაშა.

ანე გაჩერდა, მარის ფოტო აიღო და დიდხანს დასცქეროდა უაზროდ. მერე უცებ დაავლო და გარეთ გავიდა. სარდაფის ჩასასვლელთან მარის ნაქონი რეზინის ჩექმა ჩაიცვა და პარკისკენ გაემართა. გარიბალდი აყეფდა, ძმამ პალტოს დაავლო ხელი და დას გაჰყვა. გარიბალდი წინ გარბოდა.

— იქ ქალი.. რაღაცას რომ იკვლევს... ხანდახან მოდის ხოლმე. — ბორძიკით წარმოსთქვა და საკუთარ თავზე გაეცინა, ასე მორცხვად და მიკიბულად რომ აღიარა დასთან ეს ფაქტი.

— რომელი ქალი? — ანეს ეტყობა არაფერი ჰქონდა იმის საინინალმდეგო, ძმა სეირნობისას რომ დაედევნა.

— ის ქალი, იმ სტუდენტთან ერთად რომ იკვლევს, შენ რომ შეხვდი.

— ესე იგი, ხანდახან მოდის?

— ჰო, იკვლევს და ნება დავართე...

— რომ ლოგინში ჩავიგორდეს? — ანე გაჩერდა.

— ეგ არ მითქვამს...

— მაგრამ იგულისხმე.

— ჰო, კარგი, რაც გინდა ის დაარქვი.

— ძამიკო, ძამიკო... ეს რაღაც სიახლეა.

— ისევ გაბრაზებული ხარ ჩემზე?

— გაბრაზებული? უფრო შეურაცხყოფილი ვარ, დამწუხრებული, იმედგაცრუებული და რა ვიცი, კიდევ რა. — ანემ გარიბალდის მოუხმო, მოეფერა და ტბისკენ წელა განაგრძო გზა.

— მინდა, რომ ოდესმე მაპატიო.

— დაივინყე. ახლა უკვე სულერთია.

— ასე ნუ ამბობ, გეხვეწები!

— პატრის, ვერ დამიჯერებია, რომ შენ ეს დაუშვი. იმ დღეს წიგნი გადმოვიღე და კიდევ ერთხელ წავიკითხე, ვეცადე, ყოველი წინადადება შენთან დამეკავშირებინა, შენთან და მარისთან. მაინც ვერ ვიჯერებ.

ანე მარის აღმერთებდა, ხანდახან პატრისი ეჭვიანობა კიდევ, ასე კარგად რომ ესმოდათ ერთმანეთის. ყველა იმ სირთულის შემდეგ, ანეს ცხოვრებაში რაც შეხვედრია, ყოველთვის მასთან მოდიოდა, მარისთან. მარის თითქოს დედობრივი გრძნობები ჰქონდა ანეს მიმართ. ხანდახან პატრისს იმაზეც უფიქრია, რომ მხოლოდ ანეს გამო არ წავიდა მარი, მხოლოდ ანეს გამო არ მიატოვა.

— შევეცადე, რომ ეს ყველაფერი გამეგო, მაგრამ, ვერა, ვერ მოვახერხე! როგორ შეძელი ასე ურცხვად მოგეტყუებინა ყველა ამ წლების განმავლობაში?! როდის დანიწყე? რატომ? მე ხომ სარეზე ვგიჟდებოდი, ყველა გიჟდებოდა. მარისაც ვერ ვაპატიებ, რომ არაფერი მითხრა. თუ ხვდები, რა ჩაიდინე?!

— შემომხედე და გაიგებ! — ისინი მარის სკამზე დასხდნენ, რომელიც ჯერ ისევ ტბასთან იდგა. დიდი, ბაი ძაღლი მათ ფეხებთან დაწვა.

— ამ ქალმა მარი მომაგონა. ალბათ მხოლოდ ამიტომ შემოგუშვი სახლში.

— არ გაპატიებენ, როდესაც გაირკვევა, რომ შენ დანერე. და მარის ნამდვილად მორიგ მსხვერპლად ჩათვლიან. შემოგიცვივდებიან და...

არა, არ მოვლენ. არც ერთი არ მოინდომებს ამის დაჯერებას. სარეს მითს არ მოსპობენ. საერთოდ თუ ახსოვთ, სარე ვინ იყო. მე არ მეშინია, შენ კარგად იცი.

— არ გეშინია? შერე ჩვენ? მე, სხვები.. ვინც ამდენ ხანს...

პატრისმა ანეს მხრებზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. გაახსენდა წლების წინ მარენში გატარებული ერთი საღამო. როცა აივანზე იდგნენ და ეწეოდნენ. მაღლენი, ის ბებერი კამეჩი რომ ჰყავდათ სტუმრად; ანე რომ ამოუდგა გვერდით და ჩუმად ეწეოდნენ ახლად შემოპარულ ბინდში.

ანეს სხეული, რა თქმა უნდა, არ დაემორჩილა. ანეს სხეულს არ უნდოდა, ძმას მინდობოდა, მის პატიებას ვერ ბედავდა, მაგრამ მალე ძალა აღარ ეყო და მის მკლავეებში ჩაიძირა. ძმის კალთაზე დაეშვა და მოიკუნტა.

ანე მთელი ცხოვრება სხვებისთვის ცხოვრობდა და დახმარებაზე მუდამ უარს ამბობდა, თუმცა მუდამ სჭირდებოდა ეს. მაგალითად, მისი ყველა ნაყოფის მოშლა, შვილის გაჩენის დიდი სურვილის მიუხედავად, ასეთი საჭიროება იყო.

ერთხელ ძმას უთხრა, რომ ამას სასჯელივით აღიქვამდა, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, რისთვის ისჯებოდა. მაშინ პატრისმა თვალეები დახუჭა, სიბრალულის ჩასახშობად.

— ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენ ორივემ ერთი და იმავე სიცოცხლით ვიცხოვრეთ, ანე. უბრალოდ, შენ სხვა მხრიდან მოუარე. მაგრამ ეს მაინც ერთი და იგივე იყო.

ანემ არაფერი აღარ უპასუხა. ადგა და სახლისკენ გაემართა. გარიბალდი და პატრისი წელი ნაბიჯით უკან გაჰყვნენ.

ანემ ღვინო დაცალა, თან ტელევიზორს უყურებდა მისაღებ ოთახში, ქვის იატაკზე სტამბოლიდან ჩამოტანილი ხალიჩა რომ ეგო. უცებ პატრისის დაუძახა, პატრისის კართან გაჩერდა და ოთახში შეიხედა. ანე ტახტზე იწვა.

— გინდოდა, რომ მარი მისნაირი გამხდარიყო?

მისნაირად გექცია?

— არ ვიცი.

— არ განგსჯი, ვეცდები გაპატიო. ვეცდები.

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩუმდა, შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა მისაღები ოთახიდან.

პატრისის თავის კაბინეტში შევიდა, მაგიდას მიუჯდა.

თავი დახარა და იმ ნახატს შეხედა, მარიმ 26 წლის ასაკში ფანქრით რომ დახატა. „კაცი-კუ“ — ასე უწოდა მარიმ ნახატს.

61. აპიდაპი (2004)

მზე ამოდიოდა. ოთახში ყველგან სიგარეტის ცარიელი კოლოფები ეყარა. ლაურას გაელვოდა, სასტუმროს შავ-წითელი ელექტროსაათი 5:36-ს აჩვენებდა. უაზრო დრო, გაიფიქრა ლაურამ.

სანოლიდან წამოდგა, ერთი ყლუპი წყალი მოსვა და ფანჯრიდან გაიხედა. რომის პაპის სურათი გაახსენდა, გაახსენდა, ბეკონის მიერ ველასკესის მიხედვით შექმნილ ნახატს რომ იკვლევდა თვეების განმავლობაში და ბოლოს ისეთი შიში დასჩემდა, რომ მისი დანახვაც კი აღარ შეეძლო. სამინელი სურათი იყო. მიუხედავად იმისა, ლაურა ამ სურათის გამო თავის აღფრთოვანებას ვერ მალავდა, აყვირებული პაპის სახის წარმოდგენაც კი ურუანტელს ჰგვრიდა ხოლმე.

ქვედა საცვალისამარა იდგა ფანჯარასთან, ოდნავ გადაწეული ფარდის უკან. თენდებოდა. პარიზს ჯერ კიდევ ეძინა.

წინა დღეს ნადინმა დაურეკა, Rue Bonaparte-ზე რომ წარწერაა, შევამოწმებინო. ფრიკთან ერთად მისულა იმ ეზოში და კედელზე შემორჩენილი წარწერა უპოვიათ. ნადინის ნაამბობი ბოდვას ჰგავდა: სახლის ყველაზე უხუცესმა მობინადრემ, 1948 წლიდან რომ ცხოვრობდა იქ, დაადასტურა, ეს სიტყვა დიდი ხანია კედელზეა მიჯღაბნილი, ორმოცდაათიან წლებში მანსარდაში მართლაც ცხოვრობდა ვიღაც გოგო და მერე გაქრაო. ნადინი აჟიტირებული უყვებოდა ლაურას რაღაც სამეცნიერო მეთოდებზე, მაგრამ ლაურას უკვე აღარ აინტერესებდა. ნელ-ნელა ყველაფერს აზრი ეკარგებოდა. მოვლენათა შორის ლოგიკური ჯაჭვი არ ჩანდა და თითქმის აღარაფერი რჩებოდა ისეთი, რაც რაციონალურ ანალიზს ექვემდებარებოდა. ლაურას თავგზა აებნა, რეალურ ფაქტებსა და სავარაუდო დასკვნებს შორის ჩაიკარგა. ფრიკიც უცნაურად შესცქეროდა ლაურას, როდესაც დუმამპთან შეხვედრის დეტალებზე უყვებოდა. ლაურას ეჩვენებოდა, რომ ზიზღით აღსავსე მზერა ჰქონდა.

ლაურამ სიგარეტს მოუკიდა, ნაბეჭდი წიგნი და ოღვა კოლერტის უჯრედებიანი რვეული აიღო, ნადინმა რომ მისცა. სანოლზე ჩამოჯდა და ტექსტის შედარებას შეუდგა. მარი ბესონვილის მიერ 1985, 1987 და 1988 წლებში გამოცემულ ანთოლოგიებშიც იხედებოდა დროდადრო. ძირითადად უცნობი ავტორების ეროტიკული ისტორია ან ავანგარდული ტექსტი ხვდებოდა — გემოვნებით შერჩეული,

საინტერესო წინასიტყვაობით. ლაურას კითხვისაგან უკვე თვალები ეწვოდა, მაგრამ თავს არ ანებებდა. აქ, სტრიქონებს შორის, რალაცისთვის უნდა მიეგნო, რაიმე ხელმოსაჭიდი უნდა ეპოვა. საფეთქლებზე ხელები მიიღო და დაიზილა. ზურგიც სტკიოდა, დაძახულობისგან თითქმის ველარ ინძრეოდა. ტელევიზორი ჩართო. ოპერიდან არიას ასრულებდნენ — „მადამ ბატერფლაი“. ხმას აუნია და შეეცადა, მუსიკაზე გადაეტანა ყურადღება.

უცებ კარზე კაკუნი გაისმა. ჯერ შევიდოდა არ იყო. ლაურამ კარი გააღო. მის წინ თეთრთმიანი კაცი იდგა. როგორც ჩანს, მხეცი გალიიდან გამოიტყუეს, თავისი სამალავიდან გამოძვრა.

პუჩინის მუსიკა მთვლემარე ღერეფანში გაიჭრა.

კაცს სანვიმარი ქურთუკი ეცვა და შავი ქელი ეხურა. უხდებო, გაიფიქრა ლაურამ. არც ერთს არ ამოუღია ხმა. კაცმა, ყავით სავსე მუყაოს ორი ჭიქით ხელში, ოთახში შემოაბიჯა.

ოთახში უწესრიგობა სუფევდა — ნამწვავებით სავსე საფერფლე, ნახევრადშეჭმული, გუშინდელი გამხმარი სენდვიჩი, სკამზე მიყრილი ლაურას საცვლები. კაცმა ყავის ერთჯერადი ჭიქები წიგნებითა და რვეულებით სავსე მინის პატარა მაგიდაზე დააწყო, სანოლზე ჩამოჭდა და ხელში ერთ-ერთი ანთოლოგია აიღო, მერე ისევ დადო, თავის ჭიქას დასწვდა და ყავა მოსვა. ლაურამ კიმონო მოიყვა და კაცის მოტანილი ყავის ჭიქა აიღო.

— სინდისი ქენჯნიდა, „გამყინვარების ხანის“ გამოცემა რომ დამაძალა. ამ ისტორიამ საოცრად გაიტაცა. შეშლილი გოგოს ბიოგრაფიის შეთხზვით აღფრთოვანებული იყო. — კაცი თავის ჭიქაში იყურებოდა და აგრძელებდა.

— მთელი ღამე შენზე ვფიქრობდი, ვერ დავიძინე. ჩემი დაა ახლა ჩემთან. ბევრი ვილაპარაკეთ. წლებია, ასე გულახდილად აღარ გვისაუბრია. — ქურთუკის შიდა ჯიბიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და წიგნებთან დადო.

— რამდენიმე გვერდი მოგიტანე საქალაქიდან. — მერე უცბად გაჩუმდა, ლაურას თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, როგორ მინდოდი. მოდი ჩემთან!

ლაურა უმოძრაოდ იდგა და არ იცოდა რა ეთქვა. თავად რა უნდოდა ნეტავ? ნეტა როდისმე თუ დაუბრუნდებოდა საკუთარი ნება? საკუთარი თავი? ალბათ უნდოდა, ჰო, უნდოდა ის, რაც ამ უცნობ კაცსაც უნდოდა. ალბათ მასთან სწორედ ეს, საკუთარი თავის გადალახვის სურვილი აკავშირებდა. ალბათ ამ სურვილმა მოიყვანა გარიჟრაჟზე ეს კაცი მის ოთახში. ალბათ. გახდა დაიწყო. ბოლომდე რომ გადალახავდნენ საკუთარ თავს, ალბათ მაშინ და მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ ერთმანეთის გაცნობას. უნდოდა კი ლაურას ამ ადამიანის გაცნობა? იმის შეცნობა, რაც მისი სხეულისა და მისი ნაწერის მიღმა იყო? სრულიად შიშველი დაუდგა წინ. ჰო, ალბათ უნდოდა, იმიტომ, რომ ორივენი ამ სიცარიელის ბინადრები იყვნენ, ალბათ ამ დაკარგულობას ერთად უკეთ იტანდნენ, ალბათ სხეულის ენაზე უკეთ შეეძლოთ საუბარი, ალბათ. ამიტომაც იდგა ლაურა შიშველი და მის ხელებს ელოდა. ხელებს, რომლებმაც ის შექმნეს, რამაც 15 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, მათ შორის საკუთარი ცოლის სიცოცხლეც.

— რას ელოდი მისგან? რომ სარეს დაემსგავსებოდა? რომ მისგანაც პერსონაჟს გამოძენწავდი? ეს რა ფანტაზიაა? ღმერთის? უზღვავი ძალაუფლების? რა ვერ

გაპატია შენმა ცოლმა? — ლაურას საკუთარი ხმა და ტონი ეუცნაურა. რატომ მიმართა ასე გამზარებულმა კაცს, რა- ტომ დაუსვა ეს კითხვა? ლაურას რატომღაც შურისძიება მოუნდა. აშტერდებოდა ამ უცნაურ კაცს და უნდოდა, რომ რამე მომხდარიყო, რამე დანგრეულიყო, რომელიმე კედელი ჩამოშლილიყო. კაცი კი ფრთხილად, დინჯად იხდიდა, თან ლაურას თვალს არ ამორებდა.

მერე ხელი მოჰკიდა და საწოლისკენ წაიყვანა. ზედ დაანვა, მოძებნა და იპოვა. კაცმა მისი თმა ხელზე დაიხვია და სახით ბალიშზე ააკრა.

რალაცამ ჩამოშლა დაიწყო. ეს კარგი იყო, არაჩვეულებრივი. ლაურა მიენდო ამ გრძობას. მეტი, კიდევ მეტი უნდა დანგრეულიყო, უფრო მეტი იყო საჭირო, ნიადაგი უნდა დაძრულიყო, რომ სტკენოდა, გული ასჩუყებოდა, რომ ეგრძნო, რაიმე ეგრძნო ამ დამანგრეველი სურვილის მიღმა.

ლაურამ წამოიწია, წინააღმდეგობა გაუწია და თითები კაცს თვალებზე მიაჭირა. საწოლიდან გადმოგორდნენ. იატაკზე დანარცხებამ ვნება მოადუნა. ლაურა მუცლით ცივ იატაკს ეკვროდა, კაცი ზურგზე აწვებოდა. ლაურას სუნთქვა უჭირდა, ნეკნები სტკიოდა. თანდათან ტკივილი უმნიშვნელო გახდა, თითქოს გაყუჩდაო. მაინც მოახერხა, გამოძვრა, ახლა კაცი აღმოჩნდა იატაკს მიბჯენილი.

ლაურა ზემოდან დააჯდა და ორივე ხელი ყელზე მოუჭირა. თავი ჰატარა ბავშვი ეგონა, რომელიც თამამის დროს ძალას ველარ ზომავს და თავის მეგობარს სტკენს, ეს თამამი ჰგონია და და მეტი და მეტი უნდება. აბა, ვნახოთ, რა მოხდება! აბა, ვნახოთ, რამდენს გაუძლებს ორივე!

ეუცნაურა საკუთარი საქციელი, მაგრამ ეს გამარჯვება საოცრად ტკბილი აღმოჩნდა. უფრო მეტად მოუჭირა, ახრჩობდა. კაცი არ ეწინააღმდეგებოდა. ეს კიდევ უფრო აცოფებდა ლაურას. კაცმა ხველებს რომ დაიწყო, ლაურამ თმამი ჩაავლო ხელი და მთელი ძალით დაანვა.

უცებ სხეულზე რალაც სველი სითბო იგრძნო. სისხლი იყო. საიდან მოსდიოდა, ვერ გაეგო. გაჩერდა და კაცს თავი დაანება. კაცი მაშინვე წამოჭდა და ლაურას ფეხებზე დახედა, მერე ნაზად მოსწმინდა სისხლი, თუმცა ლაურა უყვიროდა, ნუ მეხებიო.

ლაურა წამოჭდა. სციოდა. გარედან დილა ბოლომდე, შემოჭრილიყო ოთახში. კორიდორიდან ჯერ კიდევ მძინარე სიჩუმე შემოდიოდა. კაცი ზურგზე ნაზად ეფერებოდა, თითქოს არც ტკივილი ყოფილა და არც სისხლი. ლაურამ აღარ იცოდა რა უნდოდა, ვინ იყო, რას აკეთებდა აქ, რატომ მოსდიოდა სისხლი, რატომ ატკინა ამ კაცს, ან რატომ ატკინა ამ კაცმა, საერთოდ რა უნდოდა ამ კაცს მისგან და მას ამ კაცისგან. არ იცოდა რა დღე იყო, აღარ იცოდა წარსულს რა გემო ჰქონდა და მით უმეტეს, მომავალს; აღარც ყოფილი ქმრის სახე ახსოვდა, აღარ ახსოვდა ამსტერდამში, არც აპიდაპი. მხოლოდ სიყარეილე, მხოლოდ ეს დილა, მხოლოდ ამ კაცის მშვიდი ხელისგული მის ზურგზე, რომელიც თან ეზიზღებოდა და თანაც ვერ ელეოდა.

ლაურას ვერ გაეგო, რატომ სწვდა ამ კაცს თმამი, რატომ უჭერდა ყელზე ხელს, რატომ აირჩია ტკივილი სიყვარულის გზამკვლევეად, რატომ გადალახა ეს ზღვარი და რატომ მოვიდა აქამდე, რატომ...

კაცი დაიხარა და ნაზად აკოცა ხერხემალზე. კოცნა მწვავე იარად დარჩებოდა იმ ადგილას, ნამდვილად იცოდა ლაურამ. კაცი ადგა და ჩაცმა დაიწყო. ლაურა საწოლზე იწვა, მოკუნტული. ყველაფერი სტკიოდა. კაცმა თავი დახარა და გაუღიმა.

ლაურას უნდოდა მისთვის სახეში შეეფურთხებინა, მაგრამ ამის ნაცვლად ტუჩები მიუშვინა, თითქოს კაცს ასაჩუქრებდა. კაცმაც მადლიერებით მიიღო საჩუქარი: აკოცა და სახეზე მიკრული თმა გადაუნია. ფაქიზად, მზრუნველად, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, რომ ყველაფერი იცოდა, ყველაფერს ხედებოდა, ყველაფერი ესმოდა; ყველაფერი ის, რაც ლაურას არ ესმოდა, რასაც ლაურა ეძებდა, რისი შეცნობაც ასე ძალიან სურდა. ალბათ შეიცნობდა, ალბათ იპოვიდა. რაღაც დაინგრა, მაგრამ სიმშვიდემ დაისადგურა. ეს ნანგრევები სულაც არ ჰგვირდა ლაურას შიშს.

— იცი, პარიზში სამ საათზე მეტხანს ვერ ვძლებ, თქვა კაცმა და ოთახიდან გავიდა.

62. ქალი (2004)

დაახლოებით სამი მილიმეტრის სიგრძის თმა ჰქონდა, ახალი მაისური და ახალი ტილოს შარვალი ეცვა. ბოლო სამი დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაატარა, ცდილობდა გარკვეულიყო. ქუჩებში დადიოდა და თითქოს ყველაფერს ხელახლა შეიგრძნობდა, ხელახლა ყნოსავდა, ხელახლა ხედავდა და აღიქვამდა. თითქოს აქამდე ყრუც იყო, მუნჯიც და ბრმაც. ახლა ყველაფერს ახლებური სიმძაფრე შეემატა.

ღამდამობით სიზმრებს აღარ ხედავდა. დრო ბევრი ჰქონდა და წიგნის შესწავლას აგრძელებდა. ხელახლა ეცნობოდა სხვა ადამიანების აზრებს, რომლებიც ერთ დროს თავად ეკუთვნოდა. სარკეში თავის მაღალ სხეულს ათვალისწინებდა, გამომშრალსა და ნაშიშილივს, თუმცა ეს სხეული უსიცოცხლო აღარ ეჩვენებოდა.

ხანდახან სასიეროდ გადიოდა, კაფეში ჯდებოდა, ყავას სვამდა და კითხულობდა ან ხალხს ათვალისწინებდა. ძველმანების ბაზრობაზე ძველი ფირსაკრავი იყიდა და პანსიონში მიათრია. იჭდა, უსმენდა ბლუზს და სვამდა ვისკის. ხანდახან ლეო ურეკავდა და დაუჭერებლად ბევრს ელაპარაკებოდა. მისი გენიალურობა ახლა უკვე სასაცილოდ ეჩვენებოდა.

ყიდულობდა ვარდებს და თავის მოუნესრიგებელ ოთახში მდგარ ლარნაკებში ანაწილებდა, თითქოს რთავდა. ბევრს კითხულობდა, თანაც ყველგან: ოთახში, სააბაზანოში, კაფეებში, კიბეებზე, პარკებში, საღამოობით რესტორნებშიც კი. ყველგან პოულობდა სტრიქონებს, რომლებიც თითქოს გზას უჩვენებდნენ, მიანიშნებდნენ.

ხშირად ხელით ეხებოდა საკუთარ სხეულს, თითქოს უნდოდა საკუთარი თავი შეეგრძნო, თავისი არსებობის უტყუარობაში დარწმუნებულიყო. ზოგჯერ, ოღონდ იშვიათად, ძალიან ბევრს სვამდა. ეს ისეთი საღამოები იყო, როცა ორიენტაციას კარგავდა, ცხოვრების ორიენტაციას. ახალ სახელებს ინიშნავდა, ურთიერთკავშირის დადგენას ცდილობდა — ნადინ ლევიტი, პატრის დუშამპი, ოლგა კოლერტი, მარი ბესონვილი.

კვირაში სამჯერ St. Germain-ის ახლოს მდებარე ჯაზის კლუბში მიდიოდა კოქტეილის დასალევად. საკუთარი თავის ძიებაში იყო, ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწეოდა წინ. ძირითადად გამთენიისას იძინებდა და შუადღეს იღვიძებდა.

ლეო რეკავდა, თავს არ ანებებდა. თავიდან ლეო ლაპარაკობდა და ფრანჩესკა უსმენდა, მერე თავადაც ალაპარაკდა. უყვებოდა თავის ყოველდღიურ აღმოჩენებზე, ლამაზად გატარებულ დღეებზე. წარსულზე სულ უფრო იშვიათად საუბრობდნენ. ერთ საღამოსაც უთხრა ლეოს, არ გეგონოს, რომ შენ გადანამაშულებო. ლეომ ამაზე არაფერი უპასუხა, მაგრამ ფრანჩესკამ იცოდა, რა მადლიერი დარჩა ლეო ამ

სიტყვების გამო. მერე ისიც დაამატა, რომ ვიდრე ის მოხდებოდა, რაც მოხდა, ორივემ კარგად იცოდა, რომ თავის დროზე ყველაფრისთვის სახელი უნდა დაერქმიათ. ფრანჩესკას უნდა ეთქვა ფრანკისთვის, რომ ოჯახს ველარ შეინარჩუნებდნენ, რომ ის ავად იყო, რომ მას სხვა სახის დახმარება სჭირდებოდა, რომ მასა და ლეოს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ არც ერთს არ ეყო გამბედაობა, სიმყუდროვე არჩიეს, კონფლიქტი აირიდეს, ვიდრე იმ კონფლიქტს ტრაგედია არ მოჰყვა.

ალიარა, რომ მასა და ფრენკს ერთობლივი ცხოვრების ბოლო წლებში აღარაფერი ჰქონდათ საერთო, რომ უცხოები გახდნენ ერთმანეთისთვის, ერთ ჭერქვეშ გამოკეტილები. ისიც თქვა, რომ იმ წუთიდან, როდესაც მისმა ქმარმა სიტყვებს ციფრები არჩია და შემაშინებელ, მოღუშულ ღუმელს დაუშეგობრდა, გრძნობდა, მათი ერთად ყოფნა სანამლავედ შეიძლებოდა ქცეულიყო. აუტანლად მტკივნეული, მაგრამ ამავედროულად შვებისმომგვრელი იყო ამ ყველაფრის აღიარება. ლეოც ხომ კარგად იცნობდა მის ქმარს, კარგად ხედავდა, როგორ ინადგურებდა თავს ბოლო წლების, თვეების განმავლობაში და მაინც ორივემ ნებაზე მიუშვა მეგობარი, ქმარი. ნებაზე მიუშვეს, მაგრამ ნუთუ მიშვება დაშვებას ნიშნავდა?

ლეოს ისიც უთხრა, იქნებ ერთ დღესაც, მომავალში, მზად აღმოვჩნდე შენთან შესახვედრადო, მაგრამ ახლა არაო, დაამატა ბოლოს.

— ირონიულად უღერს სიტყვა მომავალი, როდესაც აწმყოც კი არ გაბადია, — მიუგო ლეომ და ატირდა. მისი ქვითინი ტელეფონის ყურმილში ისმოდა, კილომეტრებს მოუყვებოდნენ მისი ცრემლები, რომ სამყაროს მეორე მხარეს, ფრანჩესკამდე მოეღწიათ. აყრემლებული ლეო რაღაცას ბუტბუტებდა.

— რა თქვი? ლეო, გესმის ჩემი?

— მე მას ვუთხარი. ვუთხარი, რომ მე და შენ...

— რაა?

— ჰო, გამაბრაზა, პროექტის გამო. ეს ჩვენი საერთო პროექტი იყო, რამდენი წელი ვიმუშავებთ მასზე და უცბად მხოლოდ ფული მოინდომა, მარტო დამტოვა. ასე არ უნდა მოქცეულიყო. დიდი გეგმები გვქონდა, მან კი მილაღატა! მერე ის მოხდა, რომ მე და შენ იმ ღამეს... რისთვის სჭირდებოდა ეს ფული? ის ღამე, ის ღამე... ფრენსი ისეთი ძვირფასი იყო ჩემთვის, ისეთი...

— შენ...

— მასთან მივედი, მისი დახმარება მჭირდებოდა, აუცილებლად უნდა ამელო ის სტიპენდია, ჩემი პროექტი უნდა გაგრძელებულიყო, მის გარეშე არ მომცემდნენ. მან კი უბრალოდ მიმატოვა. არ ვიცოდი, ცუდად თუ იყო... რომ თესიქიკური პრობლემები ჰქონდა. ეს არ უთქვამს, მე კი ვერ ვხვდებოდი. ვთხოვე, დარჩენილიყო, საქმე გაგვეგრძელებინა, მას ხომ უკვე ყველაფერი ჰქონდა. უარი მითხრა. მარტო ვერაფერს შევძლებდი, ამიტომ წასვლა რომ დააპირა, ვუთხარი. არ ვიცი, რატომ. დაუფიქრებლად ვთქვი, უბრალოდ, წამომცდა და...

— მესმის.

— არა, არა, ფრენსი, მოიცადე...

— არა უშავს, ლეო, მართლა არა უშავს. უბრალოდ, ახლა მარტო მინდა ყოფნა და ფიქრი. უნდა დავფიქრდე.

ყურმილი დაკიდა.

ქეჩაში გავიდა. ქალაქი აღარ აღელვებდა. ოლიმპოს ღმერთები დიდი ხანია დაამხეს, თორემ, ვინ იცის, იქნებ ელოცა კიდევ. იქნებ.

მატარებელში ჩაჯდა და Chatou-ს მიმართულებით გაემგზავრა.

63. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

გოგონა სასაფლაოზე დასეირნობდა, უნდოდა სიცოცხლე უკეთ შეეგრძნო.

რამდენიმე კვირის წინ ღამით მინა მუშტით ჩაამტვრია და კაფე გაქურდა. მარჯვენა ხელზე რამდენიმე ნაიარევი ეტყობოდა. ის ღამე, ღამაშმა ქალმა რომ ინახულა, ნაზი, ამოუცნობი სურნელივით ეკვროდა კანზე.

მხოლოდ პატარა, დასაყრდენი წერტილი სჭირდებოდა, სხვა არაფერი, ყვარუნები სჭირდებოდა გზის გასაგრძელებლად. ცოტაც, ცოტაც და რვეული გაივსებოდა, მხოლოდ რამდენიმე ჩანანწერილა აკლდა. შიშისთვის თავი უნდა მოეკვეთა. მას ქერუშობა არ უნდოდა. არასოდეს ნდომებია. თავი უსკდებოდა. შიოდა. რა მშვიდი და თვითკმაყოფილი ადგილი იყო!

ერთ საფლაოზე განვა. გაიზმორა. ქვა ტანზე ეკვროდა. მკვდარი ყვავილები დაყნოსა, შემოდგომის სუნი ასდიოდა. ქვას ხელი ალერსით გადაუსვა. ნეტა რა იყო მის ქვეშ? ან რა იყოლა ამ საფლაოვის ქვეშ? ლოყა მიაღო. პასუხი არ მიუღია, არანაირი გამოძახილი. საფლაოვის ქვა ისეთივე დარჩა, როგორც იყო — უტყვი და უსულო.

ადგა, თავი უკან გადააგდო და გაიცინა. თმა ისევ ამოსვლოდა. ბუნება სიცოცხლისკენ ისწრაფოდა. გოგონამ ხელები გაშალა და ქარს შემოეხვია, მერე მასთან ერთად აცეკვდა, ვალსს ეცეკვებოდა შემოდგომას, მიცვალებულების ვალსს. მასთან ერთად ცეკვავდა ყველაფერი ქვები, დამჭკნარი ყვავილები, ქანდაკებები, ბებერი ხეები. ყველაფერი ისეთი მშვიდი იყო, იმდენად წარმტაცი, რომ გულში სუსტი ჩხვლეტა იგრძნო. მისი სიცილიც კი ცეკვავდა. ასეთი იყო მოჩვენებების ვალსი.

ქალაქში მომავალი, კვლავ სიცოცხლეში დაბრუნებული, სახალხო ზეიმის შუაგულში აღმოჩნდა. ადამიანებს შეერია, დაიკარგა, მერე ისევ გამოჩნდა. ეს ადამიანებს სულ პატარა სიხარულის მისაღებად უსასრულო რიგში იდგნენ და ყურადღებაც არ მიუქცევიათ მისთვის, ვერც კი შეამჩნიეს. გოგონა სწრაფად გაეცალა იქაურობას. თან ერთი საფულე გააყოლა ხელს.

კუპიურები და ხურდა ფული ამოიღო და საფულე ნა გვის ურნაში ჩააგდო. მერე რომელიღაც ფარდულთან მივიდა, სამი კრეპი იყიდა და ერთიმეორის მიყოლებით შეჭამა. თავს ერთი ჭიქა პუნშის დაღვების უფლებაც მისცა...

კუჭკამთბარი ვეებერთელა კარუსელთან მივიდა. იქვე ბიჭები იდგნენ, მუხლზე გადახეხილი შარვლებით. ერთს ენა გამოუყო, ბიჭი ახითხითდა. ასე, თექვსმეტობდე წლისა იქნებოდა, ჭორფლიანი სახე და ნუშისმაგვარი ცისფერი თვალები ჰქონდა. როდესაც წინ გაძვრა, ბიჭი უკან მიჰყვა და ასე ერთდროულად მიაღწიეს სალარომდე. კარუსელზე ბიჭი უსიტყვოდ მიუჯდა გვერდით. კარუსელი დაიძრა.

სამყარო კიდევ უფრო მეტად აჩქარდა. გოგონამ თვალები დახუჭა და საერთო ყვირილს თავისი ხმაც შეუერთა. სკამს ჩაბლაუჭებული ბიჭი ხმას არ იღებდა. გოგონამ გამომწვევად გადახედა ბიჭს და სახელურს ხელი გაუშვა.

ბიჭმაც მიჰბაძა. გოგონა, როგორც შეეძლო, წინ გადაიხარა; ისე გადაინია, თითქოს გადავარდნას ლამობსო. ბიჭი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ მანაც იგივე

გაიმეორა. მთელი დარჩენილი დრო ფეხზე იდგნენ, დაძაბულობისგან ფეხები სტკიოდათ. კარუსელი ნელ-ნელა გაჩერდა. გადმოვიდნენ. ბიჭი გოგოს გაჰყვა.

— ნაყინი გინდა? — ჰკითხა. ნაყინისთვის საკმაოდ გრილოდა, მაგრამ გოგონამ ნაყინი მაინც მოინდომა. მას ყველაფერი უნდოდა, უფრო სწორად, არაფერი. თავი დაუქნია. გოგონამ ბიჭი დაპატიჟა, ეტყობოდა ბიჭს ბევრი არაფერი ედო ჭიბეში. ხალხს შეერივნენ. მოგვიანებით, კარუსელზე სამჯერ დატრიალების შემდეგ, სკამზე დასხდნენ და პუნში მიირთვეს, გოგონა ეწეოდა. ახლა ერთი კოლოფი სიგარეტი ედო ჭიბეში.

— აქაური არ ხარ, არა? — ჰკითხა გოგონამ ბიჭს.

ბიჭმა თავი გააქნია.

— ტულუზიდან ჩამოვედი. აქ ხელობას ვსწავლობ. სამი კვირის წინ დავიწყე.

— რამდენი წლის ხარ?

— ჩვიდმეტის.

— სად ცხოვრობ?

— ნათესავეებთან, ქალაქგარეთ.

— კარგია, არა?

— რა? აქ?

თავისი ასაკისთვის ძალიან სერიოზული ჩანდა, თუმცა სასაცილოდ, რომელიღაც კილოზე საუბრობდა.

— ჰო, არა უშავს. ამაზე დიდი კარუსელიც მინახავს.

გაჩემდნენ. ირგვლივ მყოფ ადამიანებს უყურებდნენ.

უცებ ბიჭმა გოგოს ძველი ქედი მოხადა და შეხედა.

— ისეთი მოკლე თმა გაქვს, ვიფიქრე...

— რა იფიქრე? ქედი დამიბრუნე!

— უცნაურად გამოიყურები.

— მომეცა! — გოგონამ ქედი წაართვა და ისევ დაიხურა. ბიჭი შეშინებული უყურებდა. გოგონა ადგა, წასვლა დააპირა. ბიჭი უკან გაჰყვა. დაბნელდა, გოგონა გარბოდა.

ბიჭი არ სცილდებოდა, ნაბიჯს აუჩქარა.

— რა გინდა? წაღი!

— რა გქვია?

— თავი დამანებე! ყრუ ხარ?

— მე ჰოლი მქვია.

— არ მაინტერესებს. წაღი!

ავტობუსის გაჩერებას მიუახლოვდნენ. ბნელოდა, ლამპიონები ოდნავ ანათებდა, დაუჯერებელი ჩანდა ის, რომ იქვე, ახლოს, სახალხო ზეიმი იყო. ორივე ხის სკამზე იჯდა და ელოდა. გოგონა სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

— მე სარე ვარ. — უთხრა ბოლოს წინააღმდეგობით, დაღლილმა. შესაძლოა, ფული უნდოდა. ბიჭი ისეთი მოუვლელი ჩანდა, ისეთი მშვიერი.

— რატომ გაქვს ასეთი მოკლე თმა?

— იმიტომ, რომ ასე მომწონს. რა შენი საქმეა?

ავტობუსში ჩასხდნენ. მონპარნასის ბულვართან ჩამოვიდნენ. ქუჩებში ხალხი ჯერ კიდევ ირეოდა. მხატვრები, ტურისტები და გამყიდველები ისევ იქ იყვნენ. გოგონამ,

მუნდშტუკი იყიდა, ისე, უბრალოდ. ბიჭი გვერდით მიჰყვებოდა, ხელები შარვლის ჯიბეებში ეწყო და სრულიად არაფერისმთქმელი მზერა ჰქონდა. მისი სიახლოვე გოგონას ხელს აღარ უშლიდა.

— რა ხელობას სწავლობ? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ, რადგან მოსწყინდა.

— ღურგლობას.

— ღურგლობას, — გაიმეორა გოგონამ.

უმიზნოდ მიდიოდნენ, მერე გოგონა ერთ-ერთ უცხო კაფეში დაჯდა და ყველიანი სალათი შეუკვთა. ბიჭი უყურებდა, ნეტა სალათის თუ სხვა რამის იმედით? უცხად თავის თითებს დააშტერდა და ჰკითხა:

— 10 ფრანკი შევაგროვე. ათ ფრანკად იზამ? — გოგონას ლუკმა გადასცდა.

— მე ბოზი არ ვარ! — თვალი გაუსწორა ბიჭს. ბიჭი გაშრა, წამოხტა, მერე ისევ დაჯდა, განითლდა.

— მე... მე... მეგონა...

— ვიცი, მაგრამ შეცდი! უბრალოდ, მოკლე თმა მაქვს.

იმიტომ, რომ ასე მინდა.

— არ გენყინოს. მე...

— არა უშავს!

ბიჭი ადგა, თავდახრილი და დარცხვენილი გაეცალა იქაურობას. დაბნეული, მარტოსული, ათას იმედს დამონებული და მღუმარე.

64. მე (2005)

ყოველ ღამე მესმის ფოიერვერკის მსგავსი უცნაური ხმა, რომელსაც ვერაფერს ვუკავშირებ, არც მიმართულების განსაზღვრა შემიძლია, რადგან ხმაურს ცაზე ფერები არ მოჰყვება.

ლექსების კრებულებს ვყიდულობ და ნელ-ნელა ადამიანთა უხეშობაც კი მახალისებს. ბალადებს ვუსმენ და ვცეკვავ და ამ ცეკვაში სხვებთან ერთად ვიკარგები. არაყს ვსვამ ან ლუდს. არადა ორივე საშინლად მეზიზღება. გულგრილობის შესწავლას ვცდილობ და ეს ახლა სახიფათოდ აღარ მიმაჩნია.

„ჩემთან იყავი, ჩემო მტრედო“, — მღერის ვილაც რადიოში, როდესაც ავტობუსით ვმგზავრობ. ფანჯრიდან ვიხედები. ქალაქს თავიდან აღვიქვამ და მადლობას ვუხდის მას ამ ანონიმური თავშესაფრის მოცემისთვის.

მაშინ, როდესაც კოდს ვკრეფ და რკინის უზარმაზარ კარს ვაღებ, თითქოს კარგად დაცული ციხის შესასვლელი იყოს, ვკარგავ სახელს, საკუთარ სახეს. ბინძური ცისფერი დერეფნების ბოლოს აღარაფერი ვიცი და დალაქავებული კარის წინ ვდგავარ, როგორც არავინ.

ეს ქალაქი მიყვარს, რადგან მან მე ჩამყლაპა, რადგან დამმალა და უფლებას მაძლევს, უაზროდ ვუცქირო მის მონუმენტურ, შემზარავ შენობებს. ნეტა აქ კანის ასაძრობად ჩამოვედი?

თითქოს საკუთარი ცხოვრების მაყურებელი ვარ, თან ბატბუტს მივირთმევ.

მეტროთი დავდივარ. ლუდსა და პურს ერთსა და იმავე ქალთან ვყიდულობ, ტელევიზორში უაზრობით დაკავებულ ადამიანებს ვუყურებ და ვფიქრობ ჩემთვის რა

კარგი იქნებოდა, ისეთი მსუბუქი ცყოფილიყავი, რომ ხელების გამლა და სიბნელებში გაფრენა შემძლებოდა?! გლავანის კედელს ვაგებ ჩემ გარშემო, რომ ჩემს მარტოობას ხელი არავინ შეუშალოს.

უარს ვამბობ ყველა ღირსშესანიშნაობაზე, უკაცრიელი ქუჩებით მივდივარ სახლში, არც ქალაქის რუკა დამაქვს თან, მინდა დავიკარგო. განწმენდის რიტუალს ვიტარებ. დაბრეცილ აივანზე გავდივარ და ცაში აჭრილ გიგანტურ ნაგებობებს მივჩერებვარ.

ვწერ. იშვიათად მასხენდება რაიმე და თუ მასხენდება, მხოლოდ ის, რომ უნდა დავწერო. ნაყიდ წიგნებს საკუთარ სახელს ვაწერ და ეს სისულელე მგონია. ვკარგავ რაიმეს ფლობის სურვილს. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, მხოლოდ ერთი შარვალი და ერთი პერანგი მქონდეს, თუმცა აქ ესეც ელიტურად მიჩვენება. ამიტომ არ ვიქცევი ასე.

კისერი გაკავებული მაქვს, ფიქრები გაშეშებული. თავიდან მომინევს დანყება, თუკი ოდესმე გამოვანგრიე ჩემი ციხისმაკრე. პირველად დავიჯერე, რომ სიყვარულს გადაჩვევა სჩვევია. უცნობები მირეკავენ. იმ ადამიანებს კი, რომლებიც ოდესღაც მიყვარდა, ახლა ტელეფონის სხვა ნომრები აქვთ. სრულიადაც არ ვცდილობ ძველი ისტორიისთვის სულის ჩაბერვას. შევძლებ კი?!

ტკივილს გაყენებ იმით, რომ არაფერს ვქმნი? ძალიან კარგი! ვითომ პათეტიკურად გამომივიდა? ფეხებზე მკიდია. მე არასდროს დამიმალავს, რომ კინოში სმირად ვტირი, გულაჩუყებული.

65. ქმა (2004)

შენ ვერასდროს დასვამ წერტილს, ვერასდროს დაასრულებ ამ ისტორიას. შენ მე არასდროს არ გყოფნიდი, არც არავინ გეყოფა არასდროს. მე ჩემი ცხოვრება ვერცხლის ლანგარზე დადებული მოგართვი, შენ კი მხოლოდ შიგადაშიგ შეავლებდი ხოლმე ხელს. და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს მისგან მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობდი. ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი, რომ ის მკვდარია, ცოცხალი მკვდარი.

რა სულელი აღმოვჩნდი. როგორ მეგონა, რომ სიყვარულით ჩამოგაშორებდი იმ სასაფლაოს, რასაც სარე ჰქვია. ცხოვრება ტანჯვად მიქცეი. არა, ჩვენს ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება, შენ არ შეცვლი, პატრის. მაშ, წადი მასთან, იქნებ იპოვო კიდევ. თავადაც სიამოვნებით წავიდოდი მის მოსაძებნად და საბოლოოდ მოვკლავდი, რომ არასდროს არავისთვის აღარ აემღვრია ფიქრები.

მთელი ცხოვრება მას ეძებდი, ჩემშიც კი მხოლოდ მას ეძებდი. მაგრამ იმედი გაგიცრუვდა, მე მხოლოდ მე აღმოვჩნდი! მე მე ვარ, პატრის. მე მარი ვარ, მარი. თუმცა ახლა უკვე თავადაც არ ვიცი... ვარ კი? საკუთარი თავი სადღაც დავკარგე და შენ დამეხმარე, რომ ეს მომხდარიყო. პატრის! შემომხედე და მითხარი, დამეხმარები? შეძლებ, რომ ჩემი ცხოვრება დამიბრუნო? ვერა?

ეს ყველაფერი მარიმ სიკვდილამდე სამი კვირით ადრე უთხრა. ისინი სამზარეულოში ისხდნენ, პატრისი პურს ჭრიდა და უცებ მარიმ საუბარი წამოიწყა.

მისი გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ, ტკივილს რომ ვეღარ გაუმკლავდა, მარის ნივთებში დაიწყო პატრისმა ქექვა, ისე, უმიზნოდ. ყნოსავდა მის ნივთებს,

რომლებსაც ჯერ ისევ ასდიოდა მარის სიცოცხლის ბოლო დღეების სურნელი. მერე მარის ჩანაწერები გადაათვალიერა, დღიურიდან ფურცლები ამოხია და ათასჯერ გადაიკითხა. თითქმის ყველა ჩანაწერი მასთან დიალოგს იყო, უფრო სწორად, კითხვები, რომლებსაც მარი ბოლო წლებში აღარ უსვამდა მას. ამ სტრიქონებში მისი ცოლი ლაპარაკობდა — გულნატკენი, გაბრაზებული, სასონარკვეთილი.

„როცა მიყურებ, ვერც კი ხედავ, როგორ ვინვი. იცი, რამდენი უაზროდ გაფლანგული ვნებაა ჩემში? მუდმივად მაკლდი, არ მყოფნიდი. ნუთუ ვერ ხედავ, როგორ ვიფერფლები?! ნუთუ ვერ ამჩნევ, რამდენი დაუხარჯავი სიცოცხლის ხალისია ჩემში? დავიღალე.“

ოთხი გვერდის შემდეგ ასეთი ჩანაწერი იყო:

„ს. კვლავ ყველაზე და ყველაფერზე ბატონობს ჩვენს პატარა სამფლობელოში. ერთმანეთი დიდი ხანია დავკარგეთ. ნეტა ზუსტად როდის, რომელ დღეს, დამეს, რომელ წუთს მოხდა ეს? უსიტყვო დღეებით გათანგულები დამდამობით ისევ უსიტყვოდ ვეძლევი ვნებას. და მერე მთელი სხეული მტკიავა, საშინლად მტკიავა, მაგრამ შენი სხეული ერთადერთი ბოლო ძაფია, რაც ჩვენს ცხოვრებასთან ჯერ კიდევ მაკავშირებს. ღამე ერთად ვართ, დღისით კი ისევ იმას უბრუნდები შენ და მე ისევ ვქრები შენი ცხოვრებიდან, ალბათ, ზოგადად ცხოვრებიდან. გარშემო მხოლოდ სიჩუმეა და ეს სიჩუმე მაგიჟებს. ხანდახან ბაღში ვმუშაობ. ზოგჯერ კატებს ვეთამამები. ამას წინათ პამიდგრის. ჩითილები დაფრგე და მერე ვიტირე, უმიზეზოდ ვიტირე. საკუთარი თავის დამკვირვებლად ვიქეცი“.

პატრისმა ეს გვერდები ამოხია და შეჭამა. მერე გული აერია.

ანე ქალაქში იყო წასული. გარიბალდი იქვე იწვა მონყენილი და იხვებს გასცქეროდა, არასოდეს აცილებდა მათ თვალს, თუმცა იცოდა, რომ ვერასდროს მოიხილათებდა.

— შთამბეჭდავი იყო ამ ძაღლის სიჭიუტე. პატრისი ყურადღებით ათვალიერებდა დიდ, ლამამ ცხოველს, პატრონივით ბებერსა და დაღლილს.

უცებ გარიბალდი წამოხტა და ეზოსკენ ყფით გავარდა, წესით, ეს ანე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მანქანის ხმა არ ისმოდა. არადა ჭიშკარი ღია დატოვა. ნეტავ ლაურა იყოს, ნეტავ ლაურა იყოსო, ფიქრობდა გზაში, ის უცხო ლაურა, რომელსაც ასეთი მონატრებით ელოდა.

იმ დილას სასტუმროს ნომერში ამ მონატრებამ კინაღამ ორივე შეიწირა. ამ კოშმარს ვერასოდეს დაივიწყებდა ვერც ერთი და მიანც... მაინც ვერ ერეოდა საკუთარ თავს. რისი ვასალები ჰქონდა იმ ცივ ქალს, ნაბრძოლსა და იარებიანს, რისი? რომელი კარის? გააღწევდა იმ კარიდან გარეთ, თუ მარადუშამს ჩაიკეტებოდა უფანჯრო ოთხ კედელში?

მაგრამ ამჯერად მის წინ სრულიად უცნობი ქალი იდგა. როგორც ჩანს, ფეხით მოვიდა.

ქალს მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა და მუქი ფერის, განიერი ტანსაცმელი ეცვა. საკმაოდ მაღალი იყო. ქალმა პატრისი შეამჩნია და მისკენ წამოვიდა.

— გამარჯობა, მე ფრანჩესკა ლოუელი ვარ. შეგიძლიათ რამდენიმე წუთი დამითმოდ? იცით, მე თქვენს გამომცემლობაში გამოცემულ ერთ-ერთ ნიგზზე მინდა...

ქალი ინგლისურად საუბრობდა. პატრისმა ხელი გაურკვეველად გააქნია, თითქოს ქალის თავიდან მოცილება უნდოდაო, მაგრამ ქალი არ განძრეულა, ჭოუტად იდგა და თვალს არ ამორებდა მას.

პატრისი თავს ერთდროულად დაბერებულად, გაღიზიანებულად და იმედგაცრუებულად გრძნობდა.

— რა გინდათ? თავს რატომ არ დამანებებთ? რატომ დაიწყო თავიდან ეს ყველაფერი, არ მესმის, რატომ? თქვენც პრესის წარმომადგენელი ხართ?

— არა, არა ვარ. აქ პირადი ინიციატივით მოვედი. მხოლოდ ხუთი წუთი მომისმინეთ, მეტს არაფერს გთხოვთ რაღაც მინდა გითხრათ, სულ ესაა. იმის ამბიცია არტ მაქვს, რომ ამ საქმიდან რაიმე სარგებელი ვნახო.

— Mon dieu, je suis fatigué (*ღმერთო, როგორ დავიღალე — ფრანგ.) — ჩაიბურტყუნა პატრის მა ფრანგულად და სახლისკენ წელი ნაბიჯით გაემართა. ქალი უკან მიჰყვა. პატრისმა ქალი სამზარეულოში. შეიყვანა, მაგიდის ლამპა აანთო და ყურადღებით შეათვალიერა.

სევდიანი გამომეტყველების მიუხედავად ძალიან ლამაზი იყო — ნათელი, დახვეწილი ნაკვთები, დიდი ცისფერი თვალები და გადატკეცილი ბავშვური კანი ჰქონდა. ძვალწვრილი იყო. გრძელი კიდურები ჰქონდა. ელფს ჰგავდა, არაბუნებრივად მაღალ ელფს. ქალს თვალები ავადმყოფურად უციმციმებდა. პატრისმა ცალკებად, ზრდილობის გამო შესთავაზა ქალს ყავა. ქალმა უარი უთხრა.

— სიღნეიდან ვარ. შემთხვევით შემოვრჩი პარიზში.

სხვაგან ვაპირებდი წასვლას, მაგრამ რამდენიმე კვირის წინ ერთ წიგნს გადავანყედი და მოსვენება დავკარგე. მას შემდეგ ბევრი ვეძებე, ვიკვლიე, მაგრამ ვერაფერი გავარკვიე. ბოლო წლებში სერიოზული პრობლემები მქონდა. ჰო, მოკლედ, კარგად ვერ ვიყავი. მერე, როგორც გითხარით, ეს წიგნი წავიკითხე და... ვიცი, უცნაურად უღერს, მაგრამ ის, რაც ამ წიგნში წერია, ჩემი ფიქრებია. ეს ჩემი სიტყვებია, ეს მე ვარ. არ ვიცი, როგორ ავიხსნათ. ვიცი, ჩემი ნათქვამი გიჟის ნაბოლღვარს ჰგავს, მაგრამ ამ წიგნის ფრაზებს ზუსტად ასე, სიტყვასიტყვით, მე ვფიქრობდი, თავს ზუსტად ასე ვგრძნობდი, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ხშირად. თქვენ ამ წიგნის გამომცემელი ხართ. მინდა, დამეხმაროთ. ავტორის შესახებ თითქმის ვერაფერი გავარკვიე, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიგო, ვინ...

საუბრის დროს ქალი პატრისს თვალს არ აცილებდა და ეს დაჟინებული მზერა პატრისს უსიამოვნო გრძნობას უჩენდა. პატრისი ჩაოფრდა, გაახსენდა საქალაქი ფარდულში, მერე ლაურას შიშველი სხეული სასტუმროში და სისხლი. მარის სახე წარმოუდგა თვალწინ, ბალიშში თავჩარგული, ანე და მისი სამინელი სასონარკვეთა, როდესაც გაიგო, რომ მარი აღარ იყო. მერე გარიბალდის შეხედა, რომელიც იქვე იწვა და ეძინა. თავში ყველაფერი აერია, თვალებზე ბინდი ჩამოაწვა, დამძიმდა, ქალს ახედა, პირველად გაუსწორა თვალი და წყნარად, მიძიმედ წარმოთქვა:

— სარე არ არსებობდა. წიგნი მე დავწერე.

— რა თქვით?

— დიახ, ასეა. მალე ამ ფაქტს ყველა შეიტყობს და ყველაფერს გაიგებთ, რაც გაინტერესებთ. ჯერჯერობით კი მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ. არ ვიცი, დავეხმარებათ თუ არა ეს ძიების დროს, მაგრამ...

პატრისის წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ლაურა ამ ამბავს ყველას მოუყვებოდა, როგორც კი გაარკვევდა ყველაფერს, როგორც კი ყველა ფაქტს შეამოწმებდა.

— არ მესმის... ვერ ვხვდები.

— რაც ახლა გითხარით, იმაზე მეტს ვერ გეტყვით. ამ ამბავს ამჟამად სხვა ადამიანები იკვლევენ. ალბათ, ჯობს მათ დაელაპარაკოთ. მე კი მხოლოდ ერთ რჩევას მოგცემთ: დაივიწყეთ წიგნი, დაივიწყეთ უნან სარე, ეს ყველაფერი ერთი დიდი გაუგებრობაა, ერთი დიდი ბოღვაა და მეტი არაფერი! ჰო, და თანაც დავინწყებელი. იმედია, რომ სამუდამოდ! ტელეფონის ნომერს მოგცემთ. შეხვდით იმ ქალბატონს და ის ყველაფერს აგიხსნით. ახლა კი უნდა გთხოვოთ, რომ წახვიდეთ. მაპატიეთ.

პატრისმა ქალაღმდეგე სასტუმროს მისამართი და ტელეფონის ნომერი დაწერა და ქალს მიაწვდინა. ქალი ადგა. სახეზე ფერი დაჰკარგოდა. რამდენიმე წამი გაუნძრევლად იდგა და სადღაც სიცარიელეში იყურებდა.

— ცუდად ხართ?

— არა, არა, ყველაფერი კარგადაა.

უცებ გარედან ხმაური მოისმა, გარიბალდიმ გაიღვიძა და გარეთ გავარდა.

— კი, მაგრამ... — არ ნებდებოდა სიდნეელი ქალი. რო გორც ჩანს, ვერ ეგუებოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. აშკარად ეტყობოდა იმედგაცრუება.

ოთახში ანე შემოვიდა და გარედან სიცივე შემოიტანა. თან გარიბალდი შემოჰყვა. უცხო ქალის დანახვამ ანე გააოცა, თუმცა მის სახეზე ვერ ამოიკითხავდი, მისი გამოჩენა მოეწონა თუ არა.

უცებ, თითქოს ღრმა ძილის შემდეგ გამოფხიზლდყო, ქალმა თავი გააქნია და გასასვლელისკენ წავიდა.

— მაპატიეთ, ხელის შეშლა არ მინდოდა, — წარმოთქვა ანემ პროვოკაციულად და ქალი გაატარა. პატრისმა გაბრაზებულმა შეხედა დას და ქალი ჭიშკრამდე მიაცილა.

სიდნეიდან ჩამოსული ქალი კიდევ ერთხელ შემობრუნდა პატრისისკენ და მერე სიბნელეში გაუჩინარდა. პატრისი ცოტა ხანს გარეთ დარჩა, სიგარილოს მოუკიდა.

უკან მობრუნებული სამუშაო ოთახში შევიდა, ძველი კომპიუტერი ჩართო, რომელსაც ძლივს შეეჩვია და უსიამოვნო წრიპინის დაელოდა. მერე ინტერნეტში ფრანჩესკა ლოუელის ძებნა დაიწყო. საძიებელში სახელი და გვარი ჩაწერა და შედეგს დაელოდა. ევრანზე 18 ლინკი ჩამომწკრივდა. 20 წუთის შემდეგ პატრისმა ყველაფერი იცოდა ფრანჩესკა ლოუელის შესახებ; ყველაფერი, რამაც ფრანჩესკა მის ჭიშკართან მოიყვანა. ნეტა დამთავრდება ეს საშინელი კომპარი ოდესმე? მაგიდას მუშტი გამწარებით დასცხო.

მერე საქალაქდეს მისწვდა და გადაშალა. ასოები სადღაც გამჭრალიყვნენ. პატრისმა შავი კალამი აიღო და ღონივრად მოხაზა ასოები ქალაღმდეგე, თითქოს მათი უკან დაბრუნება სურდა.

66. აპიდაპი (2004)

ლაურამ ფრიკს ყველაფერი უამბო, რაც იცოდა. მოუყვა, რომ წარწერა Rue Bonaparte-ზე ღუმამპის ხელნაწერის იდენტური არ აღმოჩნდა, რომ სახლის ყველაზე

ხანშიშესულმა მობინადრემ გაიხსენა გოგონა, ორმოცდაათიან წლებში ცოტა ხნით იქ რომ ცხოვრობდა, რომ კარგად ახსოვდა გოგონას გადაპარსული თავი, მისი გაქუცული ტანსაცმელი და შეშლილი თვალები.

ოლგა კოლერტის ჩანაწერებიც ახსენა. მარი ბესონვილზეც ისაუბრეს და მის „Distraction“-ზე.

ფრიკი აღელვებული ჩანდა, ალბათ უფრო მეტს ელოდა. ლაურას ფული სთხოვა, აღარაფერი დამრჩა, მერე დაგიბრუნებო. ლაურამ თავი გააქნია და რამდენიმე კუპიურა უსიტყვოდ დაუღო მაგიდაზე.

— და ახლა? რა უნდა ვქნათ? — შეწუხებული აქიცივებდა თავს ფრიკი და ლუდს წრუპავდა. ყოველ ჯერზე სხვადასხვა სასმელს სვამდა, თითქოს სათავისო ჯერ ვერ იპოვავო.

— არ ვიცი. მაინც არ მჯერა, რომ ყანა სარე არსებობდა. მგონია, რომ დუშამპის დანერგა. იმ სახლის ბინადარი გოგონას არსებობა კი, უბრალოდ, უცნაური მითია, დამთხვევაა. აქ იმაზე მეტხანს დავრჩით, ვიდრე ვგეგმავდით. ალბათ აჯობებს...

— So will ich dich, o meine Gottheit, haben, in meinem Blut dein Fleisch und Blut begraben (*უზომოდ მინდა, რომ დაგისაკუთრო, სისხლით და ხორციით შეგვერწყა, შენი სხეულით დაგტკბე, ვიდრე გადავდინდებით ერთურთში ოდესღაც.) — ფრიკი ლაურას მისჩერებოდა და თან ლექსს უმარცვლავდა. — გახსოვთ?

— ამას რატომ ამბობ?

— მინდოდა თქვენთვის გამეხსენებინა.

— რა გაგეხსენებინათ?

— ეს ლექსი.

— მერე ამით რა? გული მომიღებება და დაგთანმდებით იმაზე, რომ სამუდამოდ პარიზში დავრჩეთ და სარეს ნაკვალევს ვსდიოთ?

— დაფიქრდით, რატომ ვართ აქ? მარტო სარეს გამო?

ყანა სარეს გამო? დაფიქრდით, ლაურა. აქ ვიქნებოდით, ჩვენთვის მნიშვნელოვანს რაღაცას რომ არ ვეძებდეთ?

— რას ბოღავთ, იან? რა სისულელეა?! რა უნდა მინდოდეს აქ? მე თქვენ გამო წამოვედი და თქვენ გამო აღმოვჩნდი ამ ქაოსში!

— ვფიქრობ, აქ იმიტომ ვართ, რომ სიმართლე ვიპოვოთ. სიმართლე ქალზე, რომლის ფიზიკური არსებობაც.

მეორეხარისხოვანია.

— ვერ ვიტან პათეტიკურობას — ლაურა გაღიზიანებას ვერ მალავდა. ამ ბიჭს აშკარად ჰქონდა რაღაც, რასაც ლაურა ვერ ეგუებოდა. ფრიკი შეცბა და გაჩუმდა.

— მე დავრჩები. — ჩაიბუტბუტა ბოლოს ფრიკმა.

— თქვენი წყენინება არ მინდოდა, იან. ეს ამბავი ჩემთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მე მგონი, გზა აგვენა, დავიკარგეთ, რაღაცებში გავიხლართეთ. ეს არ არის ჩვეულებრივი კვლევითი, სამეცნიერო სამუშაო. აქ ადამიანების ცხოვრებასთან, ოცნებებთან, ბედნიერებასთან და უბედურებასთან გვაქვს საქმე და... სიკვდილთან. დაუსრულებლად სიკვდილთან, სიკვდილთან, სიკვდილთან. ნუთუ ოდნავ მაინც არ გთრგუნავთ ეს ფაქტი?

— ლაურა, რატომ მოიკლეს იმ ქალებმა თავი? თქვენ როგორ ფიქრობთ? — ისე გულუბრყვილოდ იკითხა ფრიკმა, რომ ლაურა განაიარაღა.

— ალბათ რაღაც გამოსავალს ეძებდნენ და ამ წიგნში ო იპოვეს. მაგრამ ლოგიკური, ამომწურავი პასუხები არც მე მაქვს, იან.

— რატომ იკლავს ადამიანი თავს? იმიტომ, რომ ფარხმალს ყრის, იმიტომ რომ უბედურია, იმიტომ, რომ მარტოა, იმიტომ, რომ არ გაუმართლა, იმიტომ, რომ მიატოვეს. იმიტომ, რომ... ეს პლაკატური მიზეზებია!

ფრიკი უჩვეულოდ აღლევებული ჩანდა, თითქოს შეკითხვამ გამოაღვიძაო.

— ერთი კვირა, მეტი არა! უფრო დიდხანს ვერ და არ დავრჩები. თქვენ თქვენს პასუხებს ეძებთ, მე — ჩემსას. ერთ კვირაში უკან ვბრუნდებით. არ მინდა ნახევარი ცხოვრება სულელების ძებნაში გავატარო, გესმით? არ მინდა სინდისი მქენჯნიდეს იმის გამო, რომ მიცვალებულები ვერ გავაცოცხლე. ეს ცუდად მოქმედებს ჩემზე.

— რომ იცოდეთ, ჩემთვის ეს ყველაფერი რა მნიშვნელოვანია, ლაურა, ვერც კი წარმოიდგენთ! — ამ წინადადების წარმოთქმისას ფრიკს ხმა გაეზბარა. ლაურამ ფული გადაიხადა და მანქანისკენ წავიდა.

და დაბრუნდა იქ, სადაც არ უნდა დაბრუნებულიყო. მიაკითხა იმ გრძნობას, რომელიც მას სიცოცხლის შეგრძნებას უმძაფრებდა. მიაკითხა აჩრდილს, რომელიც მას ხორციელს ხდიდა.

სექსი კაბინეტში ჰქონდათ, მაგიდაზე, იატაკზე, კედელზე აკრულვებს. სიბნელეში. ისევ და ისევ. ლაურა ვნებისგან იკლავებოდა თეთრთმიანი კაცის ქვეშ. ვნება ტკივილს იწვევდა, ტკივილი — ვნებას. სიტყვები დიდი ხნის წინ გამოეღიათ და ახლა სხეულითა შეეძლოთ ფარიკაობა. ხელის ტერფებით, ენით, მუხლებით, იდაყვებით, შუბლით.

გამთენიისას პატრისს ჩაეძინა. ლაურა, ტანსაცმლით ხელში, ოთახიდან ჩემად გაიპარა. არ უნდოდა მის გვერდით გაღვიძება. სხეულზე სისხლჩაქცევები ჰქონდა. მანქანაში ჩაიკვია და პარიზისკენ გაემგზავრა, მაგრამ მალე იძულებული გახდა გაჩერებულიყო — ცრემლების გამო გზას ვეღარ ხედავდა.

სასტუმროს ფოიეში, გასაღებს რომ იღებდა, ვიდაცამ დაუძახა. თენდებოდა. ლაურა ნელა შეტრიალდა.

— ლაურა? მე ფრანჩესკა ლოუელი ვარ. პატრის ღუშამშმა მომცა ეს მისამართი. სასწრაფო საქმე მაქვს, ათი საათიდან გელოდებით. მართლაც ძალიან სასწრაფოა.

— პატრისმა?

— დიახ. — მაღალი ქალი უკან დაედევნა.

— ძალიან გვიანია.

— ან ძალიან ადრე.

— ჰმ.. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

პორტიე ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ორივეს. ლაურა ლიფტისკენ გაემართა, ქალს ხელით ანიშნა, გამომყევით და განზილებულ პორტიეს თავხედურად გაუღიმა.

ახლა ლიფტში იდგნენ და რკინის კარს მიშტერებოდნენ.

ოთახში შევიდნენ. უნესრიგოდ მიყრილი საცვლები, ბლუზები და ჯინსის შარვლები, რომელიც დამლაგებელს სანოლზე დაკეცილი დაეწყო. ქალი მინის პატარა მაგიდის წინ გაჩერდა. ლაურამ მაცვივარი გამოაღო და ვისკის მცირე ზომის ბოთლი გამოიღო. ქალმა ცოტა დაბნეულად შეხედა და მერე თავი დაუქნია. ლაურა სანოლზე ჩამოჯდა და პატარა ყლუპი მოსვა. ქალი რაღაცნაირი შემცბარი სახით იჯდა

და ელოდა. ნეტა რას აგონებდა მას ლაურა? რომელ მოგონებას უღვიძებდა? რა წარმოდგენა აქვს ამ უცხო ადამიანს მასზე? ფარხმალდაყრილ, განადგურებულ, დაღლილ ქალზე, რომელიც ტკივილის მისაღებად უცნობ მამაკაცთან გარბოდა და მერე ამ ტკივილს სიამოვნებად ასაღებდა?

— კარგი, რა გაინტერესებთ? რაზე გსურთ საუბარი? — ლაურას ბრაზი ახრჩობდა. რატომ გამოუშვა ღუშამშმა ეს ქალი მასთან? თვითონ ალბათ ისევ აარიდა თავი. დაიმალა.

ფრანჩესკამ ორიოდ სიტყვით უამბო საკუთარი თავის შესახებ. სიღნეი. პარიზი. „გამყინვარების ხანა“ რამდენიმე ფრანკად. უპასუხო კითხვები. და ასე შემდეგ.

— ასე ძალიან რატომ გაინტერესებთ ეს ამბავი? საერთოდ ეს წიგნი? — ლაურას ეძინებოდა, მაგრამ მაინც არ ეშუებოდა ფიზიკურ დაქანცულობას.

— იცით, სულ ახლახან გავიგე, რომ უანა სარე არ არსებობდა, ეს პატრის ღუშამშმა მითხრა. მინდა სიმართლე ვიცოდე.

— ბოდიში, მაგრამ სიტყვა „სიმართლის“ გავგონება უკვე გულს მირევს.

— ჰო, ვიცი, მაგრამ მე ეს ნამდვილად მჭირდება. ნამდვილი იდიოტივით ვდგავარ აქ, უცხო ხალხს ჩემი შეურაცხყოფის უფლებას ვაძლევ და მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა სიმართლე გავიგო. კი არ მინდა, მჭირდება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს ჩემი ისტორიაა. გთხოვთ, ასე ნუ მიყურებთ, ისედაც ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. შეიძლება ჩემთვის იყო და ახლაც არის კრიზისული სიტუაცია, მაგრამ გიჟი ნამდვილად არ ვარ.

ლაურა ფიქრობდა, რომ ამ ბოლო კვირების განმავლობაში ნებისმიერი ნათელი აზრიც კი ბოლოს სრულ სიგიჟეს ემსგავსებოდა. დაღლილობა რაღაცნაირად მიყუჩდა ლაურას სხეულში და უცებ მასაც, რატომღაც საუბარი მოუნდა. მერე დანვრილებით უამბო უცნობ ქალს ყველაფერი, რისი გავებაც მოახერხა უანა სარეს შესახებ. უნდოდა ღუშამშთან ურთიერთობის შესახებაც მოეყოლა, მაგრამ გადაიფიქრა. არ უნდოდა, ქალი კიდევ უფრო მეტად დაეხნია. ან რა იყო მოსაყოლი? რა და როგორ უნდა აეხსნა? „მე ავტორთან ვწევარ. აღმოვაჩინეთ, რომ ორივეს მამოხისტური უინი გვაქვს“ ან „ის ფაქტი, რომ ეს კაცი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, მე სულაც არ მიშლის ხელს, რომ ორგანოში განვიცადო მასთან?“ ან, ან, ან...

— და ახლა? — იკითხა ქალმა ღიმილი ხნის შემდეგ, ლაურა რომ გაჩუმდა. თითქოს საუკუნე გავიდა.

— მეც არ ვიცი. მართლა არ ვიცი. ეს ამბავი ოდესმე უნდა დასრულდეს. მე ერთ კვირაზე მეტხანს ვერ დავრჩები პარიზში. არ მინდა. აღარ შემიძლია!

ლაურამ კიდევ ერთი ვისკის პატარა ბოთლი გამოიღო მინიბარიდან. ქალსაც მედგრად ეჭირა თავი გამთენიისას, ვისკის კარგად უმკლავდებოდა. ეტყობოდა, რომ ალკოჰოლსა და მის ზემოქმედებას კარგად იცნობდა ნადინ ლევიტისგან განსხვავებით, რომელიც, მართალია, სულ სვამდა, როცა კი ლაურას ხვდებოდა, მაგრამ ალკოჰოლში ტკბობას კი არა, სტაგნაციას ეძებდა.

— აქამდე რატომ არავის მოაფიქრდა, რატომ არავინ შეამონმა ეს დოკუმენტები? რატომ? რატომ უნდა დახოცილიყო ამდენი ადამიანი? — ამოიხრა ფრანჩესკამ.

ლაურა სანოლზე წამოწვა და თვალები დახუჭა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ქალი სულ მუდამ აქ იყო.

— ამ ამბავს გამოვაცხევინებ და ამით ჩემს საქმეს ბოლომდე მივიყვან, — ზანტად გაიზმორა ლაურა.

უცბად რა იოლი და მარტივი გახდა ყველაფერი „ამ ამბავს გამოვაცხევინებ და ამით ჩემს საქმეს ბოლომდე მივიყვან“. (მართლა, ლაურა, საყვარელო, შენ გჯერა ამის?)

— ბოლომდე? ჩემმა ქმარმა ჩვენი ხუთი წლის ბიჭი მოკლა და მერე თავი მოიკლა. მას მერე აღამიანი აღარ ვარ. მოჩვენებასავით დავდივარ. წიგნი რომ წავიკითხე, წარმოდგენელი იყო, მაგრამ... იქ ჩემ შესახებ ეწერა. სიტყვისიტყვით. აბსურდია, ვიცი, მაგრამ ასეა. ამიტომ შემეშინდა, როდესაც გავიგე, სარე არ არსებობდაო. შეიძლება დუშამშიც დაწერა, შეიძლება — არა. არ მჯერა მოჩვენებების, მაგრამ მაინც ყველგან მას ვხედავ, სარეს. შეგიძლიათ გიჟად ჩამთვალათ, ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. უბრალოდ, მინდა ყველაფერი გავარკვიო და მერე... ჩემს ქალიშვილთან დავბრუნდე. ის ერთადერთია, რასაც ჩემთვის მნიშვნელობა არ დაუკარგავს. არ გვეგონოთ, საკუთარი თავი მეცოდება. წლების განმავლობაში მეცოდებოდა, მაგრამ ახლა აღარ.

მე მხოლოდ ერთი რამის გაცება მინდა: ნუთუ მეც ვიყავი იმ ქალების მსგავსად სარე? თუ ჯერ ისევ სარე ვარ? ეს ხომ ყოველთვის ასეა. სხვა აღამიანების ისტორიას ვეძებთ, რათა საკუთარი ვიპოვოთ. მგონი, ყველა შთამბეჭდავი ისტორია ტანსაცმელივითაა, რომელსაც ვიცვამთ და ვიხდით. მაგრამ მხოლოდ წიგნის წაკითხვის შემდეგ გავაცნობიერე, რომ არასწორად ვფიქრობდი. საქმე ის არ არის, მეც ვიყავი თუ არა სარე. ისტორია ერთადერთი რამ არის, რაც ჩვენ, აღამიანებს გვაკავშირებს. ჩვენ ყველას გვჭირდება საკუთარი ადგილი, ყველანი მუდამ ამ ადგილის ძიებაში ვართ. ყველას გვსურს, ამ ერთ დიდ ისტორიაში, ჩვენი თავი, ჩვენი აბზაცი მაინც დავტოვოთ.

ჩემი აზრით, მთავარი ის არ არის, ვინ იყო უანა სარე. პირიქით, იმის გამო, რომ მითად იქცა, აღამიანებმა მისი ისტორია მიითვისეს და საკუთარ თავზე მოიღრგეს. აღამიანებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს საკუთარი ისტორიის დაწერა, და ამ ერთ, საერთო ისტორიაში საკუთარი ადგილის მოპოვება. აღამიანებმა, რომელთაც იმ საერთო წიგნში, რომელსაც ალბათ ცხოვრება ჰქვია, საკუთარი თავი დაკარგეს.

მთელი ჩემი პროფესიული ცხოვრება ისტორიით ვიყავი დაკავებული და ვერ შევძელი მისი არსის შეცნობა და მხოლოდ ახლა, აქ შევძელი ამის გაცება.

გაიხსენეთ დეჟავუ ან ის წუთები, რომლებსაც სხვა აღამიანებთან ერთად ატარებთ და ის აღამიანები, რომლებიც იმ წუთებში იმავს გრძნობენ, რასაც თქვენ. ზოგიერთი ამას სიყვარულს ეძახის, ზოგიერთი — საოცრებას, ზოგიც ცდილობს ეს ფაქტი მეცნიერულად ახსნას. ჩემთვის ასეთი შემთხვევები სხვადასხვა ისტორიას უკავშირდება. იმიტომ რომ, თითოეულ ჩვენგანს აქვს საკუთარი ისტორია, საკუთარი ამბავი, რომელიც ვინმეს უნდა გაუზიაროს, უნდა მოყვეს. მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. ასეთ „ჯადოსნურ“ წუთებში კი, ჩვენ რაღაცას ვიხსენებთ, რაც სხვებთან გვაკავშირებს, მესხიერებაში რაღაც ამოტივტივდება ხოლმე, რაც ჩვენდა უნებურად სხვა აღამიანების შესახებ ვიცით. იმიტომ, რომ ყველაფერი მეორდება, არაფერი არ ხდება ერთადერთხელ.

ჩვენ ვერ ვიპოვით პასუხებს კითხვაზე, რატომ მოისწრაფეს სიცოცხლე იმ ქალებმა, რომლებმაც წიგნი წაკითხეს, წიგნი, რომელიც არავის დაუწერია. მაგრამ

თქვენ შეგიძლიათ მათი ისტორია გამოიკვლიოთ. დარწმუნებული ვარ ბევრ საერთოს იზოვით, იზოვით გადამკვეთ ხაზებს, იზოვით კვანძს. ყველა ჩვენგანს, რომელიც უანა სარეს ისტორიაში გაება, რაღაც გვაქვს საერთო. უანა სარე მხოლოდ საშუალება იყო, რაღაც კარის მაგვარი, რომელში გასვლაც ჩვენთვის აუცილებელი იყო, რომ რაიმე შეგვეცნო, გაგვეგო ან ჩვენივე ამბავი მოგვეყოლა, სარეს სიტყვებით. უბრალოდ, ყველამ ვერ გაუძლო. ყველამ ვერ მოახერხა მისი ამბის ბოლომდე მიყვანა, ზოგი შშმა მოიყვა ან იმ აღქმულმა და შეცნობილმა ისე გაუცრუა იმედი, რომ მატარებელი აირჩია უკან მობრუნებას. იმის თქმა მინდა, რომ უანა სარე ყველაფერია, ისევე, როგორც არაფერი. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სადგურისკენ მიისწრაფოდნენ, რომლებსაც ცხოვრებამ გული გაუქვავა, გამოსავალი არ დაუტოვა, უანა სარე ხიდი აღმოჩნდა, საბედისწერო და საშინელი, მაგრამ იქნებ არიან ადამიანები, იქნებ ეს ადამიანები თქვენ ან მე აღმოჩნდეთ, რომლებიც სადგურს გვერდით ჩაუვლიან და რადგან საკუთარი თავის შეცნობა მოახერხეს, მინაზე მყარად ჯ მდგარნი გააგრძელებენ გზას, რათა საკუთარი ამბავი ბოლომდე უამბონ სხვებს. იქნებ არიან...

ლაურამ რომ გაიღვიძა, შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. დაბალ მაგიდაზე, რამდენიმე ცარიელი ბოთლის გვერდით, წერილი იდო: „მადლობას გიხდით ამ საუბრისთვის. გიტოვებ ჩემს ნომერს, იქნებ კიდევ დაგჭირდეთ. რამდენიმე დღე დაგრჩები პარიზში. საუკეთესო სურვილებით. თვანჩესკა“.

67. ნადინი (2004)

ნადინ ლევიტი იყო ადამიანი, რომელმაც ბრძოლითა და ხმაურით შეტოვა ცხოვრებაში. უბრალო მუშის ოჯახში გაზრდილმა გოგონამ მოახერხა და უმაღლესი განათლება მიიღო, ამიტომ ოჯახის წევრები განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ. ნამდვილი ქალაბიჭა იყო, სამ ძმასთან ერთად გაიზარდა. არცთუ ისე განათლებული, მაგრამ ძალიან პატიოსანი, კეთილი და მოსიყვარულე მშობლები ჰყავდა, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ, რომ შვილებს „ნამდვილი ცხოვრების საშუალება“ ჰქონოდათ.

ნადინ ლევიტი გარეუბანში გაიზარდა და ეს, გარკვეულწილად, დადებითად აისახა მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებასთან ერთად ნადინს უამრავი იდეა და ამ იდეების განხორციელებისთვის საჭირო მტკიცე ნებისყოფაც ჰქონდა.

14 წლისა იყო, სკოლის ეზოში მეთექვსმეტე ბიჭებს რომ ეჩხუბა, რადგან შავკანიან ბიჭს უმოწყალოდ აწვავდნენ. რა თქმა უნდა, სცემეს. ჩალურჯებული თვალით დაბრუნდა სახლში, მაგრამ მისთვის არავის არაფერი უთქვამს. პირიქით, შეაქვს კიდევ. რამდენიმე დღის შემდეგ თავის სამ ძმასთან ერთად მივიდა სკოლის ეზოში და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ხუთი ნაბეკვი და ატირებული მეთექვსმეტე წამუტუნით უხდიდა ბოდიშს. ასე დაიბადა ნადინის პირველი იდეა — სამართლიანობის დაცვის იდეა.

13 წლისამ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, 15 წლის ასაკში ცხოველთა უფლებების დაცვისათვის გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა და მშობლებმა ესეც მოუნონეს. მაშინ, როდესაც ყველა მისი მეგობარი ჩუმ-ჩუმად პაემნებზე დადიოდა, ნადინი გულისამაჩუყებელ

წერილებს სწერდა იმ ორგანიზაციებს, გარემოს დაცვა ფეხზე რომ ეკიდათ და მისი აზრით, ბუნებას. აყენებდნენ ზიანს. ერთხელ დააპატიმრეს კიდეც და მამამისს ჯარიმის გადახდა მოუწია. ოჯახის წევრები აღფრთოვანებული იყვნენ ნადინის გამბედაობით და ამაყობდნენ კიდეც. ამ ფაქტმა ნადინი ისე წაახალისა, თითქოს ხელახლა დაიბადა, ახალი პიროვნება — ახალი ნადინი.

19 წლისა პარიზში ჩამოვიდა და უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. ზუსტად იცოდა, როგორ უნდა ეცხოვრა. უამრავი ცხოვრებისეული პრინციპი ჰქონდა, მაგრამ სანდო ადამიანი ცოტა ჰყავდა გარშემო. ნადინი მაინც არ ნებდებოდა. და რაც უფრო მეტს იბრძოდა, მით უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უწევდა.

ბრძოლა ჯერ საკუთარ თავთან დაიწყო — საკუთარ სქესთან. უნივერსიტეტში „ქალთა წრე“ დააარსა და სჯეროდა, რომ მისი საქმიანობა აუცილებელი იყო. მაგრამ პარიზში გატარებული ამ ორი წლის განმავლობაში ვერაფრის ვერ დაუახლოვდა. დასვენებისთვის დროს ვერ პოულობდა, განტვირთვისთვის ადგილი არ ჰქონდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მარტოსული იყო, მაგრამ შიშს იმით ებრძოდა, რომ საკუთარ თავს პროვოკაციებს უწყობდა. ნადინი ხვდებოდა ბიჭებს, დადიოდა ჰაემანზე, მაგრამ მამაკაცებთან ურთიერთობის ყოველი მცდელობა საბოლოოდ უხერხულად და უაზროდ მთავრდებოდა.

პირველად 18 წლისას შეუყვარდა, მაშინ ჯერ კიდეც მშობლებთან ცხოვრობდა. ის ბიჭიც ცხოველთა უფლებებისთვის იბრძოდა და ნადინს ამის გამო ძალიან მოსწონდა. კინოში იყვნენ, იკონცხავდნენ და მერე ბიჭმა თავისთან სახლში წაიყვანა, დედას გააცნო. სამი კვირის მერე ნადინი ღამით მასთან პირველად დარჩა. დედა შინ არ იყო, მარტონი იყვნენ. ნადინი ღელავდა და ტუჩებზე წითელი პომადაც კი წაისვა თანაკლასელი გოგონებისთვის. ბიჭმა სურვილი დაიკმაყოფილა და ცოტა ხანში ბედნიერს ჩაეძინა. ნადინი უთენია გამოიპარა სახლიდან, გზაში ტიროდა, პარკში წავიდა და იქ შუადღემდე დარჩა. (ცდილობდა გავეგო, რატომ არ მოეწონა ასე საშინლად ის, რასაც მისი თანატოლი გოგოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რამეც გამუდმებით ოცნებობდნენ და საუბრობდნენ. მაგრამ ნადინმა მაინც ვერ გასცა საკუთარ თავს პასუხი და ვერც ის ჭრილობა მოიშუშა, რომელიც იმ ღამემ დაუტოვა.

იმ ღამის ნაკვალევი შემდგომი წლების განმავლობაშიც ვერ ჩამოიშორა. როგორც კი რომელიმე ბიჭთან დაახლოებას გადაწყვეტდა და ამის წარმოდგენას შეეცდებოდა, ზიზღის შეგრძნება უჩნდებოდა.

ქალად ქცევის სურვილის შედეგად მიღებული ტრავმა ნადინს დიდხანს გაჰყვა, იქამდე, ვიდრე ერთ დღეს უნივერსიტეტის კაფეში ოლგა არ გაიხსნო. ნადინმა მაშინვე შეამჩნია რიგში წყნარად მდგარი ერთი გამხდარი გოგო, რომელიც ყველას წინ უშვებდა, ვინც კი სთხოვდა და რაღაცაზე ჩაფიქრებული, თვალგამტერებული დასცქეროდა იატაკს. ეტყობა, ახალი იყო და ნაცნობების შეძენა ჯერ ვერ მოესწრო. ნადინი გოგოს გამოელაპარაკა, გოგონამ ჯერ დაირცხვინა, მერე თავი ასწია და გაუღიმა. ეს ღიმილი იყო ყველაზე მშვენიერი რამ, რაც კი ნადინ ლევიტს თავისი ცხოვრების 22 წლის განმავლობაში ენახა.

ოლგას სიკვდილის შემდეგ ნადინმა შიმშილობა დაიწყო. თვეობით ავადმყოფობდა, პარიზიდან გაიქცა, ეზიზღებოდა ეს ქალაქი. ისევ მშობლებთან დაბრუნდა საცხოვრებლად. შეეცადა, ცხოვრება ხელახლა დაეწყო, ცხოვრება ოლგას გარეშე, მაგრამ მასში რაღაც გაქრა. ოლგას სიკვდილის შემდეგ რაღაც დიდი, რაღაც

მნიშვნელოვანი მოკვდა, გაქრა, სამუდამოდ გაჰყვა ოლგას. რამდენიმე თვეში ნადინი თითქოს დაბერდა.

შვიდი თვე დასჭირდა, რომ ახლიდან დაეწყო ნაბიჯების გადადგმა, სიარული, აზროვნება, სუნთქვაც კი დაბრუნდა. უნივერსიტეტი დაამთავრა, ისევ აგრძელებდა სამყაროს ყველანაირი უსამართლობის წინააღმდეგ მონყოილ ღემონსტრაციებზე სიარულს. არადა ვერ შეძლო, საკუთარი ცხოვრების უდიდესი უსამართლობა თავიდან აეცილებინა.

ერთ-ერთ უურნალში დაიწყო მუშაობა, წარმატებასაც მიაღწია. ისევ ხვდებოდა ადამიანებს, საუბრობდა, უსმენდა სხვებს და ნელ-ნელა ახლოსაც მოუშვა რამდენიმე მათგანი. თანდათან სწავლობდა სიამოვნების მიღებას და სიყვარულსაც ახერხებდა, ერთი ლამით, ერთი კვირით, ერთი თვით. თავის სახლში, ლოგინში უშვებდა მათ — ახლა მხოლოდ ქალებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხვდებოდა, რომ ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ ასე იყო „მიღებული“ და არა იმიტომ, რომ მას სურდა ან ეს სიამოვნებას ანიჭებდა.

მერე უურნალი დააარსა, საკუთარი იდეების ერთგულიც იყო და ფულსაც შოულობდა. ერთ დღესაც ყველაფერი მიატოვა და აფრიკაში ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის უხელმძღვანელო თანამშრომლად წავიდა.

აფრიკაში მისი უფროსი ფრანგი ექიმი იყო. ის პირველი ადამიანი აღმოჩნდა ნადინის ცხოვრებაში, რომელიც მისგან არაფერს ელოდა, მისგან არაფერი სჭირდებოდა. ამიტომაც გადანწყობა მასთან დაახლოება და დაფეხმძიმდა.

უკან დაბრუნდა. დაღლილი, ორსული, ამდენი უცხო ადამიანის უბედურებით გატყერებული. ამოდ ცდილობდა ორსულობით დამტკბარიყო. ბავშვის დაბადებამ მამა აფრიკიდან პარიზში დააბრუნა. ლამაზი, ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა. მამამ ერთ-ერთ საავადმყოფოში ქირურგად დაიწყო მუშაობა და მთელი ყურადღება ჩვილზე გადაიტანა.

ცოლ-ქმრად არ გამოდგებოდნენ, ორივემ იცოდა ეს და არც ცდილობდნენ ბედნიერი წყვილის როლის თამაშს. უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ და შვილზე ზრუნვას ინაწილებდნენ. სამი მშვიდი წელი გაატარეს ერთად. ბოლოს ნადინმა სამი წლის პატარა მამამისს დაუტოვა და ცალკე ბინა იქირავა. ეს ყველასათვის საუკეთესო გამოსავალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან საკუთარი თავი სძულდა, ვერ ეგუებოდა შვილის მონატრებას, შეთანხმებას არღვევდა და ყოველ მერე დღეს ბაღში აკითხავდა.

მერე თანდათან შეეგუა და ბავშვს მხოლოდ შაბათ-კვირას ხვდებოდა. ეს ორი დღე იმყოფინა. შორიდან ხარობდა იმით, რომ მის ბიჭს ასეთი არაჩვეულებრივი და თავგანწირული მამა ჰყავდა, ისეთი საოცარი მამა, როგორი საოცარი დედაც ვერასდროს იქნებოდა მისთვის.

დროთა განმავლობაში ნადინის ცხოვრებაში ერთგვარმა სიმშვიდემ დაისადგურა, უძილო ღამეები წარსულს ჩაჰბარდა, გარკვეული რუტინა გაჩნდა მის ყოველდღიურობაში, ოღვაზე ფიქრები და ღამისეული კომპარები შემცირდა. ცხოვრებას მოტკბო გემოც კი მიესცა.

და უცებ ის ჰოლანდიელი ქალი. ქალი, რომელმაც მკვდარი შვილი დაბადა და მერე სარეს ნაკვალევს პარიზში გამოჰყვა.

ამ ქალის გამოჩენის შემდეგ ნადინი ისევ აფორიაქდა. რუტინას ბზარი გაუჩნდა. ოლგაზე ფიქრებმა იმატა. ნადინმა ისევ რალაქის მოუსვენრად ძიება დაიწყო. ეძებდა არა ოლგას ან საკუთარ წარსულს, არამედ იდეის მსგავს რაიმეს, რომელსაც ჩაეჭიდებოდა, რომელიც საყრდენად გამოადგებოდა, რათა წარსულს ისევ არ გადაეთელა, როგორც ქარიშხალს და გამოშვივნილი, დაღლილი, ცარიელი არ მიეტოვებინა მერე. ახლა ნადინი აღარ იყო მართო. მას შვილისთვის უნდა შეენარჩუნებინა ძალა, უნდა გადაეტანა ეს შემოტევა.

ნადინს სჯეროდა, რომ ამჯერად გაუძლებდა ამ გამოცდას, რომ ოლგას აჩრდილი ხელმეორედ აღარ აუბნევდა გზა-კვალს. მაგრამ გულის სიღრმეში მშვენივრად ხვდებოდა, რომ რამდენი წელიც არ უნდა გასულიყო ოლგა მისთვის კვლავინდებურად იარსებებდა; ოლგა არასოდეს გამქრალა მისი ცხოვრებიდან. მისი სურნელი, ღიმილი, შუბლის შეჭმუხნის მანერა, ცხვირის აბზევა, როდესაც გამბედაობა ღალატობდა. — ამ ყველაფერი დავიწყება შეუძლებელი იყო. ნადინი შფოთავდა, ბობოქრობდა, საკუთარ თავს ებრძოდა. მაგრამ ნადინი ერთ რამეს მიხვდა: საყვარელი ადამიანის გარდაცვალებისას ყველაზე სამინელი საკუთარი ცხოვრების უარყოფა იყო.

ნადინმა ისევ დაიწყო ახალი იდეების ძიება და საბრძოლო მოედნისკენ ცქერა. უსამართლობა კი — ჰოი, საოცრებაჲ! — ჯერ კიდევ ბატონობდა დედამინაზე.

68. მე (2005)

სხვა ცხოვრებაზე ვოცნებობდი, სხვა წარსული მინდოდა, სხვა კონტურები, მაგრამ ვერ მოვახერხე... ამიტომაც დავიწყე წერა. ქურდივით დავიპარებოდი უცხო ქალაქებში სხვისი ცხოვრების ნიმუშების საძებნელად, მაგრამ ჩემი ისტორიის ჩამორეცხვა საკუთარი სხეულიდან არცთუ ისე იოლი გამოდგა.

და მერე, ერთ დღესაც, უცხო ქალაქში, შევჩერდი და საკუთარ თავს შევხედე. არა, სარკეში არა, პირისპირ. საკუთარი თავი დავინახე და გამელიმა.

69. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

ფიქრებმა ფერი დაკარგეს, გაიციციცნენ.

ძირს ენარცხება. უხარია, რომ არაბმა ერთგული ღამის თანამგზავრი გამოაყოლა. ცოტაოდენი ოპიუმის მოლოდინით გამონვეული ურუნტელი ყველაფერს ასატანს ხდის.

სიცვის დადგომასთან ერთად მართობაც გაიბერა გასაბერი ბუშტივით. მამაკაცის ქუდი მოიპარა, სიცვივან თავი რომ დაეცვა. ბოლო დროს მხოლოდ ისეთ რამეს აკეთებდა, რაც მოსწონდა. ამიტომ ჯიბეში ფულიც გაუჩნდა. ადრე მხოლოდ მაშინ იპარავდა, როცა შიმშილს ვეღარ იოკებდა, ახლა უკვე სულერთი იყო. აღარ ერიდებოდა. ამასობაში დაოსტატდა. ხანდახან პარკში ჯდებოდა და ადამიანებს აკვირდებოდა, ადრე ამის დრო არ ჰქონდა.

უფილტრო სიგარეტების ნაცვლად სიგარილოებს ეწეოდა ნატიფი კოლოფიდან. ბინის ქირაც გადაიხადა, ფული კონვერტში ჩალო და კონსიერაჟს შეეცურა კარის ქვეშ.

ხანდახან საერთოდ აღარ წერდა. წერა იმაზე ნაკლებად ენატრებოდა, ვიდრე მოელოდა. თმა გაეზარდა, უკვე ყურებსაც კი უფარავდა.

ველოსიპედი მოიპარა და ქუჩებში დასეირნობდა, მერე სადღაც დატოვა და ლათინური კვარტალისკენ ფეხით გაუყვა გზას.

სახლის ეზოში რომ შემოუხვია, რატომღაც კედელზე რაიმე კვალის დატოვება მოუნდა, ბასრი ქვა იპოვა და Distraction ამოფხაჭნა. მერე ნახშირი მოძებნა და ასოები გაამუქა. კედელზე შავად იკლაკნებოდა გაკრული ხელით. დანერვილი Distraction — ერთადერთი გზავნილი, რომელსაც სამყაროს დაუტოვებდა.

ბნელ ჭუჭყიან სადარბაზოში შევიდა. პატარა ოთახი, რომელშიც სქელი კონსიერჟი იჯდა, მწვანედ იყო განათებული. სწრაფად ჩაუარა. სახლი ყოველთვის ჩუმი, მიტოვებული და ბინძური იყო. სიძველისა და ძაღლის განავლის სუნი იდგა.

ბინის კარი რომ მიიხურა, ქარმა გაიწეილა. გაიხადა აბაზანის ნელთბილი წყლით აავსო და ყველა ფანჯარა დახურა. სიბნელე გარს შემოიხვია. აბაზანაში ჩანვა. თბილმა, მტკივნეულმა სიამემ დაუარა სხეულში თავისი მოკლე ფრჩხილები ნეკნებს შორის ხორცში რომ ჩაირჭო.

ვერცხლისფერი ფოლგა აიღო, პირთან მჭიდროდ მიიღო და მოქაჩა.

უდაბნოში იყო, უპატრონოთა ქვეყანაში და ამ უდაბნოს არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული. მერე ცხელ ქვიშაზე დანვა. ხელების მოქნილი, სწრაფი მოძრაობით (ცდილობდა სხეულით ქვიშაში ჩაფლობას. უცებ ის ლამაზი, უცხო ქალი გამოჩნდა და გაუღიმა. ქალი კარში შემოვიდა, საზაფხულო თხელი კაბა გაიხადა, კეკლეუცი ღიმილი დაიფინა სახეზე და ნელ-ნელა ჩაქურდა მის აბაზანაში.

— სად იყავი? — ჰკითხა სარემ და ხელი გაუნროდა.

— მთავარია, რომ მოვედი.

— მაგრამ აქამდე სად იყავი?

— სხვაგან. ჩვენ ხომ დროში ავცდით ერთმანეთს!

— ჰო, ვიცი.

— ჯერ აღრეა. ჯერ არ დამდგარა ჩვენი დრო.

— მართლა? — გოგონა ზანტად გაიზმორა.

— ჰო, დროში ავცდით.

— სულ ამას ნუ იმეორებ! — წამოიყვირა და თავით აბაზანის მოყვითალო კედეს მიეხეთქა.

აბაზანიდან გადმოძვრა, შიშველი და სველი. სიცივე უმალ ეცა და ძვლები დაუხრა.

ქალი გამქრალიყო, ოთახში ისევ მარტო იყო.

სადღაც მანქანის საყვირის ხმა გაისმა. გოგონამ თვალები მოიფშვნიტა და იმ გადასაფარებელთან მიხიხდა, იატაკზე რომ ეგდო. შიგ გაეხვია, ემბრიონით მოიკუნტა და თავი ცივ იატაკზე დადო. ციოდა, ისე საშინლად ციოდა.

— ჩემო პატარა უანა, ჩემო პატარა გოგონა, მე ვარ, მიცანი? ეს ხომ მე ვარ, ჩემო უანა. აქ ვარ, აქ, შენთან. არ მიგატოვებ! ვიცი, რომ საშინელებაა, გიჭირს! ვიცი, მაგრამ მე აქ ვარ! მოდი, წავიყვან, უკან დაგაბრუნებ, სახლში! გინდა? გინდა, პატარა, საბრალო უანა? — საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ეფერებოდა საკუთარ სახეს, ყურებს, კეფას.

— მოდი, შინ წავიდეთ, დავისვენოთ. გვერდით მოვიწვები, გაგათბობ, მხოლოდ კარგ ამბებს მოგიყვები. ისე, რომ აღარასდროს დაგჭირდეს თავად არაფრის მოყოლა. გინდა, უნა? ხახვის წვნიანს მოგიმზადებ. შენ ხომ გიყვარს გემრიელი ხახვის წვნიანი? ან კრები მდნარი ყველით. ესეც ხომ გიყვარს, ჩემო პატარა უნა? რა დავემართა? მაგრამ არაფერია, მალე შინ დავბრუნდებით.

70. ძმა (2004)

ფრანჩესკა ლოუელის შესახებ ჰკითხა. ჩააცვიდა, რა აუცილებელი იყო, რატომ გაუმიხილე, რომ წიგნი შენი დაწერილიაო. პატრისმა გაოცებულმა აჰხედა ლაურას.

— შეიძლება ასე არც არის, — თითქოს თავისთვის მსჯელობდა ლაურა. სასტუმროს ნომერში იყვნენ, ლაურასთან. ჯერ კიდევ სანაოლში იწვნენ. სექსის დროს ლაურა ყვიროდა, უნდა გავჩერდეთ, საკმარისია, აღარ მინდაო. პატრისი ეფერებოდა, ამშვიდებდა. ლაურაც დანყნარდა, მოეშვა და კვლავ სიამოვნებას მიეცა. პატრისი თვალს არ აცილებდა. ბოლოს ლაურა შეკრთა და აძაძაგდა, თითქოს სხეულიდან ყველაფრის ჩამობერტყვა უნდა, თითქოს საკუთარი თავის შერყევაო.

ლაურა წამოდგა, მშვიდად დაინყო ჩაცმა. პატრისი ლოგინზე წამოჯდა. ლაურას სხეულზე სისხლჩაქცევები შეამჩნია და თავადვე გაოცდა, რადგან აღმოაჩინა, რომ ამის გამო სინდისის ქენჯნას სულაც არ გრძნობდა. ლაურამ, როგორც ყოველთვის, შავი საცვლები ჩაიცვა.

— იქნებ საბოლოოდ არც არაფრის გამოგონება არ შეგვიძლია, იქნებ ჩვენ ვართ ისინი, ვისაც იგონებენ. აღარ ვიცი.

— ეს როგორ გავიგო? მისტიციზმში გადავარდი?

— არსად არ გადავვარდნილვარ. უბრალოდ, დაფიქრდი. Rue Bonaparte-ზე ვიყავი და ხელნაწერი შევამოწმებინე. შენი დაწერილი არ არის, ვიცი. იცი, რას მივხვდი, პატრის? ყველა ადამიანი, ვინც კი წიგნი ხელში აიღო, რაღაცით უნა სარე იყო. ხომ ასეა, პატრის? და მერე ისმის კითხვა: ჩვენ ვინდა ვართ? ვინ იყო შენი ცოლი? ვინ ხარ შენ? იქნებ გინდოდა, მისნაირი ყოფილიყავი? ისეთი უხეში, უკომპრომისო? შენ რამ გიბიძგა, რომ ეს ყველაფერი მოგეფიქრებინა და მოგეყოლა? ან მე რატომ მოვედი აქ? მე რამ მიბიძგა შენ რომ შეგხვედროდი და აგყოლოდი?

— იცი, შენ თავად ვინ ხარ, ლაურა? გონებაშეხვილი, ენასხარტი ხელოვნებათმცოდნე, უამრავი ჯილდო რომ აქვს? საინტერესო ქალი, რომელიც ბავშვობაში ეგზოტიკურ ადგილას ცხოვრობდა? თუ ერთი დაკარგული, უბედური საყვარელი? და კიდევ უფრო უბედური დედა?

პატრისიც წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

— საიდან იცი?

— მითხარი, ვინ ხარ?

— მე არავინ არ ვარ, ყოველ შემთხვევაში, შენთვის.

— ჰო, ალბათ, არავინ.

— შენ ლუციფერი წამდვილად არ ხარ, პატრის, და თუკი გსურს ასეთად მოაჩვენო თავი ადამიანებს, მინდა გითხრა, რომ ვერ შეძელი. შენი არ მეშინია.

— შენ კი არც ისეთი გამოცდილი ჩანხარ, როგორც გინდა, რომ ჩანდე.

საიდან იცოდა ეს ყველაფერი, მისი ცხოვრების, ბავშვობის, მისი შვილის შესახებ? ლაურამ თავი ვედარ შეიკავა, წინ გადაუდგა და სახეში ისე ძლიერად გაართყა, რომ პატრისს თავბრუ დაეხვა. შემდეგ ლაურამ მარჯვენა მუხლი მთელი ძალით ჩაართყა მუცელში, პატრისმა წონასწორობა დაკარგა და ნაბარბაცდა. ლაურა თმაში სწვდა, მაგრამ პატრისმა მოიგერია და იატაკზე დაანარცხა, მერე დაიხარა და სახეში გაართყა. დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ლაურას ეგონა, სადაცაა გონებას დაგვარგავო. ცხვირიდან სისხლი წასკდა და უკან გაჩოჩდა. იქვე, კუთხეში თავისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი შენიშნა, ხელი სტაცა, წამოდგა და პატრისისკენ გაიწია, ახლა უკვე ქუსლით ურტყამდა პატრისს, რომელსაც რატომღაც სიცილი აუტყდა. ლაურა ამან უფრო გაამწარა, მერე მაჯაში სწვდა და ფეხსაცმელი ხელიდან გააგდებინა, ხელი მარწუხივით მოუჭირა. უფრო, კიდევ უფრო. ტკივილმა იმატა, ლაურა უნებლიეთ იატაკზე ჩაიკეცა.

— ის მოკვდა, როგორც იქნა მოკვდა! — წარმოთქვა პატრისმა სიცილით, მენჯზე გადააჯდა, ორივე ხელით ლაურას მკვლავებს დასწვდა და იატაკზე ააკრა.

ლაურა ვედარ ინძრეოდა, მხოლოდ შეფურთხებულა მოახერხა. პატრისი კი სანაცვლოდ დაიხარა და ლაურას შუბლზე აკოცა. იმწუთს პატრისს ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ეს ქალი უყვარდა. უყვარდა მისი სხეულის ყოველი ნაწილი, თვალის ყოველი დახამხამება, ყოველი ამოსუნთქვა. უყვარდა ეს ძალადობაც და ფაქიზი შეხებაც. უყვარდა და გრძნობდა, თუ როგორ მოასკდა სიცოცხლე მის საფეთქლებს. ლაურას პულოვერი აუნია, მუცელზე აკოცა, შარვალი გაიხსნა, თან ცალი ხელით ლაურას აკავებდა, რომელიც არ უყურებდა, რომელიც მზერას არიდებდა, რომელიც სანოლის კიდეს მისჩერებოდა და რომელსაც ცხვირი და ტუჩები სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ლაურას შარვალი ჩაუნია, თავისი კი რამდენიმე მოძრაობით გაიძრო და გვერდზე მიავლო. მთელი სხეულით დაანვა. როგორი თბილი, რბილი, მისი ხასიათისგან განსხვავებული სხეული ჰქონდა ქალს. თვალები დახუჭა. პატრისი იძირებოდა ქალის სხეულში, ღრმად, სულ უფრო ღრმად და თვითონაც არ იცოდა საით მიექანებოდა. ისე სულისშემძვრელად უყვარდა იმწამს ის ქალი. ლაურას კი სისხლით მოსვრილი, გვერდით მიბრუნებული სახე გაჰქვავებოდა. პატრისმა ერთი ხელი ლაურას სახეზე მოჰკიდა და თავისკენ შემოაბრუნა, მეორე ხელით გვერდით დაგდებული თავისი ჯინსის შარვლიდან ჯიბის დანა ამოიღო, ლაურას ხელში ჩაუდო, მისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მიდი, გააკეთე ის, რაც უნდა გააკეთო. აღარასოდეს გატკენ, მიდი!

ლაურამ როგორც იქნა თავი შეაბრუნა და ახედა.

— შენ მე არ მიცნობ.

ახლა უკვე პატრისმა შემოხვია ორივე ხელი ლაურას კისერზე და მთელი ძალით მოუჭირა. ლაურა დაიძაბა, ცდილობდა ჰაერი ჩაესუნთქა. ლაურას დანა ხელში ეჭირა. რატომ არ იყენებდა? რატომ, რატომ რატომ, რატომ...

— მე შენ არ გიშველი, მე არ დაგეხმარები. თუ ხსნას ელი, თავად უნდა იხსნა თავი! — ძლივს ამოღერდა ლაურამ და დაახველა, პატრისმა ხელი რომ გაუშვა.

პატრისი გაყურდა და ლაურას ტუჩებში ნაზად აკოცა. თან აუპატიურებდა და თან ტუჩებში კოცნიდა, ისე ნაზად კოცნიდა, აქამდე არავისთვის რომ არ უკოცნია. ისეთ საოცარ სინაზეს გრძნობდა ამ ქალის მიმართ, ისეთ საოცარ სითბოს, ისე ძალიან უყვარდა იმწუთას.

— ახლა უკვე სულერთია, შენ ის მოკალი თუ არა, ცოცხალია თუ მკვდარი. ახლა უკვე გვიანია, — თქვა ლაურამ. არ ტიროდა. ნეტა ეტირა.

— ხომ გინდა, რომ მატკინო?! მიდი, მატკინე, მიდი! — აყვირდა პატრისი და მთელი ძალით ჩაეჭიდა ლაურას. ცოტა ხანს ინვინ ასე გაქვავებულები, ერთმანეთში გადახლართულები, სუნთქვასაც ვერ ბედავდნენ თითქოს. როგორც იქნა, ლაურამ გამოითავისუფლა თავი, პატრისის მკლავებიდან გამოძვრა და გვერდზე გადაგორდა. პატრისი თითქოს დაპატარავდა. ლაურამ ზემოდან დახედა, უყურებდა ამ დაპატარავებულ, საცოდავ კაცს, მოკუნტულსა და მიუსაფარს. მერე დანა გაავლო ხელიდან. ლაურას თვალებში ახლა ვერაფერს ამოკითხავდი: ვერც ზიზღს, ვერც ბრამს, ვერც ტკივილს. იატაკიდან პერანგი აიღო და სახე მოინწმინდა. მერე შებრუნდა და სააბაზანოში შევიდა.

პატრისი კიდევ დიდხანს აყურადებდა წყლის ხმას, რომელიც სააბაზანოდან გამოდიოდა. ლაურა ბანაობდა. ალბათ, ცდილობდა წყლით ჩამოერეცხა მამაკაცთან ურთიერთობის ყველანაირი კვალი. თითქოს ჭუჭყის მოცილებას ცდილობდა ან იქნებ განწმენდას.

პატრისის რატომღაც ანე დაუდგა თვალწინ. ოთახის სანახევროდ შეღებული კარი მარენში. სანოლის წინ მუხლებზე მდგარი ანე. უცნობი ბიჭის მუხლები ანეს ჭ თავთან. გაახსენდა ის ზიზღი, ის ტკივილი, რომელიც იმწამს იგრძნო. რატომ არ გაქრა ამდენი წლის მანძილზე ეს სურათი მისი მესხიერებიდან? რატომ დარჩა, რატომ დაილუქა, რატომ გაახსენდა ახლა, რატომ დაუდგა თვალწინ? უცებ აღიქვა, რომ ის გრძნობა, რაც მამინ, იმ წუთებში იგრძნო, დამამცირებელი, სირცხვილით გაჟღერებული დანაკარგი იყო. იმწუთას მან რაღაც დაკარგა. დაკარგა თავისი პატარა და, რომელიც ასე ძალიან უყვარდა და რომელთანაც ამას არასდროს აღიარებდა. ჰო, ანე დაკარგა, მისი უმანკოება, ანეს განუმეორებლობა, მათი თავისებური სიახლოვე.

პატრისმა დანას დახედა, აიღო და ზიზღით მოისროლა კუთხეში მდგარ სანაგვე ურნაში. მერე ჩაიკცა, თმა გადაიწია და სასტუმროს ბლოკნოტზე რამდენიმე სიტყვა დაწერა: „მაპატიე. შენ ბევრი რამ შეცვალე ჩემს ცხოვრებაში, ლაურა. ის მკვდარია. ამისთვის მადლობას გიხდის! გთხოვ, ზურგი არ შემაქციო! ჰ.“ მერე გარეთ გავიდა და კარი მიიხურა.

71. ქალი (2004)

ფრანჩესკას ახალი ვარცხნილობა ჰქონდა. და ახალი თავი. ლამაზი, მრგვალი და თავისუფალი თავი. რა მშვენიერი იყო! თანაც ახალი შავი მოკასინები ეცვა.

ფრანჩესკა კაფეში იჯდა და კაპუჩინოს სვამდა.

სწავლის დანწყობის წინ სახლში დაბრუნებულ ლინს ელაპარაკა ტელეფონით. ბებიაც სიღნეში იყო, ლინს ჰპატრონობდა და ალბათ აკონტროლებდა. ლინმა გაუმხილა, შეყვარებული ვარ, შენ გელოდები და მიხარია, უკეთესად რომ ხარო.

— კარგ გუნებაზეა, — გაიფიქრა ფრანჩესკამ და გაიღიმა. ლინი კისკისებდა.

მერე ლეოს ელაპარაკა. უთხრა, დრო მჭირდებაო. და ეს სიმართლე იყო. თუ ეს გარდაუვალი იყო, დრო მათ ერთმანეთს ისევ შეახვედრებდა.

სულაც არ არის ძნელი შენი პოვნა. თითქოს საერთოდ არ წასულხარ, თითქოს აქ ხარ, ჩემთან.

გახსოვს ზოოპარკში გატარებული ის დღე? შენ და მე. ცხოველების შესახებ არაფერი მომიყვებო, ამიკრძალებოდა, გინდოდა თავად გაგერკვია ყველაფერი. ასეთი იყავი. ჰო, ასეთი დამოუკიდებელი. აღარ მეშინია. იცი, რა გადავწყვიტე, მაქვს? ლინთან ერთად დელფინარიუმში უნდა წავიდე, დელფინების შოუზე. ის შოუ კიდევ არსებობს. დელფინები შენთვის იცეკვებენ. ვიცი, მათ ყველაფერი ეცოდინებათ. ჩვენ სამსაყვეცოდინება, საერთო საიდუმლო გვექნება — შენ, მე, ლინს და დელფინებს.

ფრანკესკამ წამიერად აღიქვა, რომ მასში რაღაც შეიცვალა: ერთი პატარა ჩხვლეტა იგრძნო გულთან ახლოს და მერე... მერე სიმშვიდემ დაისადგურა.

ფული გადაიხადა და გარეთ გავიდა. ქუჩაში ქარი ქროდა. საკმაოდ გრილოდა, მაგრამ ფრანკესკას ეს არ ანუხებდა. თავი ძალიან სუსტად იგრძნო და ცოტა ხნით შეჩერდა, მერე თავალები დახუჭა და შეეცადა ამ უცნაურ შეგრძნებას დამორჩილებოდა.

ტაქსი გააჩერა და სასტუმროში დაბრუნდა. იქ წერილი დახვდა: „აუცილებლად უნდა ვნახო და დაგელაპარაკო. მადლობა მინდა გადაგიხადო. გთხოვ, დამირეკე, როგორც კი შეძლებ. გელოდები. ლაურა“.

ფრანკესკამ მაშინვე ტელეფონს დაავლო ხელი და მობილურის ნომერი აკრიფა. ლაურას შემოთვთებული ხმა ჰქონდა. რომელიღაც უღიმღამო ბარში შეხვედრამე შეთანხმდნენ.

ლაურა ვან დენ ენდეს, ნატივ ქალბატონს, ფრანკესკას ცივ და თავშეკავებულ ქალბატონად რომ დაამახსოვრდა, დიდი მზის სათვალე ეკეთა. დადლილი ჩანდა კარგად თუ დააკვირდებოდი, ტუჩთან პატარა ჭრილობა ჰქონდა, ცხვირი კი — ოდნავ შესიებული. ფრანკესკამ ხელი ჩამოართვა და მის პირდაპირ დაჯდა.

მაღე ოფიცინანტმა ერთი ბოთლი შამპანური მოიტანა. ეტყობა, ლაურამ წინასწარ შეუკვეთა. ლაურამ ნელა მოიხსნა სათვალე. ფრანკესკამ შეამჩნია, რომ მარჯვენა თვალის უპე ოდნავ ჩალურჯებული ჰქონდა. ეს ყველაფერი ძალიან ეყენაურა, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— გმადლობ, რომ მოხვედი. ჩვენი საუბრის შემდეგ ბევრი რამ გახდა ჩემთვის ნათელი. რაღაც პრობლემები მქონდა, მაგრამ ეს არაფერია.. — ლაურა თითქოს ფრანკესკას შემცბარ მზერას გამოეხმაურა.

— ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ იმ ადამიანთაგან, რომლებიც აქ გავიცანი და რომელთაც სარესთან რაიმე შეხება ჰქონიათ, ამ სივითის არსს ყველაზე უკეთ შენ ჩასწვდი. შაბათს უკან მიფურინავ და ამით ამ თემას წერტილს ვუსვამ. მინდა ყველაფერი გითხრა, რასაც ვფიქრობ, მინდა, რომ... აზრებს თავს ვერ ვუყრი.

— ყურადღებით გისმენ. არსად არ გვეჩქარება.

— გმადლობ, ჯერ ერთი ჭიქა დავლიოთ. — სასწაულმოქმედი მოციტი მონრუპეს. ცოტა ხანს დუმდნენ.

— არსებობს მიხილ ვრუბელის, რუსი მხატვრის ერთი სურათი. მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში კილია. ამ სურათის რამდენიმე ვარიანტია შემორჩენილი, მაგრამ ყველაზე ცნობილი „მჭოდმარე დემონია“. მხატვარი ამ სურათის ხატვის დროს შეიშალა. ჩემთვის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნახატია მსოფლიოში. მის გამო საგანგებოდ ჩავედი მოსკოვში და საათობით ვიდექი მის წინ. ეს ხუთი წლის წინ იყო. იმპრესიონისტული სტილის მხატვრის მიერ დახატული ახალგაზრდა, ლამაზი, ნელბევითი შიშველი მამაკაცი მთაზე ზის და გაურკვეველ სივრცეს გასცქერის. ყველაზე

ლამაზი და ამავე დროს ყველაზე სასტიკი მისი თვალებია. დაუნდობელი, მონყენილი, საზიზღარი, მოძალადე თვალები, რომლებიც სასვეა უზომო სევდით. ეს ნახატი ყოველთვის მომწონდა, ნაპრომიც კი დავწერე მასზე.

მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რატომ მიმიდავდა ეს ნახატი — ეს არის გარდასახვის უნარი, ინტერპრეტაციის საშუალება, ანუ მისი გამომსახველობითი ძალა, რომელიც საშუალებას გაძლევს ამ სურათში ის დაინახო, რასაც თავად გრძნობ. და ამის მიზეზი თავად დემონია — ის გაძლევს ამის საშუალებას, ის ყველაფერია, რასაც შენ ხედავ ან გინდა, რომ დაინახო მასში. ის სრულიად ინტერპრეტირებადია.

იცი, რატომ გავიხსენე ეს ნახატი? სარეს ისტორია, რომელმაც ამდენი ადამიანი ჩაითრია, ამ ნახატს ძალიან ჰგავს. თავად ისტორია არაფერს გვიყვება, მაგრამ შესაძლებლობას გვაძლევს, საკუთარი ისტორია მისი საშუალებით გავაგრძელოთ. მგონი მაშინ შენც იგივე მითხარი, არა?

მე აღარ მინდა, იმ წიგნის გმირი ვიყო. სულერთია, სარემ დაწერა თუ ღუშამაშმა — ეს წიგნი არსებობს და მან უსაზღვროდ დიდი უბედურება მოუტანა ბევრ ადამიანს.

მაშინაც კი, თუ ღუშამში ცრუობს და წიგნი მისი დანერილი არ არის — რაც ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება — მაშინაც კი, თუ ნამდვილად არსებობდა სარე და ღუშამაშმა მხოლოდ მითთვისა სხვისი აზრები, მაშინაც კი, ყველაზე არსებითი ისაა, თუ რას ვხედავთ და რას ვკითხულობთ ჩვენ მასში. შენი სიტყვების შემდეგ ხშირად ბ ვფიქრობ იმაზე, რომ მართალი იყავი. შეიძლება და ჩვენც იმ ქალების ადგილას აღმოვჩენილიყავით, რომლებმაც გემი საბოლოოდ სადგურისკენ აიღეს, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასე არ არის, რომ ჩვენ გავუძელით ან თუ გინდა ასე დავარქვათ, გადავარჩით. ჩვენ აქ ვართ, აქ და არა იქ, სადგურზე, რელსების პირისპირ. შენ ამბობდი, ცხოვრებაში ბევრი დანაკარგიაო. მაგრამ სწორედ ეს დანაკარგია სიცოცხლე. და ალბათ დროა, გონს მოვეგოთ, დანაკარგი უკან მოვიტოვოთ და ისევ სიცოცხლეს ავუწყოთ ფეხი. მე ასე გადავწყვიტე და რატომღაც მგონია, რომ შენც იმავეს აპირებ. ესაა და ეს.

ლაურამ შამშანური მოსვა და ღრმად ჩაისუნთქა. მერე ისევ გააგრძელა:

— ყოველთვის ვცდილობდი, ისე მეცხოვრა, რომ თავად შემართა ყველაფერი. ცხოვრებაში ყველაზე მეტად კონტროლის დაკარგვის მეშინოდა. სიტუაციის ფლობის ისეთი დიდი მოთხოვნილება მქონდა, რომ ხშირად თვითონ მჭეროდა, რომ ასეც იყო.

და ერთ დღესაც, როდესაც მკვდარი ბავშვი გავაჩინე, მივხვდი, რა გულუბრყვილო ვიყავი. ყველაფერს სწორად ვაკეთებდი, ყველაფერს ვითვალისწინებდი, ყველაფერს ვაკონტროლებდი და უცებ... თურმე რა სასაცილო ყოფილა ჩემი მიაპიტური წარმოდგენა. მას მერე მივხვდი, რა გულუბრყვილო ყოფილა ჩემი ყველა მცდელობა, საკუთარი ცხოვრება თავად დამეგვემა და მეკონტროლებინა.

ლაურამ სიგარეტს დაუწყო ძებნა, იპოვა და მოუკიდა. ბოლოს დაამატა:

— ერთ ნაცნობ ჟურნალისტს მივწერე, ამ ყველაფრის.

შესახებ დანერს და ამით ყველაფერი დასრულდება.

— ეს არაფერს შეცვლის. ყოველთვის გამოიძენება ღუშამში თუ არა, ვინმე სხვა, რომელიც ახალ სარეს დანერს ან ვიღაც, რომელიც ახალ „დემონს“ დახატავს. — ღიმილით წარმოთქვა ფრანჩესკამ.

— ჰო, შეიძლება, მაგრამ ეს მე აღარ მეხება. მოჩვენებების დევნას ერთხელ და სამუდამოდ დავანებებ თავს.

ლაურას თვალწინ „დემონი“ წარმოუდგა, გაახსენდა, მოსკოვში როგორ იდგა ნახატის წინ საათობით. მაშინ იქ მარტო არ იყო, ქმარიც თან ახლდა. ქმარი. როგორ გაუჭირდა თავიდან ამ სიტყვასთან შეგუება. ხან ნახატებს უყურებდნენ და ხან ერთმანეთს კოცნიდნენ.

თვეების შემდეგ, როდესაც ის ნახატი რომელიღაც წიგნში აღმოაჩინა, მხოლოდ ზიზი და ბრაზი იგრძნო დემონის წითელი თვალების დანახვისას.

ფრანჩესკამ და ლაურამ ბოთლი ბოლომდე გამოცალეს. ლაურას ჯერ კიდევ სტკიოდა სხეული, მაგრამ ტკივილი ყოვლისმომცველი აღარ იყო.

ქუჩაში გამოვიდნენ, ნასვამები და დაღლილები, ლაურამ ტაქსის გაჩერება სცადა.

— როდის მიფრინავ?

— ჯერ არ ვიცი. ალბათ რამდენიმე დღეში. ლინი მენატრება.

— შენი ქალიშვილი?

— ჰო.

ტაქსი გაჩერდა. ლაურამ კარი გააღო და ფრანჩესკა დაიყოლია შიგ ჩამჯდარიყო. თავად ფეხით გავლა უნდოდა. ფრანჩესკამ მადლობა გადაუხადა და მანქანაში ჩაჯდა.

72. აპიდაპი (2004)

ლაურამ მიმავალ მანქანას გახედა. ლამაზი ღამე იყო და სიამოვნებდა ღამით ფეხით გასეირნება. აუჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა გზას, უმიზნოდ, უმისამართოდ.

ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში, ლამპიონის ქვეშ, ნაცნობი სილუეტი დაინახა. ფრიკი იყო, ვიღაც გოგოს ელაპარაკებოდა. ეტყობა, მეძავი იყო. გოგო სულ თავს იქნევდა და ხელით რაღაცას ანიშნებდა, ფრიკი კი მონდომებით ცდილობდა რაღაც აეხსნა.

ლაურა გაოცებული იყო და ფრიკს თვალს ვერ აშორებდა. მოეჩვენა, რომ ბიჭს სახე არ ჰქონდა და ფრიკთან მიმართებით პირველად გაუჩნდა იმის შეგრძნება, რომ ისიც ერთი ცარიელი ადგილი-იყო ცარიელ ადგილთა სიმრავლეში. საკუთარმა აღმოჩენამ შეაშინა ლაურა. ის იყო, გზის გაგრძელება დააპირა, რომ ამ დროს ფრიკი გოგონას მოსცილდა და სწრაფად გადმოკვეთა ქუჩა. ლაურასკენ გამოქანდა. თავშეუკავებელი აგრესია იგრძნობოდა მის მოძრაობაში.

— აქ რას აკეთებ?

— ბარიდან მოვდივარ. შემთხვევით დავინახეთ... გზის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ...

— არაფერია. საიდუმლო პაემანი ნამდვილად არ ყოფილა. — ლაურას ჩაღურჯებულ თვალს, ეტყობა, არ იმჩნევდა. — ერთი ნაცნობია... მეძავია. ვთხოვე, სარე წაეკითხა და ჩემთვის შთაბეჭდილება გაეზიარებინა.

— რატომ?

— მეძავები ნაკლებად ცრუმორწმუნეები მგონია...

— ჩემი აზრით, საჭირო არ არის ამ წიგნის პოპულარიზაცია. საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავდა ამ წიგნს. აჯობებს სასტუმროში დაბრუნდეთ და...

— კი მაგრამ, ჩვენ ვერაფერი გავიგეთ, ვერაფერი ვერ გავარკვეით! ეს ხომ სრული იდიოტიზმია, რისთვის ჩამოვედით აქ, თუ არაფერი...

— ცდები, იან. ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ, საკმარისზე მეტიც.

ფრიკის სიჭიუტე და მისი გადაჭარბებული მონდომება ნერვებს უშლიდა. დილით საუზმობის დროს ლაურამ დაწვრილებით გაუზიარა ყველაფერი, რასაც ამ თემასთან დაკავშირებით ფიქრობდა, ფრიკს აშკარად არ ესამოვნა. უკმაყოფილო ადგა და წავიდა. გარეთ გავარდა.

ახლაც რაღაცნაირი მოლუშული და წარბშეკრული მისჩერებოდა ლაურას. მისი მორიდებული ქცევის მანერა ბოლო დღეებში საძლაც გაუჩინარდა და მის ნაცვლად ერთი გაბუტული, ოდნავ ავრესიული ახალგაზრდა კაცი შერჩა ხელში.

— ისე ახლოს ვიყავით სიმართლესთან, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დამდგარიყო, თქვენ კი,, არანაორმალური ურთიერთობა დაამყარეთ იმ კაცთან და ყველაფერი გააფუჭეთ, ყველაფერი დაივიწყეთ თქვენი პირადი სიამოვნების გარდა.

ლაურა ერთხანს ფიქრობდა, რა ეპასუხა ფრიკისთვის. შეეცადა აზრი კარგად ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ფრიკმა ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, იცოდა!

— ვალდებული არ ვარ, ანგარიში ჩაგაბაროთ, ეს თქვენი საქმე არ არის.

— მე კი მეგონა, რომ ჩვენი საქმე იყო! თქვენ გარეშე ნამდვილად ვერ წავინევდი წინ, მაგრამ ახლა, როდესაც უკვე ამდენს მივაღწიეთ, ამხელა გზა გამოვიარეთ, ახლა, როდესაც ასე ახლოს ვართ გასაღებთან, გინდათ ყველაფერს თავი დაანებოთ!

— მეტი აღარაფერია გასარკვევი, რატომ არ გინდათ ამის გაგება? — წამოიყვირა უცებ გაცოფებულმა ლაურამ.

— ჰო, რა თქმა უნდა! ახლა ასე ფიქრი ბევრად კომფორტულია, რა თქმა უნდა! თქვენ, რა, მართლა გჯერათ, რომ იმ იდიოტმა მოიგონა ყველაფერი? მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან სექსუალურ სიამოვნებს იღებთ, ლოგიკური აზროვნების უნარი არ უნდა დაკარგოთ!

ლაურა მის თავხედურ, სასონარკვეთილ სახეს მიაშტერდა. ფრიკი ისეთი თავგზააბნეული ჩანდა, რომ შეეცოდა კიდევ.

— ახლავე მოკეტე! გაჩუმდი! მორჩი, მორჩი! — ეს სიტყვები უცებ წამოსცდა. ყველანაირი საზღვარი დაირღვა. — იცი რას გეტყვი, რაღაც მიზეზის გამო, რომელსაც სავარაუდოდ მიმაღავ, ფაქტებს არ აღიარებ! არ ვიცი, ეს ყველაფერი რატომ წამოიწყე, მაგრამ ალბათ, პირადული მიზეზები გაქვს. სულერთია, ჟანა სარე არ არსებობ და თუ ოდესმე არსებობდა... კეთილი, ასე ძალიან თუ გინდა, იყოს ასე! მაგრამ ერთი რამ ცხადია — სარე ყველა შემთხვევაში მკვდარია.. და ეს რეალობაა! ხოლო ჩვენ ცოცხლები ვართ! ახლა დროა, თითოეული ჩვენგანი საკუთარ ცხოვრებას მიუბრუნდეს. აქ ვეღარ ვიპოვით დიდ სიმართლეს. სიმართლე მხოლოდ ისაა, რაც ხელში გვაქვს. დუშამშმა ეს წიგნი ან დაწერა, ან არა. ჟანა სარე ან არსებობდა, ან არა. უფრო სავარაუდოა, რომ ის წარწერაც ვიღაც იდიოტმა ამოტვიფრა იმ ეზოში და ამით რაღაც კულტის დამადასტურებელი იდიომა წარმოშვა. მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ყველაზე დიდი სიმართლე, იან, ალბათ ისაა, რომ ჩვენ სადგურისკენ არ გავემართებით და საკუთარ ცხოვრებას დაუბრუნდებით. ალბათ ისევ ბევრი რამ არ მოგვეწონება და ბევრჯერ გავვიცრუვდებით იმედი, მაგრამ გვეცოდინება, რომ ჩვენ საკუთარი ცხოვრება გვაქვს — ცუდი ან კარგი, მაგრამ საკუთარი. დროა, გაიგო, რომ ამ ისტორიის მიღმა არსებობს სხვა ისტორია — შენი საკუთარი.

ლაურას სიამოვნებდა მშობლიურ ენაზე საუბარი. სიტყვებს აღარ ეძებდა.

ფრიკს სახეზე ჯერ გაოცება აღებეჭდა, მერე დაუბღვირა, ხელები თვალებზე აიფარა და უცნაური ხმა ამოუშვა, შუა ტროტუარზე ჩამოჯდა და ატირდა. ლაურა ძალიან დააბნია ფრიკის საქციელმა, მის გვერდით ჩაცუცქდა. ფრიკი ჩუმად, სახეზე ხელებაფარებული განაგრძობდა სლუკუნს.

— მაპატიეთ! — ამოიოხრა ბოლოს ფრიკმა და ცრემლები მოიწმინდა.

— არა უშავს.

— ვწუხვარ, რომ ასე უხეშად...

— მგონი ღროა, შენობით მივმართოთ ერთმანეთს. რას იტყვი? მეც უხეშად დაგელაპარაკე.

— არა, ალბათ, საჭირო იყო. თქვენ უნდა... შენ... მადლობა უნდა გადაგიხადო.

— უკეთ ხარ?

— დედაჩემი.. დედაჩემმა თავი ჩამოიხრჩო, ცამეტი წლის რომ ვიყავი. მე ვიპოვე. მას მერე ვეძებდი... მიზეზს, პასუხს. უშედეგოდ. ვერაფრით ავხსენი, რატომ მოიქცა ასე, რატომ მიმატოვა. რამდენიმე წლის შემდეგ სხვენზე ერთ ყუთში წიგნი ვიპოვე, „გამყინვარების ხანა“. დედაჩემს სასიყვარულო და სათავგადასავლო რომანები უყვარდა, მაგრამ ასეთ წიგნს ნამდვილად არ წაიკითხავდა. მეგონა, მისი სიკვდილის მიზეზს მივაგენი. უბრალოდ, ამის დაჯერება მინდოდა. ამ წიგნმა მის სიკვდილს აზრი შესძინა.

უკვებ ფრიკი ადგილს მოსწყდა და ქუჩას გაუყვა, აღარც შემობრუნებულა. არც ლაურა გაჰყოლია უკან.

იცოდა, ფრიკი დაბრუნდებოდა.

73. მე (2005)

ჩემი მოგზაურობა დასასრულს მიუახლოვდა. წუხელ რამდენიმე მეგობართან ერთად წვეულებაზე ვიყავი და მშვენივრად გავატარე ღრო, მაგრამ გუშინ რალაც შეიცვალა ჩემში. არანაირად არ მომზონს ეს შეგრძნება, მაგრამ წუხელ სწორედ ეს დამემართა — პირველად გავაცნობიერე, თუ რას ნიშნავს იყო ზრდასრული: ცხოვრებაში დგება წუთი, როდესაც ტანჯვის უფლებას კარგავ. წუხელ სწორედ ეს გრძნობა დამეუფლა. წუხელ შევიცვალე.

74. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

რვეული გაივსო ჩანაწერებით.

თავის ბინაში იატაკზე იჯდა და დედამისის ნაქონ პატარა სარკვეში საკუთარ თავს მიმტერებოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეკეთებინა. ხომ არ ჯობდა, გარეთ გასულიყო, მოეპარა, მოეკლა და ის ჯადოსნური წამალი მოეპოვებინა. ან იქნებ არაბთან მისულიყო და მისთვის სული მიეყიდა?! მაგრამ თავს სუსტად გრძნობდა. ჩემოდნიდან თავისი ძველი ტანსაცმელი ამოალავა. როდის მოვიდა აქ? სად იყო მანამდე? ეს სასკოლო ქვედაბოლო ოდესმე მართლა მისი იყო? ან ეს ლენტი გრძელი, მუქი თმისთვის? ქვედაბოლო და თეთრი ბლუზა ჩაიცვა, ერთი წყვილი

საუკეთესო წინდაც იბოვა და თავის უფორმო, გაცრეცილ ფეხებზე ფრთხილად ამოიყვა.

ასე იჭდა ცივ იატაკზე და საკუთარ თავს ათვალთქვნიდა. ლოყები რუჟით ჰქონდა მოთხუპნული. ერთადერთი, რაც აკლდა, თმა იყო — გრძელი ნაბლისფერი თმა, ძირითადად შეკრული რომ ჰქონდა. შეეცადა გავსენებინა, კვლავ წარმოედგინა, როგორი იყო ადრე, მაგრამ ვერ შეძლო. მერე მამაკაცის ქუდი აიღო, რომელიც ცოტა ხნის წინ მოიპარა და თავზე დაიხურა.

სარკიდან უცნაური, ფერმკრთალი გოგონა უყურებდა. თითქოს აუნყოფელი იყო, ცხვირი ცალკე ჰქონდა, თვალები — ცალკე. თითქოს სახის ყველა ნაკვთი თავისი (ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს მზერა, არაფერისმოქმელი მზერა სიცარიელეში იკარგებოდა. ცოტაოდენი რომი იბოვა, ქალაქის პარკში იყო გახვეული. ეტყობა, ბოთლი დიდი ხანია იქ იდო, აღარც კი ახსოვდა, საიდან ჰქონდა. მშრალ და უფერულ ტუჩებზეც რუჟის წასმა სცადა, სხვა არაფერი ჰქონდა.

თხელ რვეულს ყურადღებას აღარ აქცევდა. მან უკვე ყველანაირი მნიშვნელობა დაკარგა.

სარკეში საკუთარ თავს მისჩერებოდა. სახეს აკვირდებოდა და რაც უფრო დიდხანს უყურებდა, მით უფრო. ნაკლებს ხედავდა. ყველაფერი ჩაქრა. ყველაფერი დადუმდა. მისი სახეც კი.. ამიტომ დახუჭული თვალებითა და ერთი ყლუში რომით, ყელი რომ ჩაუნვა, რაღაცის წარმოდგენა სცადა.

„არანაირ ნაკვალევს არ დაეტოვებ, უკვალოდ გავქრები. გავქრები უსახელოდ. ერთ დღესაც, როდესაც ქარად და მტვრად მოგვევლინებით, ყველა ჯერ კიდევ დაუბადებელ ემბრიონს მოვივლი, იმათ, ჯერ რომ არავის დაუნყევლია. და ძილში ჩავჩერჩულე მათ, სიზმრებს გავუგზავნი, რათა არასდროს გაიღვიძონ. სანამლაპტით დაძინებულ ყველა პრინცესას კიდევ უფრო ღრმად ჩავძირავ დავინყების მორევში ჩემი კოცნით. იქნებ მაშინ მაინც დამიბრუნდეს და თან წამიყვანო. უშნოდ სამყარო არ მყოფნის“.

სარკეს სულ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი, სანამ ხელში არ ჩაატყდა. ნამსხვრევები კანში შეერტო. ტკივილი სიცოცხლის ერთადერთი მანიშნებელი იყო მიცვალებულთა სამეფოში მყოფისთვის. კარგი შეგრძნება იყო ტკივილი. სისხლმა სიცოცხლე შეახსენა. ერთი ნატეხი აიღო, სახესთან მიიტანა და ლოყაზე დაისვა. ჭრილობა საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა. მთელი სახე ერთ დიდ, გადახსნილ ჭრილობას დაემსგავსა. სისხლით მოსვრილი ნატეხი აიღო, თავისი თეთრი ბლუზით განწმინდა და შიგ ჩაიხედა. გაეღიმა, ახლა საკუთარ თავს გრძნობდა და ხედავდა. სახეზე მარცხენა ხელი გადაისვა და წითელი სითხით ლოყა გადაითხაპნა. არ გაჩერდა, ვიდრე მთელი სახე წითლად არ შეეღება. გაიღიმა.

75. ძმა (2004)

ძილი გაუფრთხა და ბოლო ღამეები საბეჭდ მანქანასთან გაატარა. სიზმრებს ზღმურად ხედავდა, ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, საჭმელსაც ვეღარ ეკარებოდა, შიშს აეტანა. ხანდახან აძაგძაგებდა კიდევ. მარის სურათებს მისჩერებოდა. ძველი ნივთები

გადაქეცხ, თავის ძველ წიგნებს ფურცლადა, რამდენიმე თვის გაუხსნელი ფოსტაც კი გადაათვალიერა. ოფიციალური, საინტერესო წერილები დახვდა: ქვითრები, მოსაწვევები ლიტერატურულ საღამოებზე, ერთ-ერთ უნივერსიტეტში სემინარის ჩატარებას სთავაზობდნენ. ისეთი არაფერი იყო, რაც ოდნავ მაინც გაახალისებდა და დააინტერესებდა. გამუდმებით ფიქრობდა სასტუმროში გატარებულ დღეზე, იმ ქალზე ფიქრობდა, რომელმაც საოცრად მნიშვნელოვანი და მტკივნეული რამ გაახსენა.

ცხოვრებამ ოდნავ შეუღო კარი, რათა მერე უფრო ს მავრად მიეხურა.

წიგნების თაროს მისჩერებოდა, სადაც მისი თერთმეტი წიგნი იდო, უკვე გამოქვეყნებული. წესიერად არც კი ახსოვდა, როდის და როგორ დაწერა ისინი. ბოლო წიგნი ფანტასტიკის უნარს ეკუთვნოდა, ეს უნარი სამოცდაათიან წლებში აღმოაჩინა. ამ წიგნზე მაშინ წერდნენ, „ფილოსოფიური და მეტაფიზიკური“ არისო. როდის და რატომ დაწერა ეს წიგნები?

მართლობა მის მიმართ სინაზეს ავლენდა, იზიდავდა, ეფერებოდა, კოცნიდა და არწევდა, დაიძინო, მაგრამ ღამით მანაც მიატოვა. ძველ ფოტოს შეხედა, ორი პატარა გოგონა დაინახა: ანე და მონე, მშობლიური სახლის კიბეზე რომ ისხდნენ. ანე თავხედი, უკვე ისეთი ამაყი და თავგზააბნეული. და ჩუმი, უთქმელი მონე, რომელიც არასდროს ამჟღავნებდა თავის სურვილებს, რომელმაც უსიტყვოდ გადაიბარა დედის ვალდებულებები ოჯახში. ახლა ორივე ისეთი ახლობელი მოეჩვენა. მაგრამ თავად სად იყო? რატომ არ იჭდა მათთან ერთად კიბეზე სურათის გადაღების დროს? სად იყო? რატომ თქვა უარი კუთვნილ ადგილზე დებს შორის? საოცრად მოუნდა, დრო უკან დაებრუნებინა და მათ შორის თვითონაც ჩამჭდარიყო სურათის გადასაღებად.

გარეთ გარიბალდი აყფედა, ჯერ ცხრა საათიც არ იყო, მაგრამ პატრისის დროის შეგრძნება ჰქონდა დაკარგული. ვილაც მანქანით მოვიდა, პატრისი არ წამომდგარა, გაუნძრევლად იჭდა. რამდენიმე წუთში კარზე კაკუნის ხმა გაისმა. მაშინვე გააღო კარი და სუნთქვაშეკრული გაჩერდა.

ლაურას ტუჩთან პატარა იარა ჰქონდა და თვალიც ჩალურჯებოდა. სიფრიფანა ჩანდა. საკუთარ თავს არ ჰგავდა. მხარზე ნაჭრის განიერი ჩანთა ეკიდა. ოთახში შემოსულ ლაურას პატრისი მზერას ვერ უსწორებდა. საკუთარი თავისა რცხვენოდა.

— მინდა დაგემშვიდობო. ხვალ უკან ვბრუნდები.

— მიხარია, რომ მოხვედი. იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც მინდა, რომ პატიება გთხოვო.

— ნუ გგონია, რომ მეზიზღები. რატომღაც, თავიდანვე ვგრძნობდი, ასე რომ მოხდებოდა. თავად დავუშვი ეს ყველაფერი, — ლაურა მოუსვენრად ათამაშებდა ხელში სანთებელას.

— მართლა... მინდა, რომ პატიება გთხოვო.

— ჰო, კარგი.

— დალევ რამეს?

— არა, დიდხანს ვერ დავრჩები.

— ესე იგი, კვლევა დაასრულეთ?

— გთხოვ, ირონია საჭირო არ არის!

— მაპატიე. ასეთი საუბარი არ მეხერხება.

— მე კი იმას ვერ ვიტან, სერიოზულად რომ არ აღმიქვამენ.

— ლაურა, ეგ არ მიგულისხმია. ლაურა! — მისი სახელის უღერადობით ტკბებოდა.

— ყველაფერს გამოგიგზავნი, რაც პრესაში დაიბეჭდება. ალბათ რამდენიმე ადამიანი შენთანაც მოვა. შეეცდებიან, რომ ინტერვიუ აიღონ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ძალიან გადარდებდეს, ხომ ასეა? უბრალოდ, ისევ ჩარაზე ჭიშკარი.

— არა, მეც ხომ ვიცოდი, რომ ასე დასრულდებოდა.

— ცდები, პატრის! ეს არ იცოდი. მაგრამ ეს გინდოდა...

მეც მინდოდა.

პატრისმა მხრები აიჩეჩა, სიგარილოს მოუკიდა, დაახველა და შუბლი მოისრისა.

— აღარ დავნერ. აღარც ერთ სიტყვას.

— იმედი მაქვს, პატრის. წიგნის გამო არა, არც გარდაცვლილი ქალების გამო, არც შენი გარდაცვლილი ცოლის გამო. საკუთარი თავის გამო.

— შენ? შენ რას აპირებ?

— მე? უკან დავბრუნდები. სახლში. კარგ გუნებაზე ვარ, უცნაურია, არა? მე ალბათ ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ამ ამბის შემდეგ კარგ გუნებაზეა. არა, მთლად ასეც არ არის. მგონი, მარტო მე არ ვარ.

— ავსტრალიელ ქალს გულისხმობ?

— ჰო, ფრანჩესკას. დიდხანს ვისაუბრეთ.

— რა გინდა, კარგ გუნებაზე ორი ადამიანი ყოფილხარ.

— ჰო, ეს კარგია, პატრის, უნდა გიხაროდეს. ამდენმა უბედურებამ არ დაგღალა? წარმომიდგენია, როგორი დამთრგუნველია, როცა მუდამ სხვისი უბედურების მიზეზი ხარ.

პატრისს გაეღიმა. ლაურას თითისწვერებით თამაშმა, ღიმილმა, თავის ოდნავ მარჯვნივ გადახრამ, სიგარეტის სწრაფად მოწვევამ — ამ ყველაფერმა უცებ გაახალისა.

— ეს მხოლოდ უბედურება არ ყოფილა, ლაურა. ამას ს. ..

ასე მარტივად არ უნდა შევხედოთ.

— აბა რა არის, პატრის?

— სიყვარული!

ლაურა ადგა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაჩერდა და ისევ დაჯდა, თუმცა მერე, თითქოს გადაიფიქრაო, ისევ წამოხტა და პატრისს მიუახლოვდა. წინ დაუდგა, გაუღიმა. ერთმანეთს არ შეხებია. მათი პირველი შეხვედრის შემდეგ პირველად არ შეხებია ერთმანეთს და ეს დიდებული რამ იყო. უბრალოდ ერთმანეთს უღიმიოდნენ, ვიდრე ეს ღიმილი გულითად, ხმამაღალ სიცილში არ გადაიზარდა. საკუთარ თავზე იცინოდნენ.

— სიყვარული... შენი სახე უნდა გენახა, ეს რომ თქვი.

სი-ყვა-რუ-ლი! — იცინოდნენ. ვერ ჩერდებოდნენ.

— შეიძლება, გნახო? ოდესმე. კიდევ.

— არ ვიცი. მართლა არ ვიცი, პატრის. მოდი, ჯერ ნურაფერს შევცვლით. შეგიძლია დამირეკო, იქნებ ოდესმე ამსტერდამშიც ჩამოხვიდე. დამირეკე, მაგრამ ახლა საკუთარ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდე. მარტო.

— შენს გადანყვეტილებას პატივი უნდა ვცე, არა?

— მოგიწევს. შენ რას აპირებ?

— აქ დავრჩები.

— მეტს არაფერს?

— ისე, სასიყვარულო რომანი ხომ არ დამენერა? შენ...

ჩვენ ვიქნებოდით ინსპირაციის წყარო და...

— დანერე, უფლებას გაძლევ...

ლაურა მიუახლოვდა და აკოცა, ფრთხილად, ფაქიზად.

მერე თავის ჩანთას დაავლო ხელი, გახსნა, საქალაქიდან პატრისის ხელნაწერები ამოიღო და ისევ მაგიდაზე დააწყო. მერე „გამყინვარების ხანის“ ინგლისური გამოცემა ამოიღო ჩანთიდან და ისიც ფურცლებს მიუღო გვერდით.

პატრისი კიდევ ცოტა ხანს იდგა და გაჰყურებდა, როგორ მიდიოდა ლაურა თავისი მანქანისკენ და როგორ გაემგზავრა. მერე ძალღთან ერთად სახლში შებრუნდა და ანეს „ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო“ ბალახეულის ჩაი დალია, რომელსაც საშინელი გემო ჰქონდა.

ანეს ელოდებოდა, დაჰპირდა, დილით სადგურში წავიყვანო, მარენში მიმავალი მატარებლისთვის რომ მიეწნო.

ანე გვიან ღამით დაბრუნდა Chatou-ში. ტელევიზორის წინ დაჯდა და მუხლებზე ნამცხვრის ყუთი დაიდო.

— დარჩი აქ, არ წახვიდე მარენში.

— რა? — იკითხა ანემ გამოვსებული პირით და დემონსტრაციულად გაოცებული სახე მიიღო.

— ჰო, რა? საქმე არც აქ გამოილევია. არც ერთისთვის.

საქმე, რომლისთვისაც მე და მარის უნდა მიგვეხედა, შენ უნდა მიგვეხედა. ეს ყველაფერი...

— არა!

— მიყვირე, მლანძღე, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ოღონდ დარჩი!

— არა, ჯერ უნდა წავიდე!

პა — კარგი, წადი. მაინც ოთხ დღეში დაბრუნდები აღშფოთებული. ხომ გიცნობ. ყველაფერი შეიძლება შევცვალოთ, შენ შეგიძლია შევცვალო. ხომ არის რაღაც, რისი გაკეთებაც დიდი ხანია გინდოდა? რა მაინტერესებს, იყი...

— რა?

— ის ფოტო გახსოვს? შენ და მონე რომ სხედხართ კიბეზე, სახლში, ბიძია უწულსმა რომ გადავიღოთ. მაშინ მე სად ვიყავი? რატომ არ დამიძახეთ? სხვა ღროს ხომ ყოველთვის მეძახდით იმ იდიოტური საოჯახო ფოტოგადაღების დროს.

— უი, იმ ფოტოზე ამბობ? გეძახდით, როგორ არა, აღარ გახსოვს? დედას დაბადების დღე იყო. ბიძია პიერმა გადაგვიღო, უწულსმა კი არა. მთელი სახლი საესე იყო. მორიგი აუტანელი წვეულება დუშამპების ოჯახში.

— მერე? — პატრისი ანეს გვერდით დაჯდა და ნამცხვრის კოლოფში ჩაყო ხელი.

— მერე ის, რომ გეძახდით. ბიძია პიერმა და მონემ გიპოვეს. მახსოვს, დიდხანს გეძებდნენ. მერე მოხვედი. მონე გეხვეწებოდა, როგორც ყოველთვის. შენ კი გაღიზიანდი და ისევ სახლში შევარდი, კარი მიიჭახუნე. ჩვენც ავდექით და უშენოდ გადავიდით. ახლა რამ გაგახსენა ეგ უაზრო ფოტო?

— უაზრო სულაც არ არის, არაჩვეულებრივი ფოტოა. მართლაც არაჩვეულებრივი!

ცოტა ხანს კიდევ ისხდნენ, იქამდე, ვიდრე კოლოფი არ დაიხალა. მერე ანე ადგა, დასაწოლად უნდა მომზადებულიყო. დერეფნიდან დაიძახა — ვიფიქრებ აქ დარჩენის შესახებ, მაგრამ მაშინ აქ მართლაც ბევრი რამ უნდა შეეცვალოთ.

პატრისმა არაფერი უპასუხა ღიმილით დაამთავრა კოლოფში დარჩენილი ნამცეცები.

76. ქალი (2004)

ისე აცივდა, რომ თბილი ტანსაცმელი იყიდა — ჭყეტელა წითელი ფერის პულოვერი და ჯინსის ქურთუკი. კიდევ ლამაზი, ძალიან ძვირიაჩი ჩანთა უყიდა ლინს და შავი ბერეტი ჯენის. აეროპორტში წასასვლელად ტაქსი გამოიძახა. ერთი დიდი პარკის გარდა ბარგი არ ჰქონდა. პარგი გრძნობა იყო, თავისუფლების მომგვრელი. წიგნი სასტუმროში დატოვა, უაზრობად ეჩვენა მისი გადავლება.

ორი საათის შემდეგ გაემგზავრებოდა. შარლ დე კოლის აეროპორტში ერთ არცთუ მყუდრო კაფეში იჯდა და დროის გაყვანას ცდილობდა. ოქტომბრის მშვენიერი დღე იყო, ოდნავ მოღრუბლული. ფრანჩესკამ ბრიტანული პრესა გადაათვალიერა. მერე რაღაც სულელური სუვენირები შეიძინა.

გამვლელები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მის უცნაურ შიშველ თავს.

77. გამყინვარების ხანა/წიგნი I (1953)

ერთ დღესაც დაგესიზმრები და ჩემს საფლაგზე მოხვალ, თუკი იპოვი მას. და ჩვენ ერთად შევეჭიდებით ტკვილს, ჩემსას და შენსას. ერთ დღესაც დაორთქლილ შუშაზე დანერ ჩემს სახელს, დეკემბრის ერთ ყინვიან საღამოს. და მე იქ არ ვიქნები, რადგან შორს, ძალიან შორს, შენს მესხიერებაში დაგელოდები. შენ მე არ მიცნობ და არც ის გეცოდინება, როგორ ვწნევი, როგორ ვტირი, როგორ ვსუნთქავ და როგორ გიყურებ მძინარეს, მაგრამ „ის აღარ იქნები, შენ“ გახდება. ჩვენ ერთმანეთს საღმე და ოდესღაც შევხვდებით. შევხვდავთ და ამოვიცნობთ ერთმანეთს.

მე სამარეში ვინქი, როდესაც შენ მოევიწიე სამყაროს, მაგრამ არაფერია, მე შენი ცხოვრების შემოდგომად გადავიქცევი.

მე შენგან ყველა აჩრდილს განვდეენი, სამეფო ტახტზე დავიკავებ ადგილს, შენს სულში, ფილტვების გვერდით. არ მინდა, გამაცოცხლო, მაგრამ შემეცანი!

შემოდგომა ნაშუადღევის მზის სხივებს ხარბად, ამრეზით და მზაკვრულად ჯიბეში რომ ჩაიდებს, მაშინ დატოვებ საპყრობილეს, გარს რომ გარტყია. ქარს გაეკიდები. დიდხანს, დიდხანს დაედევნები, ვიდრე მუდმივი ყინულის ქვეყანაში მიაღწევ, სადაც ჩემს სასახლეს იპოვი და ჩემამდე მოხვალ.

მე იქ დაგხვდები, ეჭვი არ შეგეპაროს! ჩვენ დროს ბოლომდე ამოვსრუტავთ. ახალ სამყაროს გამოვძერწავთ თიხისგან, და აღარასდროს დავსვამთ წერტილს, არ გავჩერდებით.

შენ მე ყველა სტრიქონს შორის წამიკითხავ, შენი კალამი თავს ვერ დამანებებს, მე გამომყვება. ვერასოდეს მომიცილებ თავიდან და შეეზრდები ჩემს მკვდარ სულს, ვიდრე შენ არ მოკვდები ან ვიდრე მე გავცოცხლდები. დრო უნდა გავათანაბროთ, გესმის?

შენ მე შემეძნე, შენი წარმოდგენის მიხედვით, რათა სიყვარული შეძლო.
ჯერ აქლემები, მერე თევზები, შემდეგ დრაკონები. ისინი შორს წაგვიყვანენ... შინ.
მეტი რაღა გინდა?

ჩემი გული ძვლების გროვავა. უკვე გარდავიცვალე, თუ ჯერ არ დავბადებულვარ?
მაკოცე რა, მუხლის წვერებზე, რომ ისევ შევძლო სიარული.
არა უშავს... ვიცი, არ მაკოცებ. ყველა იძინებს. არა უშავს, მე არ დავიძინებ.

78. აპიდაპი (2004)

ლაურამ ჩემად გაუსტუმრა ფრიკს სასტუმროში ერთი კვირის ხარჯი და ისე გაემგზავრა. ფრიკი შეჰპირდა, რომ პარიზში ერთ კვირაზე მეტხანს არ დარჩებოდა და სადგურში გააცილა. მაღლიერმა რალაცნაირად მონწყენილად შეხედა და უთხრა, „ამ ყველაფრის“ შესახებ დავწერო. ლაურამ მხოლოდ თავი დაუქნია.

ლაურას ცოტა ხნით კუპემიკ კი აჰყვა და მერე გადაეხვია. გამომშვიდობებისას ლოყაზეც აკოცა. ლაურას ს ეგონა, ხელს დამიქნევსო, მაგრამ ის აღარ მოტრიალდა. მატარებლიდან რომ ჩავიდა, სწრაფად გაუყვა ბაქანს და ხალხის მასაში გაუჩინარდა Gare du Nord-ზე.

79. გამყინვარების ხანა/ნიგნი I (1953)

ნოემბრის ნესტიანი საღამო იყო. მთელი გზა ფეხით გამოიარა და დაილალა. მშვიდი და წყნარი ადგილი შეარჩია ბაქანზე. ფიქრისა და შიშის გარეშე იცდიდა და იმ ადამიანებსაც კი უღიმოდა, თვალს რომ არიდებდნენ, გვერდს რომ უვლიდნენ. მოკრძალებულად ეცვა: სასკოლო ქვედაბოლო და თეთრი პერანგი. მეორე ბაქანი თითქმის ცარიელი იყო. მატარებელი კარგა ხნის წინ ჩამოდგა და თითქმის ყველა მგზავრი ასულიყო. ის კი იდგა და ელოდა.

19:55: გთხოვთ, დაიკავოთ ადგილები!

პოლიციის ოქმში ეწერა: ნაპოვნია ახალგაზრდა ქალის გვამი, საბუთების გარეშე. სახლის მეპატრონის მიერ შეტანილმა განცხადებამ ადამიანის გაუჩინარების შესახებ პოლიცია Rue Bonaparte-ზე მდებარე ბინაში მიიყვანა, მაგრამ მეპატრონემაც კი ვერ შეძლო იქ მოზინადრე გოგონას შესახებ ინფორმაციის მიწოდება. აღმოჩნდა, რომ მისი ნამდვილი სახელიც კი არავინ იცოდა.

ბინაში პირადი ნივთებიდან ბევრი ვერაფერი ნახეს. კუთხეში მდგარი რამდენიმე ცარიელი ბოთლისა და რუჟის პატარა ყუთის გვერდით ერთი ბოლომდე შევსებული, მოხატული სასკოლო რვეული იდო. ყუთი, რომელშიც ნივთები ჩაანყვეს, დროებით კონსიერჟს დაუტოვეს, რომელსაც ერთხელაც არ ჩაუხედავს შიგ. ის ისედაც დარწმუნებული იყო, რომ გოგო აფრენდა. მანამდე უნდა ჩაეხატებინათ ფსიქიატრიულში, — ასე უთხრა პოლიციელებს.

80. მე (2005)

მაღე მე თვითმფრინავში ვიჯდები.

შენ უკვე წახვედი, ჰორიზონტმა ჩაგცლაპა. პატარა, შორეული წერტილი გახდი.

დამთავრდა, მაგრამ ასე მგონია, არაფერი დასრულებულა, ყოველ შემთხვევაში, ისე არა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მე როგორც წარმომედგინა. ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე დასრულდებოდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ ერთი სიმღერა გამახსენდა — „უუუა“ — და მისი მოსმენა მომინდა. ძალიან მომინდა. ეს სიმღერა იმ ადამიანებზეა, რომელთაც უუუა სჭირდებათ ან იმათზე, ვისაც შეუძლია თავად იყოს უუუა — ის ადამიანი, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება, რომელიც ღირსია, რომ გიყვარდეს და უყვარდე.

ვფიქრობ უუუაზე, რომელთან ერთადაც ალკოჰოლით გაჟღენთილი ღამეები უკან ჩამოვიტოვე. ვფიქრობ მსოფლიოს ყველა უუუაზე. ყველა იმ უუუაზე, რომელიც ჩემთან იყო, როდესაც ვყვიროდი. ყველა უუუაზე, რომელიც ოცნების საშუალებას მაძლევდა. იმ უუუაზე, რომელიც ხელებს მითხოვდა და მზად იყო, ჩემ მაგივრად დაედღვარა ყველა ჩემი ცრემლი. ყველა იმ უუუაზე, ლამპიონებად რომ მინათებდნენ ქუჩებს, რომელიც მე გამოვიარე.

უუუა. უუუა დავარქევი მათ. დიდხანს არ მესმოდა ამ სიტყვისა და სიმღერის აზრი...

ვფიქრობ ჩემს უუუაზე, რომელმაც ჩემი დაფლეთილი გული ისევ გაამთლიანა. ვფიქრობ უუუაზე, რომლის მკლავებიც მაკავებდნენ, როცა მოუთვინიერებელი ცხოველივით აქეთ-იქეთ ვასკდებოდი კედლებს. ვფიქრობ სხვა უუუაზეც, რომელმაც ეს სიმღერა, ანუ ეს სიტყვა მაჩუქა, ავად რომ ვიყავი მაშინ. კიდევ ერთზე ვფიქრობ, ვისთან ერთადაც კედელზე ფეხებაყუდებულს გათენებამდე შემძლო სიცილი. ვფიქრობ იმ უუუაზე, რომელსაც ყველა ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლო იმიტომ, რომ პასუხებს თავად მთხოვდა.

ვფიქრობ მათზე და სინდისი მქენჯნის. საკუთარ თავზე ვბრაზობ, მაგრამ არა უშავს. შეცდომის გამოსწორება ხომ შემიძლია, მეც ხომ შემიძლია ვილაცისთვის ისევ გავხდე უუუა.

ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს გამოვიღვიძე.

მეორე დღეს ტაქსით მივდივარ აეროპორტში. უკან ვბრუნდები. ვბრუნდები იქ, საიდანაც დავიწყე. აეროპორტი ვადავსებულა. ბარგის ჩაბარებამდე დრო ბევრი მაქვს და ყავის დასალევად ერთ-ერთ კაფეში შევდივარ.

ჩემ გვერდით ახალგაზრდა გოგონა ზის. ზურგზე ვეებერთელა ზურგჩანთა ჰკიდია. ასეთი ზურგჩანთები მუდამ შიშს მგვრის. სულ მგონია, ამ ზურგჩანთებმა ადამიანებზე უკეთ იციან, როგორ უნდა იმოგზაურო, დაბეჭითებით ითხოვენ, რომ მოგზაურობა, რაც შეიძლება, უშუალო და განტვირთავი იყოს. ამ დროს ავიწყდებათ, რომ თავად ყველაზე ნაკლებად ჰგვანან განტვირთულებს. გოგონას ხელში პარიზის ბროშურა უჭირავს. მეღიმება. გოგონა ინგლისურად კითხულობს. ჯერ ვერ ვხვდები, სადაურია. ცოტა ხნის მერე ჩემკენ აბრუნებს თავს და მეკითხება, სად მიემგზავრები. —

შინ-მეთქი, ვპასუხობ. თან მეღიმება, რადგან ეს სიტყვა მეუცნაურება. გოგონა ხელს მინჯდის.

— პარიზში მიდიხარ? — ვეკითხები.

— დიახ, — მეუბნება გოგონა — რაღაცას ვეძებ. ბებიარჩემმა, მე მისი სახელი მქვია — ფანი, პარიზში ორმოცდაათიან წლებში ერთი გოგონა გაიცნო...

და ფანი შემდეგ ისტორიას მიყვება: